

მანანა სანაძე

— გლესობა დასავლეთ
საქართველოში
XV-XVIII საუკუნეებში

9 (C41)
 9(41-922)
 6254

წინამდებარე ნაშრომში განხილულია დას. საქართველოს გლეხთა კლასი XV—XVII სს. (ამ საკითხს ჩვენ ისტორიოგრაფიაში მიეძღვნა მრავალი ნაშრომი, მაგრამ დღევანდლამდე ის მონოგრაფიულად შესწავლილი არ ყოფილა). ნარატიული წყაროებისა და საქტო მასალის საფუძველზე გამოთქმულია ასლებური თვალსაზრისი ისეთი სოციალური კატეგორიების შესახებ, როგორც არიან: მსახური, მოინაღ, მოსასახლე, აზატი და სხვ. დადგენილია გლეხთა საბატონო, სამეფო და საეკლესიო ნატურალური და შრომითი ეალღებულებები, ბეგაჩის სახეები.

ნაშრომში განხილული ზოგი საკითხი (მაგ., მსახურის) სცილდება წიგნის ქრონოლოგიურ და გეოგრაფიულ ფარგლებს და საინტერესოა XV—XV სს. საქართველოში მიმდინარე სოციალური პროცესების გასათვალისწინებლად.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

გლეხობის ანუ მწარმოებელი კლასის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ქვეყნის ფეოდალიზმის, როგორც ფორმაციის შესწავლის საქმეში. გლეხისა და ფეოდალის ურთიერთობის ფორმები, გლეხის მიწაზე მიმაგრების ეტაპები, გლეხობის შიგნით ეკონომიური დიფერენციაციის გაღრმავება, საბოლოოდ გლეხობის გააზატება და თავდასხნა ის ფაქტორებია, რომლებიც უშუალოდ განსაზღვრავენ ფეოდალური ფორმაციის სხვადასხვა საფეხურს (მისი ჩასახვიდან დაწყებული, მისი რღვევით დამთავრებული).

წინამდებარე ნაშრომში განხილულია დას. საქართველოს მწარმოებელი კლასის ისტორია საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლიდან მისი რუსეთთან შეერთების მომენტამდე, ანუ XV ს II ნახევარიდან XVIII ს ჩათვლით. დასაველეთ საქართველოს გლეხობას, მის სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობას მიუძღვნეს თავიანთი შრომები ს. კაკაბაძემ, ლ. მუსხელიშვილმა, ო. სოსელიამ, ქ. ჩხატარაიშვილმა. დას. საქართველოს გლეხთა ზოგი კატეგორია გააშუქა აგრეთვე ბ. ლომინაძემ, მაგრამ. როგორც წყაროების ანალიზმა გუჩვენა. ეს საკითხი არ იყო დღემდე მთელი სისრულით შესწავლილი. ზემოთ დასახელებულ მკვლევართა სხვადასხვა თვალსაზრისს ჩვენ განვიხილავთ თვით ნაშრომში გლეხთა კლასის ცალკეულ წოდებაზე თუ კატეგორიაზე საუბრობას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მსახურის სოციალ-პოლიტიკური ინსტიტუტის კვლევამ, მისი გენეზისის, ფუნქციების და სხვ. დადგენამ, ჩვენ გვაძულა გამოვსულიყავით ზემოთ დასახელებული ქრონოლოგიური ჩარჩოებიდან და მსახურის ინსტიტუტი განგვეხილა ქართული ფეოდალური საზოგადოების ისტორიის მთელ სივრცეზე (V—XVIII სს.). მსახურის საკითხის ისტორიოგრაფია განხილულია სათანადო თავში.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ახალი საარქივო მასალისა და აგრეთვე ცნობილი მასალის ახლებურად ინტერპრეტაციის საფუძველზე რამდენადმე შეავსოს დას. საქართველოს გლეხობის ჰაკითხის დამუშავებაში ჩვენს ისტორიოგრაფიაში დღემდე არსებული ხარვეზები.

ავტორს სასიამოვნო მოვალეობად მიაჩნია მადლობა გადაუხადოს მეცნიერ ხელმძღვანელს პროფ. მ. ლორთქიფანიძეს დიდი ყურადღებისათვის ამ სამუშაოს მიმართ და საგულისხმო მითითებებისათვის.

მსახურთა წოდება

1. ისტორიოგრაფია

„მსახურის“ სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტის განვითარებაში გამოიყოფა სამი პერიოდი:

I. აღრეული ხანა, დაახლოებით XI—XII სს-მდე;

II. XIII—XV სს. (ბეჭა-აღბულას სამართალში ასახული ეტაპი ამ ინსტიტუტის განვითარებისა);

III. XVI—XVIII სს.

საკითხის ისტორიოგრაფიაც განხილულ უნდა იქნას ამ პერიოდების მიხედვით:

I პერიოდი

აღრეული ხანის მსახურის ინსტიტუტი განიხილა ივ. ჯავახ-შვილმა და მივიდა შემდეგ დასკვნამდე: „ცალკე წოდებრივ ჯგუფს შეადგენდნენ „მსახურნი“, მაგრამ აზნაურებივით ისინიც ერთგვარსა და თანასწორუფლებიან გუნდს არ წარმოადგენდნენ. „მსახური“ ისეთ პირს ეწოდებოდა, რომელიც სხვასთან იყო რომელიმე საქმის, ან მინდობილობის გასაკეთებლად და სასყიდლით ან სხვაგვარის მინდობილობით მას ემსახურებოდა. ამიტომ მსახურნი მეფესაც ჰყავდა, მთავრებსაც... უეჭველია მსახურთავე ჯგუფს, მხოლოდ უმაღლესს ეკუთვნოდნენ მთავრის „წინაშე მდგომელებნი“ და „ტაძრეულნი“ (ხაზგასმა ჩვენია — მ. ს.)¹.

როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილის აზრით, მსახურები ცალკე წოდებას წარმოადგენდნენ და ამავე დროს ისინი თავიანთი წოდე-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, 1928, გვ. 35.

ბის შიგნით თანასწორუფლებიანები არ იყვნენ. ჩვენი აზრით, აქ გაიგივებულია ტერმინი მსახურის ორი სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა: ერთი, როცა „მსახური“ ნიშნავს კონკრეტულ საზოგადოებრივ ფენას თუ წოდებას, და მეორე, როდესაც ის იხმარება საერთოდ ყოველგვარი დაქვემდებარებული პირის აღსანიშნავად.

ივ. ჯავახიშვილის შემდეგ ადრეული ხანისათვის მსახურის ინსტიტუტი განიხილა ს. ჯანაშიამ. მისი აზრით, „მსახურნი“, ისევე როგორც „ტაძრეულნი“, არ იყვნენ მწარმოებლები და წარმოადგენდნენ გარდამავალ საფეხურს მწარმოებელ კლასსა და გაბატონებულ კლასს შორის²: ს. ჯანაშიას თვალსაზრისს იზიარებს აგრეთვე ა. ბოგვერაძე³.

II პერიოდი

ალ. ხახანაშვილი მსახურს, ბეჟა-ალბულასა და ვახტანგის სამართალთა მიხედვით, გლეხთა ერთ-ერთ კატეგორიად მიიჩნევს: „გლეხებში განირჩეოდნენ: მსახური, ნასყიდი, ნაბოძები, ვალ-გადაუხდელი, თავის ნებით შესული და რთული ტიპის ყმა“⁴. მაგარმ ავტორი არც თავისი დებულების დასაბუთებას ცდილობს, არც რაიმეს გვეუბნება მსახურის, როგორც საგლეხო კატეგორიის რაობის შესახებ. ის მხოლოდ შენიშნავს: „მსახური იყო დაახლოებული პირი ბატონისა“⁵.

ამ პერიოდის მსახურის საკითხს ეხება ნ. ურბნელი თავის ნაშრომში „ათაბაგი ბეჟა და ალბულა და მათი სამართალი“ და გამოთქვამს შემდეგ თვალსაზრისს: „მაღალსა და დაბალს წოდებას შორის ხიდი რომ არ ჩატეხილიყო, მსახური გააჩინეს. მსახური ერთის მხრით აზნაურზე მცირეა, მეორის — გლეხს აღემატება. იგი იმათ შუა ზღვას და თუ აზნაური არ ეთქმის, არც გლეხოა შეეფერება. მაშ, მსახური ვინ იყო? როგორც სახელწოდებაც გვიჩვენებს, მსახური შოსამსახურე იყო, მაგრამ ისეთი კი, რომელსაც „არა საჩინო ხელი“

² ს. ჯანაშია, საქართველო ადრეული ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, 1940, გვ. 279.

³ ა. ბოგვერაძე, ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, 1961, გვ. 107.

⁴ ალ. ხახანაშვილი, ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, 1910, გვ. 14.

⁵ იქვე, გვ. 16.

ებარა... და ამით განსხვავდებოდა მსახურ აზნაურისაგან რომელიც „საჩინოდ ხელობდა“, საპატიო საქმეს ასრულებდა“⁶.

ამგვარად, ნ. ურბნელი მსახურს გარდამავალ წოდებად თვლის გლეხსა და აზნაურს შორის. ძნელია იმის თქმა, თუ სად, რომელ კლასში ათავსებს ის ამ წოდებას. როგორც მოყვანილი ადგილიდან ჩანს, ავტორი საერთოდ არ განიხილავს ფეოდალურ საზოგადოებას როგორც ორ ანტაგონისტურ კლასად — გაბატონებულად და ექსპლუატირებულად — გაყოფილ საზოგადოებას, არამედ ის წოდებებს წარმოგვიდგენს ერთგვარ უწყვეტ კიბედ, რომლის თითოეული საფეხური რამდენადაც მაღალია წინაზე, იმდენად დაბალია მომდევნოზე. ეს არამარქსისტული თვალსაზრისი სამართლიანად გააყრიტია ა. კიკვიძემ თავის ნაშრომში: „სამცხის სამთავროს წარმოშობა საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში“. აქ ავტორი მსახურის შესახებ შემდეგ თვალსაზრისს გამოთქვამს: „ჩვეულებრივად, მსახურს სისხლი იმდენივე ღირს, რამდენიც პატრონისაგან კარგად მიღებული გლეხის სისხლი. აქ ხედება მსახური და გლეხი ერთმანეთს. ესაა მსახურთა რეზერვი გლეხობა“⁷.

განიხილავს რა „ხელმწიფის კარის გარიგება“-ს, ა. კიკვიძე ასკვნის: „მსახურთ უხუცესის საგამგებლოს ყველა საფარეშოთა მსახურნი გლეხები უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო თუ მესაწოლეებად ან საწოლის მსახურებად აზნაურებია დასახელებული, ეს სრულიად არ არღვევს ჩვენს ინტერპრეტაციას — გლეხობის, როგორც მსახურთა რეზერვის შესახებ, რადგან საწოლი, უპირველესად როგორც მეფის დასაძინებელი და ამასთანავე მისი კაბინეტი, განსაკუთრებით საპატიო და პასუხისსაგებ სამსახურს მოითხოვდა მაშინ და ამიტომ იყო, რომ, იშვიათი გამონაკლისის გარდა ეს სამსახური აზნაურთა საგვარეულო საკუთრება იყო“⁸.

ამგვარად, ავტორის აზრით, მსახურია ის პირი, ვინც ბატონის ან მეფის კარზე ხელს ფლობს. როგორც ჩანს, განსაკუთრებით ისინი, ვინც მსახურთ უხუცესის საგამგებლოში შედიან. თუ ხელი უფრო საპატიოა, მსახური აზნაურთა წოდებიდან გამოდის, თუ ხელი ნაკ-

⁶ ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, ათაბაგი ბეკა და ალბულა და მათი სამართალი, 1890, გვ. 97—99.

⁷ ა. კ ი კ ვ ი ძ ე, სამცხის სამთავროს წარმოშობა საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში, თსუ შრომები, XXXVII, 1949, გვ. 26.

⁸ იქვე, გვ. 87.

ლებ საპატიოა, მსახურთა რეზერვი გლახია, ასე რომ „მსახური“, როგორც ცალკე სოციალური ფენა თუ წოდება, არ არსებობს.

ამავე თვალსაზრისს გამოთქვამს ა. ბოგვერაძეც. მკვლევრის დებულება ამ პერიოდის მსახურის ინსტიტუტის შესახებ შემდეგია: მსახური ძირითადად გლახობიდან გამოდის⁹.

მსახურთა საკითხს შეეხო აგრეთვე ნ. ბერძენიშვილი: „აზნაურებზე ქვეშით მსახურები დგანან. ფეოდალური ურთიერთობის ხანაში, საერთოდ. მსახურები გარდამავალ საზოგადოებრივ ფენას შეადგენდნენ. ისინი მიწისმოქმედნი არიან და ამით გლახებს ჰგვანან, ხოლო მათი წოდებრივი ფუნქცია აზნაურულია — ლაშქრობა და სამსახური. ბატონყვობის წარმოქმნის ხანაში მსახურები ეკონომიურ და სოციალურ დაქვეითებას განიცდიან. ხშირი ლაშქრობა და სამსახური და, საფიქრებელია, ამ დროისათვის უკვე პურის ჭამაც, ე. ი. ბატონის გამასპინძლება... უწყალოდ ანადგურებდა მას და გლახობისაკენ მიერეკებოდა“¹⁰.

ამგვარად, ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისით:

1) მსახური მწარმოებელ, მიწათმოქმედ მოსახლეობას ეკუთვნის. მაგრამ ის გლახი არაა, სხვა სიტყვებით, ის თავისუფალი მწარმოებელია. ამიტომ მსახური, როგორც ჯერ კიდევ თავისუფალი მწარმოებელი, გარდამავალ ფენას ქმნის გლახსა და აზნაურობას შორის.

2) ბექა-ალბულას სამართალში მოცემული „მსახური“, როგორც გარდამავალი ფენა, თანდათან ქრება, მას ეკონომიურა შეუძლებლობა „გლახობისკენ მიერეკება“ (შესაძლოა ავტორს ეს პროცესი დამთავრებულად მიაჩნია ვახტანგის სამართლის ხანაში).

ამავე თვალსაზრისს იზიარებს მ. ლორთქიფანიძე. თავის ნაშრომში „სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XII ს-ის საქართველოში“ ის აღნიშნავს: „გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბექა-ალბულას სამართალი აზნაურსა და გლახს გარდა იცნობს მსახურებს, რომელნიც, როგორც ცნობილია, ფეოდალური ურთიერთობის ხანაში, გარდამავალ ფენას წარმოადგენდნენ“¹¹.

⁹ ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 109.

¹⁰ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია XIII—XIV სს., კონსპექტი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, 1965, გვ. 51.

¹¹ მ. ლორთქიფანიძე, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XII ს. საქართველოში (ბატონყვობის გამარჯვების საკითხისათვის), კრებულში: საქართველო რუსთაველის ხანაში, 1966, გვ. 35—36.

.ამავე პერიოდის გლეხობას მიუძღვნა დ. მეგრელაძემ თავისი ნაშრომი: „გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა XIII ს-ის II ნახევრიდან XV ს-მდე“. ამ ნაშრომიდან უნდა დავასკვნათ, რომ ავტორი აღებულ საუკუნეებში მსახურს არ მიიჩნევს გლეხად, რადგან საერთოდ არ განიხილავს ანეთი ტიპის გლეხს. ავტორის მსჯელობა ამ საკითხზე შემდეგია: „მიწაზე მიმაგრებული გლეხობა იმთავითვე არ წარმოადგენს ერთგვაროვან მასას. ბეჟა-აღბულას კანონმდებლობა იცნობს სხვადასხვა სოციალური კატეგორიის გლეხებს. ესენია: მკვიდრი, თავდაწერალი, თავდაუწერელი, მომართებული, ნასყიდი“¹². უფრო მოგვიანებით დ. მეგრელიძე თავის სტატიაში: „ხელმწიფის კარის გარიგების ერთი ადგილის გაგებისათვის“, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მსახური გლეხობის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს და გვთავაზობს მსახურის შემდეგ განსაზღვრას: „გარდა მანდატურისა ამ დროისათვის მსახურთა კატეგორიაში შედის სამეფო და ფეოდალთა კარზე მყოფი გლეხობიდან გამოსული ჯგუფები, რომლებიც კარზე სხვადასხვა საქმიანობას ეწევიან. მათი საქმიანობა არაგლეხურია, ისინი არ მარდევნენ მიწათმოქმედებას. ამით განსხვავდებიან თავიანთი შოშიე გლეხებისაგან და, თუმცა მცირე უპირატესობით სარგებლობენ, მაინც პრივილეგიებულ კატეგორიას — მსახურს ქმნიან“¹³.

ამგვარად, ავტორის აზრით, მსახურია ის, ვინც ბატონის ან მეფის კარზე რაიმე ხელს ფლობს. ან საერთოდ რაიმე საქმიანობას ეწევა. მსახურს იძლევა გლეხის ოჯახი. გლეხის ეს ოჯახი მიწათმოქმედებას ეწევა და ბეჟარას იხდის. ხოლო მისი ერთი წევრი არ ეწევა მიწათმოქმედებას. არ არის მწარმოებელი. ის ბატონს კარზე ემსახურება და პრივილეგიებულ საგლეხო კატეგორიას ქნის.

მსახურს, ბეჟა-აღბულას სამართლს მიხედვით, გლეხობაში განიხილავს ნ. შოშიაშვილი. მისი სქემა შემდეგნაირია: გლეხობა შედგება მსახურიდან და გლეხიდან. გლეხთა კატეგორიებია: მკვიდრი, შეწირული. გარეთმოსული, ნასყიდი. მსახურის კატეგორიებია: ჩვეულებრივი მსახური (სისხლის ფასი 1000 თეთრი), აზნაურად მსა-

¹² დ. მეგრელაძე, გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა XIII ს-ის II ნახევრიდან XV ს-მდე, კრებულში: ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, 1967, გვ. 74.

¹³ დ. მეგრელაძე, ხელმწიფის კარის გარიგების ერთი ადგილის გაგებისათვის, მეცნ., ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნ. ისტ. სერია, 1971, № 3, გვ. 164.

ხური (სისხლის ფასი 6000 თეთრი), აზნაურად მსახური და საჩინო ხელს მქონე (12000 თეთრი)¹⁴.

ყველა პერიოდის მსახურს გლეხობაში განიხილავს აგრეთვე დ. გვრიტიშვილი: „ფეოდალური ურთიერთობის განვითარების ყველა საფეხურზე ჩანს მსახურთა ინსტიტუტი. იგი ამ მოვლენის პირველი და მისი თანამგზავრიც, დროისა და პირობების მიხედვით, რა თქმა უნდა, ცვლილებებს განიცდის. მსახური ჰყავს მეფეს, ეკლესიას, ფეოდალს. იგი, უეჭველია, გლეხთა კატეგორიაში თავსდება, მაგრამ მისი მოვალეობა შედარებით საპატიოა და ამიტომ გლეხთა სხვა კატეგორიებისაგან მდგომარეობით საგრძნობლად განსხვავდება“¹⁵.

ბექა-ალბულას სამართლის მიხედვით აზნაურად მომსახურე მსახურებს დ. გვრიტიშვილიც მსახურთა კატეგორიებად მიიჩნევს. დებულება, რომ მსახური ყველა პერიოდისთვის გლეხთა კატეგორიაში თავსდება, ნკვლევარს არა აქვს შემაგრებელი რაიმე საბუთით. მსახურის ვალდებულებების შესახებ ის აღნიშნავს: „სათანადო საბუთებიდან ჩანს, რომ მსახურის მოვალეობა უფრო საპატიოა, იგი „ბეგარას“ „ენახურობით“ უხდის თავის პატრონს და ამით განსხვავდება „მებეგრე გლეხისაგან“. მსახურთა კატეგორია შევსებას ლებულობდა თარხან გლეხებისაგან. მსახური ბატონის კარზე, საპატიო სამსახურში მყოფი აღზევებული გლეხი იყო“¹⁶.

ამგვარად, დ. გვრიტიშვილის განმარტებით, მსახურია ის გლეხი, რომელიც ბატონის კარზე ასრულებს „საპატიო სამსახურს“, მაგრამ ავტორი არ განმარტავს, თუ რას გულისხმობს საპატიო სამსახურში.

უკანასკნელ ხანებში მსახურის საკითხს სპეციალური ნაშრომები ნიუძღვნა ზ. რატიაშვილმა, რომლებშიც ის ცდილობს დაასაბუთოს მსახურთა გაბატონებული კლასისადმი კუთვნილება. მისი დასკვნა ბექა-ალბულას სამართალში მოხსენიებული მსახურების შესახებ შექმდეგა: „მსახურებს საერთოდ, როგორც „აზნაურად მსახურებს“, ისე „მსახურად მსახურებს“, ჰყავთ ყმები და აქვთ სათანადო მამული, მსახურთა წოდების სამივე ფენა გაბატონებულ კლასს მიე-

¹⁴ Н. Ш о ш и а ш в и л и. Ркопская грамота как исторический источник, Автореферат, 1953.

¹⁵ დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 185.

¹⁶ დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, 1962, 23-51.

ეკუთვნება“¹⁷. შემდეგ ზ. რატიანი უფრო შორსაც მიდის და ცდილობს დაასაბუთოს, რომ არა მარტო ბექა-ალბუღას სამართალში ასახული მსახური, არამედ ვახტანგ VI-ის პერიოდის მსახურიც გაბატონებულ კლასს ეკუთვნის¹⁸.

მ. ბერძნიშვილი თავის ნაშრომებში ემხრობა თვალსაზრისს, რომელთა მიხედვით მსახურები წარმოადგენენ გარდამავალ, პირადად თავისუფალ, ვასალური კიბის ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომ საზოგადოებრივ ფენას: „მსახური დაუბეგრავი საზოგადოების უქვედაეს საფეხურზე მდგომი პირია. მაგრამ ბუნება მსახურისა ორმაგი ტენდენციისაა: ერთის მხრივ მსახური აზნაურს უტოლდება, აზნაურის ფუნქციას ასრულებს, ე. ი. ეკონომიურადაც ძლიერია, მეორეს მხრივ მსახური „მსახურად“ არის, ე. ი. თავის სოციალურ წრეში რჩება და მისი ფუნქციები ამ სოციალურ წრეს არ სცილდება. სწორედ ამ ორმაგი ტენდენციის გამო, მსახური გარდამავალი საფეხურია სოციალურ კიბეში — ერთის მხრივ ის ლამობს აზნაურთა წრეს გაეტოლდეს, მეორეს მხრივ ეკონომიური შეუქლებლობა მას გლეხობისაკენ ეზიდება“¹⁹.

მ. ბერძნიშვილი საბოლოოდ მაინც იხრება იმ თვალსაზრისისაკენ, რომ მსახური ეკუთვნის გაბატონებულ კლასს, რადგან მსახური თუ პერსპექტივაში გარდამავალია. არსებულ პერიოდში რომელიმე კლასს უნდა ეკუთვნოდეს და ამბობს, რომ ის ეკუთვნის დაუბეგრავ საზოგადოებას. დაუბეგრავი საზოგადოება კი მხოლოდ გაბატონებული კლასი შეიძლება იყოს. თუმცა, ავტორისავე სიტყვებით, მსახური ამ საზოგადოების უქვედაეს საფეხურზე იმყოფება, მაგრამ მაინც მისი წევრია.

ასეთთა მკვლევართა სხვადასხვა თვალსაზრისი მსახურის ინსტიტუტის ზეორე პერიოდზე (XIII—XV სს), ანუ ბექა-ალბუღას სამართალში ასახულ მსახურზე. ეს თვალსაზრისები შემდეგნაირად შეიძლება დავაჯგუფოთ:

17. ზ. რ ა ტ ი ა ნ ი, მსახურთა სოციალური წოდება, ცისკარი, № 8, 1968 წ. აგრეთვე მისივე, საქართველოს სოციალური წყობა XIII—XIV სს. 1970, გვ. 117.

18. ზ. რ ა ტ ი ა ნ ი, მსახურთა კლასობრივი ვინაობის ვაგებოსათვის, მაცნე, ისტორიის... სერია, № 3, 1974, გვ. 139.

19. მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველო XI—XII სს-ში, 1970, გვ. 102. მისივე, ქართულ-ბიზანტიური სოციალური ტერმინოლოგიიდან, მაცნე, ისტორიის... სერია, № 1, 1977, გვ. 53.

I. მსახური გარდამავალი საზოგადოებრივი ფენაა გლეხობაა და აზნაურებს შორის (ნ. ურბნელი, ნ. ბერძენიშვილი, მ. ლორთქიფანიძე, მ. ბერძენიშვილი).

II. მსახური გაბატონებულ კლასს ეკუთვნის (ამ თვალსაზრისის დასაბუთება სცადა ზ. რატიანიშვილი);

III. მსახური გლეხთა მაღალი კატეგორიაა (ალ. ხახანაშვილი, დ. გვრიტიშვილი, ნ. შოშიაშვილი, დ. მეგრელაძე);

IV. მსახური ძირითადად გლეხობიდან გამოდის (ა. კიკვიძე, ა. ბოგვერაძე. ეს თვალსაზრისი, როგორც ჩანს, უარყოფს მსახურის, როგორც ცალკე სოციალური კატეგორიის არსებობას).

III პერიოდი

ამ პერიოდის მსახურს ყველა მკვლევარი, გარდა ზ. რატიანისა, გლეხთა კლასს აკუთვნებს და მის პრივილეგიურებულ კატეგორიად მიიჩნევს.

დას. საქართველოს გლეხობა განიხილა პირველად ს. კაკაბაძემ და დაყო შემდეგ კატეგორიებად: აზატი, მსახური, მოინალე და მოჯალაბე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ს. კაკაბაძე არ ცდილა დაედგინა მსახურის რაობა და მსახურად მიიჩნეოდა ყველა გლეხს, რომლებსაც დავთრებში „სანსახური“ ევალებათ²⁰.

ს. კაკაბაძის შემდეგ დას. საქართველოს გლეხთა კატეგორიები საგანგებოდ განიხილა ლ. მუსხელიშვილმა²¹. მან ფუნდამენტურად შეისწავლა ეს საკითხი, მაგრამ, ჩვენი აზრით, დაუშვა ზოგიერთი მეთოდოლოგიური ხასიათის უზუსტობა, რამაც საბოლოოდ არასწორ დასკვნაზე მიიყვანა:

1) ავტორი, ს. კაკაბაძის მსგავსად, ყველა გლეხს, რომელსაც სანსახური აკისრია, მსახურად მიიჩნევს;

2) ის უარყოფს აზატის როგორც გლეხთა ცალკე კატეგორიის არსებობას და მას მსახურებს მიათვლის;

3) როდესაც გლეხებს არ უწერიათ „სამსახური“ და ევალებათ რაიმე კონკრეტული სახე ამ სანსახურისა, მაგ.: მზარეულობა, მკედ-

²⁰ ს. კაკაბაძე, მასალები დას. საქართველოს სოციალური და ეკონომიური ისტორიისათვის, საისტორიო კრებული I, III, 1928.

²¹ ლ. მუსხელიშვილი, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალ-ეკონომიური კატეგორიები XVI—XVII სს., ენძეის მოამბე, V-VI, 1940, გვ. 267.

ლობა, ხელოსნობა, მეთევზეობა-მენავტეობა და სხვ., ავტორი ცდილობს ბეგარის მიხედვით დაადგინოს მათი ამა თუ იმ კატეგორიისადმი კუთვნილება, ამის მიხედვით წან მსახურებს აკუთვნებს, ხან მოინალეებს.

ავტორი ცდილობს გაარკვიოს, თუ რომელი იყო საპატიო და რომელი არასაპატიო სამსახური ბატონის კარზე და გვთავაზობს შემდეგ თეალსაზრისს: „საკუთრივ სამსახური“ იყო როგორც საპატიო, ისე სათაკილოც. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ საპატიო სამსახურს ასრულებდა, ჩვეულებრივად, მსახური, ხოლო სათაკილოს — გლეხი (მოინალე), თუმცა ზოგჯერ, როგორც ვნახავთ, ამასაც ანდობდნენ ხოლმე საპატიო სამსახურს... მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ შემდეგი საპატიო სამსახური: „მოურავობა“, „ხელოსნობა“, ანუ „ხელოსნობით სამსახური“, შემდეგ სახლთხუცესობა, მოლარეობა და სხვა მრავალი. დაბალი ღირსების სამსახურად უნდა ჩაითვალოს. მაგ. „მოინალობა“... შემდეგ (თუმცა არა ყოველთვის) მზარეულობა, ალბათ „სასახლის სამსახურიც“, რომელიც, თუ გავითვალისწინებთ, რომ „სასახლე“ სამოსახლო ადგილს ეწოდებოდა თავისი მიწა-მამულით... უნდა ჰგულისხმობდეს თვით „სასახლის“ მოვლას, მის კარზე საჭირო სამეურნეო სამუშაოს შესრულებას ან, ეგებ, მიწის დამუშავებასაც... განსაკუთრებით დამამცირებელ სამსახურად ითვლებოდა „ტვირთის ზიდვა“... საპატიოც შეიძლებოდა ყოფილიყო და სათაკილოც, იმისდა მიხედვით, ალბათ, თუ რა პირობებში სრულდებოდა მაგ. „მგზავრობა“²².

ამგვარად, როგორც ვხედავთ, თუმცა ლ. მუსხელიშვილი დიდ ადგილს უთმობს იმის გარკვევას. თუ სამსახურის რომელი სახე იყო სათაკილო და რომელი საპატიო, მაგრამ ფაქტიურად იმ დააკვნამდე მიღის, რომ ყველა სამსახური ბატონის კარზე საპატიოა, გარდა „მოინალობისა“, „სასახლის სამსახურისა“ (რისი შინაარსიც ავტორთან მთლად ნათლად არ არის განსაზღვრული), „მზარეულობისა“ (რომელიც, მკვლევარის აზრით, ერთიდაიმავე დროს საპატიოც შეიძლება იყოს და არასაპატიოც) და „ტვირთის ზიდვისა“. მკვლევარის კრიტერიუმში გლეხისა და მსახურის გამიჯვნაში არის საპატიო და სათაკილო სამსახური. აქედან გამომდინარე ლ. მუსხელიშვილი XVII ს. დას. საქართველოში მომუშავე პეტვირთე გლეხებს, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ლაშქრობაც ევალებათ, მსახურებად მიიჩნევს. ასე-

²² ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 277-78.

ვე მსახურებად მიიჩნევენ მკვლევარი მენავეტე-მეთევზე გლეხებს იმიტომ, რომ ისინი საპურობოს მოვალენი არიან და ა. შ.

ასეთი მეთოდით ლ. მუსხელიშვილი დას. საქართველოს გლეხებს ყოფს შეპდეგ კატეგორიებად:

XVI საუკუნე

I. გლეხი (მოინალე): 1) მეტვირთე, 2) მომუშავე;

II. მსახური: ა) დაბეგრილი: 1) მოსამსახურე, 2) მოლაშქრე;
ბ) დაუბეგრავე: 1) მოსამსახურე, 2) მოლაშქრე²³.

XVII საუკუნე

I. გლეხი (მოინალე): 1) მეტვირთე, 2) მომუშავე, 3) მონადე;

II. მსახური: ა) დაბეგრილი: 1) მეტვირთე, 2) მომუშავე, 3) მონადე, 4) მოსამსახურე, 5) მოლაშქრე.

ბ) დაუბეგრავე: 1) მოსამსახურე, 2) მოლაშქრე²⁴.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ამ სქემით, გლეხის (მოინალის) პირადი ვალდებულება ბატონის მიმართ არის მხოლოდ ტვირთი და მუშაობა. „სასახლის სამსახურს“ ავტორი აიგივებს მუშაობასთან და სანოსახლო მიწის დამუშავებად მიიჩნევს, ხოლო „მოინალობაში“ გულისხმობს ტვირთის, შემის ზიდვას და სხვა მსგავს სამუშაოებს.

დას. საქართველოს გლეხობას მიუძღვნა რიგი შრომებისა ო. ს. ოსელია²⁵. ლ. მუსხელიშვილისაგან განსხვავებით, ო. სოსელია აზატს (XVI—XVII სს) გლეხთა ცალკე კატეგორიად თვლის. თუ ლ. მუსხელიშვილი აიგივებს დაუბეგრავე მსახურს აზატთან, ო. სოსელია მათ განასხვავებს ერთმანეთისაგან. მაგრამ, მკვლევარი არ განიხილავს კრიტიკულად ლ. მუსხელიშვილის თვალსაზრისს და არ გვთავაზობს თავის განსხვავებულ საბუთიანობას.

²³ ლ. მუსხელიშვილი, დას. ხ. ნაშ., გვ. 293.

²⁴ იქვე, გვ. 312.

²⁵ ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, 1966, გვ. 69—98. მისივე: აზატ გლეხთა კატეგორია დას. საქართველოში, მსკი, ნაკვ. 33, 1960. მისივე: დას. საქართველოს გლეხთა ეკონომიური მდგომარეობა XVI ს. XIX ს. I ნახევარამდე, კრებულში: ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, 1967, გვ. 176.

მოკლედ განიხილავს გურიის გლეხთა სოციალურ კატეგორიებს ქ. ჩხატარაიშვილი. ის ცდილობს დაადგინოს მსახურის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი გლეხისაგან და მიღის დასკვნამდე, რომ მსახურია ყველა ის გლეხი, ვისაც არ ევალება მუშაობა და ტვირთი, მაგ., მზარეულო, მეჭინბე, ხელოსანი და სხვ.²⁶

კახეთის გლეხობას მიუძღვნა თავისი საკანდიდატო დისერტაცია ნ. ასათიანი, მაგრამ ნაშრომის იმ ნაწილში, რომელზეც ეძღვნება მსახურს, ის ძირითადად ეყრდნობა ლ. მუსხელიშვილის ზემოდასახელებულ ნაშრომს. ავტორი აღნიშნავს: „აზატთა (თარხანთა) ცალკე სოციალ-ეკონომიური კატეგორია კახეთში არ ჩანს, რადგან მათ უმრავლესობას, ათავისუფლებენ რა მთლიანად ან ნაწილობრივ ძირითად საბატონო გამოსაღებისაგან (ყლანისაგან), სხვა უფრო იოლ და საბატონო სამსახურს აკისრებენ. ამის შემდეგ გააზატებული გლეხები ერთიანდებიან მსახურთა კატეგორიაში“²⁷.

ამგვარად, როგორც ლ. მუსხელიშვილი, ნ. ასათიანიც ყველა აზატს მსახურებს მიაკუთვნებს და აზატს ცალკე საგლეხო კატეგორიად არ მიიჩნევს. მსახურებს შეახებ მკვლევარი აღნიშნავს: „კახეთის აღწერილობის ამავე დავთარში ეხვდებით ხელოსნობით მომსახურე გლეხებს: ფეიქარს, მკედელს, მექვაბეს, მეკალათეს, ხაბაზს და სხვ. ასეთი პირნი დასაველეთ საქართველოში ჩვეულებრივ მსახურთა კატეგორიაში შედიან (აქ ავტორი ეყრდნობა ლ. მუსხელიშვილის ნაშრომს — მ. ს.). საპწუხაროდ, სხვა დამატებითი ცნობები ამ უკანასკნელთა შესახებ ჩვენს ხელთ მყოფ კახურ დოკუმენტებში არ გვხვდება, ამიტომ მხოლოდ ვარაუდით შეგვიძლია დავუწვათ, რომ ესენიც მსახურთა უმდაბლეს ფენას ეკუთვნოდნენ“²⁸.

საბოლოოდ ნ. ასათიანი მსახურებს შემდეგ კატეგორიებად კყოფს:

- ა) მსლებელ-მოლაშქრენი;
- ბ) მოხელენი;
- გ) მებატონის პირადი მეურნეობის და ხელოსნობით მომსახურენი.

²⁶ ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავროს გლეხთა სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა XV—XVIII სს-ში. საზოგ. მეცნ. განყ. მოამბე, I, 1963, გვ. 76.

²⁷ ნ. ასათიანი, კახეთის გლეხობა XVI—XVIII სს. საკანდ-დატო დისერტაცია (ხელნაწერი). გვ. 175 (სქოლიო).

²⁸ იქვე, გვ. 179.

ყველა ამათი საერთო ნიშანია ის, — აღნიშნავს ავტორი — რომ ძირითადი საბატონო ნატურალური გადასახადისაგან, ყალბისაგან გათავისუფლებულნი არიან და მებატონეს პირადად ემსახურებან. ლაშქრობა-ნადირობა მხლებელ მოლაშქრეებს ეკისრებათ, მოხელენიც და მესამე ჯგუფის მსახურნიც სამხედრო ბეგარისაგან თავისუფალნი არიან“²⁹.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ნ. ასათიანი, ისევე როგორც ადრე ლ. მუსხელიშვილი, მიდის იმ დასკვნამდე, რომ ბატონის კარზე მოსამსახურე ყველა გლეხი მსახურია, იქნება ის მექვაბე, ფეიქარი, მეზერე, ხაბაზი თუ სხვა. ამის შედეგად მკვლევარი ლოგიკურად იმ თვალსაზრისამდეც მიდის, რომ არიან მსახურები, რომლებსაც ლაშქრობა არ ევალებათ.

ქართლში მსახურთა ინსტიტუტს განიხილავს გ. აკოფაშვილი ნაშრომში: „გლეხთა კატეგორიების საკითხისათვის XVII—XVIII სს აღმოსავლეთ საქართველოში“³⁰. ავტორი გლეხობას სამ ჯგუფად ჰყოფს: I მკვიდრი; II ნებიერი და III ნასყიდი. ერთ-ერთ ჯგუფში კი (მკვიდრი) მკვლევარი ქვეკატეგორიად გამოჰყოფს მსახურებს. მსახურის ადგილის შესახებ გლეხთა საერთო მასაში, მკვლევარი აღნიშნავს: „გლეხთა ფენაში XVII—XVIII სს. მასალების მიხედვით, გლეხთა უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით 3 სხვადასხვა ჯგუფი შეინიშნება: 1. მკვიდრი, 2. ნებიერი, 3. ნასყიდი... მკვიდრ გლეხთა შორის საგადასახადო — ვალდებულებებითა და ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით გლეხთა შემდეგი კატეგორიების გამოყოფა შეიძლება: თარხანი, მსახური, მებეგრე, ბოგანო. ნებიერ გლეხთა შორის შემდეგ კატეგორიებია აღსანიშნავი: ნებით მოსკული, ხიზანი. ნასყიდ ყმებს შორის არიან უმამულო, ანუ ბოგანო ნასყიდი გლეხები, და მიწაზე მკდომი ნასყიდი გლეხები“³¹.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ავტორის აზრით, თარხანს, მსახურს, მებეგრესა და ბოგანოს შორის სხვაობა მხოლოდ საგადასახადო ვალდებულებებით და ეკონომიური მდგომარეობით ამოიწურება, უფლებრივი სხვაობა მათ შორის არ არის, ისინი ერთი, უფლებ-

²⁹ ნ. ასათიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 179—180.

³⁰ გ. აკოფაშვილი, გლეხთა კატეგორიების საკითხისათვის XVII—XVIII სს-ის აღმ. საქართველოში, მსკი, ნაკვ. 34, 1962, გვ. 69.

³¹ იქვე, გვ. 81—82.

რევად თანასწორი, მკვიდრი გლეხობის ქვეკატეგორიებს ქმნიან მხოლოდ. ასეთ შემთხვევაში გაუგებარი რჩება, თუ რატომ არის, რომ ვახტანგის სამართალში მსახურის სისხლზეა საუბარი, ისევე როგორც თავადის, აზნაურის, ვაჭრის და გლეხის სისხლზე. ამვე დროს სამართალი სულაც არ თვლის საჭიროდ ცალ-ცალკე განიხილოს მკვიდრის, ნებიერის და ნასყიდის სისხლის ფასი.

ქართლის გლეხობას მიუძღვნა ე. ხო შ ტ ა რ ი ა მ წერილი: „გლეხობის სოციალური მდგომარეობა XVII—XVIII სს. ქართლში“³². ავტორი გლეხობას ორ კატეგორიად ყოფს: მსახურად და მებეგრედ, აქედან მსახურებად მიიჩნევს ყველა გლეხს, რომელიც ხელს ფლობს ბატონის კარზე, იქნება ის ხაბაზი, მზარეული თუ სხვა.

მსახურის ინსტიტუტი საფუძვლიანად განიხილა თავის ნაშრომებში მკვლევარმა გ. ჯამბურამ. მისი თვალსაზრისი ამ საკითხზე თავდაპირველად ემთხვეოდა ზემოთგანხილულ მკვლევართა თვალსაზრისებს (ლ. მუსხელიშვილი, ნ. ასათიანი, ე. ხოშტარია). მსახურებს გ. ჯამბურია, ისევე როგორც ნ. ასათიანი ყოფდა სამ კატეგორიად: 1. მხლებელ-მოლაშქრეები, 2. მოხელეები, 3. ხელოსნობით მსახურნი³³. მსახურთა ამ კატეგორიებზე მკვლევარი აღნიშნავს:

„მსახურები მწარმოებელთა კლასში შემავალ პრივილეგირებულ ფენას ქმნიან. ბატონის მიმართ მისი მთავარი მოვალეობაა „საპატიო სამსახური“: ლაშქრობა-მხლებლობა და მასპინძლობა...

„მსახურთა ერთი ნაწილი თავის მოვალეობას მოხელეობით ასრულებდა. ფეოდალის კარზე და მამულში მრავლად იყვნენ მსახური — მოხელეები: სახლთუხუცესი, მოურავი, ნაცვალი, მამასახლისი, მდივანი, მოლარე, იასაული, შათირი, გზირი და სხვ.

„მოლაშქრე-მსახურებსა და მოხელე-მსახურებს გარდა, რომელნიც მსახურთა ფენის ძირითადი ნაწილი იყო, გვხვდებიან აგრეთვე ხელოსანი მსახურები: მზარეული, მეღვინე ან სხვა ასეთი“³⁴.

შემდეგში გ. ჯამბურამ, ამ საკითხზე გამოთქვა ნ. ასათიანისგან რამდენადმე განსხვავებული თვალსაზრისი და მსახურის აღნიშნული სამი კატეგორიიდან დატოვა მხოლოდ პირველი ორი:

³² ე. ხო შ ტ ა რ ი ა, გლეხობის სოციალური მდგომარეობა XVII—XVIII სს. ქართლში, ისტორ. ინსტ. შრომები, V, ნაკვ. I, 1960, გვ. 77.

³³ გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI—XVII სს. საქართველოს ისტორიის ნაკვეთები, IV, გვ. 194.

³⁴ იქვე, გვ. 194, მისივე: საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვითარება XVII ს. I ნახევარში, სადოქტორო დისერტაცია, 1975 (ხელნაწერი), გვ. 80—81.

„მოლაშქრე-მსახურებსა და მოხელე მსახურებს გარდა, რომელნიც მსახურთა ფენის ძირითადი ნაწილი იყო, გვხვდებიან აგრეთვე ხელოსანი მსახურები: მზარეული, მეღვინე ან სხვა ასეთი, მაგრამ ამგვარი სამსახური არ იყო მსახურთა ფენის დამახასიათებელი და განმსაზღვრელი ნიშანი. ამგვარად, მსახურთა კატეგორიაში მოვალეობისდა მიხედვით უნდა გამოვყოთ: 1) მსლებელ-მოლაშქრეები და 2) მოხელენი“ (ხაზგასმა ჩვენია — მ. ს.)³⁵.

ამგვარად, გ. ჯამბურია იღებს „ხელოსან მსახურებს“ მსახურთა კატეგორიებიდან, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ მაინც თვლის მსახურებად, რადგან აღნიშნავს: „...გვხვდებიან აგრეთვე ხელოსანი მსახურები: მზარეული, მეღვინე, ან სხვა ასეთი“. გ. ჯამბურია რომ მზარეულს, ხაბაზსა და სხვას მსახურებად მიიჩნევს, ჩანს აგრეთვე მის მიერ მებეგრე გლეხთა ვალდებულებების განსაზღვრიდან. ამ ვალდებულებებად ის მიიჩნევს: ბეგარას, მუშაობას და „სათაკილო სანსახურს“ (ტვირთის ზიდვა და სხვ.)³⁶, ცხადია, აქ მებეგრე გლეხებში ადგილი აღარ რჩება ბატონის კარზე მყოფი მზარეულის, ხაბაზის, მეჭინბის, ბაზიერის, ფარეშის და სხვათათვის და გამოდის, რომ მათ ავტორი მსახურებში გულისხმობს.

გ. ჯამბურიას იმავე ნაშრომის სხვა ადგილიდან ჩანს, რომ თითქოს ავტორი მსახურებად მიიჩნევს არა ყველა ხელოსანს ბატონის კარზე, არამედ მხოლოდ თარხან ხელოსნებს: „გვხვდება თუ არა შემთხვევები მებეგრის გათარხნებისა, როცა უშუალოდ მსახურის ფუნქცია არაა ნაგულისხმევი? არის ასეთი შემთხვევებო როცა გათარხნებულა მოხელე (მამასახლისი, ნაცვალი, მღვდელი ან სხვა ასეთი) და ფეოდალის კარზე მყოფი ხელოსანი, რომელიც განსაკუთრებულ დახელოვნებას მოითხოვს (მდივანი, გადაამწერიელი, შეიძლება მჭედელი და მზარეულიც კი). მაგრამ ყველა ის მსახურის კატეგორიაშია აყვანილი“³⁷. (ხაზგასმა ჩვენია მ. ს.). საერთოდ, გ. ჯამბურია აზატსა და თარხანს აიგივებს მსახურთან: „მაშასადამე, სრულიად ნათელია, რომ მსახური და თარხანი იდენტური ცნებებია და ერთმანეთს ენაცვლებიან

³⁵ გ. ჯამბურია, საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება XVII ს. I ნახევარში, საღიქტორო დისერტაცია (ხელნაწერი), 1975, გვ. 81.

³⁶ იქვე, გვ. 87—88.

³⁷ იქვე, გვ. 77.

წყაროებში. ისიც ნათელია, რომ თარხანი და აზატი სინონიმური ტერმინებია³⁸.

ამგვარად, XVI—XVIII სს. მსახურის ინსტიტუტის ირგვლივ ლიტერატურაში გამოთქმულია შემდეგი თვალსაზრისი:

1. მსახური გლეხის კატეგორიაა (ამ საყოველთაოდ გაზიარებულ თვალსაზრისს არ ეთანხმება მხოლოდ ზ. რატიანი).

2. მსახურია ყველა გლეხი, რომელიც ბატონის კარზე მსახურობს: მათ შორის მელენე, ხაბაზი, მეჭინბე, ფარეში და სხვ. (ნ. ასათიანი, გ. ჭამბურია, ედ. ხოშტარია, დ. მეგრელაძე).

3. მსახურია ის გლეხი, რომელიც საპატიო სამსახურს ასრულებს ბატონის კარზე (დ. გვრიტიშვილი, გ. აყოფაშვილი, ლ. მუსხელიშვილი). ამ თვალსაზრისს ავტორებიდან დ. გვრიტიშვილი და გ. აყოფაშვილი არ განმარტავენ თუ რას გულისხმობენ საპატიო სამსახურში (შესაძლებელია გ. აყოფაშვილი საპატიო სამსახურად თელის მხოლოდ ბატონის ხლებას), ლ. მუსხელიშვილი კი, როგორც ვნახეთ, ძალიან აფართოებს საპატიო სამსახურის შინაარსს და საბოლოოდ მიდის იმ დასკვნამდე, რომ ყოველნაირი სამსახური ბატონის კარზე საპატიოა, გარდა „მოინალობა“ (რომელშიც ის გულისხმობს ტვირთის ზიდვას და სხვა მსგავს საშუალებებს) და „სასახლის სამსახურისა“ (რომელსაც აიგივებს მიწის დამუშავებასთან).

4. აზატი ანუ თარხანი გლეხობა თავისი შინაარსით მსახურს ემთხვევა (ლ. მუსხელიშვილი, ნ. ასათიანი, გ. ჭამბურია, ედ. ხოშტარია).

5. აზატი მსახურისაგან განსხვავებული სოციალური კატეგორიაა (დ. გვრიტიშვილი, გ. აყოფაშვილი, ო. სოსელია).

2. მსახურის კლასობრივი კონცეფცია XVI—XVIII სს.

მსახურთან დაკავშირებულ საკვლევ საკითხებში უმთავრესია, როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, მისი სოციალური რაობა, კლასობრივი კონცეფცია (ე. ი. საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ კლასს ეკუთვნოდა მსახური: გაბატონებულს—ფეოდალთა, თუ ჩაგრულს—გლეხთა). აზრთა სხვადასხვაობას ამ მხრივ, როგორც ეს ისტორიოგრაფიის განხილვამ ნათელყო, ადრინდელი პერიოდის (და განსაკუთრებით ბექა-აღბულას სამართლის) მსახური იწვევს. გვიანშუასაუკუნეების მსახურს კი, მკვლევრები, თითქმის ერთსულოვნად აკუთვნე-

³⁸ გ. ჭამბურია, საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება XVII ს. 1 ნახევარში, სადოქტორო დისერტაცია (ბელნაწერი), 1975, გვ. 78.

ბენ გლენტა კლასს. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ამის საწინააღმდეგო თვალსაზრისი გამოთქვა ზ. რატიანმა და სცადა კიდევ მისი დასაბუთება. ამიტომ საკითხი განხილვას მოითხოვს ყველა პერიოდის მიმართ. ჩვენ ვიწყებთ გვიანდელი — III პერიოდით, რათა, რეტრო-სპექტული მეთოდით, უფრო ცნობილი ვითარებიდან გზა გავიკვლიოთ უფრო უცნობისაკენ.

დავიწყოთ XVIII ს-ის ქართული სამართლის ძეგლით, რომლის საფუძველზე ზ. რატიანმა მსახური მიაკუთვნა გაბატონებულ კლასს. ამ ძეგლის 31-32-33-ე მუხლები გვამცნობს:

„31. ცალმოგვის, მესამე აზნაურის სისხლი — ორმოცდარვა თურმანი. ამასთან, ასრე-მღდლის სისხლი.

ამასთან — დიდებულის ვაჟრის ქუემოთის, მეორეს ვაჟრის სისხლი.

32. ამასთან, ასრე, დაკლებით, მსახურის სისხლი — ოცდაოთხი თურმანი. ამასთან — მთავარ-დიაკვნის სისხლი. ამასთან — შუას ვაჟრის ქუემოთ, მესამეს ვაჟრის სისხლი.

33. გლენტის კაცის სისხლი — თორმეტი თურმანი. ამასთან — მეოთხეს ვაჟრის სისხლი.

ეს ასრე არის გარიგებული: გლენტის სისხლზე ერთიორად მსახურისა არის, მსახურზე ერთიორად — ცალმოგვი აზნაურისა, ცალმოგვზე ერთიორად — შუას აზნაურისა...“³⁹ და ა. შ.

ამგვარად, ამ მუხლებში, მსახური არ იწოდება გლენტად, ის რაღაც დამოუკიდებელი წოდება, ან კატეგორიაა და მისი სისხლი ორჯერ მეტია გლენტისაზე. ისმის კითხვა: ეს წოდება თუ კატეგორია რომელი კლასის შიგნითაა საგულევებელი — გაბატონებული თუ ექსპლუატირებული?

სამართლის მე-40 მუხლში ვკითხულობთ: „თუ ან უმცროსს თავადთ, ან აზნაურთ, ან მსახურთ შეეთქუას დიდებულის სისხლი, თავად ცილი არ შეეწამების, რომე დიდი კაცი არც იკადრებს და არც საქნელი არის, რომე შესწამონ. და თუ შესწამოს, ვით დაგვიწერია, ისრე უსამართლონ“ (იხ. 37-ე, 38-ე 39-ე მუხლები).

41-ე მუხლში კი წერია: „გლენტის სისხლის შეწამებაზე სამოცი მოფიცარი შევარდების...“

ამგვარად, მე-40 მუხლში მსახური უმცროს თავადთან და აზნაურთან ერთადაა წარმოდგენილი. ამათგან განსხვავებით გლენტი

³⁹ ქართული სამართლის ძეგლები, I, ი. დოლიძის გამოცემა, 1963, გვ. 489.

განცალკევებთ დგას, რაც თითქოს გვაფიქრებინებს მსახურის მეტ სიახლოვეს აზნაურთან, ვიდრე გლეხთან. მაგრამ ამ თვალსაზრისს ეწინააღმდეგება სამართლის მე-18-19 მუხლები:

„18. გლეხის კაცის სისხლში ძროხა იყო გაჩენილი, რომე ერთის გლეხის სიკუდილისათვის სამოცი ძროხა იყო გაჩენილი, მაგრამე ჩვენ თეთრად გავვიჩენია.

ქართლში მაგდენი თეთრი არ არის და ისრევე გლეხის კაცისა და მსახურის სისხლში ძროხა, ცხვარი, ცხენი, იარაღი და სახლის სავმარი რკინა, რვალი, — ყველა დაიჭირვის.

19. აზნაურიშვილს — მესამედი, თეთრი იყო თუ ოქრო და ვერცხლი, დაეჭირვის; და იმ ორს წილში ფარჩა, იარაღი, ცხენი, სპილენძი, ძროხა, ცხვარი და ტყუეც დაეჭირვის“.

სამართლის ამ მუხლიდან ჩანს, რომ მსახური გლეხთან უფრო ახლოს დგას: მათი სისხლი ნატურით უნდა გადაიხადონ, აზნაურისა კი — ნაწილობრივ ნატურით, ნაწილობრივ — ფულით. მსახურის რაობის ახსნისთვის მნიშვნელოვანია ვახტანგის სამართლის 204-ე მუხლი, სადაც გლეხის გაყრაზეა საუბარი:

„გლეხის გაყრა ასრე არის.

დარბაზი დერეფნით უფროსისა არის.

კალო-საბძელი — უმცროსისა.

ღვედი, სახნის-საკვეთი, გუთნის იარაღი — გუთნის დედისა.

ცხურის ქუაბი, ერკემალი. რაც არის, მეცხვარისა არის.

კმალი, თოფი, ცხენი და იარაღი მსახური-სა არის.

სხვა მამული ძმაზე გაიყონ და რჩომა — მწყემსზე“.

ამ მუხლის მიხედვით მსახური გლეხის ოჯახის წევრია და ამგვარად თავადაც გლეხია. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მსახურს ზოგჯერ გლეხის ოჯახიც იძლევა, მაგრამ ჩვეულებრივ, მსახური გლეხთა კლასიდან განსხვავებული წოდებაა⁴⁰. ამ მოსაზრებას აშკარად ეწინააღმდეგება სამართლის 25-ე, 75-ე, 163-ე მუხლები. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე, 25-ე მუხლის ბოლოში ვკითხულობთ:

„...გინა საღმთოგანთა ზედან. გინა თუ დიდებულთა და თავადსა ზედან, ანუ თუ აზნაურთა და გლეხთა ზედან, ანუ თუ მამა ძესა და ძე მამაზედა, გინა ძმა ძმაზედა და მოყუასი მოყუასზედა, — ესევეთარს საქმეს შეემთხვიოს...“.

⁴⁰ ზ. რატიანი, მსახურთა კლასობრივი ვინაობის გაცემისათვის, მაცნე, ისტორიის... სერია, № 3, 1974, გვ. 145.

აქ, როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილია დიდებული, თავადი, აზნაური და გლეხი და მათ შორის მსახური არ იხსენიება. არ იხსენიება მსახური არც 75-ე მუხლში:

„თუ აზნაურმა ანუ გლეხმა მისგან უფროსი კაცი მოკლას, ერთნახევარი სისხლი მისცეს“.

162-ე მუხლში წერია:

„კელმწიფის სახასოს აზნაურშვილისა და სახასოს გლეხისაგან კელმწიფის უდასტუროდ თავადი, ნურც თავადის ყმა, ნურას იყიდის“.

ამგვარად, რას გვაძლევს მსახურზე ვახტანგის სამართალი? მსახური მოხსენიებულია სამართლის რვა მუხლში. აქედან ხუთი (18, 32, 33, 49, 83) სისხლთანაა დაკავშირებული და მათში მსახური იხსენიება როგორც გლეხისაგან განსხვავებული სისხლის ფასის მქონე. ერთხელ (მე-12 მუხ.) მსახური იხსენიება გლეხისაგან განსხვავებულად, როცა ფიცთან გვაქვს საქმე (და ამდენად, ესეც, ფაქტიურად, მისი უფრო მაღალი სისხლის ფასიდან გამომდინარეობს). მხოლოდ ერთ, მე-40 მუხლში იხსენიება მსახური თავადებთან და აზნაურებთან ერთ სიბრტყეზე, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ამას აბათილებს მე-18 და მე-19 მუხლები, რომლებშიც გლეხი და მსახური ერთ სიბრტყეზე დგანან, ხოლო აზნაური მათგან განსხვავებულია. ერთხელაც გლეხის ოჯახის გაყრისადმი მიძღვნილ მუხლში (204-ე მუხ.) დანარჩენი მუხლები სამართლისა საერთოა გლეხისა და მსახურისთვის და მათში ზოგადად „კაცზეა“ საუბარი. ჩვენ მიერ ზემოთ ციტირებულ სამ მუხლში კი, როგორც ვნახეთ, ყველა წოდებება ჩამოთვლილი, მსახური კი არ იხსენიება. ამ მოვლენას შეიძლება მოვუწინებოთ ერთადერთი ახსნა: ტერმინი გლეხი ვახტანგის სამართალში იხმარება ორი მნიშვნელობით — ფართო მნიშვნელობით ის მოიცავს მთელ დაუმეცვებულ, მწარმოებელ მოსახლეობას. ვიწრო მნიშვნელობით კი ის უდრის ამავე კლასის უფრო დაბალ წოდებას.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ გლეხთა — ექსპლუატირებულ უშუალო მწარმოებელთა კლასი, ვახტანგის სამართლის მიხედვით, იყოფოდა ორ წოდებად: მსახურად და გლეხად.

ფრიალ საინტერესოა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა მსახურების შესახებ. ზ. რატიანი ამ ცნობის განხილვის შედეგად შემდეგ დასკვნამდე მიდის: „მამასადამე ვახუშტის მიხედვით, მსახურები არაან გლეხის ძენი და შემდგომში აღზევებულნი მეფეთაგან, ხოლო

ეს აღზევება, რაც მთავარია, იმაში გამოიხატება, რომ გლეხის ძე, უკვე მსახურად ქვეული, აღარ იყო მუშაკი, ე. ი. აღარ იყო მწარმოებელი“⁴¹. უფრო ქვემოთ, მსახურთა შესახებ ნ. უბრნელის თვალსაზრისის განხილვისას, ის აღნიშნავს, რომ ურბნელი, ვახუშტის მსგავსად, საკუთრივ მსახურებს არამწარმოებელ ფენად თვლის და ამდენად გაბატონებულ კლასს მიაკეთებებს⁴². სინამდვილეში, ჩვენი აზრით, ვახუშტის ცნობა ასე არ უნდა გავიგოთ. ვახუშტი აღნიშნავს:

„და შემდგომად პატივი მსახურთა მეფისათა, გლეხთა ძეთა და მერმე ჩინებულთა მათთა წესისა მიერ პატივი მსახურთა მათთა.

და შემდგომად ამათა — მუშაკთა გლეხთა. რამეთუ სინახლნიცა ეგრეთ სდიოდათ ჩინებისა მათისა მიერ: ზეიდამ ქუეით ნახევრად ანუ ქუეიდამ ზევით ერთორად“⁴³.

აქ რომ მსახური გლეხობაში არ იგულისხმებოდეს და გლეხი არ იყოს, მაშინ ვახუშტის არ დასკირდებოდა ხმარება ტერმინისა „მუშაკი გლეხი“. ცხადია, „მუშაკი“ აქ ეპიტეტად იხმარება და განსაზღვრავს გლეხთა გარკვეულ ტიპს, დაპირისპირებით მსახურ-გლეხთან. ტექსტის ასეთ გაგებას მხარს უჭერს კიდევ ერთი ადგილი ვახუშტის თხზულებიდან: „ხოლო შემდგომად განყოფილებისა და განხეთქილებისა საშეფოსათა ამისა... მთავარნიცა არლარა იწოდებოდნენ მთავრად, არამედ თავადად, და არლაცა იყვნენ როქით სპანი მეფისანი, არამედ სახასონი აზნაურნი და მსახურნი გლეხნი ხეობათაგან იყვნენ მცველნი მეფისანი“⁴⁴.

როგორც ვხედავთ, ვახუშტისათვის სრულიად აშკარად არსებობს ორი ტიპი გლეხისა: „მსახურნი გლეხნი“ და „მუშაკნი გლეხნი“. ამდენად, საფუძველს მოკლებულია იმის მტკიცება, რომ ვახუშტის ცნობით მსახურები არ იყვნენ მწარმოებლები და ეკუთვნოდნენ გაბატონებულ კლასს.

მსახური რომ ვახტანგის დროს გლეხთა შორის გაიზარება, კარგად ჩანს თუნდაც დასტურლამალის 33-ე კარიდან, სადაც ვკითხულობთ: „დიღმის გამოსალები საბატონო არის: სახასო გლეხნი კომლი 103; ამათ აძეს მალი თავზე ოცდაორი შაური... ღალა

⁴¹ ზ. რატიანი, საქართველოს სოციალური წყობა XIII—XIV სს. გვ. 95—96.

⁴² იქვე, გვ. 98.

⁴³ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა საშეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება IV, 1974, გვ. 18.

⁴⁴ იქვე გვ. 31.

სარწყავზე ხუთზე ერთი ბატონისა არის და ურწყავში შვილზე ერთი; კულუხი შეწერით არის, მაჟულზე ჰკილია.

საშობაო ცხვარი 18, სააღდგომო ცხვარი 18, ბატონის ზვრის მუშაობა ყოველისფრით, იმათ უნდა შეიმუშაონ... ბატონის აყრაზე ურმისა და ცხენის თხოვება; ბატონის წიგნით მდგმურისა და სტუმრის დაყენება; ბატონის მიბრძანებაზე შეძლებით სამსპინძლოს გამოღება; საბაზიერო ქათმი, ...სამეჭინიბო ბატკანი; საბალახე ცხვრისა და ღორისა, პირისთავი, შიშლიგი, ნახირისთავი; ქალაქში მუშაობა, მცხეთას ქუის ზიდვა, ყარაიას ჯერგა და ბარგის ზიდვა, საური 14 შაური; ბოგანოს 2 შაური. მსახური და თარხანი ვინც არის, მალის, დალისა და კულუხისა მეთისითარხნე არა აქუს, სხვას ყუელას აქნევენებენ მეზობლები⁴⁵.

როგორც ვხედავთ, დიღომს ყოფილა „სახასო გლეხი კომლი ას სამი“. ამათ ყველას მართებს მალი, ღალა, კულუხი, საშობაო, სააღდგომო, ბატონის ზვრის მუშაობა, მცხეთას ქვეს ზიდვა, ბარგის ზიდვა და სხვ. ამ 103 კომლ გლეხში შედიან მსახურები და თარხნებიც, რომლებიც გათავისუფლებული ყოფილან ღალის, მალისა და კულუხისაგან, დანარჩენი გამოსაღები კი მეზობლების მსგავსად უნდა გადაეხადათ. ამრიგად, ამ 103 კომლ გლეხში შემავალ მსახურებს დაკარგებული ჰქონიათ მთელი რიგი ნატურალური გამოსაღებებისა: საშობაო, სააღდგომო (ძღვენის რიგის გამოსაღებები), სამსპინძლო; საბაზიერო, სამეჭინიბო (სამოხელეოს რიგის გამოსაღებები) და სხვ.

ამავე თვალსაზრისით საინტერესოა 1721 წ. საწირავის გარიგების სიგელი იმამ ყული ხანისა ხარქაშოსადმი, სადაც ვკითხულობთ: „...თქვენს სამწყსოში გარიგებული ასრე ყოფილიყო ჩვენთა მამა-პაპათაგან, რომე: მსახურს კაცს ცხენი სდებოდა საწირავი; და მოყალნეს კაცს, და ვინც ცოლიანი კაც[ი] მოკულებოდა თიანეთში, თუ სადაც, თქუენი სამწყსო, ჯარს სიწირავად მოერთმევინა... და როგორც კულავ ემსახუროსთ, ისევე მსახურონ და საწირავი მიართონ მსახურმაც [და] მოყალნეთაც“⁴⁶. ამგვარად, ამ საბუთის მიხედვითაც მსახური გლეხია, თუმცა ცალკე კატეგორიას (თუ წოდებას) ქმნის მოყალნე გლეხთან დაპირისპირებით. ფრიად საინტერესო ტერმინთან გვაქვს საქმე „ღმერთების გუჯარში“, რომელიც ამავე პერიოდს განეკუთვნება (1722 წ.):

⁴⁵ ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის გამოცემა, გვ. 303—304.

⁴⁶ ქართ. სამ. ძეგლ., II, გვ. 335—336.

„ამა სამწყსოთა შინა მესამეთა წელთა მარტყოფთა და ნასომხართა დრამი ერგებიან; კომლთა უმსახუროთა ზედა — ლიტრანი პურნი ათორმეტი; მსახურთა ზედა მომცვდართა — ცხენი აკაზმული და მასპინძლობა შინა-შეწოდებით რუსთველთა და კრებულთა.

ხოლო ჭოპორტელთა, ვანკოდთა, ლელუბანთა დრამა არ აიღებიან, არამედ მკვდართა გლეხთა ზედა ჯარისაწირავად უნდა რუსთველთა მოართვან და სხვა არა-რა: მსახურთა — აკაზმული ცხენი და შინ-შეწოდება რუსთველთა კრებულთ და, რაოდენიცა ძალუც, სანოვაგისა წარგება“⁴⁷.

როგორც ვხედავთ, პირველ შემთხვევაში შეპირისპირებულნი არიან მსახურები და „კომლნი უმსახურონი“, მეორე შემთხვევაში კი მსახურები და გლეხები. აქედან აშკარაა, რომ „კომლნი უმსახურონი“ და გლეხნი ერთმანეთის სინონიმებია და ორივე კი უღრის იმამყული ხანის, ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ, საბუთში ნახმარ ტერმინს „მოყალნეს“. ამრიგად, გლეხები განიყოფებოდნენ მსახურებად და მოყალნეებად, მსახურებად და „უმსახუროებად“, ანუ მსახურებად და გლეხებად.

ასეთივე ვითარებასთან გვაქვს საქმე XVIII ს ბევრად უფრო ადრეც, რასაც მოწმობს XVI ს მიწურულში ალექსანდრე კახთა მეფის მიერ გაცემული საბუთები. მაგ., ქიაურის ულუფის წიგნში ნკითხულობთ:

„ქიაურთ მოურავის გომფარისაგან ერთ[ობილნი] ქიაურელნი ბევრსა რასმე ძალსა და უსამართლოსა ჩიოდეს, — უფრო ულუფის საქმეზედან და ჩუენ... ასრე გაუჩინეთ, რომე:

ასმა კუამლმან შემძლემ მოურავს ერჩიოს, შინ ჩაიყენოს, და ერჩიოს, მთელი ულუფა მისცეს; ამას ქუედამა ასმა კუამლმან კაცმან ექუს-ექუსი შაური მისცეს და ასმან კაცმან კიდევ სამ-სამი შაური მისცეს...

აგრეთვე სამოურაო აიღებოდეს: მეულუფემ მთელისა ულუფისა და ექუსშაურიანისა ერთი შაური აილოს და სამშაურიანსა ნურას სთხოვს...

და ქათამი, ასის დიდის ულუფის გამამალეები კაცი რომელიც არის, კუამლად, როდესცა ულუფა აილოს, ოროლი ქათამი მისცეს; და მსახურს არცა ამას წინათ გამორთმია ქათამი და ნურცა აწცა სთხოვს“⁴⁸.

⁴⁷ ქართ. სამ. ძეგლი., II, გვ. 364.

⁴⁸ იქვე, გვ. 207.

მოყვანილი ადგილიდან ჩანს, რომ აქ გლეხები, ულუფის გამო-
ლებას თვალსაზრისით, თავიანთი ქონებრივი შეძლების მიხედვით
დაყოფილი არიან სამ კატეგორიად: „მე უ ლ უ ფ ე მ თ ე ლ ი ს ა
უ ლ უ ფ ის ა“, „ე ქ ე ს შ ა უ რ ი ა ნ ი“ და „ს ა მ შ ა უ რ ი ა ნ ი“.
აქედან „მთელს ულუფის“ ანუ „დიდის ულუფის“ გამომღებ გლე-
ხებს ორი ქათამიც ევალებათ. მს ა ხ უ რ ე ბ ი ა მ „დი დ ის
უ ლ უ ფ ის“ გა მ ო მ ლ ე ბ გ ლ ე ხ ე ბ შ ი შ ე დ ი ა ნ, ო ლ ო ნ დ
დანარჩენებიდან განსხვავებით ქათამს არ იხდიან.

აღექსანდრე მეფის დავით ჯორჯაძისადმი 1577 წ. გაცემულ სი-
გელში მსახურები მოყალნებთან არიან დაპირისპირებული და ამა-
ვე დროს მათთან ერთად მონასტრის ყმებს შეადგენენ:

„ვიგულისმოდგინეთ და ერთობილთა თქუენთა ყმათა
მკუიდრთა და ახლად-მსახლობელთა, მსახურთა
და მოყალნეთა ყოველთავე მალი ამოუყუეთეთ“⁴⁹.

აღექსანდრე მეფის სვეტიცხოველისადმი 1579 წ. მიცემულ
წიგნში კი ვკითხულობთ:

„შევსწირეთ და მოვახსენეთ უდაბნონი, მონასტერნი, ეკლესი-
ანი, სოფელნი და აგარაკნი, აზნაური და გლეხნი“⁵⁰.

ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, გლეხი მოიცავს მსახურსაც
და მოყალნესაც. ანალოგიური ვითარებაა სვიმონ I 1590 წ. გაცე-
მულ ბრძანების წიგნში:

„[ჩუენ], ჰეფეთ-მეფემან სუიმეონ უზედაესთა მოვახსენებთ
და უქუედაესთა გიბრძანებთ: ერთობილნო დილომსა ზედათნო,
ბტკუარ-გამოლმართნო, ვიდრე ქევამდგ ებისკოპოზნო, თა ვადნო,
აზნაურნო და გლეხნო“⁵¹.

ამ საბუთებში ყველა წოდებაა ჩამოთვლილი და, რა თქმა
უნდა, მსახური გლეხთა შორის იგულისხმება.

ასეთივე ვითარებაა XVI—XVIII სს. დასავლეთ საქართველო-
შიც. ს. კაკაბაძე, როგორც საკითხის ისტორიოგრაფიის განხილვი-
სას აღვნიშნეთ, დასახელებული პერიოდისათვის მსახურს დას.
საქართველოში გლეხთა ერთ-ერთ კატეგორიად თვლიდა, თუმცა ეს
თვალსაზრისი მას არ შეუმავრებია საბუთიანობით⁵².

⁴⁹ ქართ. სამ. ძეგლ., II, გვ. 196.

⁵⁰ იქვე, გვ. 197.

⁵¹ იქვე, გვ. 204.

⁵² ს. კაკაბაძე, მასალები დას. საქართველოს სოციალური და ეკონომიური
ისტორიისათვის, საისტორიო კრებული, I, 1928, გვ. 1—8 და სხვ..

ს. კაკაბაძის შემდეგ დას. საქართველოს გლეხობას მიუძღვნა ნაშრომი ლ. მუსხელიშვილმა, რომელიც მსახურს აგრეთვე გლეხად თვლის. XVI—XVII სს. დასავლურ ქართულ საბუთებზე დაკვირვებამ მკვლევარს დაანახვა, რომ ზოგ საბუთში მოწმეთა ჩამოთვლილას, ან სხვა შემთხვევაში, დასახელებული არიან „აზნაურნი, მსახურნი და გლეხნი“. ზოგ საბუთში კი მართო „აზნაურნი და გლეხნი“. ამის შედეგად ის აკეთებს შემდეგ დასკვნას: „სადა მსახურთა ხსენება არაა, ისინი გლეხთა შორის იგულისხმებიან... მაშასადამე, ტერმინს „გლეხი“ კიდევ ორგვარი მნიშვნელობა ჰქონია: ფართო მნიშვნელობით ის აღნიშნავს, აზნაურებს გარდა, მთელს მიწათმოქმედს მოსახლეობას, როგორც მაღალი, ისე დაბალი ფენისას, ზოლო უფრო ვაწროდ, ისე, როგორც ის ნახმარია „მცნება სასჯულოში“, ეს ტერმინი აღნიშნავს ნაბოლო დაბალი ფენის მიწის მუშას“⁵³.

აქვე გვჩნდა დავიძოვრით რამდენიმე განჩინება, რომლებიც, ჩვენი აზრით, აგრეთვე მხარს უჭერენ და ამტკიცებენ მუსხელიშვილისეულ დასკვნას. ალექსანდრე V განჩინებაში სვიმონ და ბუჟუა ლორთქიფანიძეების საქმეზე ვკითხულობთ:

„აწ ასე გვაჩინეთ: წამოაყენოს თორმეტი აზნაური შვილი, თორმეტი გლეხი კაცი, ასე შიაფიცოს...“⁵⁴.

ალექსანდრე V განჩინებაში ბაანა ჩხეიძისა და კიკოსშვილის საქმეზე კი წერია:

„წამოდგეს ბაქანა თორმეტის კაცით — ეჭუსის აზნაურით და ეჭუსის მსახურით. და ასრე დაუფიცოს...“⁵⁵.

ამ ორი განჩინების შედარებით კარგად ჩანს, რომ პირველ შემთხვევაში ტერმინი „გლეხი“ ფართო მნიშვნელობითაა ნახმარი და მსახურსაც გულისხმობს. ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე ამავე პერიოდის განჩინება ლორთქიფანიძეებისა და იოსელიანების დავის თაობაზე:

„თუ ადგილი დიდი და მრავალი იყოს, სამართლის წიგნის სიტყვით იქმნება, რომ თავადიშვილს და მისი ყმის საფიცარი იქმნება. კიდევ—სულ აზნაუშვილი საფიცარი იქმნეს და კვალად იქმნება, რომ გლეხსაც კაცის საფიცარი იქმნეს. ეს ადგილის დამხედველმან კაცმან იცნოს, რომელსაც საფიცარი იყოს მან განუწესოს.“

⁵³ ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 271.

⁵⁴ ქართ. სამართლის ძეგლები, IV, ი. დოლიძის გამოცემა, 1972, გვ. 412.

⁵⁵ იქვე, გვ. 410.

თავადის საფიციარი იქმნეს, თუ აზნაუშვილის, თუ გლეხი კაცი“⁵⁶.

ამ განჩინებების ურთიერთშეჯერებიდან სრულიად აშკარაა, რომ მსახური XVIII ს. შუა ხანების დას. საქართველოში გლეხებს შორის იგულისხმება. ახლა ვნახოთ რა ვითარებაა ამ მხრივ დას. საქართველოში XVI ს. მსახური დასახელებულია XVI ს მიწურულის ნაუჩუქის საკათალიკოსო გამოსავალი ბეგრის ნუსხაში:

„სახლობს ოთხი კვამლი მსახური ძაძუა. მართებს ლაშქრობა, მწედ კარგი პურის კმევნა თვითომან, შეექუსეს წელიწადსა ოთხთ. განაყოფთა ორი ზროხა, თივა, ღომი და ფეტვი ცხენისათვის.

‘ არის კონჯარია ოთხი კვამლი მსახური. მართებს ამათ ლაშქრობა და კარგი პურის კმევნა“⁵⁷.

საბუთის ამ ცნობიდან არ ჩანს, მსახურთა ეს კომლები გლეხებში შედიან თუ არა. მაგრამ მსახური, რომ ამ დროისთვის გლეხობიდან განსხვავებული წოდება ყოფილიყო, ის აუცილებლად მოხსენიებული იქნებოდა გლეხისგან ცალკე ამავე პერიოდის სხვა საბუთებში. მაგრამ ეს ასე არ არის: XVI ს. შუა ხანების განჩინების წიგნში ელია მკავეარიანისა და კონსტანტილეს სასისხლო საქმეზე აღნიშნულია:

„მისი ასრე გავჩინეთ: წამოაყენოს კონსტანტილე ერთი აზნაური შვილი და სულხანაი და ორი გლეხი. და აზნაური შვილმა და ერთმან გლეხმან ხელშეხრით, და სულხანამან და ერთმან გლეხმან ნაბნითა ასრე დაიფიცოს...“⁵⁸

ამრიგად, საბუთში მოფიცებად გვევლინებიან აზნაური და გლეხი, მსახურის ხსენება კი არ არის (ამ დროს, როცა ზემოთ განხილული ნაუჩუქის ნუსხიდან აშკარაა მსახურის როგორც სოციალური კატეგორიის არსებობა). ამ მოვლენას ერთადერთი ახანა შეიძლება მოეძებნოს: მსახური გლეხთა შორის იგულისხმება.

ამავე თვალსაზრისს ადასტურებს იმერეთის მეფის გიორგის 1569 წ. შეწირულობის წიგნი გელათისადმი:

„აწე ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან, ანუ მეფემან, ანუ დედოფალმან, ანუ თავადმან, ანუ დიდებულმან, ანუ აზ-

⁵⁶ სცა, ფონდი 1448, სპ. 2050.

⁵⁷ ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის გამოცემა, 1970, გვ. 385.

⁵⁸ ქართ. სამ. ძეგლ., IV, გვ. 46.

ნ ა უ რ მ ა ნ, ანუ გ ლ ე ხ მ ა ნ კელყოს წიგნისა ამის მოშლად...⁵⁹
აგრეთვე ვახუშტი აბაშიძის შეწირულობის წიგნი გელათისადმი
(1550—70 წწ.):

„აწე ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან, ანუ ღიდმან, ანუ
მცირემან, ანუ ჩუენმან შვილმან და ძმამან, და ნათესავმან
და გუარის კაცმან, ანუ კათალიკოზმან, ანუ ქუთათელმან,
ანუ სხვამან ებისკოპოზმან, ანუ წინამძღვარმან, და ხუცეს-
მან, ანუ სახლისუხუცესმან და ბოჭაულთუხუცესმან, ანუ თ ა ვ ა დ-
მ ა ნ, ანუ ა ზ ნ ა უ რ მ ა ნ, ანუ გ ლ ე ხ მ ა ნ, ესე ჩემი... შეწირული
მომიშალოს...“⁶⁰

როგორც ვხედავთ, ორივე ამ საბუთში სრულადაა ჩამოთვლი-
ლი ყველა წოდებები, ხოლო მსახური მოხსენებული არაა. მისი მო-
უხსენებლობა კი შეუძლებელი იქნებოდა, ის რომ „გლახის“ ქვეშ
არ იგულისხმებოდეს და გაბატონებულ კლასში შედიოდეს ან აზ-
ნაურობასა და გლახობას შორის გარდამავალ ფენას ქმნიდეს. ყვე-
ლა ამ შემთხვევაში მსახური ხომ გლახობაზე მალა იდგებოდა და,
ამგვარად, წოდებების ასეთი სრული ჩამოთვლით დროს საბუთში
თავისი ადგილი უნდა დაეჭირა. არ იცნობს მსახურს, როგორც
გარდამავალ ფენას გლახობასა და აზნაურობას შორის არც „ბიჭ-
ვინთის იადგარი“, (1525—1550 წწ.).

„ესე რაცა გვბრძანებია როგორაცა, არავინ ღირს ვართ ამათ-
სა შეცვალებასა: არცა მეფენი, არცა დადიან-გურიელი, არცა ათა-
ბაგ-ამირსპასალარი, არცა ერისთავნი და დიდებულნი, არცა
თ ა ვ ა დ ნ ი და ა ზ ნ ა უ რ ნ ი და არცა გ ლ ე ხ ნ ი“⁶¹.

ამავე დროს ძეგლისათვის უცხო არ არის მსახური, როგორც
საგლეხო წოდება: „სხუანი რანიცა აგარანი და სოფელნი, მეტოქი
მონასტერი და ქალაქი სწერია, იმათ შინა მსახლობელნი გ ლ ე ხ ნ ი,
მ ს ა ხ უ რ ნ ი და მ ო ი ნ ა ლ ე ვინცა მოკლას, ექუსასი ათასი თეთ-
რი საყდარსა დაეურვოს“⁶².

საყურადღებოა ამ მხრივ 1523 წ. ერთი საბუთი — დავით X-ის
განჩინება ბარათაშვილების გაყრის საქმეზე. ამ საბუთის მიხედვით,
იყრება ქართლის ერთ-ერთი უმსხვილესი სათავადო სახლი, მიმდი-
ნარეობს ყველაფრის გაყოფა, იყოფა აზნაურები:

⁵⁹ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, 1921,
გვ. 19.

⁶⁰ იქვე, გვ. 26.

⁶¹ ქართ. სამ. ძეგლ., II, გვ. 178.

⁶² იქვე, გვ. 181.

„აწ მიხუდა გერმანოხს და მისთა ძმათა აზნაურთა შვილები...“⁶³ იყოფა მიწები, ზვრები და ხოდაბუნები, სასახლეები, სოფლები და გლეხები: „რაცა მათსა მამულშიცა დამალული, ნასოფლარი, გლეხები და მიწები გამოხნდეს, ისრევე სწორად ძმურად გაიყონ“⁶⁴. და არსად მთელ საბუთში ჩსენება არ არის მსახური ისა, რაც სურლიად გაუგებარი იქნებოდა მსახურს რომ ტერმინი „გლეხი“ არ ფარავდეს.

3. მსახურის კლასობრივი კომპონენტის საკითხი

XIII—XV სს.

XV ს. საბუთები ერთობ მწირ ცნობებს იძლევიან მსახურთა შესახებ. მაგრამ მაინც მათ მიხედვითაც შეიძლება გარკვეული დასკვნების გაკეთება. უპირველეს ყოვლისა განვიხილოთ „მცნებაჲ სასჯულოჲს“ (1470-74 წწ.) მონაცემები. ამ ძეგლში რამდენიმე ადგილას ჩამოთვლილია სოციალური წოდებები და მათ შორის მსახურიც, გლეხისაგან განცალკავებით:

„ანუ მეფეთა, ანუ მთავართა, ანუ აზნაურთა, ანუ აზნაურის შვილთა. ანუ მსახურთა, ანუ გლეხთა...“⁶⁵

ან კიდევ: „გინა მეფეთა, გინა თავადთა, გინა დიდებულთა, გინა აზნაურთა, გინა ებისკოპოზთა, გინა ქორებისკოპოზთა, გინა მოძღვართა, გინა მღვდელთა, გინა დიაკონთა, გინა მსახურთა, გინა გლეხთა...“⁶⁶.

ამის მეტს მსახურზე ეს საბუთი არას გვამცნობს და, ცხადია, ამის საფუძველზე მსახურის რაობის გარკვევა არ შეიძლება. მსახურის შესახებ ბევრად მრავლის მოქმედია „სამთავისის სამწყსოს საკანონოს წიგნი“ (1459 წ.):

„ვიცნა ვინ ამის სამწყსოშია აზნაურიშვილი იყვნენ, მართებული საწირავი მიართვან — ცხენი, იარაღი, წასახურავი და ნიშანი. და უკუეთუ მსახური იყოს, ამგვარად მართებულმა მსახურმა ცხენი და იარაღი და დაბაღმა ერთი კარი მიართვას.“

რომელიც ხუცესი იყოს და ამისი სამწყსო აჭიროს და მოკუდეს, თუ შეეძლოს, მართებულის მსახურის საწირავი მიართვას, უკუთუ არა, ერთი კარი“⁶⁷. „სამთავისის სამწყსოს საკანონოს

⁶³ ქართ. სამ. ძეგლ., IV, გვ. 10.

⁶⁴ იქვე, გვ. 13—14.

⁶⁵ ქართ. სამ. ძეგლ. III, გვ. 224.

⁶⁶ იქვე, გვ. 231.

⁶⁷ იქვე, გვ. 207.

წიგნს“ განიხილავს მ. ბერძინიშვილი და მის საფუძველზე შემდეგ დასკვნას აკეთებს: „სამთავნელის სამწყსოში იგულისხმება მსახურთა ორი კატეგორია — მართებული და დაბალი... დაბალი მსახური კი, რაკი მისი საწირავი ხარია, ძირითადად მიწის მოქმედი უნდა იყოს (ამგვარად მართებულ მსახურს მკვლევარი მიწის მოქმედად არ თვლის — მ. ს.), ...ამ მხრივ დაბალი მსახურის საქმიანობა გლეხის საქმიანობას ემსგავსება; მართებული მსახურისა კიდეც — აზნაურის... საბოლოოდ განვითარება ისე მიდის, რომ აზნაურულად მომსახურე მსახურები აზნაურთა ფენაში გადადიან, დანარჩენნი კი გლეხთა მასაში“⁶⁶.

ჩვენი აზრით, აღნიშნული ძეგლი არ იძლევა ასეთი მტკიცების საფუძველს. ის, რომ „სამთავნის სამწყსოში“ მსახურს საწირავი ცალკეა გამოყოფილი, იმის უფლებას არ გვაძლევს. რომ სამთავნის სამწყსოს მსახური გლეხობიდან განსხვავებულად განვიხილოთ. ასეთივეა მსახურის საწირავი 1669 წ. „წილკნის ღმრთისმშობლის სამწყსოს სიგელში“:

„ღვდელს — ერთ ღლეს ჩაყენება, ხარი და მარჩილი. სოფლის კაცს: ერთს ღლეს მასპინძლობა.

ღრამა — კოდი ერთი კომლზედ; მსახური თუ ვინმე მოკედეს — საწირავი, ცხენი, იარაღი, აგრევე მსახურის ცოლს — ერთი საწირავი“⁶⁷.

როგორც ვხედავთ, წილკნის მსახურს სხვა სოფლის კაცისაგან განსხვავებულ საწირავი აქვს და თანაც ზუსტად ისეთი, როგორც სამთავნის სამწყსოს მსახურს. ამ დროს „წილკნის სამწყსოს სიგელი“ XVII ს. II ნახევრისაა და ჩვენ კი ზემოთ ვნახეთ. რომ XVII ს. II ნახევარში კი არა, მსახური გლეხობაში შედიოდა XVI ს-შიც. ჩვენი აზრით, თვით სამთავნის სამწყსოს წიგნითაც აშკარაა, რომ მსახური გლეხთა კლასს ეკუთვნის. საბუთი შემდეგი სიტყვებით თავდება:

„ესე ძუელითგან დამტკიცებული არის.

და აწ ჩუენი ბძანებაი ასე უნდა გათავდეს:

სოფლებსა ამას ვინცა აზნაურმან ანუ გლეხმან კაცი მოკლას, მესამედი სისხლი ღმრთაებას უნდა მიართვას, მიცვალებულს მოსახსენიებლად.

⁶⁶ მ. ბერძინიშვილი, საქართველო XI—XII სს., გვ. 101—102.

⁶⁷ ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 545.

და ამას გარდა რაოდენიცა სოფლები სწერია ქსანზედა, ამათ სოფელთა შინა ვინცა აზნაურ მან, ანუ გლეხ მან კაცი მოკლას, მესამედი სისხლი ღმრთაებას მიართვას“⁷⁰.

ამგვარად, სამთავისის სამწყსოს მთელი მოსახლეობა იყოფა ორად: აზნაურად და გლეხად, რაც შეეხება მსახურს, ის გლეხთა კლასის ცალკე წოდებაა მხოლოდ და დასახელებულია ცალკე იმდენად, რამდენადაც მისი საწირავი, როგორც მაღალი წოდების გლეხისა, განსხვავებულია ამავე კლასის უფრო დაბალი წოდების საწირავისაგან. ამავე თვალსაზრისს ამტკიცებს ალექსანდრე მეფის 1429 წ. ავთანდილ ზევდგინიძისადმი გაცემული წყალობის წიგნი, სადაც ვკითხულობთ:

„გუიბოძებია და მოგვიცემია... კასპი და იგოეთი... ქალისა ნასისხლად, ციხითა, მონასტრითა, აზნაურითა, გლეხებითა, ვენაქითა, წყლითა, წისქვილითა, ქალითა, სათიბითა“⁷¹.

ამ საბუთით ალექსანდრე ზევდგინიძეს უბოძებს მთელ ქვეყანას: ციხით, მონასტრით და სხვ. და მასზე მსახლობელი აზნაურითა და გლეხებით. არავითარი სხვა წოდება, თუ გარდამავალი ფენა აქ არა ჩანს.

რა ვითარებაა ამ მხრივ XIV ს-ში?

როგორც ცნობილია, ბექას კანონთა კრებული შედგენილია დაახლოებით 1295—1304 წწ-ში. ალბულასი კი — 1381—1386 წწ-ში⁷². ცხადია, XIV ს. ბოლოს შედგენილი კანონთა კრებული არ შეიძლება XV ს. დამდეგიდან განსხვავებით სრულიად სხვა სურათს იძლეოდეს ფეოდალური საზოგადოების სოციალური ჯგუფების შესახებ. ამასთან, სწორედ ამ სამართალზე და განსაკუთრებით ალბულას მუხლებზე დაყრდნობით მიდის ზ. რატიანი დასკვნამდე, რომ მსახური გაბატონებულ კლასს ეკუთვნოდა. ვნახოთ რამდენად საფუძვლანია ეს დასკვნა და იძლევა თუ არა ბექა-ალბულას სამართალი ამის მტკიცების საშუალებას. სამართალში მსახურზე საუბარია ოთხ მუხლში: 7, 9, 10, 78.

მე-7 მუხლში ვკითხულობთ: „თუ მსახური მოკლას, რომელი მისსა პატრონსა აზნაურის შვილად ჰყვეს, თორმეტი ათასი თეთრი დაუთრვოს. და თუ მსახურად ჰყვეს, ათასი დაუ-

⁷⁰ ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 209.

⁷¹ ქართ. სამ. ძეგლ., II, გვ. 119.

⁷² ქართ. სამ. ძეგლ., I, გვ. 619.

ურვოს“⁷³. ამ მუხლს სამართალში მოსდევს მე-8 მუხლი, რომელიც არაერთარ კავშირში არ არის არც მე-7 და არც მის შემდგომ ჩამოწერილ მე-9 და მე-10 მუხლებთან, იმ დროს როცა, მე-7, მე-9 და მე-10 ერთმანეთთან ორგანულად არიან დაკავშირებული და ერთმანეთის გაგრძელებებს წარმოადგენენ. ამგვარად აშკარაა, რომ მე-8 მუხლი თავის ადგილზე არ ზის და შემდგომი აღრევის შედეგად უნდა იყოს აქ მოხვედრილი. როგორც ჩანს, თავდაპირველად მე-7 მუხლს უშუალოდ მოსდევდა დღევანდელი მე-9 მუხლი.

როგორც ზემოთ ვნახეთ, მე-7 მუხლში ო რ ნ ა ი რ მ ს ა ხ უ რ ზ ე ა ს ა უ ბ ა რ ი: ერთი, რომელიც მისსა პატრონს აზნაურის შვილად ჰყვეს, ანუ რომლის სისხლს ფასი 12000 თეთრია, და მსახური, რომლის სისხლი ათასი თეთრია. მე-9 მუხლის მიხედვით კი გამოდის, რომ „ქოთლოსან, აბჯროსან, კარვოსნები“, ანუ ისინი, ვისაც „აზნაურული სჭირს“, ორი კატეგორიის არიან: 12000 თეთრი სისხლით, რომლებსაც „პატრონთან ხელი აქვანდეს, ანუ ჰქონებოდეს“ და 6000 თეთრის სისხლით, რომლებსაც „პატრონთან საჩინო ხელი არ აქვანდეს“. აქ სამართლის მუხლები ერთმანეთს ეწინააღმდეგება: თუ მსახური მართო ორი კატეგორიისაა (მე-7 მუხლი), მაშინ ვინ არიან ეს „ქოთლოსან-კარვოსნები“, რომელთა სისხლის ფასი 6000 თეთრია (მე-9 მუხლის მეორე ნაწილი)? თუ ამ შემთხვევაშიც მსახური იგულისხმება, მაშინ რატომ არ არის მე-7 მუხლში ორი სხვა კატეგორიის მსახურის გვერდით (12000 სისხლის ფასით და 1000 სისხლის ფასით) დასახელებული 6000 თეთრის სისხლის მქონე მსახური? ჩვენამდე მოღწეული ბეჟა-აღბულას სამართლის ნუსხის ვახტანგისეული რედაქციით გამოდის, რომ „ქოთლოსან, აბჯროსან, კარვოსნები“ კიდევ რაღაც, მსახურისაგან განსხვავებული ფენაა. როგორ უნდა ავხსნათ ეს გარემოება?

ჯერ განვიხილოთ, თუ რას ნიშნავდა „აზნაურისშვილად ყოლა“ და რაში პოულობდა ის გამოხატულებას. თუ მე-9 მუხლს ჩავეუკვირდებით, ვნახავთ რომ ქოთლოსნობა, აბჯროსნობა და ბატონის კარზე ხელის ქონა-არქონა არ არის მაინცდამაინც მართო აზნაურისათვის დამახასიათებელი (ეს ნიშნები, როგორც ჩანს, მსახურსაც ახასიათებს). აზნაურისათვის არსებითი ნიშანია კარვოსნობა. „კარვოსნობა ესე ყოველთა წესია აზნაურული სჭირს“ — ამბობს სამართალი. რა აძლევს საშუალებას მსახურს რომ ის კარვოსანი გახდეს, რომ მას ეს „აზნაურული სჭირდეს“? თვით სამართლის მიხედვით,

⁷³ ქართ. სამ. ძეგლ., I, გვ. 428.

მსახურს აზნაურად ხდის ის გარემოება, რომ ის ბატონს „აზნაურად ჰყავს“, ანუ რაღაც ისეთი წესით ჰყავს, რომ მას ჩვეულებრივი მსახურისაგან განსხვავებით აზნაურული წინააღმდეგობა — „კარვოსნობა“ უჩნდება. რა იგულისხმება კონკრეტულად „აზნაურად ყოლაში“?

სამართლის 31-ე მუხლში ვკითხულობთ: „ბიჭი დედისა არის, დაბადება ვერავის დაუმკვიდრებს...“

თუ დიდებულის შექმნილი იყოს და მასვე ყმა და ყვეს აზნაურული საწესი და სამამულესა რასმე ქონებითა, მისი სისხლი თორმეტი ათასი თეთრი იყოს“. სამართლის XVII ს. ნუსხაში ეს ადგილი შემდეგი რედაქციითაა: „თუ დიდებულისა შექმნილი იყოს და მასვე ყმა და ყვეს აზნაურისა წესითა სამამულისა ქონებითა, მისი სისხლი თორმეტი ათასი თეთრია“⁷⁴.

ამგვარად, „აზნაურულის წესით ყოლა“ „სამამულისა ქონებით ყოლა“ სინონიმად გვევლინება. აქედან გამომდინარე მამულის ქონება „კარვოსნობის“ საფუძველია. მას შემდეგ, რაც ბატონი მსახურს აზნაურად იყოლიებს, ანუ მამულს უბოძებს, ის მას აზნაურულს წესით — კარვოსნობით ემსახურება.

დავუბრუნდეთ ისევ იმ წინააღმდეგობას, რომელიც არსებობს მე-7 და მე-9 მუხლებს შორის.

როგორც ვნახეთ, აზნაურად ყოლაზე საუბარია სამართლის ორ სულ სხვადასხვა ადგილას: მსახურთან დაკავშირებით და ბიჭთან დაკავშირებით (მე-7 და 31-ე მუხლებში). აქედან ორივე შემთხვევაში აზნაურად მყოფის სისხლის ფასია 12000 თეთრი. მხოლოდ მე-9 მუხლში ვხვდებით „აზნაურად მყოფის“ სისხლის ორნაირ ვარიანტს: 12000 თეთრი და 6000 თეთრი. ამგვარად იბადება აზრი, რომ ეს დიფერენცია გააზნაურებულ მსახურებს შორის (ბატონის კარზე ხელის ქონის და არქონის მიხედვით) უფრო გვიანი პოვლენა და მას სამართლის თავდაპირველ რედაქციაში არ უნდა ჰქონოდა ადგილი. ამ მოსაზრებას, მართლაც, ამტკიცებს სამართლის XVII ს.- ანუ ვახტანგისეულ ნუსხაზე უფრო ადრინდელი ნუსხა. აქ მე-9 მუხლს სწორედ ის ნაწილი აკლია, სადაც საუბარია ხელის არმქონე, აზნაურად მომსახურე პირებზე, რომელთა სისხლის ფასი 6000 თეთრია.

ამგვარად, სამართლის როგორც XVII ს. ნუსხა, ისევე თვით ვახტანგისეული ნუსხის შინაგანი წინააღმდეგობა, მოწმობს იმას, რომ

⁷⁴ ქ. კოთ. სმ. ძეგლ. 1, გვ. 436.

თავდაპირველად ვარაუდით მე-9 მუხლისა აზნაურის შვილად მყოფის სისხლის ფასად აწესებდა მხოლოდ 12000 თეთრს. დიფერენციაცა ხელის მქონე და არამქონე პირების სისხლებს შორის სამართლის ამ მუხლში გვიანდელი ჩანართი ჩანს (შესაძლებელია ეს შედეგი იყოს იმისა, რომ გაზარდა ხელის ქონის მნიშვნელობა).

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მე-8 მუხლი სამართალში უდაგილოდაა ჩართული მე-7 და მე-9 მუხლებს შორის. თუ ამოვიღებთ ამ მუხლს და მე-9 მუხლის მეორე ნაწილს, როგორც გვიან ჩართულს, მაშინ მე-7 და მე-9 მუხლები ორგანულად შეერწყმიან ერთმანეთს და მე-9 მუხლი განმარტავს მე-7-ს: „თუ მსახური მოკლას, რომელიც მისსა პატრონსა აზნაურის შვილად ჰყვეს, 12 ათასი თეთრი დაუფაროს და თუ მსახურად ჰყვეს 1000 დაუფაროს. ქოთლოსნისა და აბჯროსნისა და კარვოსნისა და პატრონთან რომ ხელი აქვდეს, ანუ ჰქონებოდეს მისი სისხლი 12 ათასი თეთრი იყოს ამაღ რომე, კარვოსნობა ეს ყოველთა წესია აზნაურელი სკირს და რომელსა მსახურსა ისა ყველა საქმე სკირს — ისრე სრულად“. ყველა მკვლევარს. რომელიც კი შეხებია ბექა-ალბუღას სამართალში არსებულ მსახურის ისტიტუტს, ის მსახურები, რომლებიც „პატრონს აზნაურად ჰყავს“. მსახურს კატეგორიებად მიუჩნევია, რის შედეგადაც დღესდღეობით მიღებულია ბექა-ალბუღას სამართალში არსებული მსახურის სამ კატეგორიად დაყოფა: 1. მსახური, 2. აზნაურად მომსახურე მსახური, რომლის სისხლი 12000 თეთრია და 3. აზნაურად მომსახურე მსახური, რომლის სისხლი 6 ათასია. აქედან გამომდინარე ზოგი მკვლევარი (ნ. ბერძენიშვილი, მ. ლორთქიფანიძე, მ. ბერძენიშვილი) ფიქრობს, რომ მსახური გარდამავალი ფენაა, რომელსაც ახასიათებს ტენდენცია გაჭრობისაკენ: ნაწილი აზნაურობაში გადადის. ნაწილი კი გლეხდება.

ჩვენი აზრით. ეს დებულება მართებული არ არის. სამართლის მიხედვით, მსახური კი არ გვევლინება რაღაც გარდამავალ ფენად, რომლის ნაწილი აზნაურს უტოლდება და ნაწილი გლეხობას, არამედ, სამართალში დასახლებული ორი ტიპის აზნაურს გარდა, როგორებიცაა — ციხოსან-მონასტროსანი და უციხო-უმონასტრო. არსებულა აზნაურთა მესამე ტიპი — პირადი აზნაურები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ. არის ფენა საზოგადოებისა, რომელიც „მისსა პატრონსა (და არა საერთოდ) აზნაურს შვილად ჰყვეს“. ეს პირადი აზნაურები. ანუ სამართლის ენით რომ ვთქვათ. „ქოთლოსან კარვოსნები“ მსახურს კატეგორიები კი არ არიან. არამედ. ჩვენი აზრით, აზნაურთა წოდების კატეგორიებს ქმნიან. ამას მხარს უჭერს თვით

სამართლის სტრუქტურა. რითაა გამოხატული სამართალში აღმავალი ხაზით წოდებებს და მათ კატეგორიებს შორის გრადაცია? უპირველეს ყოვლისა სისხლის ფასით: დიდებულის სისხლის ფასი 40 ათასია. მანზე ორჯერ ნაკლებია ციხოსან მონასტროსანი აზნაურის სისხლის ფასი—20 ათასი, მასზე თითქმის ორჯერ (1,7-ჯერ) ნაკლებია მამულ დამცრობილი აზნაურის სისხლის ფასი — 12 ათასი. მისი ტოლია პირად აზნაურთა უმაღლესი კატეგორიის სისხლის ფასი, ამათზე ორჯერ ნაკლებია პირად აზნაურთა მეორე კატეგორიის სისხლის ფასი — 6 ათასი. მსახურის სისხლის ფასი 1000 თეთრია, მისი ტოლია კარგი გლეხის ფასი, მათზე 2,5-ჯერ მცირეა დაბალი გლეხის ფასი — 400 თეთრი. ამგვარად, თუ ამ შეფარდებას ჩაუქვირდებით, ენახავთ, რომ, როგორც ფეოდალთა, ისე გლეხთა კლასის შიგნით, წოდებებს შორის ძირითადად დაცულია ორჯერ მეტ-ნაკლებობის პრინციპი, უმნიშვნელო გადახვევებით, ხოლო გაბატონებულ კლასს (დიდებულები, აზნაური, გააზნაურებული მსახური) და ჩაგრულ კლასს (მსახური, გლეხი) შორის ზღვარი უფრო დიდია: გლეხთა კლასის მაღალი წოდების—მსახურთა სისხლის ფასი ექვსჯერ ნაკლებია ფეოდალთა კლასის დაბალი წოდების—პირად აზნაურთა მეორე კატეგორიის სისხლის ფასთან შედარებით. ამგვარად, სრულიად აშკარაა, თუ სად ატარებს სამართალი დიდ ზღვარს ფეოდალური საზოგადოების კიბეში. კიბის ერთ მხარეს თავსდება გაბატონებული კლასი — დიდებულები და აზნაური მათი კატეგორიებით; მეორე მხარეს კი ექსპლუატირებული კლასი — მსახური და გლეხი. სამართალში აღნიშნულია, რომ პირადი აზნაურები აზნაურობამდე მსახურები იყვნენ: „თუ მსახური მოკლეს, რომელიც მისსა პატრონსა აზნაურის შვილად ჰყვეს“, მაგრამ სამართლის ამ ადგილას, ფაქტიურად, პირად აზნაურთა წარმოშობაზეა მითითება, იმაზე, რომ პირად აზნაურად მხოლოდ მსახური შეიძლება იყოს, ეს კი თავისთავად საგულისხმოა და საესებით ლოგიკური. მართლაცდა ვინ შეიძლებაოდა პატრონს გაეხადა პირად აზნაურად? რა თქმა უნდა, პირად აზნაურთა რეზერვი გლეხთა უმაღლესი წოდება, ამ შემთხვევაში, მსახური უნდა ყოფილიყო. ამგვარად, თუ მსახურებად აღარ მივიჩნევთ მათგან პირად აზნაურებად აღზევებულებს (ეს მოვლენა, როგორც ჩანს, XIII—XIV სს ფეოდალური საზოგადოების განვითარების თავისებურება იყო და XVI—XVIII სს. მას ადგილი აღარა ჰქონდა), ჩვენ გვჩნება მსახური, რომლის სისხლის ფასი 2,5-ჯერ მეტია გლეხისაზე, ასევე ვახტანგის სამართლის მიხედვითაც მსახურ-

რის სისხლის ფასი ორჯერ მეტია გლეხის სისხლის ფასზე. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის, როგორც უკვე ვნახეთ, უცილობელია, რომ ვახტანგისეული მსახური გლეხია და არა რაღაც გარდამავალი ფენა აზნაურსა და გლეხს შორის. უფრო მეტიც: ჩვენი აზრით, ვახტანგის სამართალში გლეხთა ამ ორ წოდებას შორის ზღვარი უფრო დიდი ჩანს, ვიდრე ბექა-ალბულას სამართალში. უკანასკნელში მოხსენიებულია ისეთი ყმა (ე. ი. გლეხი), რომელსაც პატრონი იცნობს „სიკეთესაზე და“ და რომელიც თავისი სისხლის ფასით უტოლდება მსახურს, ვახტანგის სამართალი კი ასეთ გლეხს არ იცნობს (არც შეძლებულ და არც „კარგ გლეხს“ აქ სისხლის ფასი არ ემატება).

მსახურის გაბატონებულ კლასში თუ გარდამავალ ფენაში შეყვანის საფუძველს აძლევს მკვლევართ, აგრეთვე, ბექა-ალბულას სამართლის 78-ე მუხლი, სადაც წერია:

„თუ დიდებულსა, გინა აზნაურსა, გინა მსახურსა და ვისაცა მომართებული ყმა ყვეს და კიდე წაუვიდეს...

და მკვიდრი წაუვიდეს...“

ამგვარად, სამართლის მიხედვით, მსახურს შეიძლება ჰყავდეს ყმა, იმ დროს როცა 71-ე მუხლის მიხედვით გლეხს გლეხის ყოლა ეკრძალება:

„ნუცა გლეხი გლეხსა მკვიდრად ორჩის, და არცა მართებს; არცა სყიდვასა იგი ღირსა“.

ჩვენი აზრით, აქ გასაოცარი არაფერია. მსახურს. როგორც გლეხთა მაღალ წოდებას, შეეძლო ყოლოდა ყმად მასზე უდაბლესი წოდება (ისევე, როგორც დიდებულს ან თავადს — აზნაური). ამ მხრივ, სხვათა შორის, საინტერესოა არქანჯელო ლამბერტის ცნობა, რომელიც შემდგენიარად გვოხატავს XVII ს. სამეგრელოს ფეოდალური საზოგადოების სტრუქტურას:

„აზნაურის წოდებას შეადგენენ აზნაურები და თავადები... გლეხთა წოდებას შეადგენენ მსახურები და მოინალეები. მხოლოდ თავადებს შეუძლიანთ თავის ხელქვეით იყოლიონ აზნაურები. აზნაურებს ემორჩილებიან მსახურნი და მოინალეები, მსახურებს მარტო მოინალეები შეუძლიანთ იყოლიონ ხელქვეით“⁷⁵.

ჩვენ ამჟამად არ გვაინტერესებს ის, თუ, კერძოდ, ვის გულისხმობს ლამბერტი მსახურში ან მოინალეში და ა. შ. აქ საგულისხმოა

⁷⁵ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალ. ჭკონიასი, გამოცემა II, თბ., 1938, გვ. 27—28.

ის. რომ ლამბერტი აღწერს ორ წოდებას გლეხისას უფრო მაღალს და უფრო დაბალს და აღნიშნავს მაღალი წოდების უფლებას ყმად ჰყავდეს უფრო დაბალი წოდების გლეხი.

ამგვარად, ბექა-აღბუღას სამართლის არცერთი მუხლი, ჩვენი აზრით, არ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ მსახური არ შედიოდა გლეხთა კლასში, ამევე დროს სამართალში არის რამდენიმე მუხლი, რომელთა ახსნა, იმ შემთხვევაში თუ მსახურს არ მივყავთვინებთ გლეხთა კლასს, შეუძლებელია. მაგ., სამართალ-ს 35-ე მუხლში ვკითხულობთ:

„თუ აზნაური კაცი გლეხმან, გინა დიდებულმან, გინა აზნაური შვილმან გააუპატიოს და კიდევ წაუღოს [რანე]...“

აქ, როგორც ვხედავთ, მსახურის ხსენება არ არის. როგორც ჩანს, ის იგულისხმება რომელიმე დასახელებულ სოციალურ კატეგორიაში. ცხადია, ასეთად აქ შეიძლება მხოლოდ გლეხი მივიჩნიოთ და არა დიდებული, ან აზნაური. ანალოგიური მდგომარეობაა 68-ე და 69-ე მუხლებში:

„გლეხი თუ გლეხისა თავმდებად დაუდგეს ერთისა კარი-სა ანუ მისის ფასისა უფროსითა საპატიოს კაცისა იყოს, მისსა კელისა უფალსა ჩაართვევინოს კელი; და თუ ქვეყნის დიდებულისა და ანუ აზნაურისა იყოს, მას ჩაართვევინოს...“

„თუ დიდებული გინა აზნაური დაუდგეს თავმდებად, ანუ [მოგუაროს]. რასაცა ზედა უდგეს [და ანუ] უზლოს, სათავდებო რაცა ეწეროს“. ამგვარად, გლეხს თავმდებად უდგება გლეხი, აზნაური და დიდებული. მსახურის ხსენება აქაც არ არის.

საბოლოოდ „ბექასა და აღბუღას სამართლის“ განხილვის შედეგად შეიძლება დავასკვნათ: ამ სამართალში, ისევე როგორც შემდგომ საუკუნეებში და ვახტანგ VI-ის სამართალში, ტერმინი „გლეხი“ იხმარება ორი მნიშვნელობით: ფართო მნიშვნელობით ის აღნიშნავს მთელ ექსპლუატირებულ კლასს, დაპირისპირებით გაბატონებულ კლასთან, ვიწრო მნიშვნელობით კი ამ კლასის უდაბლეს წოდებას და ასეთ შემთხვევაში უპირისპირდება მსახურს, როგორც გლეხთა დაბალი წოდება მაღალს.

ასეთ დასკვნას მხარს უჭერს აგრეთვე „ხელმწიფის კარის გარიგება“, რომელიც XIV ს. ძეგლია და, ამგვარად, აღბუღას სამართლის თანადროული, ან მასზე აღრინდელი, აქ მანდატურთ უხუცესის სახელოსადმი მიძღვნილ თავში ვკითხულობთ:

„მანდატური სამ [ას]ი სახლი არის ამიერ და იმიერ-ზოლო სამნი აზნაურნი არიან: იყუნელისძე შერაქისძე და ჯარნასძე და სხვაჲ ყველა გლეხია“⁷⁶.

ამ თვალსაზრისით სპეციალურად განიხილა მანდატურის მოვალეობები დ. მეგრელაძემ და მივიდა შემდეგ დასკვნამდე: „მანდატურთა მოვალეობა აღმასრულებლის, ზედამხედველის, წესრიგის დამცველის როლით შემოიფარგლება... თავისი სოციალური მდგომარეობითა და ფუნქციებით მანდატური იგივე მსახურია“⁷⁷.

აქედან გამომდინარე დ. მეგრელაძე აკეთებს, ჩვენი აზრით, ერთადერთ ლოგიკურ და სწორ დასკვნას, რომ ამ შემთხვევაში ტერმინში „გლეხი“ მსახურებიც იგულისხმებიან⁷⁸.

ასევე მსახურთუხუცესის სახელოსადმი განკუთვნილ თავში ვკითხულობთ:

„შიდასი სახლი მესაწოლე არის; და გლეხი რვა სახლია, და სხვა ყოველივე — აზნაური“⁷⁹.

როგორც ვხედავთ, აქაც მხოლოდ აზნაურები და გლეხები არიან მოხსენიებულნი. მსახური რომ გლეხებში არ იგულისხმებოდეს, მაშინ ის ამ შემთხვევაში აზნაურისა და გლეხის გვერდით ცალკე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. არ იცნობს აგრეთვე მსახურს როგორც ცალკე მდგომ კატეგორიას არც 1260—1293 წწ. ნარინ დავითის მეუღლის თამარის შეწირულობის დაწერილი გელათისადმი, სადაც დასახელებულია დიდებული, აზნაური და გლეხი⁸⁰, არც დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი მიძღვნილი ანდერძი, სადაც ვკითხულობთ:

„თუნდა გლეხმან და თუნდა აზნაურმან ანუ ანდერძი ესე ჩემი შეცვალებად იურვოს...“⁸¹.

არც გიორგი II-ის შიომღვიმისადმი ბოძებული სიგელი, სადაც სხვა ყველა წოდება სახეზეა⁸². საბოლოოდ მსახურს არ იცნობს ბაგრატი კურაპალატის სამართალი. მსახური რომ გლეხობიდან დამო-

⁷⁶ ქართ. სამ. ძეგლ. II, გვ. 83

⁷⁷ დ. მეგრელაძე, ხელშეიჯის კარის გარიგების ერთი ადგილის გაგებისათვის, შაცნე, № 3. 1971, გვ. 164.

⁷⁸ იქვე, გვ. 163—164.

⁷⁹ ქართ. სამ. ძეგლ., II, გვ. 84.

⁸⁰ იქვე, გვ. 77.

⁸¹ იქვე, გვ. 17.

⁸² იქვე, გვ. 10.

უკიდებელი სოციალური კატეგორია ყოფილიყო, თავისუფალ მწარ-
მოებელთაგან შემდგარი, ამასთან იმდენად ძლიერი ჯერ კიდევ
XIII—XIV სს-ში, რომ ასახვა ეპოვა ბექა-ალბუღას სამართალში,
მით უფრო საგულვეტელი იქნებოდა ასეთი ფენა X—XI სს. მიჯნა-
ზე. რა სურათი გვაქვს ამ დროს ბაგრატ კურაპალატის სამართლის
მიხედვით? აქ ყველა წოდებებზეა საუბარი, მსახური კი არ ჩანს.

მაგ., „თუ აზნაურნი გაიყარნენ...“

თუ დიდებულნი გაიყარნენ...“

თუ გლეხნი გაიყარნენ...“

ან კიდევ:

„საპირო და მის-მისთა წესითა წინა გაუძღუნანთ და აგრე
გაიბრკენენ.“

დიდისა დიდი გააჩინეთ, და ცოტაჲსა — ცოტა. ესე გლეხისა
სისხლისა, დიდებულთა და აზნაურთა საპირო იქმნებინ: ოცდაათი
ათასი ჩუღმეტი ათასი — თორმეტი ათასი, შვიდი ათასი. როგორც
ვის მართებს აგრე გააჩინეთ“⁸³.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად უნდა დავასკვნათ:

1. XII—XIII სს-დან მოყოლებული XVIII ს-ის ჩათვლით მსა-
ხური გლეხთა კლასში შედის.

2. ტერმინი „გლეხი“ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში
იხმარება ორი მნიშვნელობით: ფართო მნიშვნელობით უდრის მთელ
ექსპლუატირებულ კლასს, ხოლო ვიწრო მნიშვნელობით — ამ
კლასის უფრო დაბალ წოდებას.

4. მსახურის გენეზისი და მისი განვითარების პირველი პერიოდი

განვიხილოთ მსახურის გენეზისის საკითხი. როდის და როგორ
წარმოიქმნა ეს საგლეხო წოდება.

ამის დასადგენად საინტერესო მასალას გვაწვდიან XI—XVIII
სს. ქართული სამართლის ძეგლები: ბაგრატ კურაპალატის, ბექა-ალ-
ბუღას, გიორგი ბრწყინვალისა და ვახტანგ VI სამართალი. ყველა ამ
ძეგლში გვხვდება მსახური როგორც გარკვეული სოციალური კატე-
გორია, არ იხსენიება ის მხოლოდ ბაგრატ კურაპალატის სამართალ-
ში. ბაგრატ კურაპალატის სამართალი იცნობს დიდებულს, რომლის

⁸³ ქართ. სამ. ძეგლ. I, გვ. 469—470.

სისხლის საპირო 30 ათასია, 2 ტიპის აზნაურს. რომელთა სისხლის საპირო 17 და 12 ათასია და გლეხს, რომლის საპირო 7000. ამრიგად, X—XI სს. გლეხობა ერთგვაროვანი მასაა, მასში არ გამოიყოფა ცალკე მსახურის სისხლი, იან როგორც ეს გვაქვს ბექა-ალბულას და ვახტანგის სამართლის წიგნებში. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მსახური, ამ დროს როგორც ცალკე სოციალური კატეგორია, არ არსებობს და მისი წარმოქმნა ხდება ბაგრატ კურაპალატის სამართლისა და ბექა-ალბულას სამართლის შედგენის შუალედში (ე. ი. XI—XII სს). მაინც რომელი კლასის წიაღიდან შეიძლებოდა წარმოქმნილიყო ასეთი სოციალური კატეგორია? როგორც ქვევით მსახურის ვალდებულებების განხილვას ენახავთ, მისი წოდებრივი ფუნქცია აზნაურულია: ხლება, ლაშქრობა, პურის ჰამა. ამგვარად, მსახური თავისი არსებით ვასალია, ოღონდ დაყმევებული, პირადთავისუფლება დაკარგული, გლეხად ქცეულ ვასალი. საიდან შეიძლებოდა ასეთი წოდება გაჩენილიყო გლეხობაში? ამის ასახსნელად არსებობს ერთადერთი გზა: XI—XII საუკუნეებში გაბატონებული კლასის ერთმა ნაწილმა ისეთი ეკონომიურა დამცრობა განიცადა, რომ მას არც ყმა-მამული და არც აზნაურის წოდება არ შეჩია. ასეთ პროცესს, ანუ აზნაურთა ერთი ნაწილის გლეხობაში გადასვლის პროცესს რომ მართლაც უნდა ჰქონოდა ამ პერიოდში აღგალი ამაზე თითქოს მიგვითითებს ბაგრატ კურაპალატის სამართალიც. სამართლის 153-ე მუხლში, რომელაც აზნაურთა გაყრას ეხება, ვკითხვლობთ:

„თუ აზნაური გაიყარნენ და ვლახიანი იყვენენ, უფროსსა მასა საუხუცესოდ — ერთი გლეხი; სხვა შუა გაიყონ...“

თუ დიდებულნი გაიყარნენ. ერთი უკეთესი სოფელი საუხუცესოდ აიღონ და სხვა შუა გაიყონ“.

ამგვარად, დიდებულის გაყარზე მსჯელობისას სამართლის შედგენელს აზრადაც არ მოუღია აღნიშნოს „სოფლიანი ან გლეხიანი თუ იყოლო“ თავისთავად იგულისხმება. რომ დიდებულს სოფლები უნდა ჰქონდეს, ამის გარეშე დიდებულა წარმოუდგენელია. აზნაურს გაყარაზე საუბრისას კი საპეციალურად აღნიშნულია შემთხვევა, როცა აზნაური გლეხიანია. ამდენად, ამჟამად, რომ უნდა ყოფილიყო უგლეხო ანუ უმამულო აზნაურებიც. როგორც ჩანს, სწორედ, ასეთი უმამულო, უგლეხო დამცრობილი აზნაურების გაგლეხების შედეგად უნდა წარმოქმნილიყო XI—XII სს. გლეხთა კლასის შიგნით მსახურთა პრივილეგირებული წოდება. მაგრამ, როგორც ცნობილია, მსახური გვხვდება ჯერ კიდევ „შუშანიკის მარტილობაში“ და V—X სს.

თიჲჳ-ს ყველა აგიოგრაფიულ თუ ისტორიულ თხზულებაში. ვინდა არის ოქ მოხსენიებული მსახური, თუ მივიღებთ, რომ „მსახური“, როგორც კონკრეტული სოციალური კატეგორია, როგორც წოდება გლეხობაში, გაჩნდა მხოლოდ XI—XII სს?

ამ საკითხის გასარკვევად საჭიროა განვიხილოთ როგორც ტერმინი „სამსახური“ ხმარების შემთხვევები, ისევე „მსახურის“, როგორც ტერმინის შინაარსი ჩვენი ისტორიის მთელ სივრცეზე.

ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში ტერმინი „სამსახური“ ის უნივერსალური და ყოვლისმომცველი ტერმინი იყო, რომელიც აღნიშნავდა და განსაზღვრავდა ვასალის დამოკიდებულებას სიუზერენისადმი. „სამსახურის“ შეწყვეტა ნიშნავდა ურჩობას, ვასალური დამოკიდებულებიდან გამოსვლას. ასე იყო ეს აღმოსავლეთ საქართველოში და ასევე იყო დასავლეთ საქართველოში. პატრონის მიერ ყმებისადმი ბოძებულ წყალობის სიგელში ჩვეულებრივია გამოთქვამი: „ჩვენსა ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა... ხოლო თავდება ასეთი საბუთები სიტყვებით: „გქონდეს და გიბედნიეროს ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შიგან“, ამგვარად ვასალის „ერთგული სამსახური“ სიუზერენისადმი გულახმობდა შემდეგს: ვასალი პატრონის სიტყვის და ბრძანების მორჩილი უნდა იყოს და არ მოისურვოს პატრონის გამოცვლა, ანუ თავისი პატრონი ყველა სხვა პატრონს უნდა ერჩიოს. ასეთ შემთხვევაში პატრონიც მოვალეა ყმის მწყალობელი იყოს. საერთოდ, „ერთგულად, თავდადებით სამსახური“ წესი იყო „მონებიისა“, ანუ ვასალობის კანონს წარმოადგენდა. მაგ., გიორგი XI-ის წყალობის წიგნში შანშეან მარტეროზის შვილისადმი (1685 წ.) ვკითხულობთ:

„ჩვენისა დიდად ერთგულისა და წესისაებრ მონებიისა თავდადებით ნამსახურსა, კარისა ჩვენისა მდივნისა“⁸⁴.

გარდა „ერთგული სამსახურისა“ არსებობდა „უჭეროსამსახური“ იმავე სიგელში ვკითხულობთ:

„მოგვცხენა თქვენი უჭეროდ მსახურება ჩვენზედა და არ ჭირვიქმენით, და არცა იყო ჩვეულება ჩვენი, რომ სიტყუანი დამამენელთა წარმდგარიყო წინაშე ჩვენსა, მაგრამ ფარულითა შურითა მრავალგზის გამოაქანდაკეს ენოანება და მცირეთ განაწყრომეს გული ჩვენი თქვენზედა, და თქვენი მკვდრი და ნასყიდი სოფელი ნაბახტევი წაგართვით და გაგიეცით“⁸⁵.

⁸⁴ ქართული სამ. ძეგლები, II, გვ. 227.

⁸⁵ იქვე, გვ. 228.

ტერმინი „სამსახური“ აღნიშნავდა არა მარტო მოვალეობათა ერთობლიობას, რომელიც ეკისრებოდა ყმას პატრონისადმი სახელმწიფოს შიგნით, არამედ ამ ტერმინით გამოიხატებოდა ვასალური ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის. მაგ. ერეკლე II წიგნში ეკატერინე II-სადმი ეკითხულობთ:

„ჩვენ რაც რამ სამსახურის აღქმა შეგვეძლო და წყალობის ვედრება გვექვეყნებოდა — ის მოვასხენეთ თქვენს იმპერატორობის ღირებულებას და როგორც თქვენ ყოვლად მოწყალის კელმწიფის ნება იყოს, ეგრეთ ღვდობრივითა მოწყალეებითა განაგოს ყოვლად მოწყალეებამან ღირებულებამან თქვენმან“⁸⁶.

ამრიგად, ერეკლე II, როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს მეთაური, აღუთქვამს „სამსახურს“, ანუ ვასალობას ეკატერინეს და მისგან, როგორც სიუზერენისაგან, ითხოვს ამის სანაცვლოდ „წყალობას“.

ვასალის ვალდებულებათა ერთობლიობას სიუზერენისადმი, ანუ „სამსახურს“, თავისი წესი, „რიგი“ გააჩნდა. პატრონი არ შეეძლო ბოროტად გამოეყენებინა თავისი უფლებები, მოეთხოვა ყმიდან უფრო მეტი, ვიდრე ამას სამსახურის „რიგი“ გულისხმობდა. მაგ., განჩინებაში ჯავახიშვილებსა და ნინიაშვილების საქმეზე ეკითხულობთ:

„ჯავახიშვილები და ნინიაშვილი მღვდელი ონოფრე და მისი ბიძაშვილი პავლე ბატონყმობაზე და უსამართლოთ სამსახურზე ჩიოდნენ.

ეს ნინიაშვილები აზნაურშვილები არიან, ... როგორც აზნაურ შვილის სამსახურის რიგი არის, თავეთის შეძლებით ეყენი ჯავახიშვილებს ისე უნდა ემსახურონ და მეტი ჯაბრია არცა რა ჯავახიანთ უნდა მოინდომონ“⁸⁷.

სამსახური აღნიშნავდა აგრეთვე ბატონის მიმართ ყმა გლეხის ვალდებულებასაც. ასეთ შემთხვევაში სამსახურს ჰქონდა ორი მნიშვნელობა: ფართო და ვიწრო. დასავლეთ საქართველოსათვის „სამსახურის“ ფართო გაგებით ხმარების შემთხვევაში აღნიშნავს ო. სოსელია: „იგი („სამსახური“ — მ. ს.) ბატონის წინაშე ყმა გლეხის ყოველგვარ ვალდებულებას აღნიშნავს — შრომითს, პრო-

⁸⁶ ქართ. სამ. ძეგლები, II, გვ. 425.

⁸⁷ ქართული სამ. ძეგლები, IV, გვ. 563.

დუქტების და ფულადს⁸⁸. სამსახური, რომ ფართო მნიშვნელობით გლეხის როგორც ნატურალურ, ისე ფულად გადასახადსაც, ანუ ბეგარასაც მოიცავდა, ეს დასავლეთ საქართველოს არა ერთი საბუთით დასტურდება. მაგ., სოლომონ I-ის ერთ საბუთში (XVIII ს.) ვკითხულობთ:

„მაგ. ქვეყანაში ასრე მოგვხსენდა: გენათლის კაცები სულ იმანოძეები, ლიკლიკაძეები და ღვინეფაძეები გ ვ ე მ ს ა ხ უ რ ე ბ ა ღვინით, პ უ რ ი თ ა დ ა ხ ო რ ც ი თ. თორემ სხვაები უფრო თავისუფლად არიან“⁸⁹.

სოლომონ II-ის შეწირულობის წიგნში გელათისადმი, რომელშიც ის წირავს გელათის საყდარს სამ მოსახლე ურიას, აღნიშნულია:

„ამ ვაჟრებს დავადევით ბეგრათ, ურიას კოკიას შაბათას შვილს დავადევით თუთხმეტი მარჩილი თეთრი, ლიტრა სამთელი, მეორეს მოსახლეს... დავადევით თუთხმეტი მარჩილი თეთრი და ერთი ლიტრა სამთელი, მესამეს მოსახლეს.. დავადევით რვა მარჩილი თეთრი და ნახევარი ლიტრა სამთელი... და ამ ვაჟრებთან კაცს ხელი არ გაქვსთ, საკუთრად იმ სახელოვანს მეფეს მსახურონ ამათ და ამათა შვილთა და მომავალთა“⁹⁰.

ამრიგად, ამ ურიების „მეფისადმი მსახურობა“ მათ მიერ ყოველ წლიურად 15 მარჩილი თეთრის და ერთი ლიტრა სანთელის გადახდაში გამოიხატება.

კაცია დადიანის წიგნში ცაიშის კათედრის აღდგენის შესახებ აღნიშნულია:

„ლაშქრობის მეტი სხვა ჩვენის ამსახურა, არც საური, არც სხვა გადასახადი რამე, არც მუშაობა, არც ცხენის ჩაბმბა, არაფერი ჩვენგან არა ეთხოვებოდეს“⁹¹.

ამ საბუთში „სამსახური“ მოიცავს როგორც პირად ვალდებულებას ბატონისადმი: ლაშქრობას, მუშაობას, ცხენის ჩაბმას, ასევე ფულად გადასახადს — საურს და სხვა სახის გადასახადსაც.

ასეთივე ვითარებაა XVI—XVII სს. აღმოსავლეთ საქართველოში: კახა თორელის რკონის მონასტრისათვის მიცემული შეწირულობის დაწერილის გვიანდელ მინაწერში ვკითხულობთ:

⁸⁸ ო. ს ო ს ე ლ ი ა, ფეოდალური ხანის დას. საქართ. ისტორიიდან, 1966, გვ. 122; მისივე: დას. საქართველოს გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა XVI ს-დან XIX ს. I ნახევარამდე, გვ. 209.

⁸⁹ ხელნაწერთა ინსტიტ., ფ. Hd 4484.

⁹⁰ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დას. საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, გვ. 95—96.

⁹¹ იქვე, გვ. 177.

„შემოგწირე მე... პატრონმან ჯავახიშვილმან იესე შენ... რკონის ღმრთისმშობელსა... თქვენ დეკანოზისშვილნი პეტრე... და მისნი შვილნი და დაგდევით ყოველთა წელიწადთა თვითო ლიტრა ს ა ნ - თ ე ლ ი და ოროლი ლიტრა ზ ე თ ი. და ე ს ე ა მ ს ა ხ უ რ ო თ და არასოდეს არა მოიშალოს“⁹².

„სამსახური“ ფართო მნიშვნელობით იხმარებოდა XI ს.-შიც. მაგ., გიორგი II-ის შეუვალობის განახლების სიგელში შიომღვიმის მონასტრისადმი ვკითხულობთ:

„და ვითა სამსახურებელი ციხეთაჲ არაჲ ზედა სდებია და, ჟამთა-შლილობისათა შინა ოდესმე, მძლავრთა და უღმრთოთა კაცთა მათ ზედა რაიცა ბეგარი დაუც და რაიცა დაჭირებთა სამსახური უქნევია, ანუ სამუშაოი, ანუ სუხრაი, ანუ ბაჟი აღებულა, ვითა არაი ზედა სდებია, ესე ყოველი აგუიყდია“⁹³.

აქ სანსახური მოიცავს ბეგარას, ბაჟს, სუხრას და სამუშაოს.

ვიწრო მნიშვნელობით სამსახური აღნიშნავდა გლეხის პირად ვალდებულებებს, ანუ შრომით რენტას. ასეთ შემთხვევაში ის უპირისპირდებოდა გლეხთა ნატურალურ თუ ფულად გადასახადს. ამ შინაარსით განიხილავს „სამსახურს“ ლ. მუსხელიშვილი⁹⁴. წყაროებში სამსახურის ამ მნიშვნელობით ხმარების საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. ჰყონდიდე — ცაგერელ-ბედიელ გაბრიელის ერთ საბუთში (XVII ს. II ნახევარი) ვკითხულობთ:

„ხატს მარტო ალაგის ბეგარა ეძლეოდა, თვარამ კაცი ყველა კაცია ჭილაძეს მსახურებდა“⁹⁵.

ასევე ბეგარასთან დაპირისპირებაშია ნახმარი „სამსახური“ კახათორელის შეწირულობის დაწერილში (XIII ს.):

„მოგუიკსენებია სოფელი ხოვლე ზურითა, ხოდაბუნითა, ტყითა, ველითა, წყლითა, წისქულითა და ყოვლითა სამართლიანითა ზღვრითა, საწმრითა და უქმრითა და სოფელი სამსახურითა და ბეგრითა, ვითა მე გამიჩენია“⁹⁶.

ბაგრატ მეფის 1545 წ-ის შეწირულობის წიგნში გელათისადმი ვკითხულობთ:

⁹² ქართული სამ. ძეგლები, II, გვ. 67.

⁹³ იქვე, ვვ. 11.

⁹⁴ ლ. მუსხელიშვილი, დას. საქართველოს გლეხობის სოც.-ეკონომიური კატეგორიები, ენიმკის მოამბე, V-VI, 1940, გვ. 277.

⁹⁵ ს. კაკაბაძე, დას. საქართველოს საეკლ. საბ., I, გვ. 78.

⁹⁶ ქართ. სამ. ძეგლი, II, გვ. 59.

„რაცა ნიუარაძისეულნი გლებნი არის... რაცა სამეფო კელი შევა, არა მოგვიშლია რა: და სხვა რაცა სააზნაურშილო ბე გ არ ი და სამსახური მართებს, ისი... საყდრისათვის შეგვიწირავს“⁹⁷.

ლ. მუსხელიშვილმა დაადგინა, აგრეთვე სამსახურის კიდევ უფრო ვიწრო მნიშვნელობა, როცა ის უპირისპირდება შრომითი რენტის სხვა ტიპებს, როგორცაა: მუშაობა, მგზავრობა და ლაშქრობა. მაგ., გელოვანი ირინეს და ზურაბის წიგნში ჰყონდიდელ-ცაგერელ გაბრიელისადმი (1660—85 წწ.) ვკითხულობთ:

„თუ თქ[ვე]ნი ყმა ფოჩიანი ჩვენს ალაგზედ დაასახლოთ... მუშაობა, მგზავრობა და სამსახური ყველა თქვენი იყოს და ბეგარას ჩვენ მოგვეცემდეს“⁹⁸.

ასევე, აფხაზეთის საკათალიკოსოს დავთრის ხაუტელის ნუსხაში (XVII ს.) წერია:

„მართებს... ქანდაქი და სამოგვე, საპურობო, მოილი, 5 კოკა ღვინო, მუშაობა, სამსახური და ლაშქრობა“⁹⁹.

ამრიგად, აქ და მსგავს შემთხვევებში, „სამსახური“ გვევლინება, როგორც ცალკე, კონკრეტული სახე გლების პირადი ვალდებულებასა. სამსახური ასეთი მნიშვნელობით, როგორც ჩანს, აერთიანებდა პირადად ბატონის მიმართ, მის კარზე გაწეული სამსახურის სხვადასხვა ტიპს. საბუთებში მრავლად გვხვდება ასეთი ვალდებულებები, მაგ.. „შინაყობით სამსახური“, „ხელოსნობით სამსახური“, „მამასახლისობით სამსახური“, „ცხენით სამსახური“, „ფარეშობით სამსახური“, „მეჭინობით სამსახური“, „საყდრის სამსახური“, „ქორეპისკოპოსობით სამსახური“. „სამსახური მსახურობით“ და სხვა.

„სამსახურის“ მნიშვნელობების განხილვის შემდეგ, განვიხილოთ თვით „მსახურის“ შინაარსი. წყაროებში რამდენადაც სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა „სამსახური“ მის შესაბამისად სხვადასხვა მნიშვნელობას იძენდა ტერმინი „მსახური“, რადგან სამსახური ფაქტიურად გულისხმობდა მოვალეობებს, რომლებსაც მსახური ასრულებდა, ანუ იმას, რაც იყო სამსახურო.

⁹⁷ ქართ. სამ. ძეგლ., II, გვ. 185

⁹⁸ ს. კაკაბაძე, დან. საქართ. საეკლ. საბ., I, გვ. 31.

⁹⁹ ქართ. სამართ. ძეგლ. III, გვ. 433.

მსახურის თავდაპირველი მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, „სახლს“ უკავშირდება¹⁰⁰ და, ამდენად, გვაროვნული წყობლებს ნაყოფია. ამ პერიოდში სახლს ჰყავდა მამა-სახლისი და ყველა დანარჩენი სახლელი ითვლებოდა მსახურად მამა-სახლისის მიმართ. ამრიგად, თავიდანვე მსახური ნიშნავდა დაქვემდებარებულ პირს. ასეთი მნიშვნელობა შეინარჩუნა მან შემდგომ პერიოდშიც. „მსახურის“ ტერმინით აღინიშნებოდა საერთოდ ყველანაირი დაქვემდებარება. მაგ., მოსახლეობისა გამგებლისადმი, მეფისა და ქვეყნისა ღმერთისადმი, მოხელეებისა მეფისადმი, მოწაფისა მოძღვრისადმი, შვილისა მშობლისადმი და სხვა. ამის ნათელსაყოფად მივმართოთ წყაროებს. ოთხთავი:

„და დაჟდა და მოუწოდა ათორმეტთა და პრქუა მათ: რომელსა ჰნებავს, ვითარმცა პარველ იყო, იყავნ იგი ყოველთა უკუთანა და ყოველთა მსახურს“¹⁰¹.

ამ კონტექსტში მსახური „პრველის“ საპირისპირო ცნებაა ის „პირველის“ უკან მდგომია, საერთოდ დაქვემდებარებული პირია.

ოთხთავის მიხედვით, აღამანთა ურთიერთობა მოწყობილია ისე, რომ ნაწილი იმსახურებს ვინმეს, ნაწილი კი ვიღაცის მსახურია: „ვითარცა ძე კაცისაჲ არა მოვიდა, რამთამცა ჰმსახურა ვინმე, არამედ მსახურებად და მიცემად თავისა თვისასა საჯსრად მრავალთა წილ“¹⁰².

ამრიგად, იქმნება იერარქია: ყოველი უკანა მსახურია თავისზე წინასი, ყოველი დაბალი მსახურია თავისზე ღდას:

„რომელ დიდ იყოს თქუენ შორის იყავნ იგი თქუენდა მსახურს“.

რამეთუ რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი, დამდაბლდეს. და რომელმან დაიმაბლოს თავი თჳსი, იგი ამაღლდეს“¹⁰³.

„მსახურის“ შინაარსს გარკვევისათვის საინტერესო ცნობას გვაწვდის „ლოცვაჲ დადგინებასა მთავართასა“ (XIII ს.):

¹⁰⁰ ა. ჩიქობავა. სახელს ფუძის ექველესი აკბელება ქართველურ ნებში, 1942, ვვ. 147.

¹⁰¹ მარკოზი, 9, 35.

¹⁰² მათე, 20, 28.

¹⁰³ მათე, 23, 11—12.

„გლახაკთა და ნაკლულევანთა და მსახურთა მის-
თა და მშუდობით და მორჩილებით მწყსამ სათნო-იყავ და აღაორ-
ძანე ჩვეულებბამებრ ნაყოფი ქვეყნისა...“¹⁰⁴

„კურთხევად ერისთავისა და“-ში ვკითხულობთ:

„...რათა გლახაკთა ნაკლულევანთა ყოველსა საქმესა მოწყალე-
ბისასა აჩუენებდეს და სასჯელსა სიმართლისასა ჰყოფდეს უქრთა-
მოდ, და ყოველნი მსახურნი მისნი ყოვლითა მშუდობითა
და მორჩილებითა მოჰმადლე“¹⁰⁵.

აქ, როგორც ვხედავთ, „მსახური“ ნახმარია საერთოდ ქვეშევრ-
დომის მნიშვნელობით. წარმომთქმელი ღმერთს შესთხოვს, რომ
მან ერისთავის ქვეშევრდომებს ანუ მოსახლეობას, რომელსაც ის
განაგებს, მშვიდობა და მორჩილება მოჰმადლოს.

საერთოდ, დაქვემდებარებული პირის მნიშვნელობით იხმარე-
ბა „მსახური“ აგიოგრაფიულ ძეგლებშიც. ჭაბუკი მსახურია მოხუ-
ცებულის:

„ვითარცა მოხუცებული ემართლების ჭაბუკსა პატი-
ვით მსახურებასა“¹⁰⁶.

აღნიშნავს გიორგი მერჩულე. შვილი მსახურია მშობლების:

„ხოლო ნეტარმან გრიგოლი დაილუაწა სული მისი და დიდებად
შეწირა ღმრთისა, რომელმანცა მიჰმადლა მას კეთილად მსა-
ხურება და დედისა თვისისა და სრულიად კურთხევად
მისგან მიიღო“¹⁰⁷.

მოწაფე მსახურია თავის მოძღვრის. მაგ. იოანე ზედაზნელის
ცხოვრებაში ვკითხულობთ:

ღ ნუსხა

„ნეტარი იგი ბერი მარტოდ იქცეოდა ერთისა მსახუ-
რისა თანა მთასა მას ზედა მოლუაწებითა დიდითა“.

ღ ნუსხა

„ხოლო ჰყვა ერთი მოწაფეცა, რომლისა მიერ ნუგე-
შინის-იცემებოდის“¹⁰⁸ ან კიდევ:

„ნეტარი იგი ბერი იქცეოდა მთასა მას მარტო და მოწაფისა
მისგან თვისისა იმსახურებოდ“¹⁰⁹.

¹⁰⁴ ქართული სამ. ძეგლები, II, გვ. 54.

¹⁰⁵ იქვე გვ. 55.

¹⁰⁶ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლატერატურის ძეგლები, ი. აბულაძის
გამოცემა, ტ. 1, გვ. 309.

¹⁰⁷ იქვე, გვ. 279.

¹⁰⁸ იქვე, გვ. 208

¹⁰⁹ იქვე, გვ. 211.

აგრეთვე:

ჯ ნუსხა

„ღღესა ერთსა მსახური იგი მისი ნეტარი ელია დიაკონო მივიდა წყაროსა“...

ღ ნუსხა

„ხოლო ღღესა ერთსა მივიდა წყაროსა მას ზედა, მოწაფე იგი მისი“¹¹⁰.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“-ში საერო პირები დაქვემდებარებაში წარმოგვიდგებიან სასულიერო პირების მიმართ. ეს ასახულია აგრეთვე ტერმინი „მსახურის“ მეშვეობით. აქ გრიგოლ ხანძთელი კი არ გვევლინება საერო პირთა მსახურად, არამედ, პირიქით, საერო პირები, იქნებიან ეს კურაპალატები თუ ჩინებული აზნაურები, მსახურებენ მას. მაგ., ბაგრატ კურაპალატი ეუბნება გრიგოლ ხანძთელს:

„ხოლო მე თანა-მეც ზიუარული და პატივი მამობისა შენისაჲ. აწ ბრძანენ სიწმიდემან შენმან მე ფობისა ჩუენისა გან მსახურებაჲ ღირსებისა შენისაჲ“¹¹¹.

ასევე მიმართავს გაბრიელ დაფანჩულიც გრიგოლ ხანძთელს:

„ქრისტემან საქმით დაამტკიცენ სიტყუაჲ ბაგეთა შენთაჲ, ღირსო მამაო, და ჩუენ მოგუეცი ინუფალმან გულს-ჰოდგინედ მსახურებაჲ სიწმიდისა შენისაჲ“¹¹².

როგორც ვხედავთ, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ავტორს აშკარად სურვილი აქვს გვიჩვენოს საერო პირთა დაქვემდებარება სასულიერო პირებისადმი: საერო პირები მსახურები არიან გრიგოლ ხანძთელის, მას ემსახურებიან, იერარქიულად მასზე დაბლა დგანან.

თავის მხრივ ყველა ადამიანი, იქნება ის სასულიერო თუ საერო პირი, დაქვემდებარებულია ღმერთისადმი და ამდენად ღმრთის მსახურია. მეფეების, კურაპალატების, დედოფლების, დიდებული აზნაურების ერთადერთი ეპიტეტი, ავიოგრაფიული თხზულებების მიხედვით, არის „ღმრთის მსახური“. მაგ.: „ღმრთის მსახური კურაპალატი“... „ღმრთის მსახური“ ან „კეთილად მსახური მეფე დედოფალი“ და ა. შ. ამრიგად, ღმრთის მსახურება მარტო სასუ-

¹¹⁰ ძველი ქართული ავიოგრაფიული ლიტ. ძეგლ., ტ. 1, გვ. 214.

¹¹¹ იქვე. გვ. 272.

¹¹² იქვე. გვ. 259.

ლიერო პირებისათვის კი არ არის დამახასიათებელი, არამედ საერთო პირებისთვისაც. ამ შემთხვევაში „მსახური“ ჩვეულებრივი დაქვემდებარების გამომხატველი ტერმინია. მეფე ამ ქვეყნად პირველად, მაგრამ ღმერთთან შედარებით დაქვემდებარებაში განიხილება და ამდენად ღმერთის მსახურია. ღმერთის მსახურები არიან არა მარტო მეფენი და სასულიერო პირები, არამედ მთელი ერი, მთელი ქვეყანა ღმერთის მსახურად განიხილება. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ:

„აბრაჰამ ქვეყანისა მისგან ურწმუნოთა ნათესავთაჲსა განაშორა ღმერთმან. ხოლო ესე (გრიგოლ ხანძთელი) მორწმუნისა და კეთილად მსახურისა ქვეყნისა განამოიყვანა ამის მიზეზისათჳს, რადთა უქმთა მათ უღაბნოთა შინა გამობრწყინდეს...“¹¹³.

ასევე „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, მცხეთის ყველა მკვიდრი, იქნება ეს მეფე, აზნაური თუ სხვა, მსახურია არმაზისა. საერთოდ მცხეთის მკვიდრობა თავისთავად გულისხმობს არმაზის მსახურად ყოფნას. მირიანი ეუბნება ნინოს:

„აწ უკუეთუ ისმინო ჩემი და განჰკურნო მთავარი ესე, განგამდიდრო და გყო შენ მცხეთისა მკვდრად და მსახურად არმაზისა“¹¹⁴.

მსახურია აგრეთვე ყველა პირი, რომელიც ვინმეს მიმართ რაიმე სამსახურს ეწევა. მაგ., წმინდა ნინო თავის თავგადასავლის თხრობიას ამბობს:

„ხოლო დედაჲ ჩემი მისცა პატრეაქმან მსახურად გლახაკთა, დედათა უძღურთა. ხოლო მე ვჰმსახურებდ მიაფორსა სომეხსა, დვინელსა, ორ წელ“¹¹⁵.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ნინოს დედა მსახურია გლახაკების და უძღურების. რა თქმა უნდა, ის მათდამი დაქვემდებარებაში არ განიხილება, მაგრამ რადგან ის უძღურთათვის ზრუნავს. მათ ემსახურება, ამდენად მათ მსახურად გვევლინება.

გრიგოლ ხანძთელის დედის მსახურები კი არიან „ნათესავნი მატოისნი (გრიგოლ ხანძთელის მოწაფე, დედათა მონასტრის).

¹¹³ ძველი ქართული აგიოგრაფიკა. ლიტ. ძეგლ., I, გვ. 252.

¹¹⁴ იქვე, გვ. 132.

¹¹⁵ იქვე, გვ. 110.

მღვდელი — მ. ს.), კეთილნი მონაზონნი და ჰეგობარნი
მისნი¹¹⁶.

ფეოდალურ საზოგადოებაში საერთოდ ყოველგვარი დაქვემდებარების აღმნიშვნელმა ტერმინმა, შესაძლებელია ვასალის მნიშვნელობაც მიიღოს, რადგან ვასალობაც დაქვემდებარების ერთ-ერთი სახეა.

ადრეკლასობრივ ხანაში ვასალის აღმნიშვნელ ტერმინად გვევლინება მონა, ხოლო სიუზერენის აღმნიშვნელი ტერმინი არის უფალი („მონაა“ და „უფალს“ დევნის „ყმა“ და „პატრონი“ — IX—X სს-ში). ამავე პერიოდში „მსახურიც“, ისევე როგორც მონა, საერთოდ, ყველანაირ დაქვემდებარებას აღნიშნავს და ამიტომ, ზოგჯერ მონის სინონიმად იხმარება. მაგ., „დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ მოთხრობილია, რომ როდესაც ბუბაქრი, „ბაზაროზი“, როგორც მას წყარო უწოდებს, ტაძრად დაბრუნდა „ჰკითხა მეუღლესა და სახლეულთა“. უფრო ქვემოთ კი აშკარა ხდება, რომ სახლეულნი იგივე მონებია, რადგან შემდეგ ბუბაქრი მიემგზავრება დავით გარეჯელთან და მას თან ახლავან მისი ძენი და მონები, სხვა იქ არაეინაა მოხსენიებული.

როდესაც გრიგოლ ხანძთელის დედა მიემგზავრება გრიგოლთან, „თანაიყვნენ მსახურნი მისნი, მამანი და დედანი“, როდესაც ის მივიდა შვილთან „მან პირველად აკურთხა ღმერთი და ნებზე ძე იგი თქსო, და თან-მოსრულნი იგი სახლეულნი თქსნი“¹¹⁷.

როგორც ვხედავთ. ამ ძეგლში მსახურები არიან იგივე სახლეულები. ამრიგად, თუ ერთ შემთხვევაში სახლეულის აღსანიშნავად იხმარება ტერმინი „მონა“, მეორე შემთხვევაში მას ცვლის „მსახური“. ასეთივე შენაცვლებას აქვს ადგილი გამოწვევაში: „მსახური ქრისტესი“ და „მონა ქრისტესი“.

როდესაც გრიგოლ ხანძთელმა თავისთან იხმო აშოტ კურაპალატის სატრფო, ის „მსწრაფლ მოვიდა წმიდისა მის ორთათანა მკვევალთათქსთა, რაითამცა ღირს იქმნა ჯუარსანეტარისა მის კაცისასა.

ხოლო მან არა დასწერა ჯუარი, არამედ უბრძანა განშორებულად დაჯდომა. და მოწაფენი კიდე-რე განდგეს წამის-ყოფითა მო-

¹¹⁶ ძველი ქართული აკოლოგ. ლიტ. ძეგლები. 1. გვ. 285.

¹¹⁷ იქვე, გვ. 273.

ძღურისა თვისისათა და ეგრეთვე მსახურნი იგი დედან-ნი¹¹⁸.

ამრიგად, აქ მხევეალი და მსახური ერთმანეთის სინონიმებად გვევლინება. არის შემთხვევები, როდესაც უფლისადმი დაქვემდებარებულ პირად გვევლინება არა მონა, როგორც ამას უპირაველს შემთხვევაში აქვს ადგილი, არამედ მსახური. ამ მხრივ საინტერესო მასალას იძლევა ოთხთავის უძველესი რედაქციები:

„მიუგო მას იესუ და ჰრქუა: მე უფება ჩემი არა არს ამის სოფლისაგან. უკუეთუმცა ამის სოფლისაგანი იყო მეუფება ჩემი, მსახურნი მცა ჩემნი ილუწიდეს ჩემთვის, რათა არა მივეცე პურიათა. ხოლო აწ მეუფება ჩემი არა არს ამიერ სოფლით“¹¹⁹.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ყველა მეუფეს (resp.) უფალს, რომელიც მეუფეობს (resp. უფლობს) ამიერქვეყნად, ყავს მსახურნი, რომელნიც ილწვიან მისთვის, იცავენ მას და ა. შ. დაპირისპირებული წყვილი მეუფე (უფალი) — მონა აქ შეცვლილია მეუფე (უფალი) — მსახურით.

ან კიდევ:

„ვინ არს უფალი: რომელი ინაჯით ზის ანუ რომელი მსახურებს? ანუ არა რომელი ინაჯით-ზის? ხოლო მე ვარ თქუენ შორის ვითარცა მსახური“¹²⁰.

აქაც შეწყვილებულია უფალი — მსახური.

აგრეთვე:

„და ვითარცა გემოი იხილა პურისა უფალმან მან წყალი იგი, რომელ ღვნო იქმნა და არა იცოდა, ვინამ იყო, გარნა მსახურთა მათ უწყოდეს, რომელთა აღაფსნეს წყლითა, მოუწოდა პურისა უფალმან მან სიძესა მას“.

მეორე ნუსხაში კი ვკითხულობთ:

„და ვითარცა გემოი იხილა მთავარმან მან წყალი იგი ღვნოდ გადაქცეული, და არა უწყოდა ვინამ იყო, გარნა მსახურთა მათ ხოლო უწყოდეს, მიუგო სიძესა მას მთავარმან მან მის ტაძრისამან“¹²¹.

¹¹⁸ ძველი ქართული აგიოგრა. ლიტ. ძეგლები. I. გვ. 296.

¹¹⁹ იოვანე 18, 36.

¹²⁰ ლუკა 22, 27.

¹²¹ იოვანე 2, 9.

ამრიგად, ჩვენს წინაშეა ტაძრის ანუ სახლის მთავარი, უფალი და მას ემსახურებიან მსახურნი.

მსახური მონის სინონიმადაა ნახმარი აგრეთვე სახარების შემდეგ ტექსტში:

„დგეს მონანი იგი და მსახურნი მღვდელთმოდღვისანი“ (იოფანე, 18,18). ასევე „მონა“ და „მსახური“ ერთმანეთის სინონიმებად ჩანს ნახმარი „შუშანიკის წამებაში“: როდესაც „მოწია იგი (ვარსკენი — მ. ს.) საზღვართა ქართლისათა... მიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი“, ხოლო როდესაც ჯოჯიკი მივიდა შუშანიკის სანახაუდ მან „თანა წარიყვანნა ცოლი და შვილნი და მონა-მკეველნი მისნი“¹²². უაზრობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ვარსკენს ჰყავს მხოლოდ მსახურები. იმ დროს, როდესაც ჯოჯიკს ირგვლივ არტყია მხოლოდ მონა — მხეველები. რა თქმა უნდა, აქაც მსახური და მონა სინონიმებია.

მსგავსი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება. მაგრამ ამჟამად ჩვენ ამით დავკმაყოფილდებით. ყოველივე ზემოთქმულადან ჩანს, რომ: V—X სს. „მსახური“ იხმარება საერთოდ ყოველნაირი პირადი დაქვემდებარების აღსანიშნავად. მსახურია ყველა პირი, ვინც ვინმეს მიმართ რაიმე სამსახურს ეწევა. მთელ რიგ შემთხვევებში „მსახური“ „მონის“ სინონიმად იხმარება, მაგრამ მონისაგან განსხვავებით, რომელსაც უფრო ვიწრო მნიშვნელობაც ჰქონდა, კერძოდ, აღნიშნავდა პირად თავისუფლებადკარგულ საზოგადოებრივ ფენას, მსახური ყოველთვის პირადად თავისუფალ ადამიანს ეწოდებოდა¹²³.

მსახური წყაროებში ზოგჯერ იხმარება „წინაშე მდგომელის“ სინონიმადაც. წინაშემდგომელი მსახურთა ის ნაწილია, რომელიც უფრო ახლოსაა უფალ-სიუზერენთან.

წინაშემდგომელნი განსხვავდებოდნენ თავიანთი წარმოშობით და სიუზერენისადმი დამოკიდებულებით. მაგრამ ერთი რამე კი ყველა მათგანისთვის საერთოა: ისინი თავიანთი უფლის საკუთარნი,

¹²² ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლ., ტ. 1, გვ. 12, 26.

¹²³ ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 108.

ზონები და მსახურები არიან. მაგ., „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ეკითხულობთ:

„ესე ყოველი ვითარცა გულისკმა-ყო კეთილად მსახურმან კურაპალაქმან აშოტ, მსწრაფლ ხოლო დაწერა ებისტოლჳ ჳელითა თვისითა და კაცი ერთი კეთილი წინაშემდგომელთაგანი და ერთი გაბრიელის (დაფანჩულის — მ. ს.) მსახურთაგანი მსწრაფთი წარმოავლინა მამისა გრიგოლის წინაშე“¹²⁴.

აჲ, როგორც ვხედავთ, წინაშემდგომელი და მსახური ერთმანეთის სრულ შესატყვისებად ანახმარი. ოღონდ სტილისტური ხასიათის მოსაზრებით ავტორი განმეორებას ერიდება და, თუ ერთ შემთხვევაში ხმარობს „წინაშემდგომელს“, მეორე შემთხვევაში ხმარობს „მსახურს“.

ასევე, „კონსტანტინე-კახის მარტვილობაში“ ვკითხულობთ:

„და ვითარ აუწყეს ესე უსჯულოსა მას მეფესა, წარავლინა მან ერთი წინაშემდგომელთაგანი, უცხო თესლი, და მან მოჰკუეთა თავი მისი მახულითა“¹²⁵. სხვა ძეგლებში კი ანალოგიური დავალებით წარავლენენ ზოლმე ვინმე მსახურთაგანს. ამდენად. ამ შემთხვევაშიც მსახური და წინაშემდგომელი ერთმანეთის სინონიმებად გვევლინება.

ამავე თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა წარმოდგენა ზეციურ წესრიგზე. აი როგორ წარმოგვიდგება ჩვენ ქრისტეს საუფლო:

არის უფალი ღმერთი, რომლის მიმართ ყველა მსახურად განიხილება, როგორც საერო, ისე სასულიერო მესვეურები, მაგრამ სასულიერო პირები, როგორც უფრო დაახლოებული უფალთან, მისი წინაშემდგომელი მსახურები არიან. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მღვდელი მატოი ასე მიმართავს მპარავებს: „წინაშემდგომელი ვარ წმიდისა ღმრთისა-მშობელისაჲ, რომელმან-ცა პატყეულ გყოს შენ წარმდები ევე“¹²⁶. ამრიგად მატოი, როგორც მღვდელი, წინაშემდგომელი მსახურია ღმრთისმშობლის, იმ დროს, როცა საერო პირები, თუმცა ღმრთის მსახურები არიან, მაგრამ წინაშემდგომელები არ არიან. გარდა მიწიერი მსახურებისა, უფალ-

¹²⁴ ძე. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლ., ტ. I, გვ. 261.

¹²⁵ იქვე, გვ. 170.

¹²⁶ იქვე, გვ. 284.

ლმერთს ყავს თავისი პირადი ბანაკი, რომელიც შედგება ზეცური მსახურებისაგან — ანგელოზებისაგან.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“¹²⁷ მიხედვით მირიანი შემდეგნაირად აღწერს სვეტის დადგინების ამბავს:

„ხოლო ღმერთმან მალაღმან მოავლინა ერთი მსახურთა მითისაგანი და წამის-ყოფითა მისითა ქუეყანით ცად აღიწია“¹²⁷.

ამრიგად, ანგელოზები ქრისტეს, როგორც უფლის მიმართ, მსახურები არიან, ამავე დროს ისინი ქრისტეს წინაშემდგომლებიც უნდა იყვნენ. თუ მატრი უწოდებს თავს ღმრთისმშობლის წინაშემდგომს, ანგელოზები როგორც ღმრთის უშუალო მსახურები, მით უფრო უნდა ყოფილიყვნენ მისი წინაშემდგომლები.

ამ მხრივ საინტერესოა ოთხთავის მონაცემები. ერთგან ქრისტე ამბობს:

„თუ ვინმე მე მსახურებს, მე შემომიდევინ; და სადაცა მე ვიყო მუნცა მსახური ჩემი იყოს. და უკუეთუ ვინმე მე მსახურებდეს, პატივსცეს მასმამან ჩემმან“¹²⁸. ე. ი. ვინც ქრისტეს, როგორც უფალს, მსახურებს, მას უნდა შემოუდგეს და ყველგან ეახლოს. სამსახურის სანაცვლოდ კი ასეთ შემოდგომილ მსახურს პატივი მოეღოს. ერთი სიტყვით, ჩვენს წინაშეა ტიპური ვასალ-სიუზერენული ურთიერთობა.

ანალოგიური ვითარებაა დამოწმებული „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში.

„იყო მათ ჟამთა ოდენ გიორგი კაბადუციელი იწამა ქრისტეს-თვის, მათ დღეთა კაბადოკიადთ ქალაქით კაცი ვინმე მთავართა შესაბამი, მონაღმრთისაჲ, წარვიდა ჰრომედ მეფეთა წინაშე მსახურებად დანიჭისა მოღებად“¹²⁹.

ამრიგად, „მთავართა შესაბამი კაცი“ მიღის მეფის წინაშე მსახურად და „ნიჭისა მოღებად“. აქაც ვასალური ურთიერთობის დამყარებასთან გვაქვს საქმე და ასეთი ვასალი თუმცა თავისი წარმომოხმობით ის „მთავართა შესაბამია“, მსახურად იწოდება. ის მსახურია მეფის წინაშე. მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე იობენალის და სუსანას ცხოვრების აღწერასაც: იობენალი და სუსანა მთავრის

¹²⁷ ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლ., ტ I, გვ. 159. იხ. აგრეთვე „ცხოვრებაჲ გრიგოლ ხანკულისაჲ“, იქვე, გვ. 315,

¹²⁸ იოვანე 12, 26.

¹²⁹ ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლ. ტ. I, გვ. 106.

შვილები არიან. ობლად დარჩენილები ისინი ეძებენ პატრონს, სიუ-ზერენს. „აღდგეს და წარვიდეს იერუსალმში“ — გვამცნობს წყარო, „ყრმა იგი მიემთხვა დეცეტლარობასა, ხოლო სუსანა მსახურებდა ნიაფორსა სარა ბეთლემელსა“¹³⁰. შემდეგ ამ სუსანას თავისივე უფლის სარას შუამდგომლობით გააყოლებენ მეფის წინაშე უკვე სახელ მოხვეჭილ ზაბილონს. ამრიგად, ვასალის ვათხოვება პატრონის უშუალო ჩარევით ხდება და ა. შ. აქ საინტერესოა, რომ მთავრის შვილი და პატრიარქის და სუსანა მსახური სარა ბეთლემელის.

აქეთვე ვითარებას აქვს ადგილი „აბოს ცხოვრებაშიც“. აბო არ იყო დაბალი წარმოშობის, მან, როგორც წყარო გვამცნობს, თავის ქვეყანაში „დაუტევა მამამ და დედამ და ძმანი და დანი და ნათესავნი და მონაგებნი და აგარაკები“ და „ინება წარმოსცლამ თვისი აქა ერისმთავრისა მის ნერსმს თანა და შეეყო იგი მსახურად მისა“¹³¹. ამრიგად, აბომ აირჩია თავისთვის უფალი და გაყვა მას. ამ შემთხვევაში, ზაბილონისა არ იყოს, აბოს მამობრავებელი მიზანიც უფლის წინაშე სამსახურის სანაცვლოდ „ნიჭი ნოღება“.

აბო ნერსე ერისთავის წინაშემდგომელია, ის მის უშუალო პირადი ამალის შემადგენლობაში შედის. აბო თან ახლავს მას იმ სამას მხედართან ერთად, რომელთა მეშვეობით ნერსე ბრძოლით გაივილის დარიალს და გადავა ხაზარებთან.

წინაშემდგომელის და მსახურის ურთიერთ მიმართების თვალსაზრისით საინტერესოა ოთხთავის შემდეგი ადგილი:

„და ვითარცა ესე თქუა მან, ერთმან წინაშე მდგომელმან მსახურმან ჰსცა ყურიმალსა იესუს და ჰრქუა“¹³².

აქაც, როგორც ვხედავთ, მსახური გვევლინება წინაშემდგომელად. როგორც „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებიდან“ ჩანს, წინაშემდგომლები, იგივე მსახურები და „საკუთარნი“ უფლსა, სხვადასხვა რანგისა იყვნენ.

მას შემდეგ რაც „ყმა“ ხმარებიდან დევნის „მონას“ (X-ს), „მსახური“ ახლა „ყმის“ სინონიმად გამოიყენება ხოლმე. აქეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე მაგ., პეტრიწონის ტიპიკონში.

¹³⁰ ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლ. ტ. I, გვ. 106—107.

¹³¹ იქვე, გვ. 56, 57.

¹³² იოვანე, 18, 22.

მ. ბერძნიშვილი, რომელიც სპეციალურად განიხილავს ამ ტერმინებს პეტრიწონის ტიპიკონის მიხედვით, მიღის დასკვნამდე, რომ ორივე ეს ტერმინი აღნიშნავდა ვასალს, ამასთან, ავტორის აზრით, მსახური ყმაზე უფრო დაბალი რანგის ვასალია¹³³.

ჩვენი აზრით, ტაბაკონის ტექსტი ამ უკანასკნელი დასკვნის საფუძველს არ იძლევა. განვიხილოთ იგივე მუხლები, რომლებსაც ეყრდნობა მ. ბერძნიშვილი. ამ ძეგლის თავების დაათვაობაში ვკითხულობთ:

„[25] თავი

ნ ა თ ე ს ა ვ თ ა და მ ს ა ხ უ რ თ ა ჩ უ ე ნ თ ა ქ ა რ თ ე ე ლ თ ა თ -
ვ ს, რომელნი წესსა მონაზონებისასა მოვიდენ, თუ ვითარ ჭერ-არ[ს]
შეწყნარება მათი...“¹³⁴ ხოლო თვით 25 თავში აღნიშნულია: „თვს-
თა და ნ ა თ ე ს ა ვ თ ა ჩ უ ე ნ თ ა და ყ მ ა თ ა ჩ უ ე ნ თ ა ქ ა რ თ ე ე ლ თ ა,
რომელნიცა მონაზონებ[ისა] წესსა მოვიდოდინ, თუ ვითარ ჭერარს
შეწყნარება მათი“¹³⁵.

აქ, როგორც ვხედავთ, „მსახური“ და „ყმა“ ერთმანეთს სრულ შესატყვისებად იხმარება. განვავრდოთ შემდეგ.

ყმა ამ ძეგლში იხსენიება შემდეგ კონტექსტებში:

1. „მოვეც... ეკლესიასა... ყ მ ის ა ჩ ე მ ის ა ვ არ დ ა ნ პ რ ო ნ ო ი -
ტისისა კელითა განძითა ჩემითა ნასყიდნი სახლნი“¹³⁶.

ეს აღგოლა არაფერს გვეუბნება ყმაზე, როგორც მსახურზე უფრო მაღალი კატეგორიის ვასალზე.

2. „უფრომსლა ყოველნივე თვსნი და ნ ა თ ე ს ა ვ ე ნ ი და
ყ რ მ ა ნ ი ჩ ე მ ნ ი ჩ ე მ ი თ ა მ ო ს წ რ ა ჟ ე ბ ი თ ა მ ს ა ხ უ რ ე ბ ი თ ა და ჩ ე მ ლ ა
მომართ საყვედურისა დაღებითა არიან მოთხუეულ დაღებასა და
კეთილის მოქმედებასა წმ-ნდათა მეფეთა ჩემთაგან“¹³⁷.

3. „ხოლო უკუეთუ ზემო თქმულთა ამათ ნ ა თ ე ს ა ვ თ ა და
ყ რ მ ა თ ა ... აღკუეცად ინებონ“¹³⁸.

¹³³ მ. ბერძნიშვილი, ქართულ-ბიზანტიური სოციალური ტერმინოლოგიიდან, მაგნე. ისტორიის... სერია, № 1, 1977, გვ. 53.

¹³⁴ ქართ. სამ. ძეგლები, III, გვ. 40.

¹³⁵ იქვე, გვ. 86.

¹³⁶ იქვე, გვ. 45—46.

¹³⁷ იქვე, გვ. 78.

¹³⁸ იქვე, გვ. 87.

მსახური აქ ვკვებდება შემდეგ კონტექსტებში:

1. „რამათმცა ნათესავთა ჩემთა-გინა მსახურთა ლელატისა ამლებთაგანი მიზეზითა ჩემგან მათლა ლელატისა დატეობისათა ველ-ყოს...“¹³⁹.

2. „სხუამ ოქრობეჭედი ერთი, რამათა კელმწიფებამა მაქუნდეს პროსტინთა ჩემთა, ვინამცა მენებოს ნათესავთა ჩემთა და მსახურთა ჩემთა, დალაცათუ სომეხნი იყვენენ სარწმუნოებითა“¹⁴⁰.

ერთი შეხედვითაც კი აშკარად ჩანს. რომ ამ ძეგლში მსახური და ყმა ერთმანეთის სრულ შესატყვისებადაა ნახმარი. იმ დროს, როცა ერთი კომპონენტი წინადადებისა ყოველთვის უცვლელი რჩება. „ნათესავი“, მეორე კომპონენტი ორი ტერმინითაა წარმოდგენილი: „ყმა“ და „მსახური“. ამიტომ, ვფიქრობთ, აქ არ ჩანს, რომ მსახური, როგორც ვასალი, დაბლა დგას ყმაზე, როგორც ვასალზე. ერთადერთი ადგილი, სადაც ყმა და მსახური ერთდროულადაა ნახმარი, შემდეგია:

„აწ უკეთუ გამოჩნდეს გინა მტკიცეთა და ქეშმარიტთა თვსთა ჩემთაგანი, ანუ თვსად ჩემდა სახელდებულთაგანი ვინმე, ანუ მსახურთა და ყრმათა ჩემთაგანი წინააღდგომად ეკლესიისა... ჩემისა... წყეულ იყავნ“¹⁴¹.

ამ ერთადერთ შემთხვევაშიც, როგორც ვხედავთ, მსახური უფრო წინაა დასახელებული, ვიდრე ყმა. აქაც მსახური და ყმა, ჩვენი აზრით, სინონიმებია.

ტაძიკონის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ადგილი მხოლოდ ამტკიცებს ჩვენ მიერ უკვე გამოთქმულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ „მსახური“, როგორც ვასალის აღმნიშვნელი ტერმინი, იხმარებოდა ჯერ „მონის“, ხოლო შემდეგ „ყმის“ სინონიმად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, XI—XIII სს-ში. მსახური ეწოდა კონკრეტულ სოციალურ ფენას, გლეხთა კლასის მაღალ წოდებას. მიუხედავად ამისა, მან თავისი ზოგადი მნიშვნელობა მაინც შეინარჩუნა და პარალელურად მაინც დარჩა საერთოდ ყოველნაირი დაქვემდებარების აღმნიშვნელ ტერმინად. ამავე დროს, როგორც ჩანს, გაჩნდა საჭიროება მისი ზოგადი და კონკრეტული

¹³⁹ ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 75.

¹⁴⁰ იქვე, გვ. 99.

¹⁴¹ იქვე, გვ. 76.

მნიშვნელობების ერთმანეთ-საგან გამოჯენისა. შესაძლებელია ამან განაპირობა ტერმინ „მოსამსახურის“ წარმოქმნა. ეს ტერმინი დაახლოებით XIII ს-ში უნდა გაჩენილიყო. ყოველ შემთხვევაში პირველად მას ვხვდებით გორგი ბრწყინვალის „ძეგლის დებაში“ (XIV ს.).

„ბეთალმანად რაც პარტახტი და მამული დარჩეს...

და თუ დარბაზით მისისა ბოძებისა უღირსი იყოს, ერისთავმან და განმგებელმან მისცენ და აგრეთვე მებეგრედ და მოსამსახურედ იყვნენ“¹⁴².

XV ს-ში ტერმინი „მოსამსახურის“ ხმარებას ვხვდებით იოვანე კუმურდოელის ფიცის წიგნში და ალექსანდრე მეფის მიერ ზევდგინიძეებისადმი მიცემულ სიგელებში (ამ საბუთებს ჩვენ ქვემოთ კიდევ შევხვებით). XV-ს-იდან მოყოლებული „მოსამსახურის“ ხმარება სულ უფრო ხშირდება და ის ენაცვლება „მსახურს“, მისი ზოგადი მნიშვნელობით ხმარების შემთხვევაში.

ამრავად, თავისი პირვანდელი ზოგადი მნიშვნელობა მსახურმა-მოსამსახურემ ბოლომდე შეინარჩუნა. მაგალითად, ერეკლე II თავის სათხოვრის წიგნში ეკატერინე II-ადმი აღნიშნავს:

„და ყოველნი ჩემნი მომავალნი რუსეთის მონარხის ერთგულნი მონანი და მოსამსახურენი იყუნენ“¹⁴³.

ასეთვე მნიშვნელობით გვხვდება ეს ტერმინი განჩინებაში ალავერდის ყმის ბაქრაძის საქმეზე (1772 წ.):

„არც საწინამძღრო ყოფილან ძველადგან ეს ბაქრაძენი, არც წინამძღურისათვის უმსახურიათ, ძველადგან ალავერდლის აზნაურშილნი და მსახურნი ყოფილან და მოსამსახურენი“¹⁴⁴.

ამრიგად, აზნაური ბაქრაძე ალავერდელის მსახური და მოსამსახურეა ანუ ალავერდელისადმი დაქვემდებარებული პირია. ასევე კაცია დადიანის შეწირულების წიგნში (1760 წ.) ვკითხულობთ:

„რომელიც მარტვილის მონასტრის საყდრისა... შემავალი... კაცები იყო, გლეხი თუ აზნაურ შვილი და ან აზნაურ შვილის ყმა წმინდისა ეკლესიის შენისა მოსამსახურე... ამით საურის გარდახთა... აღმოუწერეთ“¹⁴⁵.

¹⁴² ქართ. სამ. ძეგლ., ტ. 1, გვ. 413—414.

¹⁴³ ქართ. სამ. ძეგლ., ტ. II, გვ. 455.

¹⁴⁴ ქართ. სამ. ძეგლ., ტ. IV, გვ. 626.

¹⁴⁵ ს. კაკაბაძე, დას. საქართველოს საეკლ. საბ., II, გვ. 14.

აქაც გლეხი და აზნაური ერთნაირად ეკლესიის მოსამსახურე-
ებად განიხილებიან.

კუმურდოელ იოვანეს ერთგულების წიგნში კათალიკოს და-
ვითისადმი (XV ს.) წერია:

„თქვენისა საყდრისა მტერისა მტერნი ვიყუნეთ და ერთგუ-
ლთა მოყუარენი და მლოცველნი ვიყუნეთ, ვითა წესათ [ს]ძეს, მეძ-
ულნენი და მოსამსახურენი“¹⁴⁶.

ამრიგად, მცხეთის კათალიკოსისადმი დაქვემდებარებულები
და მისი მოსამსახურენი არიან ყველა დანარჩენი ეპისკოპოსები.

ამავე თვალსაზრისით ბატონის მსახურად — მოსამსახურედ
განიხილება ყველა ყმა გლეხი. მაგ., კაცია დადიანის ერთ საბუთში
(1750—1758 წწ.) ვკითხულობთ:

„ჩართვალა კოჩობა დაკარგული იყო და ჩვენ ამოვიყვანეთ მისი
ცოლშვილიანათ და თქვენ შუაქალაქს დაგისახელთ... სხვა ბეგარა
არა რა დაგვიც ამის მეტი რომ ყოველს გიორგობას თვითო შამა-
ხურს სანთელს და ერთი რუბის საკმეველს ჩვენად სასულეიროდ
თქვენ მოგართმევედეს. რასაც შემძლებელი იყოს, ეკლესიის
მოსამსახურე იყოს... არა სახარჯო ამას არ ეთხოვოს“¹⁴⁷.

მსგავს ცნობას გვაწვდის სოლომონ I-ის შეწირულების წიგნი
გელათისადმი (XVIII ს.):

„მსახურად და ბეგარის მომართვევად შემოღწი-
რეთ ურია ჩახვაშვილი და ვით და მისი ძმა ისხაკა, ასე რომე ათ
ჩარექს სანთელს და ერთ ჩარექს საკმეველს მარიობის თვეშიდ
მოგართმევედეს ყოველს წლის თავზე“¹⁴⁸.

კაცია წულუკიძის წყალობის წიგნი მისი ყმის მამუკა რუხაძი-
სადმი (XVIII ს.) გვამცნობს:

„ჩემს ერთგულ მოსამსახურეს რუხაძეს მამუკას...
უამთა ვითარებისაგან დიდი ბეგარა დაგდებოდათ... მისი ნახევრის
ამოკვეთვა რადგან გვევედრევი, ვედრება თქვენი ვისმინეთ და შეძ-
ლებისამებრ თქვენისა ქრთამიეც გამოგართვით... აწ, ბეგარა ასე და-
გადევით“...¹⁴⁹ ან კიდევ:

„მეფე თეიმურაზ გ[ი]ბრ[ძანე]ბთ ერთობილნო მანგლისის
მლ[უ]თის მშობელის ყმანო და სამწყსონო! მერმე რარიგა-

¹⁴⁶ ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 196.

¹⁴⁷ ს. კაკაბაძე, დას. საქართ. საეკლ. საბ. II, გვ. 10.

¹⁴⁸ იქვე, გვ. 18.

¹⁴⁹ ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ის-
ტორიიდან, II, გვ. 286, საბ. 448.

დცა ამას წინათ და ბატონის მანგლელისათვის გემსახუროს, მოუდევით და ისრევე მსახურეთ“¹⁵⁰.

მსახურის ზემოთ განხილულ ფართო მნიშვნელობის გამოვლინებაა ის, რომ მსახური ეწოდებოდა ყველა იმ პირს, რომელიც ბატონის კარზე რაიმე საქმიანობას ეწეოდა, რაღაც ხელს ფლობდა.

როგორც ხელმწიფის კარის გარიგებიდან ვიცით, მსახურთუხუცესის საგამგებლოში შედიოდნენ მესაწოლეები; ამრიგად, მესაწოლეები მსახურები იყვნენ. ვინ არიან ეს მსახურები, რომლებიც მესაწოლეების თანამდებობას ფლობენ? „და შუდასი სახლი მესაწოლე არის; და გლეხი რვა სახლია და სხვა ყოველივე — აზნაური“¹⁵¹ — ვკითხულობთ წყაროში. ამრიგად, ეს მსახური მესაწოლეები აზნაურებიც არიან და გლეხებიც, უფრო სწორად — თითქმის ყველა აზნაურია.

ამ მხრივ საინტერესოა ალექსანდრე მეფის ზევდგინიძეებისადმი გაცემული სიგელები. ავთანდილ ზევდგინიძისადმი გაცემულ წყალობას წიგნში (1425 წ.) ვკითხულობთ:

„აწ, ვინცა ნახოთ ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი: შემდგომად ჩუენსა მომავალთა [მეფეთა] და დედოფალთა .ერისთავთ-ერისთავთა და კარისა ჩუენისა ვაზირთა, მოსაქმეთა, მეჩინიბეთა, მერემაეთა, მეულუფეთა, პურისა და საკლავისა მკრებელთა, ტყუისა მპარავთა, მეულაყეთა, მეძებრეთა, შესაბანჯრეთა, და ყოველთავე კარის ჩუენით წარვლენილთა მსახურთა, დიდთა და მცირეთა დაუმტკიცეთ“¹⁵².

ალექსანდრესავე მიერ იმავე ავთანდილ ზევდგინიძისადმი გაცემულ მეორე სიგელში (1429 წ.) კი წერია:

„და ვინცა ნახოთ... მეფეთა და დედოფალთა და ერთისთავთა კარისა ჩუენისა ვაზირთა და მო[უ]რავთა, გორისა და ატენის მოურავთა და ციხონათა, მეჩინიბეთა, მერემაეთა, ბაზირთა, მეულუფეთა, პურისა და საკლავისა მკრებელთა ტყუისა მპარავთა, მეძებართა, მებანჯრეთა და ყოველთავე კარიით ჩუენით წარვლენილთა მოსამსახურეთა, დიდთა და მცირეთა დაუმტკიცეთ“¹⁵³.

¹⁵⁰ ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოც. ისტორიიდან. I, გვ. 21, საბ. 26.

¹⁵¹ ქართული სამ. ძეგლები, II, გვ. 84.

¹⁵² იქვე, გვ. 118.

¹⁵³ იქვე, გვ. 119.

ამრიგად, როგორც ჩანს, აქ ჩამოთვლილი მეფის მოხელეთა ნაწილი მაინც მეულუფენი, პურისა და საკლავის მკრებელნი, ტყუი-სა მპარავნი, მეძებარნი, მესაბანჯრენი და სხვები, მეფის მიერ წარ-გზავნილნი მისი მოსამსახურეები არიან. დიდნი და მცირენი. ასე-თივე კარის მოხელე-მოსამსახურეებს უნდა გულისხმობდეს პეტრე ერისთავის ძის ჯრუჭის მონასტრისადმი გაცემული წიგნის (XVIII ს.) შემდეგი გამონათქვამი:

„არის ამისი გამრიგე და მოწამე კვარის მოურავი. ბერი, ჩემი მოურავი ბახუტაშვილი ბაქრაძე ბერი, უგრეხელიძე გიორგი და ყ [ო ვ ე] ლ ნ ი მ ს ა ხ უ რ ნ ი და მ ნ ე ნ ი ს ა ხ ლ ი ს ა ჩ ე მ ი ს ა ნ ი“¹⁵⁴. აქ პეტრე ერისთავის-ძის სახლის მსახურებაში ჩამოთვლი-ლი მოურავებიც შედიან.

იმის მიხედვით, თუ რამდენად საპატიო იყო ესა თუ ეს თანამ-დებობა კარის მსახურები — მოსამსახურეები იყოფოდნენ დიდებად და მცირეებად. მოხელის სინონიმად გვევლინება მსახური||მოსამსა-ხურე ვახტანგ VI-ის დასტურლამალშიც (XVIII ს.). აქ გვხვდება: „სახაბაზოს მოხელენი“, „სამზარეულოს მოხელენი“, „სადვინოს მო-ხელენი“ და სხვ. იმ თავში კი, რომელშიც საუბარია თუ „მოხელენი როგორ უნდა მოიქცეოდნენ“, ვკითხულობთ:

„რომელმანც ჭამის მოკელემან და მოსამსახურემან თავის სამსახური გა[ა]თოს და იქ დგომის ნისპათი აღარ ჰქონდეს, კარში გავიდეს და იქ იდგებოდეს“¹⁵⁵.

ასევეა იმერთა მეფის სოლომონ II-ის მიერ იმპერატორ ალექ-სანდრე I-ისადმი გაგზავნილ სათხოვარში.

„და აგრეთვე პასუხის-გამცემ ვიყვნეთ სიმრთელისა და უნებე-ლობისათვის გზათა მათ ზედა გამვლელთა ქარავენთა სხვა და სხვა ზარისხის კაცთა და უფროლა სამხედრო მოსამსახურე-თა“¹⁵⁶. აქაც მოსამსახურე მოხელის მნიშვნელობის მქონეა.

განხილული მაგალითები ყველა საერო ფეოდალთა სახლებს ეხება, მაგრამ ანალოგიური ვითარება იყო ეკლესიაშიც: საყდრის თუ მონასტრის ყველა მოხელე, ანუ ხელის მქონებელი, ან რაიმე საქმის მოსაქმე ამავე დროს მსახური — მოსამსახურე იყო. პეტრი-წონის ტიპიკონში ტერმინი მსახური მთელ რიგ შემთხვევებში სა-

¹⁵⁴ ო. ს. ო. ს. ე. ლ. ი. ა., მასალები დას. საქართველოს სათავადოების მმართველობის ისტორიისათვის, მსკი, ნაკვ. 31, 1954, გვ. 155.

¹⁵⁵ ქართული სამ. ძეგლები, II, გვ. 255—256.

¹⁵⁶ იქვე, გვ. 564.

ერთოდ მოხელის, ხელისუფლის სინონიმადაა ნახმარი. მაგ., 47-ე თავის სათაური შემდეგია:

„რავდენობისათვის მონაზონთაჲსა და რაცხესა რომელნი დავაწესენით, რაჲთა არა დააკლდენ, არცა ამთგან საკმარი პურის ფასად, იგინა ძლუნად იძიოს, და თუ რავდენთაჲ ჯერ-არს ამათგან მსახურად და ქელისუფლად დაყენებამ, ანუ ვითარ სახედ“¹⁵⁷.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, მსახურად და ხელისუფლად დაყენება იგივეობრივი ცნებებია. პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონის მერვე თავში, რომელიც მიძღვნილია „ტრაპეზისა შემზადებისათვის და მსახურთა ღუმილით და სიმშვიდით მსახურებისა“-დმი, წერია:

„გარნა წუთლა უპირატეს მსახურთათეს გუნებაჲს განცხადებულად თქმად და რომელნი იმსახურებიან. ესე იგი არს, რომელნი დასხდებიან ტაბლასა და რომელნი ზედგანან მსახურებად და ზედა მდგომელთა და განგეთა კეთილად წესიერებისათვის და სიმტკიცისა“¹⁵⁸. ამგვარად, ტიპიკონის ეს ადგილი განასხვავებს ერთმანეთისაგან მსახურებს და პირებს, „რომელნიც იმსახურებიან“, ანუ პირებს, რომლებიც დასხდებიან ტაბლასა, და პირებს, რომლებიც მათ ფეხზე დგომით ემსახურებიან. თუ ამ ადგილს შევადარებთ ვახტანგ VI-ის „დასტურლავალის“ ზემოთ მოყვანილ ადგილს, დავრწმუნდებით, რომ ეს პეტრიწონის ტიპიკონის მსახურები, ვახტანგისეული ჭამის მოხელე-მომსახურეები არიან. ასევეა „ვაჰანის ქუაბთა განგება“-ში. „ხოლო მსახურნი ი:.. რომელნი ყოველსავე ტრაპეზისა და [სამშ] არეულოჲსა და სახაბაზოჲსა ზამსახურსა აღასრულებდენ“¹⁵⁹.

ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე ტიპიკონის 29-ე თავი, სადაც ვკითხულობთ:

„აღუაშენეთ ქსენადომი ერთი... განუწესე წისქვილიცა ერთი სასეფოთა წისქვლთაგან, რომელ არიან სტენიმახს, რაჲთა საფქ-[ვ]ავსა დაუფქვიდეს. და გლეხი ერთი უღლისა უფალი თავისუფლად სხვსა ყოვლისა სამსახურებელისა და ქირისაგან მასვე სოფელსა

¹⁵⁷ ქართ. სამ. ძეგლები, III, კვ. 56.
¹⁵⁸ ქართ. სამ. ძეგლები, II, კვ. 59.
¹⁵⁹ იქვე, გვ. 137.

შენა. რაიმთა ოდენ სამწიროსა მას კმსახურებდეს შეშისა მოღებითა და წყლსაიმთა და სხუად, რაჲცა უკმდეს სამსახურებელი...

ხოლო ქსენადოში მარმარისად, რომელ არს კიდსა ზედა, და მეორე ქსენადოში ნიკოლ წმიდისად, რომელ არს ზღუს კიდესა რონელნი აღვაშენენით საჯარად ნეტარისა ძმისა ჩუენისა, ღანვაწესე გვრეთვე. რაიმთა, იყენენ მსახურად მათ შინა მონაზონნი ორნი: ერთი მუნ და ერთი მუნ... და გლახი ერთი გაუთავისუფლონ მფქვევლად და მრეშუელად და მერწყულად და სხუა რაჲცა უკმდეს ქსენადოშსა მსახურად¹⁶⁰.

როგორც ვხედავთ, დაბალი კატეგორიის პირები, როგორებიც იყვნენ შეშისა და წყლის მომტანი გლახები, ან მფქვეველ-მრეშუელი, აგრეთვე მსახურად იწოდებოდნენ. ასეთი დაბალი კატეგორიის სამსახურს XVI—XVIII სს. დას. საქართველოში გლახთა უდაბლესი კატეგორია — მოჯალაბე ასრულებდა. ამავე დროს მსახური შეიძლებოდა მონაზონიც ყოფილიყო. ასევე მონასტრის მსახურებად გვევლინებიან: იკონომოსი, მექუბრუღე, მეგანძური დოშიარი. პეტროწონის ტიპოკონის 26-ე თავში, რომელიც ეძღვნება ამ მოხელეების „ლოლარისა მქნას“, ვკითხულობთ:

„და უკუეთუ ამთგანსა ვისმე მოხეუეჟოს ანუ ცუდად წარეგოს საემართაგან ეკლესიისათა ჳერ-არს, რაიმთა... თუთ განიძოს მსახურებისაგან თუ სისა¹⁶¹.“

სოლომონ I-ის შეწირულობის წიგნის გენათელ ეფთვიმისეულ მანაწერში (1783 წ.) საყდრის მსახურ//მოსამსახურებდად გვევლინებიან საყდრის მოურავები:

„ყმა პატარიძე ნიკოლოზა განვაწესე მე.. გენათელ მიტროპოლიტმან ეფთვიმიმ სოხასტრის ყმის მოურავათ. თუმც ის ნიკოლოზა პატარიძე სოხასტერზედ მჯდომის წინამძღვრის ჳემარიტის (sic) გონებით მოსამსახურე იქნნება და იმ ეკლესიისათვის კეთილად იღვაწოს და აგრევე მისმა შვილმა და მომავალმან თუ შეიძლოს იმისი მსახურება, არც მას და არც მის შვილს დ მომავალს სოხასტრის ყმისა მოხელობა არ გამოერთვას¹⁶².“

ისევე, როგორც საერო ფეოდალთა სახლის მოხელე-მსახურებო, ეკლესიის და მონასტრის მოხელე-მსახურებიც, როგორც ჩანს, გაიყოფებოდნენ დაბალი და მაღალი რანგის მსახურებად.

¹⁶⁰ ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 90—91.

¹⁶¹ იქვე, გვ. 87.

¹⁶² ს. კაკაბაძე, დას. საქართ. საეკლესიო საბ. II, გვ. 78.

მართლაც, ცხადია, რომ მოურავი, მამასახლისი, იკონომოსი, მეჭურჭლე, მეგანძური, მფქვეველ-მრეშეელი და შეშის მზიდველი ერთი რანგის მსახურებად ვერ ჩაითვლებიან. როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, მონასტრის და ეკლესიის მოხელეები და აგრეთვე სპეციალურად განკუთვნილი მოსამსახურეები მსახურებად იწოდებოდნენ და, ამრიგად, განსხვავდებოდნენ მონასტრის გლეხთაგან, რომლებიც თუმცა საყდარს ბეგარას უხდიდნენ, მაგრამ უშუალოდ კონკრეტულ სამსახურს მის მიმართ არ ასრულებდნენ. სწორედ ასეთ დაპირისპირებაში იხსენიებიან მონასტრის მსახურები მონასტრის გლეხებთან პეტრიწონის ტიპიკონის მიხედვით:

„მსახურთა და მუშაკთა მონასტრისათა და გლეხთა მიხთა“¹⁶³. აქ მსახურები არიან ისინი, რომლებიც მუშაკნი არიან მონასტრისა, ანუ უშუალოდ იღვწიან, მუშაკობენ მონასტრისათვის. მათგან განსხვავდებიან მონასტრის გლეხები.

ამრიგად, მსახური // მოსამსახურე ეწოდებოდა როგორც მეფის და საერო ფეოდალთა სახლის მოხელე-მოსამსახურე პერსონალს, ასევე საყდრს, მონასტრის მოხელე-მოსამსახურე პირებს.

აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ეკლესიის მსახურებად იწოდებოდნენ ის პირებიც, რომელთაც რაიმე შეეწირათ ეკლესიისათვის, რადგან შეწირვა, თავისთავად, ეკლესიისადმი სამსახურის გაწევას გულისხმობდა. მაგ., გრიგოლ სურამელის შიომღვიმისადმი მიცემულ შეუვალობის განახლების დაწერილში ვკითხულობთ:

„თუ ღმერთს უნდეს, სხვითაცა სამსახურითა წმინდის უდაბნოსთა გარდავივდი, თუ ღმერთმან ეამ მომცეს; და თუ არა, ძესა ჩემსა ბეგას დავანდობ, თუ ღმერთმან დღენი მისცნეს, ვითა გუინდა მან მსახუროს წმიდასა უდაბნოსა მღუიმიასა“¹⁶⁴.

ამრიგად, ტერმინ „მსახურის“ ზოგადი მნიშვნელობა, ჩვენი აზრით, სავსებით ნათელია: მსახურთა ყველადაქვემდებარებულ პირი, ყველა ის, ვინც ვინმეს მიმართ რაიმე სამსახურს ასრულებს.

XI—XIII სს-ში ამ ტერმინმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიიღო უფრო ვიწრო მნიშვნელობაც. ამ დროიდან ის აღნიშნავდა გლეხთა ზედა წოდებას.

¹⁶³ ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 82.

¹⁶⁴ ქართ. სამ. ძეგლ., II, გვ. 37.

5. მსახური, როგორც გლახთა ზალა წოდება, მისი წოდებრივი
ნიშნები და ფუნქციები

ახლა განვიხილოთ, თუ რა ადგილი ეჭირა მსახურს გლეხთა-საერთო მასაში. რა მიმართებაში იყო ერთმანეთთან „მსახური“ და „გლეხი“, ამ ტერმინების ვიწრო, ერთმანეთთან დაპირისპირებული გაგებით (ასეთი ვიწრო მნიშვნელობით ვიხმართ ქვემოთ ყველგან ამ ტერმინებს, ისე როგორც ამას ადგილი აქვს ოფიციალურ კანონ-ნდებლობებში — ბექა-ალბუღას და ვახტანგის სამართალში). უპირ-ველეს ყოვლისა, მსახურს და გლეხს ერთმანეთისგან განსხვავებუ-ლი სისხლის ფასი ჰქონდათ, როგორც XIII—XV სს-ში (ბექა-ალ-ბუღას სამართლის მიხედვით), ისე XVII—XVIII სს-ში (ვახტანგის სამართლის მიხედვით). ამის გამო ბუნებრივად იბადება კითხვა: ხომ არ ქმნიდნენ მსახურები და გლეხები ისეთივე ორ (ზედა და ქვედა) წოდებას, ჩაგრულ კლასში, როგორც დიდებულები და აზ-ნაურები — გაბატონებულ კლასში? მაგრამ ქართული სამართლის კრებულებში სისხლის ფასით მართო წოდებები კი არ განსხვავდებოდა, არამედ წოდებებს შიგნით კატეგორიებაც. მაგ., დიდებულის თავადი, შუა თავადი, უმცროსი თავადი; გადიდებული აზნაური, შუა აზნაური, ცალმოგვი აზნაური. ამრიგად, ვახტანგის სამართალ-ში გაბატონებული კლასი წარმოდგენილია ორი წოდებით — თავადი და აზნაური, ხოლო ეს წოდებები ეკონომიური შექმლების მიხედვით იყოფიან კატეგორიებად. ყოველივე ეს სამართალში ასახულია სისხლის განსხვავებული ფასით. მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ გადიდებული აზნაური შუა და ცალმოგვი აზნაურებთან ქმნის ერთ წოდებას და არა უმცროს თავადთან. ისევე როგორც ეს უქნასკნელი ერთ წოდებაში იგულისხმება დიდებულ თავადთან და არა გადიდებულ აზნაურთან. ერთ წოდებას მეორე წოდებისაგან განსხვავებს არა ეკონომიური ფაქტორი, არა-ნედ მისი წარმოშობა. წოდებებს შიგნით კი კატეგორიებს შორის განსხვავება მემკვიდრეობითი არ არის: აზნაური აზნაურად იბადება და მართო ქონებრივი აღზევებით ვერ გახდება თავადი. რაში კლინდება წოდებრივი პრივილეგიები? ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში უმთავრესი წოდებრივი პრივილეგია, გარდა სისხლის ფასისა, შემდეგი იყო: უფრო მაღალ წოდებას შეეძლო ყმად ჰყოლოდა უფრო დაბალი წოდების წარმომადგენელი. მაგ., თავადს შეეძლო ყმად ჰყოლოდა აზნაური, იმ დროს, როცა თავადს ყმად ვერ იყოლიებდა თავადი, რაც არ უნდა „მცირე“ ყოფილიყო ის.

ასევე აზნაურს აზნაური ყმად ვერ ეყოლებოდა. თუ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი — ეს ანომალია იყო და არა სამართლებრივი ნორმა. ამგვარად, წოდებებს არსი მდგომარეობის მის მემკვიდრეობითობაში. წოდების განოვლინებაა სისხლს ფასი და წოდებრივი პრივილეგიები. რაც შეეხება წოდებებს შორის კატეგორიებს, ისინი ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში უმთავრესად ეკონომიური ხასიათისაა (ცხადია ეკონომიური სხვაობა ერთგვარად სოციალურსაც გულისხმობს: დიდებული თავადი, რა თქმა უნდა, მეტი პრივილეგიებით სარგებლობდა, ვიდრე მცირე თავადი, თუმცა ეს უკანასკნელი დიდებულ აზნაურზე მაინც განუზომლად მაღლა იდგა).

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ მსახურს. დაერწმუნდებთ, რომ სამივე ეს ფაქტორი — მემკვიდრეობითობა, სისხლის ფასი და წოდებრივი პრივილეგიები სახეზეა. მსახური მემკვიდრეობითი კატეგორიაა. მსახური იბადება მსახურად. ამაზე მეტყველებს თუნდაც ჩვენ შიერ უკვე ზემოთ განხილული ალექსანდრე II-ის ჭიკაურის ულუფის წიგნის ერთი ადგილი, სადაც ალექსანდრე ამბობს:

„და ჭიკაურთათ რვა კაცი მსახურად გუიახლებია, ოთხი მსახური და ოთხი მოყალნე“¹⁶⁵.

„მოყალნე“, როგორც ცნობილია, გლეხის სინონიმად გვევლინება. ამრიგად, მსახურად მეფეს გლეხის, ანუ მოყალნის ოჯახის წევრიც შეიძლება და წაეყვანა. მაგრამ ეს ოჯახი ამით მსახური არ ხდებოდა, ისევე გლეხად რჩებოდა. როგორც ვხედავთ, არსებობდა მსახურის ორი კატეგორია: მემკვიდრეობითი მსახური და პარადი მსახური. გარდა მემკვიდრეობითობისა მსახურს გააჩნდა გლეხისაგან განსხვავებული სისხლის ფასი და წოდებრივი პრივილეგია: მსახურს შეეძლო ყოლოდა ყმა გლეხი, იმ დროს, როდესაც გლეხს გლეხის ყოლის უფლება არა ჰქონდა (იგულისხმება იურიდიული ნორმა, რაც ხშირად ირღვეოდა).

ამრიგად შეგვიძლია დავასკვნათ: XI—ს—დან მოყოლებული საქართველოში არა მარტო გაბატონებული კლასი დაიყო ორ წოდებად (XI—XIV სს. დიდებულად და აზნაურებად, XV—XVIII სს. თავადებად და აზნაურებად), არამედ ჩაგრული კლასიც: მსახურთა წოდებად და გლეხთა წოდებად.

¹⁶⁵ ქართ. სამ. ძეგლ., II, გვ. 207.

დასავლეთ საქართველოში ამ ორ საგლახო წოდებას შეესაბამებოდა ორი განსხვავებული „სამსახურის რიგი“ მაგ., კაცია დადიანის შეწერულების წიგნში ვკითხულობთ:

„ერთობით მართებთ წინამძღვრის მუშაობა, მგზავრობა, შინაყმობა და ტვირთი, რაც გლახ კაცზე სამსახური სძეს ყოვლისფერი“¹⁶⁶. როგორც ვხედავთ, გლახის სამსახურის რიგი სრულიად განსაზღვრული იყო, ის მოიცავდა: მუშაობას, მგზავრობას, შინაყმობას და ტვირთს. სხვა საქმეა რომ გლახს შეიძლებოდა მუშაობა „შეაღწეული“ ჰქონოდა, ან სულაც „ამოკვეთილი“ ტვირთი „ამოწერილი“, „ლორი ამოკვეთილი“ და სხვ. ასეთი ტიპის გლახები ქმნიდნენ სხვადასხვა კატეგორიებს გლახობის წოდების შიგნით (გლახთა წოდებაზე და მის კატეგორიებზე ქვემოთ გვექნება საუბარი, ასე რომ აქ ამ საკითხზე აღარ შევჩერდებით).

გლახის სამსახურის რიგისგან განსხვავდებოდა „მსახურის სამსახურის რიგი“. მაგ., ეპისკოპოს ზინოწმინდელ იოანეს მიერ ნაკაშიძე ბეჟანისთვის მიცემულ წიგნში (XVIII ს-ის II ნახ.) ვკითხულობთ:

„რაც მსახურის რიგი იყო, ისე შინა ყმაც მოგაბარონ და სხვა რიგათაც გემსახუროს, როგორც სხვა მსახური გემსახურება“¹⁶⁷.

დასავლეთ საქართველოს გლახობა განაწილებული იყო ამ ორ წოდებაში. ბატონთან ახლად მოსული ან შეძენილი გლახებიც უერთდებოდნენ რომელიმე მათგანს. ეს ზნობრივად განსაზღვრული იყო თვით ყიდვის პერიოდში, თუ როგორ იყიდა ის ბატონმა. ბატონს შეეძლო ნაყიდი გლახის „გლახშიდ ჩაყენება“.

მაგ., „მერე მოციქულათ ჩამოვედით და გამსახურეთ და გლახშიდ ჩაყენეთ, ქრთამიც მოგართვა, როგორც გული შეგიჭერდებოდა, და სხვ“¹⁶⁸ საფიციარი მასაც მივეცი თ გლახის“¹⁶⁸.

ასევე ბატონს შეეძლო ყმის განწესება მსახურად — „მსახურის კაცის სამსახურშიდ განწესება“. მაგ., მამია გურიელის 1814 წლის შეწირულობის წიგნში შემოქმედის მონასტრისადმი ვკითხულობთ:

„ერთი მოსახლე სიხარულიძე იესე, მისი ძმა იოანე, კიდევ მისი ძმა ათანასე უმამულო უადგილონი არიან. მისი ბეგარა მისთ-

¹⁶⁶ სცია, ფ. 1148, საბ. 1562.

¹⁶⁷ ო. ს. ო. ს. ე. ლ. ი. ა., მასაღლე კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში, 1960, გვ. 20.

¹⁶⁸ ე. თ. ა. ა. მ. ე. ლ. ი., საქართველოს სიძველენი, I, 1920, გვ. 61.

ვის არ დავსწერეთ, როდესაც ადგილმამულით ვარჩენთ, მსახურის კაცის სამსახურშიდ განვაწესებთ“¹⁶⁹.

საჭიროა გავარკვიოთ, თუ რა იყო მსახურის ფუნქციები, რა ქმნიდა მსახურის, როგორც საგლეხო წოდების არსებას. როგორც ზემოთ ხინოწმინდელ იოანეს მიერ გაცემული საბუთიდან ვნახეთ, მსახურის სამსახურის რიგი გულისხმობდა შინაყმის მიცემას, მაგრამ შინაყმას გლეხიც იძლეოდა და აზნაურიც, რა ტიპის შინაყმას იძლეოდა მსახური: გლეხის ტიპისას, თუ აზნაურის ტიპისას? რაში გამოიხატებოდა მსახურის შინაყმობა?

როგორც ვახტანგის სამართლის 204-ე მუხლიდან ჩანს, გლეხის ოჯახის გაყრის შემთხვევაში მსახურს რჩება ხმალი, თოფი, ცხენი და იარაღი. იმ დროს, როცა გუთნის დედას რჩება გუთანი, მეცხვარეს — ცხვრის ქვაბი და სხვ., ე. ი. გლეხის ოჯახის გაყრისას ყველაფერი იყოფა იმის მიხედვით, თუ ოჯახის რომელი წევრი რა ფუნქციას ასრულებს და რა სჭირდება. მსახურს სჭირდება ცხენი და იარაღი, ე. ი. მსახურის ფუნქცია მრლაშქრეობაა (ძნელი საფიქრებელია, რომ მეღვინეს, ბაზიერს, ფარეშს, მზარეულს, ხაბაზს, გაყოფისას რგებოდა მაინცდამაინც ხმალი, თოფი, ცხენი და იარაღი!). ასეთ დასკვნამდე მივყევართ აგრეთვე ყველა ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ საბუთებს, სადაც მსახურის საწირავზეა საუბარი. ასეთებია მაგ., იმამყულისანის სიგელი ხარჭაშოსადმი (XVIII ს.), „ღმრთაების გუჯარი“ (XVIII), „წილკნის ღმრთისმშობლის სამწყსოს სიგელი“ (XVII ს.), „სამთავისის სამწყსოს საკანონოს წიგნი“ (XV ს.) და სხვ. ამ საბუთებიდან ჩანს, რომ მსახურის საწირავი ცხენი და იარაღი იყო. ამასვე ამტკიცებს ვახუშტის ცნობა, რომლის მიხედვით მსახური გლეხები ძველი „როქის სპის“ ფუნქციას ასრულებენ¹⁷⁰. ასევე XVI ს. საკათალიკოსო სოფლის ნაყანულის გამოსაღები ბეგრის ნუსხა, რომლის მიხედვით მსახურთა კომლების სამსახურებრივი ვალდებულება ლაშქრობაა¹⁷¹.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მალაქია კათალიკოსის „მოლაშქრე კაცთა ნუსხა“ (1616—21 წწ.).

„არის მოლაშქრე კაცები კათალიკოზის გურიელის

¹⁶⁹ ს. კაკაბაძე, საისტორიო კრებულო, II, 1928, ვვ. 87.

¹⁷⁰ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 33-31.

¹⁷¹ ქართ. სამართ. ძეგლ., III, გვ. 385.

შვილის მალაქიასი:

„... არის მანთხოვს აზნაურისშვილი და მსახური 19.

არის საქუჩულორიოს 3 მსახური.

არის ნავაზაუს 4 მსახური.

არის ხიბულას აზნაურისშვილი და მსახური 30...“¹⁷².

როგორც ამ ნუსხის და საეკლესიო გლეხთა გამოსაყალი ბეგრის დაფორების შედარებითი განხილვისას ვნახეთ, დაფორების მიხედვით გლეხებსაც ევალებოდათ ლაშქრობა (საერთოდ, ლაშქარნადირობა გლეხთა ძირითადი მასის მოვალეობასაც შეადგენდა), მაგრამ ისინი მალაქიას „მოლაშქრეთა ნუსხაში“ შეყვანილები არ არიან. ამ მოვლენას ერთადერთი ახსნა შეიძლება მოენახოს: მალაქია აღწუსს ავსთა ავსთა მუდმივ მოლაშქრე-მხლებლებს. ასეთები კი არიან აზნაურები და მსახურები: გლეხებს ევალებათ ლაშქრობა მხოლოდ ომიანობის შემთხვევაში.

მსახური რომ ასეთი მუდმივი მოლაშქრე-მხლებელია, ჩანს აგრეთვე მრავალი სხვა საბუთებიდან, მაგ., ანასტასია ბატონიშვილისადმი მიცემულ პირობის წიგნში მისი მსახურები ამბობენ: „როგორც მსახურის რიგი არის, როდესაც დაგვიბარონ, უნდა დაუყოვნებლად გიახლოთ სულ ერთობლივ დასაყენებლად დასაქვრად, თუ ასაკლებად დასაყენებნი ნება იყოს, მაშინვე დაუყოვნებლად თქვენი სამსახური და ხეწიფისა აღვასრულოთ. თუ ეს პირობა არ შეეასრულოთ, თქვენ სითარხნე მოგვიშალოთ და გარდაგვახდევინოთ“¹⁷³.

ამასვე ადასტურებს ბატონიშვილების — გიორგის, ლეონის, იულონის, ვახტანგისა და თეიმურაზის ბრძანების წიგნი (1774):

„გიბრძანებთ... თქვენ, რომელნიც ან აზნაურშვილნი ხართ და ან მოხელენი, წაშლით გვნახეთ, ან რომელთა მსახური სდებიათ, წამოიყვანეთ“¹⁷⁴.

ამ საბუთიდან კარგად ჩანს მსახურის რაობა: მსახურებია ის კომლები. რომლებსაც „მსახური სდებიათ“, ანუ რომლებსაც ევალებათ მუდმივი მოლაშქრე-მხლებელი-მცველის (მსახურის) გამოყვანა ბატონის კარზე. დანარჩენი გლეხები კი იყვნენ, „ღმრთაების გუჯრის“ გამოთქმით, „კომლნი უმსახურონი“, ანუ კომლები, რომლებსაც მსახური არ ევალებოდათ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ასეთ

¹⁷² ქართ. საპართ. ძეგლ. III. გვ. 481.

¹⁷³ გ. აკოფაშვილი, გლეხთა კატეგორიების საკითხისათვის XVII—XVIII სს. აღმოსავლეთ საქართველოში, მსკი, 5. 34, 1962, გვ. 70.

¹⁷⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Ad, 1232.

გლებებს არ გამოჰყავდათ შინაყმა, ანუ ფარეში, შინაყმის გამოყვანა, როგორც ზემოთ ვხანეთ, „საგლებო საწმინდოების რიგსაც“ შეადგენდა, მაგრამ მსახურის მიერ გამოყვანილი შინაყმა თავისი შინაყმით განსხვავდებოდა გლების მიერ გამოყვანილი შინაყმისაგან. ახლა შეგვიძლია ვუპასუხოთ ჩვენ მიერ აღრე დასმულ კითხვას იმის თაობაზე, თუ რა ტიპის შინაყმას იძლევა მსახური, აზნაურის ტიპისას, თუ გლების ტიპისას? მსახური გლებია, რომლის წოდებრივი პრივილეგიაა აზნაურის ტიპის მუდმივი მოლაშქრე-მხლებელი-მცველი შინაყმის, ანუ მსახურის გამოყვანა ბატონის კარზე.

მსახურები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბატონს შეიძლებოდა ყოლოდა ორი ტიპის მემკვიდრეობითი, ანუ წოდებრივი და პირადი.

ახლა გავარკვიოთ, თუ რა საწმინდო შეიძლებოდა შეესრულებია მსახურს ბატონის კარზე, ანუ რა ხელის მქონებელი შეიძლებოდა ის ყოფილიყო. ამ თვალსაზრისით ფრად საინტერესოა გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დების“ ერთი ადგილი, სადაც ვკითხულობთ: „[განმგებლისა ასრე გავაჩინეთ].“

განმგებელი თუ ქუეყანამან მოკლას, ერთმან სოფელმან, გინა ერთმან პირმან ქვემან, — მსახური იყოს განმგებლად ექუსი ათასი თეთრი და იურვოს სისხლთა ფასად და თვთო კაცი დაიპიროს სოფლისა და სოფლისა თავადი...

და თუ აზნაური იყოს განმგებლად და მოკლან, მის გუარსა ზედა დათურვონ სისხლი“¹⁷⁵. ამგვარად. „ძეგლის დების“ ამ ნაწყვეტიდან აშკარაა, რომ განმგებელი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მსახური და აზნაური.

როგორც ცნობილია, „ძეგლის დება“ დაახლოებით 1335 წ. უნდა იყოს შედგენილი, „ბექას სამართალი“ კი—1295—1304 წწ.-ში. ამრიგად, ამ სამართალთა კრებულებს ერთმანეთისაგან მხოლოდ რამდენიმე ათეული წელი აცილებთ.

ი. დოლოძემ სპეციალურად შეისწავლა ორივე ეს ძეგლი და მივიდა დასკვნამდე, რომ „მანდატურთუხუცესის კანონები ძეგლის დების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა. ხევის პირობებისა და ადათობრივი სამართლის გათვალისწინებით ძეგლში შესაბამისი რედაქციით შეტანილია ბექას სამართლის მთელი რიგი მუხლები“¹⁷⁶.

ამრიგად, „ძეგლის დების“ შემდგენელისათვის „ბექას სამარ-

¹⁷⁵ ქართ. სამ. ძეგლ., I, გვ. 403.

¹⁷⁶ იქვე, გვ. 616.

თალი“ (ან მისი ანალოგიური სამართალი, მოქმედი ამ დროს საქართველოში) საეხეობით ცნობილია და მას ერთ-ერთ წყაროდ იყენებს თავის სამართალში. ამიტომ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის ადგილები, სადაც „გამგებელი მსახურის“ და „გამგებელი აზნაურის“ სისხლის ფასზეა საუბარი. აზნაურთან დაკავშირებით სამართალში წერია: „თუ მოკლან, მის გვარსა ზე და დაუურვონ სიხლი“-ო. აშკარაა, რომ შემდგენელს უკვე არსებულ სხვა კანონმდებლობაში ეგულება გარკვევით განსაზღვრულად სხვადასხვა კატეგორიის აზნაურის სისხლის ფასი. მართლაც, „ბექას სამართლის“ მიხედვით, ყველა კატეგორიის აზნაურის სისხლის ფასია განსაზღვრული. მაგრამ ამავე სამართალში მსახურის სისხლის ფასიცაა მოცემული. მაშ რილასთვის დაჭირდა „ძეგლის დების“ შემდგენელს განესაზღვრა „გამგებელი მსახურის“ სისხლი (6000 თეთრი)? ჩვენი აზრით, აი რატომ: როგორც „ბექას სამართალი“ მოწმობს, ამ დროს განსაზღვრული იყო მსახურის სისხლი, მაგრამ ისეთი მსახურის სისხლზე, რომელიც რაიმე საპატიო ხელს ფლობდა ბატონის კარზე, მანამდე მოქმედ კანონებში არაფერი იყო ნათქვამი. ამდენად, „ძეგლის დების“ მიხედვით ჩვენ შეგვიძლია შევავსოთ ჩვენი წარმოდგენა მსახურის, როგორც საგლეხო წოდების შესახებ. მსახურთა წოდება იყოფოდა ორ კატეგორიად: მსახური, რომელიც ხელოსანი (ე. ი. სამოხელეო პატივის მქონე) იყო, და მსახური, რომელიც ხელს არ ფლობდა. ბატონის კარზე საპატიო ხელის მქონე მსახურის სისხლი, „ძეგლის დების“ მიხედვით, უდრიდა პირად აზნაურთა მეორე კატეგორიის სისხლის ფასს, ანუ ისეთი პირადი აზნაურების სისხლს, რომლებიც ბატონის კარზე ხელს არ ფლობდნენ. ასეთი ორი კატეგორია მსახურისა არსებობდა გვიანშუასაუკუნეებშიც, თუმცა მათი სისხლი ვახტანგის სამართლის მიხედვით არ განსხვავდებოდა (არ განასხვავებდა მათ სისხლს, როგორც ენახეთ, არც „ბექას სამართალი“, ამიტომ ძეგლის დების შემთხვევა შეიძლება მხოლოდ გამგებელი მსახურების, როგორც მეფის მოხელეების პრაქტიკულად მივიჩნიოთ). შემდგომაც, როგორც ცნობილია, მსახურები აზნაურებთან ერთად ინიშნებოდნენ სოფლის მოურავებად, მსახურთა წოდებიდან გამოდიოდნენ მამასახლისები და სხვა რიგ-გა-გა მოხელე-გამგებლები, გადასახადის ამკრეფები (თუმცა ასეთი ტიპის მოხელეები გლეხებიც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ).

დ. მეგრულაძემ სპეციალურად განიხილა „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით მანდატურის მოვალეობები და მივიდა შემდეგ დასკვნამდე: „მანდატურთა მოვალეობა აღმასრულებლის, ზედა-

ცნობებს გვაწვდის „კათალიკოს მალაქიას მოლაშქრე კაცთა ნუსხა“, სადაც მოცემულია აფხაზეთის საკათალიკოზოში, საციიშლოში, ხონში მყოფი მსახურების რიცხოვრივი შემადგენლობა. „მოლაშქრეთა ნუსხის“ მონაცემები რიცხოვრივად არ ემთხვევა საგადასახადო დავთრების სათანადო ნუსხებში აღნიშნულ მოლაშქრეთა რაოდენობას. ამ გარემოებას ლ. მუსხელიშვილი იმით ხსნიდა, რომ ნუსხაში მსახურები თავობით არიან ნაანგარიშები, ხოლო დავთრებში კი კონკრეტულად¹⁸¹. ასეთი დასკვნა ვერ ხსნის საკითხს, რადგან თავობით ანგარიშის შემთხვევაში „მოლაშქრეთა ნუსხის“ მონაცემები უნდა აღემატებოდეს დავთრებში მოცემულ მოლაშქრე გლეხთა რიცხვს. სინამდელია, კი საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე: დავთრებში მოცემული მოლაშქრეთა რიცხვი (ნაყანულის ნუსხის გამოკლებით) აღემატება „მოლაშქრეთა ნუსხის“ მონაცემებს. ყველა შემთხვევაში დასახელებული დავთარი გადაწერილია მალაქია კათალიკოსის დროს (რომელიც ამავე დროს იყო ცაიშელ-ჭუმათელ-ხონელიც) და მისი „მოლაშქრეთა ნუსხა“ დავთრებს ბოლოში აქვთ დართული. ამრიგად, ამ ნუსხის მონაცემების კავშირი დავთრებთან ექვს გარეშეა.

ჩვენ შევადარეთ „მოლაშქრეთა ნუსხის“ მონაცემები დავთრებში სათანადო ნუსხების მონაცემებთან, მაგრამ ამ შედარებისას ლ. მუსხელიშვილისაგან განსხვავებით ვხელმძღვანელობდით შემდეგი მეთოდით: იმ შემთხვევაში, როდესაც გლეხებს ერთ-ერთ ვალდებულებად ეწერათ ლაშქრობა, ჩვენ მას მსახურად მარტო ამ ნიშნით არ მივიჩნევდით, არამედ ვცდილობდით სხვა ნიშნებითაც დავრწმუნებულყოფით მის მსახურობაში; ასევე, თუ გლეხს არ ეწერა ლაშქრობა, მაგრამ სხვა მონაცემები გვაფიქრებინებდა რომ ის მსახური უნდა ყოფილიყო, მასაც მოლაშქრედ განვიხილავდით. ასეთი განხილვის შედეგად საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ დავთრების მონაცემები თითქმის მთლიანად ემთხვევა, „მოლაშქრეთა ნუსხის“ რიცხოვრივ მონაცემებს. აქ საინტერესოდ განვიხილავთ იმ ნუსხებს, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსახურთა ვალდებულებების დასადგენად. დავიწყოთ ხონის წმ. გიორგის საყდრის დავთრის მონაცემებით. „მოლაშქრეთა ნუსხა“ გვაძეგნობს: „არის წმინდა გიორგის ხონის 30 მსახური“¹⁸².

¹⁸¹ ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 307.

¹⁸² ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 481.

ზონის საყდრის დავთარში ლაშქრობა არაეის არ ევალება. 1) გლეხთა ერთი ნაწილის ვალდებულებაა „მუშაობა“, 2) რამდენიმე გლეხს არადერი ვალდებულება არ აეისრია, ბეგარის მეტი, 3) აქვეა. მებეგრე გლეხები, რომელთაც ევალებათ „სამსახური“, 4) არიან აგრეთვე მარტო ზადილინი, ანუ სამასპინძლოს მოვალე გლეხები¹⁸³. თუ ჩვენ „სამსახურის“ და ზადლის მოვალე გლეხების რიცხვს შევჯამებთ, ზუსტად 30 გამოვა. ამრიგად. აშკარაა. რომ ლაშქრობა სწორედ ამ „სამსახურში“ იგულისხმება.

ასევე თითქმის თანხედება „ჯგალის ციხის საკათალიკოსო გამოსავლის ნუსხაში“ მოცემულ პირთა რიცხვი „მოლაშქრეთა ნუსხის“ მონაცემებს. „მოლაშქრეთა ნუსხაში“ ვკითხულობთ: „ჯგალას აზნაურისშვილი და მსახური 38“. ჯგალის საგადასახადო ნუსხაში 37 კაცია¹⁸⁴, აქედან ხუთ კაცს მარტო „ერთი საქმელი მართებს“, ესენი, როგორც ჩანს. აზნაურები არიან (დარჩელის სასახლეს ნუსხიდან ცნობილია, რომ აზნაურები მთელ რიგ შემთხვევებში დავთრებში ჩამოწერილი არიან და მათი ვალდებულება პურის-ჭამა, ანუ ზადილია), დანარჩენი კი მსახურებია.

მანთხოჯის ნუსხაში¹⁸⁵ თუ გამოვაკლებთ გლეხებს, რომლებსაც ევალებათ ბარგის ზიდვა და ნადობა. დარჩება რვა გლეხი, რომელთაც მარტო ბეგარა უწერიათ, და რვა გლეხი, რომლებსაც ევალებათ მგზავრობა. „მოლაშქრეთა ნუსხის“ მონაცემებით კი „არის მანთხოჯს აზნაურისშვილი და მსახური 19“. ამრიგად საგადასახადო ნუსხაში შეტანილია 16 მსახური, სამი აზნაური კი, როგორც საბეგრო ვალდებულებებიდანაც აშკარაა (არც ერთი მხოლოდ ზადილის მოვალე სიაში არ გვხვდება), ნუსხაში შეტანილი არ არის.

როგორც ვხედავთ, მანთხოჯს მსახურებს, ზონის მსახურების მსგავსად, არ უწერიათ საბეგრო ვალდებულებებში „ლაშქრობა“, მაგრამ ისინი „მოლაშქრეთა ნუსხაში“ მაინც შეტანილები არიან, რადგან მსახურები თავისთავად, თუნდაც მათ სპეციალურად არ ეწეროთ „ლაშქრობა“, მუდმივ მოლაშქრებად განიხილებიან.

განვიხილოთ ოცხანის ნუსხა. მალაქიას „მოლაშქრეთა ნუსხაში“ ვკითხულობთ: „არის ოცხანს აზნაურისშვილი და მსახური 9“. საკათალიკოსოს დავთრის ოცხანის ნუსხაში თავში წერია თივაქრთი-

¹⁸³ ქართ. სამ. ძეგლ., III. გვ. 358.

¹⁸⁴ იქვე, გვ. 478.

¹⁸⁵ იქვე, გვ. 407.

ლაძე, გოგობერიძე, ორი კალანდაძე და რებიძე, რომლებსაც მართებთ ბეგარასთან ერთად ლაშქრობა. დანარჩენ რვა გლეხს ერთნაირად მართებთ მუშაობა და ტვირთი. ამრიგად, ოცხანის ნუსხაში ხუთი მსახურია, ოთხი აზნაური კი აქაც, როგორც მათხოჯის ნუსხაში, სიაში ჩამოწერილი არაა. აქედან ორი აზნაური ნუსხაში მოხსენებულია შემდეგ ტექსტში. ოცხანის გლეხთა გამოსავალი ბეგრის ჭუმალის ქვემოთ ვკითხულობთ: „მართებს ივანეს კალანდაძესა... (ბეგარა). ის კაცი მიხაძისათვის სამკვდროთ არ მიმიცემია, არც სხვაგან წააყვანათ; როდესაც მოვიდეს, საღგომად მივეცი.“

მართებს ურატაძეს მამისთულასა და ხახუტასა... (ბეგარა) და მაქსიმესათვის არც გასაცემად არც სამკვდროთ არ მიმიცემია, ბეგარა მივეცი“¹⁸⁶.

მოყვანილი ადგილიდან თითქოს ჩანს, რომ ეს მიხაძე და მაქსიმე საყდრის აზნაურები არიან, რომლებსაც დროებით მისცეს საყდრის სახაო გლეხები. ამ ორი გლეხის მსგავსად გაცემულია აგრეთვე მესამე გლეხიც კოპლატაძე ხახუტა. საინტერესოა ამ გლეხების ვალდებულება, რომელიც ჭუმალის სახით წერია: „ამ სამის კაცის ბეგარა: 4 სამოსელი და 20 თეთრი, 3 საკლავი, ცხრა კოკა ღვინო, 3 გოდორი ღომი, 3 ქათამი, პური, ყვ[ე]ლი, კუერცხი, თევზი, ღომი, ღვინო, სამსახური, მუშაობა, ტვირთი და ხის კრება“¹⁸⁷.

ამ გლეხების ვალდებულებების განხილვისას ლ. მუსხელიშვილი შემდეგ თვალსაზრისს გეთავაზობს: 1. ეს გლეხები მსახურებია, რომლებსაც ტვირთის ზიდვაც დააკისრეს. 2. აქ სამსახური მისი ზოგადი მნიშვნელობით იხმარება და მუშაობა, ტვირთი და ხის კრება მისი განმარტებებია, ანუ ტექსტი უნდა წავიკითხოთ შემდეგნაირად „სამსახური: მუშაობა, ტვირთი და ხის კრება“¹⁸⁸.

ვერც ერთ ამ ახსნას ჩვენ ვერ გავიზიარებთ:

მეორე თვალსაზრისი გაუმართლებელი და ხელოვნურია თვით ტექსტიდან გამომდინარე. მითუმეტეს, რომ ასეთ განმარტებას სამსახურისას არც ამ დავთარში და არც სხვა დავრთებსა და ნუსხებში ადგილი არა აქვს. რაც შეეხება პირველ თვალსაზრისს, როგორც ცნობილა, ლ. მუსხელიშვილი XVII საუკუნისათვის მსახურთა ერთ-ერთ კატეგორიად მეტყვირთე მსახურებს მიიჩნევდა. ამდენად

¹⁸⁶ ქართ. სამ. ძეგლ. III, გვ. 436.

¹⁸⁷ იქვე, გვ. 436.

¹⁸⁸ ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 303, 307.

თავისთავად ტვირთის ზიდვის ვალდებულება მკვლევარისათვის და-
ბრკოლებას არ წარმოადგენდა ამ გლეხების მსახურებად მიჩნევის
დროს.

ჩვენი აზრით, კი მსახურებს ტვირთის ზიდვა არასოდეს დაკის-
რებიათ. თვით ლ. მუსხელიშვილი ამ დასკვნამდე მივიდა ხიბულას
ნუსხის ანალიზის შედეგად. ხიბულას ნუსხის მონაცემებს ჩვენ
ქვემოთ სპეციალურად განვიხილავთ, ჯერჯერობით კი გვინდა და-
ვასკვნათ შემდეგი: ოცხანს არის 5 მსახური, რომელთაც ევალებათ
მხოლოდ ლაშქრობა. დანარჩენ გლეხებს ევალებათ მუშაობა და
ტვირთი, სამ გლეხს კი მუშაობა, სამსახური და ტვირთი:

ახლა განვიხილოთ ხიბულას ნუსხის მონაცემები. ხიბულას 55
გლეხიდან 45 ლაშქრობის მოვალეა¹⁸⁹. „მოლაშქრეთა ნუსხაში“ კი
წერია: „არის ხიბულას აზნაურისშვილი და მსახური 30“.

ლ. მუსხელიშვილი, როგორც უკვე საკითხის ისტორიოგრაფიის
განხილვისას აღვნიშნეთ, მსახურის დასადგენად ხელმძღვანელობს
შემდეგი პრინციპით: ვისაც მართებს საპატიო სამსახური, მსახურია,
ვისაც მართებს არასაპატიო სამსახური, გლეხია — მოინალე. ლაშქ-
რობა, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი ყველაზე უფრო საპატიო
სამსახურია, აქედან გამომდინარე ყველა გლეხი, რომელსაც ლაშქ-
რობა ევალება, ლ. მუსხელიშვილისათვის უკვე თავისთავად მსა-
ხურია, მაგრამ ხიბულას ნუსხაში მოლაშქრე გლეხთა ნაწილს ევა-
ლება „ყოვლის დღის მუშაობა და ტვირთი“. ამიტომ მკვლევარი აკე-
თებს შენდეგ დასკვნას:

„კათალიკოზის მაქალაქი გურიელისძის 1622 წ. მოლაშქრეთა
სიაში აღრიცხულნი არიან, როგორც მოლაშქრენი, მხოლოდ აზნა-
ურნი და მსახურნი... ამგვარად, აქ სავსებით მხოლოაზროვანი ჩვე-
ნება გვაქვს: მდაბიო გლეხი (მოინალე) არ ლაშქრობს. უნდა დაუშ-
ვათ, რომ ზოგან გამონაკლისის სახით, საეკლესიო მსახურები ისე
ჩამომცრობილან, რომ ტვირთს ზიდვაც დავალებიან და თითქმის
ალარაფრით განირჩეოდნენ მოინალეთა უდაბლესი ფენისაგან“¹⁹⁰.

ჩვენი აზრით, ასეთი დასკვნა მართებული არ უნდა იყოს: მა-
ლაქია კათალიკოზის მოლაშქრეთა ნუსხაში რომ მოლაშქრეებად
მართო მსახურები და აზნაურებია დასახელებული, იმას კი არ ნიშ-
ნავს, რომ გლეხი საერთოდ არ ლაშქრობდა, არამედ იმაზე მიგვითი-
თებს, რომ აზნაურისა და მსახურისთვის მოლაშქრეობა არსებითი

¹⁸⁹ ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 414.

¹⁹⁰ ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 307.

და სავალდებულოა. აზნაურები და მსახურები მუდმივი, პროფესიონალი მოლაშქრე-მხლებლები არიან, გლეხი კი ლაშქრობს ომიანობის შენობხვევაში. ახლა ვნახოთ რა მონაცემებს გვაძლევს თვით ზიბულას წუხსა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქ 55 გლეხიდან 45 ლაშქრობის მოვალეა. „მოლაშქრეთა წუხსის“ მიხედვით კი ზიბულას უნდა იყოს „აზნაური და მსახური 30“. ზიბულას წუხსაში აზნაურები შეყვანილები არ არიან, ეს კარგად ჩანს თვით წუხსის ჯუმალიდან, სადაც კვითხულობთ „არის ზიბულას კუამლი გლეხი ჯუმალიდ ორმოცდათურამეტი“ (წუხსაში მხოლოდ 55 გლეხია ჩამოწერილი). ამგვარად, მსახურების რიცხვი წუხსაში 30-ზე ნაკლები უნდა იყოს. მართლაც, ჩვენ თუ „ყოვლის დღის მუშაობის“ და „ტვირთის“ მოვალე მოლაშქრეებს მსახურებად არ მივიჩნევთ, გამოვა, რომ ზიბულას ყოფილა 24 მსახური, აქედან ზოგს ევალება მარტო „ლაშქრობა“, 3 მსახურს — „ლაშქრობა და ბაზიერობა“, ზოგა — „ლაშქრობა და მგზავრობა“. ექვსი აზნაური კი როგორც ვნახეთ, ზიაში შეტანილი არ არის.

ზიბულას წუხსის განხილვის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ: ნართებელი არ ჩანს ლ. მუსხელიშვილის თვალსაზრისი, რომ XVII ს-ში მსახურებს დავალათ „ნიადავ მუშაობა“ და „ტვირთის ზიდვა“. ტვირთის მზიდავი და ნიადავ მომუშავე მოლაშქრეები უბრალოდ ლაშქრობის მოვალე გლეხები არიან და არა მსახურები. მსახურებს მთელ რიგ შემთხვევებში ევალებათ მუშაობა, მაგრამ ეს არის სანადო სამუშაოები: „ყანის შველა“, „ყურძნის კრეფა“, „თიბვა“ და სხვა მსგავსი.

განვიხილოთ მუხურის წუხსა და მისი მონაცემები. მუხურს 39 კაცია, „მოლაშქრეთა წუხსაში“ კი წერია: „არის მუხურს აზნაურისშეული და მსახური 30“.

მუხურის წუხსა საინტერესოა იმით, რომ აქ აზნაურები წუხსაში შეყვანილები არიან და თანაც მათი ვალდებულებებიც ჩამოწერილია. მაგ:

„მართებს ელიჯარს კიტას ხადილი, ლაშქრობა;

მართებს გავაშელ კიტას ხადილი და ლაშქრობა;

მართებს აშულაბარ კიტას ხადილი და ლაშქრობა;

მართებს გავაშელს, ან[ი]ლლაბარს, ელიჯარს, სამ-სამის დღის ყანის შველა ჯარითა და მათის კაცითა“¹⁹¹.

¹⁹¹ ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 426.

ან კიდევ:

„მართებს დემეტრეს კითიას და პირნათეს კაცებს სამ-სამის * დლის კაცის შვ[ე]ლა და სამ-სამი კარის შვ[ე]ლა.“

მართებს დემეტრეს კითიას შვილებსა ხადილი და სამსახური.

მართებს პირნათეს კითიას ხადილი და სამსახური¹⁹².

ამრიგად, როგორც ვხედავთ, მუხურის ნუსხაში ეს ხუთი კომ-ლი კითია აზნაურია და მათ, პურის ჭამისა და ლაშქრობის გარდა, ევალებათ თავიანთი გლეხებისა და ხარების მიშველეობა საყდრის სახასო მიწის დამუშავების დროს.

ყოველივე ამაზე იმიტომ შევჩერდით, რომ აშკარა გამხდარიყო მუხურის ნუსხაში აზნაურთა შეტანაც. ამრიგად, თუ სხვა შემთხვე-ვებში დავთრებან მონაცემები მცირე განსხვავებებს იძლეოდა „მო-ლაშქრეთა ნუსხის“ მონაცემებთან შედარებით, და აქაც ჩვენ იმ ნუსხებში აზნაურთა მოუხსენებლობით ვხსნიდით, ახლა, თუ ჩვენი მეთოდი სწორია, მუხურის ნუსხაში მსახურთა და აზნაურთა რიცხვი უნდა დაემთხვას მოლაშქრეთა ნუსხაში დასახელებულ რიცხვს. მარ-თლაც, მუხურს მსახური და აზნაური ზუსტად ოცდაათია. ამ შენთხ-ვევაში ჩვენ ვიანგარიშეთ ყველა პირი, ვისაც ევალებოდა ლაშქრო-ბა. ჩვენი მეთოდიდან გამომდინარე, გამოვტოვეთ ნხოლოდ ერთი მოლაშქრე გლეხი, რომელსაც ამავე დროს „ზიდვაც“ ევალებოდა. ამრიგად, მუხურს 39 კაციდან 30 მსახური და აზნაურია, 9 კაცი კი გლეხია. აქედან ერთს გაგოს არტონიას მართებს მარტო საპურობო და სხვა არაფერი. ორი გლეხი ღუაჭაგია და ბიგუა მეტყვირთეა, მაგ-რამ მათ შორის დიდი სხვაობაა: ღუაჭაგიას ბეგარასთან ერთად სა-პურობოც ევალემა, აგრეთვე მას ევალემა სანადო სამუშაოებო: „ორი დლის თიბვა“, ისლის ალება. და ამავე დროს მგზავრობა და ლაშქრობაც. ყოველივე ეს ამ გლეხს დიდ შეძლებაზე მეტყველებს. ბიგუას კი ბეგარა შეკვეცილი აქვს, მაგრამ უფრო საპატიო ნაწილის ხარჯზე: არ ევალემა საპურობო. სანსახურებრივი მოვალეობაც მი-სი უფრო დაბალი ხარისხისაა: „ყოველ დღით მუშაობა და ტვირთი“. აქვეა ოთხი შოინალობის მოვალე გლეხი, აქედან სამი შეკვეცი-ლი ბეგრით (ბეგარა აგრეთვე შეკვეცილი აქვთ საპურობოს ხარჯ-ზე). ნუსხაში დასახელებულია ერთი მეჭინიბე: „მართებს ხეინგიას

¹⁹² ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 429.

უწყინარას მეჭინბობა, ოზურლი, ორი საკლავი, 12 კოკა ღუნო, 1 საკეტე გულა ღუნო, 12 ჭამი ღომი, სამი ღლის ყანის შე[ე]ლა“¹⁹³.

როგორც ვხედავთ, ამ მეჭინბესაც შეეკვეცილი აქვს ბეგრის საპატიო ნაწილი — საპურობო, რაც მას თავისთავად განსაზღვრავს, როგორც დაბალი კატეგორიის გლეხს. აქ აღსანიშნავია, რომ ეს გლეხი მეჭინბე არც ყოვლის ღლის მუშაობის მოვალეა და არც მეტ-ვირთეა. ის უბრალოდ მეჭინბობით მომსახურე გლეხია, რომელსაც ევალება 3 ღლის ყანის შველა, ანუ ნაღობა.

გავაგრძელოთ ნუსხების განხილვა. „მოლაშქრეთა ნუსხაში“ ვკითხულობთ: „არის ნაყანეულს აზნაურიშვილები და მსახური 35“. როგორც ცნობილია, ნაყანეულის გამოსავალის ორი ნუსხაა შემონახული, ერთი XVI ს. ბოლოსი¹⁹⁴ და მეორე აფხაზეთის საკათალიკოზოს გამოსავალი ბეგრის დავთარში დაცული ნუსხა, ე. ი. XVII ს. ოციანი წლებისა¹⁹⁵. პირველ ნუსხაში 33 კაცია, რომლებსაც სამსახურებრივ ვალდებულებად ევალებათ მხოლოდ ლაშქრობა. მეორე ნუსხაში კი ლაშქრობის მოვალე 20 კომლია, ერთ გლეხს ევალება მგზავრობა, 13 გლეხი კი მენავტეა. დანარჩენ გლეხებს ზოგს არ უწერია სამსახურებრივი ვალდებულება, ზოგს ევალება „ყანობა“, ან „თიბვა“, „ყურძნის კრეფა და ყანობა“, ზოგს „ყანის შველა“, ან „ყანის შველა და ტვირთი“ და ა. შ. საინტერესოა, რომ გვარების ნაწილს, რომლებსაც XVI ს. ნუსხაში ლაშქრობა ევალებოდა, ახლა ნავტობა აკისრიათ. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ლ. მუსხელიშვილმა და მივიდა დასკვნამდე, რომ ნაყანეულის მენავტეები მსახურები არიან, ოღონდ მათ ერთი საპატიო სამსახური ჩამორთმევიან — ლაშქრობა და მეორე საპატიო სამსახური დავალებიან — ნავტობა¹⁹⁶.

ჩვენი აზრით, ეს თვალსაზრისი მართებული არ უნდა იყოს. მართლაც, მენავტეებს, 20 ლაშქრობის მოვალე და 1 მგზავრობის მოვალე კაცებს თუ შევაჯამებთ, გამოვა 34, ამრიგად, რიცხობრივი თანხედრა მოლაშქრეთა ნუსხის მონაცემებთან აშკარაა. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნაყანეულის მსახურთა ნაწილს მოლაშქრეთა კი არ ჩამორთმევია, არამედ მათ ახა-

¹⁹³ ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 427.

¹⁹⁴ იქვე, გვ. 382.

¹⁹⁵ იქვე, გვ. 419.

¹⁹⁶ ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 299.

ლი მოვალეობა — მენავტეობაც დაკისრებულია. ამიტომ ამ მსახურებს ეს ახალი ვალდებულება რომ ჩაუწერეს დავთარში, ლაშქრობა, როგორც თავისთავად საგულისხმო, აღარ მიუწერეს. მართლაც, მოლაშქრეებად თუ მარტო იმ პირებს მივიჩნევთ ნაუბანულის ნუსხაში, ვისაც ლაშქრობა უწერია სამსახურებრივ მოვალეობად, გამოვა სულ 20 კაცი, იმ დროს, როცა ჩვენი მეთოდით თუ ვიანგარიშებთ, გამოვა 34 კაცი. ასეთი რიცხობრივი თანხვედრა, ისევე, როგორც სხვა ყველა ზემოთ განხილულ შემთხვევაში, არ შეიძლება შემთხვევითი იყოს.

საბოლოოდ განვიხილოთ რამდენიმე ნუსხა, რომლებშიც გლუხებს ერთნაირი ბეგარა და სანსახური მართებთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ შორის, როგორც ჩანს, ნაწილი მსახურია და ნაწილი კი გლუხი:

ნაგვაზაუს 10 გლუხიდან შეიღს მართებს ლაშქრობა და მუშაობა, „მოლაშქრეთა ნუსხის“ მონაცემებით კი ნაგვაზაუს უნდა იყოს მხოლოდ 4 მსახური. აგრეთვე საქუჩულორიოს 5 გლუხია. მართებთ „მუშაობა და სამსახური ყოველთა“, „მოლაშქრეთა ნუსხის“ მონაცემებით კი საქუჩულორიოს 3 მსახური უნდა იყოს. ხაუეელს 19 გლუხს ერთნაირად მართებს „ყანის შველა, სამსახური და ლაშქრობა“¹⁹⁷. (აქ 428-ე მუხლით იწყება ახალი სოფელი — ლაჩუ, ხოლო 433-ე მუხლით კი ახალი სოფელი გუფუ, ამრიგად, 428-ე მუხლიდან მოყოლებული გლუხები არ ეკუთვნიან უშუალოდ ხაუეელის ნუსხას). მოლაშქრეთა ნუსხის მონაცემებით კი ხაუეელს უნდა იყოს მსახური 15. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზოირის ნუსხის მონაცემები, სადაც 28 გლუხს ერთნაირად მართებს: „ყანის შველა, ყურძნის კრეფა, ლაშქრობა და სამსახური. „ორ გლუხს მართებს მარტო „სპა-ჰამა, ლაშქრობა და სამსახური“, ორ გლუხს კი „მუშაობა, ყურძნის კრეფა და სამსახური“¹⁹⁸.

ასე რომ, 32 გლუხს ფაქტიურად ერთნაირი ვალდებულებები აკისრიათ (ორს არ ევალება ლაშქრობა) მოლაშქრეთა ნუსხის მონაცემებით კი ზოირს უნდა იყოს 22 მსახური. თუ ნაგვაზაუს, საქუჩულორიოს და ხაუეელის საგადასახადო ნუსხებსა და „მოლაშქრეთა ნუსხას“ შორის რიცხობრივი განსხვავება 2—3 გლუხს შეადგენს და ეს უნებლიე შეცდომად შეიძლება ჩაგვეთვალა, ზოირის

¹⁹⁷ ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 431.

¹⁹⁸ იქვე, გვ. 423.

სავადასახადო ნუსხის და „მოლაშქრეთა ნუსხის“ მონაცემებს შორის რაცობრივი განსხვავება მნიშვნელოვანია და არ შეიძლება შემთხვევითი იყოს (მითუმეტეს, რომ ზემოთ განხილულ შემთხვევებში სავადასახადო დავთრების მონაცემები ემთხვეოდა მოლაშქრეთა ნუსხის მონაცემებს). ჩვენი აზრით, ამ მოვლენის ერთადერთი ახსნა არსებობს: ერთნაირი ვალდებულებების დამიუხვდავად, ნაწილი გლეხებისა მსახურთა წოდებას ეკუთვნის, ნაწილი კი არა. რაც შეეხება მათი ვალდებულებების მსგავსებას, აქ მაინცდამაინც გასაოცარი არაფერია. როგორც ზემოთ ვნახეთ, მთელ რიგ შემთხვევებში აზნაურთა ვალდებულებები მსგავსია დაუბეგრავი მსახურების ვალდებულებებისა, მაგრამ აქედან მათი წოდებრივი იგივეობრიობა სულაც არ გამოჰდინარეობს. გარეგნული მსგავსებისდა მიუხედავად, იგივეობრივი ამ გლეხების ვალდებულებებიც არ უნდა იყოს: როგორც ვხედავთ, 30 მოლაშქრედან კათალიკოსის მოლაშქრეთა ნუსხაში ნაოლოდ 22 გლეხია მოხვედრილი, ეს 22 გლეხი იყო, როგორც ჩანს, მუდმივი მოლაშქრე — მსლებელი, ანუ მსახური, დანარჩენ რვას კი ლაშქრობა ევალებოდა ისევე, როგორც ხიბულას ნუსხის მეტეორთებს, მაგრამ მსახური არ გამოჰყავდათ.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია თვალსაზრისი, რომ ბატონის კარზე მოსამსახურე ყველა გლეხი მსახურია (ს. კაკაბაძე, ლ. მუსხელიშვილი, ნ. ასათიანი, დ. გვრიტიშვილი, დ. მეგრელაძე, ედ. ხოშტარია, გ. ჯამბურია), აგრეთვე თვალსაზრისი, რომ ყველა აზნატი გლეხი მსახურია (დ.სახ. მკვლევარები ს. კაკაბაძის და დ. გვრიტიშვილის გამოკლებით). აზნატა და მსახურის მიმართების საკითხს ჩვენ შეევეხებით აზნატ გლეხებისადმი მიძღვნილ ნაწილში, აქ კი განვიხილავთ პირველ თვალსაზრისს.

ტერმინ „მსახური“ ფართო მნიშვნელობის განხილვისას უკვე აღვნიშნეთ, რომ ბატონის კარზე დასაქმებული ყველა პირი მსახურად იწოდებოდა და რომ, თავის წარმოშობისა და თანამდებობის მიხედვით. ეს კარის მსახური — მოსამსახურეები იყოფოდნენ დიდბად და მცირებად. საბუთების მონაცემებიც აშკარად გვიჩვენებენ, რომ კარის მოხელეობას ანუ კარზე მსახურობას მსახურთან, როგორც სოციალურ კატეგორიასთან, კავშირი არა აქვს. ეს კარგად ჩანს ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის დავთრის ბანჯის ნუსხიდან. თვით ეს დავთარი, როგორც ცნობილია, 1578 წ. მიეკუთვნე-

ბა. მაგრამ ბახე-ს ნუსხა ბევრად აღარნდელია და დაახლოებით XV-XVI სს. მიჯნას უნდა ეკუთვნოდეს¹⁹⁹, რას გვიჩვენებს ის?

აქ ჩამოწერილია 61 გლეხი, ამთავან რამდენიმეს მართებს მარტო ჩითახური (როგორც ჩანს, რაღაც ფულადი გამოსაღებ²⁰⁰). დანარჩენ გლეხებს ყველას ერთნაირად მართებს ბეგარა, აქედან რვა გლეხს მართებს „მეჯინიბობით სამსახური“ მხოლოდ ექვსი გლეხია ამ 61 გლეხში, რომლებსაც მართებთ „ჩითახური, პურის-ქაჩა და ცხენით სამსახური“. სიის ბოლოში კი მინაწერია: „ამ ბახველთა, ვისაც ცხენით სამსახური არ მართებს მას სახლისა და ორჩის მუშაობა მართებს“²⁰¹.

ამრიგად, ბახველი მეჯინიბეები, ყველა დანარჩენ გლეხებთან ერთად სახლსა და ოჩის (საბატონო ყანის) მუშები არიან და განსხვავდება იმ ექვსი გლეხიდან, რომლებსაც „ცხენით სამსახური“ მართებთ, ლ. მუსხელიშვილი ბახველ მეჯინიბეებს მსახურებად მოიხსენებს, ამიტომ რომ ის თავისთავად მეჯინიბობას საპატიო სამსახურთა რიცხვა მიაკეთებებს. აქედან გამომდინარე, გლეხი, რომელსაც მეჯინობა ევალება, მსახური უნდა იყოს. ეს გარემოება ეწინააღმდეგება თვით მკვლევარის მიერ შემოთავაზებულ სქემას მსახურთა ვალდებულებების XV ს-ში, რომლის მიხედვით XVI ს-ში მსახურები მუშაობის მოვალენი არ არიან. მართლაც XVI ს-ის ბოლოს არცერთი დავთრის. თუ ნუსხის მიხედვით მსახურებს მუშაობა არ ევალებათ. როგორც ზემოთ დავთრების და „მოლაშქრეთა ნუსხის“ მონაცემების შედარებითი განხილვისას ვნახეთ, მსახურებს არც XVII ს. დაკარგებათ „ნიადაგ მუშაობა“, მათ მხოლოდ სანადო სანუშაოები ევალებოდათ, მით უფრო წარმოუდგენელია, რომ XV-XVI სს-ის მიჯნაზე მსახურები ნადაგ მომუშავეები ყოფილიყვნენ. ამრიგად, ბახველი მეჯინიბეები გლეხებია, თუმცა ამავე დროს ისინი ბატონის კარის მოსამსახურეები არიან.

ამ მხრე საინტერესოა აგრეთვე 1573 წ. ნიქოზის ეკლესიის ერთი საბუთო, სადაც ვკითხულობთ:

„ქულუხი და ბეგარა მიართვან. იახლოს მსახური, მზარეული. მეჯინიბე მიართვან. გამოიყვანოს ვისიც ენე-

¹⁹⁹ ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 1160.

²⁰⁰ ს. კახაბაძე, ქუთაისის საყდრის დავთრის უძველესი ნაწილი. საისტოიო მოამბე, I, 1925, ვვ. 246—247; გ. ჭავჭავაძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1973, გვ. 122.

²⁰¹ ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 341.

ბოს...²⁰² ამრიგად. ამ საბუთის მიხედვითაც, როგორც ვხედავთ, მსახური სხვაა და მზარეული და მეჩინი ბეკიდემ სხვა. ასევე 1809 წ. ქრუქის მონასტრის ყმების ნუსხაში ზოგ გლეხს ევალება მზარეულო ზოგს სეფობა, ზოგს ზაბაზი, ზოგს მეჩინი ბე, ზოგს ცხენის ხედნა და ზოგს მსახური²⁰³. ამრიგად აქაც მზარეულის, მეჩინის, ზაბაზის და ცხენის ხედნის მოვალე გლეხები განსხვავდებიან მსახურის მომცემ გლეხთა კომლებისაგან.

„ქარზედ მსახურობა“ რომ არაფერ კავშირში იყო მსახურთან, როგორც წოდებასთან, ჩვენი აზრით, კარგად ჩანს მამია გურიელის მიერ 1814 წ. შემოქმედის მონასტრისადმი მიცემული შეწირულობის წიგნდან. მამია გურიელი სწირავს ათ გლეხს, რომლებსაც ყველას ერთნაირი ბეგარა ადევთ, ამიტომ ჩვენ ბეგარებს არ ჩამოვწერთ, აღვნიშნავთ, მხოლოდ ამ გლეხების სიას და სამსახურებრივ მოვალეობას:

1. უჩხუბს მოსახლე მსახური ოთხმზური ბახუტა... ბეგარა.
2. მეორე მოსახლე მსახური ეზეკელი გაბრიელ... ბეგარა.
3. მესამე კომლი კაცი მსახური შერაშანიძე იესე... ბეგარა, ამასთანავე მართებს შინაყმობა.
4. ერთი მოსახლე ლომინაძე მახარობელი... ბეგარა, ამასთანავე მართებს მზარაულობა.
5. ერთი მოსახლე... ცისკარიძე... ბეგარა.
6. ბაღეს ერთი მოსახლე გაბრიელ ჩიტაიშვილის შვილები... ბეგარა და ა. შ.²⁰⁴

როგორც ვხედავთ, ამ ათი გლეხიდან სამი მსახურია, დანარჩენი კი გლეხი, ხოლო მზარეულობა მართებს სწორედ გლეხსა და არა მსახურს.

მსახურის, როგორც ცალკე საგლეხო წოდების, არსებობაზე მიგვითითებს აგრეთვე განჩინება სოლომონ I-ისა ნიჟარაძეების გაყოფის საქმეზე: „ზაალ საშუალო იყო და საშუალო ერგო — ხახუტა გუბელაძე მოსახლობით.

ქ. აზნეურშვილი მამისთვალა დიდიძე მისის ყოფაცხოვრებით...

²⁰² ნ. ბეკინიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიისათვის, I, 1940, გვ. 9, საბ. № 9.

²⁰³ ს. კაკაბაძე, მასალები..., საისტორიო კრებული, I, გვ. 42.

²⁰⁴ ს. კაკაბაძე, მასალები..., საისტორიო კრებული, II, 1928, გვ.

ქ. მსახური კაცია ოტიაშვილი და კინკილი მოსახლობით და ადგილ მამულით.

ქ. ტყეშელაშვილი დავითელა მისი ცოლშვილით და ყოფით“...²⁰⁵.

ამ ტყეშელაშვილის გარდა, კიდევ ჩამოწერილია შვიდი გლეხი. ამგვარად, საბუთის მიხედვით გამოდის, რომ ზაალ ნიუარაძეს ერგო ერთი აზნაური, ერთი მსახურის კომლი და რვა გლეხი. უაზრობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ერთი მსახურის კომლი იძლევა ბატონის კარზე მზარეულსაც, ფარეშსაც, მეჭინიბესაც, მსახურსაც და სხვ. იმ დროს, როდესაც დანარჩენი რვა გლეხი მხოლოდ ყანას ამუშავენ და ტვირთს ეზიდება. ამ მხრივ საინტერესო უნდა იყოს აგრეთვე აბაშიძის ქალის ანნას მზითვის წიგნი (1800 წ.), სადაც ვკითხულობთ:

„ქ. ამას შემდგომ გამდელი დახატულსა დ ორი ჰოანღე:

ქ. ერთი აზნაურიშვილი წერეთელი როსტომ და ერთი მსახური შერაძე;

ქ. სამი ფარეში კვინიკაძე, ლომსაძე და თუში“²⁰⁶.

აქაც, როგორც ვხედავთ, აზნაური და მსახური ერთ მუხლში არიან დასახლებულნი, სამი ფარეში კი ცალკე მუხლში. ეს მსახური ფარეშებიდან განსხვავდება და აზნაურთან უფრო მეტ სიახლოვეში განიხილება. აქ დასახლებული ფარეშები რომ მსახურები ყოფილიყვნენ, მაშინ საბუთის შემდგენელი ალბათ დაწერდა: ერთი აზნაურიშვილი წერეთელი როსტომ და ოთხი მსახური, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ფარეშები უბრალოდ ბატონის კარზე ფარეშობით მომსახურე გლეხები არიან და არა მსახურები.

საბოლოოდ ვასკვნით:

1. V—XI სს. მსახური არ აღნიშნავდა რაიმე კონკრეტულ სოციალურ ფენას, არამედ ამ ტერმინით აღინიშნებოდა პირადი დაქვემდებარება (მათ შორის ვასალობა), მსახური ეწოდებოდა აგრეთვე ყველა პირს, ვინც ვინმეს მიმართ რაიმე სახის სამსახურს ასრულებდა. მსახური ამ პერიოდში მთელ რიგ შემთხვევებში იხმარებოდა მონის სინონიმად, ხოლო როცა ამ უკანასკნელს დევნის ტერმინი „ყმა“ — ყმის სინონიმად.

2. XI—XII სს. სიგრიტზე, აზნაურთა ერთი ნაწილის დაქვეითებისა და გაგლეხების შედეგად, გლეხთა კლასში წარმოიქმნა მსა-

²⁰⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა, V, 1974. გვ. 274.

²⁰⁶ სცია, ფ. 1448, საბ. 2077.

ხუთა წოდება. აქედან მოყოლებული მსახური, გარდა ზოგადი მნიშვნელობისა, აღნიშნავდა კონკრეტულ სოციალურ ფენასაც.

3. ამავე პერიოდში ტერმინ „გლეხმა“ მიიღო ორი მნიშვნელობა: ფართო მნიშვნელობით ის უდრიდა მთელ დაყმევებულ, მიწათმოქმედ მოსახლეობას, ხოლო ვიწრო მნიშვნელობით ის უპირისპირდება მსახურს, როგორც გლეხთა კლასის უფრო დაბალი წოდება მალას.

4. „მსახურის“, როგორც წოდების, განმსაზღვრელი ნიშნებია: მემკვიდრეობითობა, ორჯერ-ორნახევარჯერ დიდი სისხლის ფასი გლეხთან შედარებით და გლეხის, როგორც უფრო დაბალი წოდების, ყმად ყოლის უფლება.

5. მსახურის ფუნქცია, მისი არსება, მისი ძირითადი ელემენტებია მღვდონარობა ბატონის კარზე, მოლაშქრე-მხლებელი-მცველის, ანუ მსახურის გამოყვანაში. გლეხთა ის კომლები, რომლებსაც ასეთი მოლაშქრე-მხლებელი არ ევალებათ, მსახურები არ არიან.

6. გარდა მემკვიდრეობითი წოდებრივი მსახურებისა, XVI ს. წყაროებში დადასტურებულია პირად მსახურთა ინსტიტუტიც. მსახური, ანუ მოლაშქრე-მხლებელი, ბატონს შეიძლებოდა გლეხის ოჯახიდანაც გამოეყვანა, მაგრამ ეს გლეხის კომლი ამით მსახური არ ხდებოდა, ისევ გლეხად რჩებოდა. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მსახურის როგორც საგლეხო წოდების არსებობის ფაქტს.

7. მას შემდეგ, რაც მსახური იქცა კონკრეტული სოციალური ფენის აღნიშნველ ტერმინად, მან თავისი ზოგადი მნიშვნელობა მაინც შეინარჩუნა. ამ დროს უნდა ვაჩენილიყო საჭიროება მისი ზოგადი და კონკრეტული მნიშვნელობების გამოიჯნისა, რაშიც, როგორც ჩანს, განაპირობა ტერმინი „მოსამსახურის“ წარმოქმნა ამგვარად. მსახური-მოსამსახურე ეწოდებოდა ყველა პირს, ვინც ვინმეს მიმართ რაიმე სამსახურს ასრულებდა, იქნებოდა ეს თავადი, აზნაური, მსახური თუ გლეხი. თავიანთი წარმოშობისა და თანამდებობის მახედვით, ასეთი მსახური-მოსამსახურეები მეფის კარზე იყოფოლნენ დიდებად და მცირეებად.

8. მსახური, როგორც წოდება, არავითარ კავშირში არ არის „კარის მსახურებასთან“. ისევე, როგორც თავადის, აზნაურისა და გლეხის წოდებრიობა, არ არის დამოკიდებული ბატონის კარზე ხელის — ქონა-არქონაზე, ასევე მსახური ბატონის კარზე ხელის ქონის გარეშეც მსახურია, მზარეული, მეჭინბე, ხაბაზი ფარეში და სხვა უმთავრესად სწორედ გლეხები არიან და არა მსახურები.

რაც შეეხება მსახურთა ვალდებულებებს XVI—XVIII სს. ეს შემდეგი სქემის მიხედვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:

(მუდმივი მოლაშქრე-მხლებელი-მცველის, ანუ მსახურის გამოყვანა ბატონის კარზე, როგორც ნსახურთა კომლებისთვის არსებითი და სავალდებულო, მისი წოდებრიობის განმსაზღვრელი ვალდებულება, მსახურთა ვალდებულებების ამ სქემაში არ შევიტანეთ).

XVI საუკუნე

მსახურა:

- I დაბეკრილი 1. მოსამსახურე,
- 2. სამსახურიდან თავისუფალი,
- II დაუბეკრავი 1. მოსამსახურე,
- 2. სამსახურიდან თავისუფალი.

XVII—XVIII სს.

მსახური

- I დაბეკრილი: 1. მოსამსახურე, მონადე,
- 2. მოსამსახურე,
- 3. მონადე,
- 4. ნადობიდან და სამსახურიდან თავისუფალი.
- II დაუბეკრავი: 1. მოსამსახურე, მონადე,
- 2. მოსამსახურე,
- 3. მონადე,
- 4. ნადობიდან და სამსახურიდან თავისუფალი.

თ ა ვ ი ი

გლეხთა წოდება

გლეხთა წოდება XV—XVIII სს. დას. საქართველოში იყოფოდა სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიურ კატეგორიებად. თითოეული ეს კატეგორია განსხვავდებოდა თავის ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობით. ამ განსხვავებათა საფუძველი იყო საგლეხო მიწათმფლობელობის ხასიათი.

გლეხთა მდგომარეობაზე გარკვეულ გავლენას ახდენდა მებატონის მიერ მათი შექენის გზაც. XV ს-ზე აღრინდელ პერიოდში

ეს გველენა, როგორც ჩანს, უფრო ძლიერი იყო და განსაზღვრავდა კიდევ გლეხთა კატეგორიას. ადრინდელი პერიოდის წერალობით წყაროებში (საბუთები, ბექა-აღბუღას სამართალი) დადასტურებულია სწორედ გლეხთა კატეგორიები, რომლებიც შეძენის გზებზე მიუთითებენ („ნებიერი“, „თავდაწერილი“, „შეწირული“, „ნასყიდი“ და სხვ.).

XV—XVIII სს-ის დას. საქართველოში წყაროების მონაცემები აღარ ადასტურებენ ასეთი კატეგორიების არსებობას. შეძენის გზების მიხედვით ამ პერიოდის დას. საქართველოში გლეხები იყვნენ: შეწირული ნაწყალობევი (ანუ „ბატონის წყალობა“), ნებით მოსული („ნებიერი“), მინდობილი (ხიზანი), ნასყიდი, ნამზითვი და სხვ. აქედან ცალკე კატეგორიებს ქმნიან მხოლოდ ნებიერი და მინდობილი-ხიზანი.

შეწირული გლეხი ჰყავდა მხოლოდ ეკლესიას. ეკლესიის გლეხთა დიდი ნაწილი შეწირვის გზით იყო მიღებული მის მიერ, მაგრამ თავისთავად „შეწირული“ არ აღნიშნავდა რაიმე განსხვავებულ საგლეხო კატეგორიას. შეწირული შეიძლება ყოფილიყო მოჯალაბე, მოსასახლე-მოინალე, მემკვიდრე, ანუ „მოსახლე“ გლეხი და სხვ. (სხვა საქმეა, რომ ეკლესიის გლეხებს შეიძლებოდა ზოგ შემთხვევაში უფრო შემსუბუქებული ვალდებულებები ჰქონოდათ, ვიდრე საერო ფეოდალის შესაბამისი კატეგორიის გლეხებს).

ნაწყალობევი გლეხი, ანუ „ბატონის წყალობა“. სოციალურად ერთ საფეხურზე მდგომი ფეოდალთა კლასის წარმომადგენლები ერთმანეთში აფორმებენ გლეხთა ნასყიდობის წიგნებს (იქნება ეს უმიწაწყლოდ გასყიდვა, თუ მიწიანად), სიუზერენი კი ვასალიდან ყიდულობს, მაგრამ არასოდეს არ მიჰყიდის მას რაიმეს, არამედ „უწყალობებს“. დას. საქართველოში წყალობის წიგნებისთვის დამახასიათებელია შემდეგი ფორმა: „დაგვეაქე და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და ქრთამიც კარგი გვიბოძე, როგორადაც ჩვენი გული შესჯერდებოდა და შეგაწყალებთ და გიბოძეთ გლეხი (ან სხვა რამე)... გქონდეს და გაზედნიეროს ღმერთმან ჩვენს ერთგულ სამსახურსა შიგან, თუ თქვენ ჩვენი ერთგული და სიტყვის მორჩილი ყმა იყენეთ, ეს წყალობა აროდეს მოგიშალოთ“.

ამრიგად, სიუზერენი თავის ნაწყალობევეზე ერთგვარ უფლებებს იტოვებდა, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ვასალი „ერთგული“ არ იქნებოდა, მას შეეძლო თავისი წყალობა უკან წაეღო. ყოველი-

ვე ეს გლეხის მდგომარეობას არ ცვლიდა. ის უბრალოდ გადადიოდა ერთი ბატონიდან მეორე ბატონის ხელში.

ამრიგად, ნაწყალობევი, ნამზითვი და შეწირული გლეხი. შეიძლება თავისთავად ყოფილიყო მოჯალაბე, მოსასახლე-მოანაღე, გვეიდრი, ანუ მოსახლე გლეხი და სხვ.

1. ფეოდალის მიწაზე მსახურ ბაზაზე კატეგორიები

1. მოსასახლე გლეხები

✓ მოსასახლე გლეხის რაობა, მისი მიმართება დასავლეთ საქართველოში გლეხთა სხვა კატეგორიებთან, დღესდღეობით სადაო და გადაუქრელი საკითხია. ძიუხედავად სხვადასხვა თვალსაზრისებია, რომლებიც გამოთქმულია ჩვენ ისტორიოგრაფიაში ამ კატეგორიის გლეხის შესახებ, სპეციალური კვლევის საგნად ის არავის გაუხდია, პირველად მოსასახლე გლეხს ყურადღება მიაქცია ლ. მუსხელიშვილმა. მკვლევარმა შეამჩნია, რომ მოსასახლეს შეკვეცილი ბეგარა მართებს, იმავე ნუსხის სხვა გლეხებთან შედარებით, მაგრამ ის არ ცდილა აეხსანა ეს მოვლენა. „ცალკე გამოსარკვევია, — აღნიშნავს მკვლევარი. — თუ რატომ აქვს მოსასახლეს და მესალობეს ბეგარა დაკლებული და რატომ არავითარი სამსახური მათ არ მართებთ“¹.

საბოლოოდ ლ. მუსხელიშვილი ბაშელ მოსასახლეს და მესალობეს მაინც მდაბიო გლეხებად მიიჩნევს და მოინალებს ნიაკუთვნებს².

შემდგომ მოსასახლე გლეხს შეეხო ბ. ლომინაძე. მისი აზრით, მოსასახლე უნდა ყოფილიყო შემდეგდროინდელი მოჯალაბის იდენტური. ამ თვალსაზრისს მკვლევარი გამოთქვამს ვალაქია კათალიკოსის საბუთებსა და დავთრების მონაცემებზე დაყრდნობით. მკვლევარის აზრით, იმის გამო, რომ მალაქია კათალიკოსს არ ჰქონდა საკუთარი ოჯახი, მისთვის უხერხულა იყო ტერმინი „მოჯალაბის“ ხმარება და ამიტომ შეცვალა ის „მოსასახლით“³.

¹ ლ. მუსხელიშვილი, დასავლეთ საქართველოს გლეხობის..., ენციკლის მოამბე, V-VI, 1940, გვ. 287.

² იქვე, გვ. 287.

³ ბ. ლომინაძე, ფეოდალური მეურნეობის ორგანიზაციის ისტორიიდან გვიანფეოდალურ საქართველოში, მსკი, ნაკვ. 30, 1954, გვ. 11.

ასეთ ახსნას ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ, როგორც ამას ქვემოთ ვაჩვენებთ, ტერმინი „მოსასახლე“ იხმარებოდა არა მარტო სასულიერო, არამედ საერო პირების მიერ გაცემულ საბუთებშიც.

ბ. ლომინაძის თვალსაზრისი „მოსასახლის“ თაობაზე გაიზიარა ქ. ჩხატარაიშვილმა⁴, ო. სოსელიამ კი არ მიიღო ეს თვალსაზრისი — მისი მსჯელობა ამ საკითხზე შემდეგია: „არ ჩანს, რომ „მოსასახლე“ და მოჯალაბე ერთი და იგივე იყოს. „მოსასახლე“, ჩვენი აზრით, ისეთი მებეგრე გლეხი არის, რომელსაც სასახლესთან დაკავშირებული ვალდებულება მართებს. ჯერ ერთი, „მოსასახლე“... როგორც წესი მოსახლე გლეხია... მას სარჩო მამულიც უნდა ჰქონოდა. ხოლო ძნელი დასაჯერებელია, რომ XVI-საუკუნეში, მოჯალაბის არსებობის (თუკი არსებობდა) პირველ ხანში იგი, როგორც წესი, ადგილ-მამულიანი ყოფილიყო. აღნიშნულ დავთრის „მოსასახლე“ კი ადგილ-მამულიანია და სხვა გლეხებზე ნაკლებ რაოდენობით, მაგრამ გამოსაღებსაც იხდის“⁵.

ამრიგად, ო. სოსელია მოსასახლეს არ თვლის განსხვავებულ კატეგორიის გლეხად. მისთვის ის ჩვეულებრივი მებეგრე გლეხია, რომელსაც სპეციფიკური სამსახური ევალება. მოსასახლისა და მოჯალაბის იგივეობის უარსაყოფად მკვლევარი გვთავაზობს კიდევ შემდეგ საბუთიანობას: „მოჯალაბე საბუთებში მხოლოდ XVII საუკუნიდან იხსენიება: ერთხელ XVII საუკუნის პირველ ნახევარს (1637 წ.) მეორედ — XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზე 1696—1704 წწ.)“⁶ (პატივც. მკვლევარს, როგორც ჩანს, გამორჩა დღემდე მოღწეულ საბუთებიდან 1637—1660 წწ. კიდევ სამ საბუთში მოჯალაბის მოხსენიება).

ამიტომ, მკვლევარს აზრით, რადგან მოჯალაბე XVII ს. ბოლონდე მხოლოდ ერთხელ იხსენიება, ის ფაქტიურად არ არსებობს, ან არსებობს სპორადულად. „მნიშვნელოვანია—აღნიშნავს ო. სოსელია — ამ მხრივ ის, რომ არქ. ლამბერტი „მოჯალაბეზე“ არაფერს ამბობს. დაუჯერებელია, რომ XVII საუკუნის პირველი ნახევრის სამეგრელოს ისეთმა მცოდნემ, როგორც არქ. ლამბერტი იყო, ვერ შეამჩნია აქ მოჯალაბეები, თუ ისინი მართლა იყვნენ“⁷.

⁴ ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავროს გლეხთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა XVI—XIX სს, შოაშვე, 1963, № 1, ვვ. 96.

⁵ ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, 1966, გვ. 87.

⁶ იქვე, გვ. 84.

⁷ იქვე, გვ. 89.

განეხილოთ საბუთების მონაცემები მოსასახლეების შესახებ. პირველად მოსასახლე იხსენიება ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის დავთრის ბაშის ნუსხაში. აქ ყველა გლეხი ჩამოწერილია თავისი სახელით და გვარით და მიწერილი აქვთ საბეგრო ვალდებულებები. სიის ბოლოში კი წერია: „მართებს მოსასახლესა ღვინო კოკა თორმეტნიანთა ოცი, საკლავი ერთი, ქათამი ორი.

მართებს მესალობესა ღვინო კოკა თორმეტნიანთა ოცი, საკლავი ერთი, ქათამი ორი. საბატკობო“⁸.

თუ ჩვენ მოსასახლის და მესალობის ბეგარას შევადარებთ სხვა ბაშელ გლეხთა საბეგრო ვალდებულებებს, განსხვავება აშკარა გახდება. ბაშის ნუსხაში სულ 29 გლეხია და აქედან 28-ს მართებს: ურემი ღომი ერთი, ღვინო კოკა 20, საკლავი 1, ქათამი 2. სათეთრო თევზ, სამარიობო ქათამი 2, კვერცხი 4, სამეჭინიბო მჭადი ხელი 30, შექნილი ერთი, ჩაბეჭი მკედი ერთი ტურთი, შუშაობაჲ სასახლრაჲ, მძაღე, მარილა, ნორი საკლავზედა, ყველი, კვერცხი, თევზი“⁹.

ამრიგად, ბაშელები იხდიან „თავ-ბეგარას“ სრული შემადგენლობით. გარდა ამისა, „სამარობოს“ და „სამეჭინიბოს“, მოსასახლე და მესალობე გლეხები კი იხდიან მხოლოდ „თავი — ბეგრის“ ძირითად ნაწილს (მესალობე იხდის აგრეთვე „საბატკობოს“, ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი). მათ ბეგარაში ურემული ღომაც არ შედის, რაც თითქოს იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მათ, ღომის მოსაყვანი თავიანთი მინდორი არ გააჩნდათ. გარდა ამისა, მოსასახლე — მესალობის სახელითა და გვარით მოუხსენებლობა და ამრიგად გლეხთა საერთო სიიდან გამოყოფაც, მათი დანაჩინი გლეხებიდან განსხვავებულ, დაბალ კატეგორიაში ყოფნის მარკენებელი უნდა იყოს.

ასეთივე სურათია ცაიშის დავთრის ხევთისის სასახლის გამოსავალი ბეგრის ნუსხაშიც, სადაც სამ მოსასახლეს მართებს მართ: „1 საკლავი, მისი ღომი და ღვინო“¹⁰, იმ დროს, როდესაც სხვა გლეხებს მართებთ როგორც თავი ბეგარა, უფრო სრული შემადგენლობით, ისევე გოჭკუმური.

⁸ ქართული სამართლის ძეგლები, III. გვ. 296.

⁹ იქვე, გვ. 296.

¹⁰ იქვე, გვ. 443.

ამგვარად, ხევთისის სასახლის მოსასახლეთა ბეგარაც შეკვეცილია და შეკვეცილია უფრო საპატიო ნაწილის ხარჯზე (არ მართებთ გოქკუმური, ანუ მასპინძლობა).

საინტერესოა ქალაის სასახლის გამოსავალი ბეგრის ნუსხა აქ ჩამოწერილი ათი გლეხიდან ცხრა მებეგრეა, მართებთ: თავი ბეგარა და გოქკუმური. ერთი გლეხი მეხადილეა, მართებს მარტო გოქკუმური. შემდეგ კი მოდის გრძელი სია გლეხებისა, რომლებსაც მართებთ ბეგრად: „ქენჭი ყველი, კოკა ღვინო, ლიჯი ღომი“, სხვადასხვა რაოდენობით. გლეხების ეს სია იწყება წინადადებით: „მართებს ხუთს სასახლი კაცსა გესტური საყანო“¹¹.

ბეგრების შედარებითმა განხილვამ დაგვარწმუნა, რომ ბეგარას, რომლის შემადგენლობაა: კენჭი ყველი, ღვინო, ღომი — „საყანო“ ეწოდება. გამოდის, რომ დანარჩენი ჩამოწერილი გლეხებიც „სასახლის კაცებია“, ოღონდ მათ — „გესტური საყანოს“ ნაცვლად, ჩვეულებრივი „საყანო“ მართებთ. ტერმინი „სასახლის კაცები“ არსად სხვაგან არ შეგვხვედრია და, ჩვენი აზრით, ეს იგივე „მოსასახლეებია“. ამას გვაფიქრებინებს მათი ბეგრების განსაკუთრებულობა: ეს გლეხები რომ ჩვეულებრივი მებეგრე გლეხები იყვნენ, აუცილებლად ევალეობდათ „თავი ბეგარა“, ამათ კი, როგორც ვხედავთ, მართებთ მარტო „საყანო“ მოსასახლე გლეხის, როგორც განსხვავებული კატეგორიის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის გიორგი მეფის 1569 წ. გელათის წმ. გიორგის საყდრისადმი გაცემული შეწირულობის წიგნი, სადაც ვკითხულობთ:

„შემოგწირეთ... თქვენ წმიდასა და დიდებულსა წმიდასა გიორგის... ჩუნიშის თავსა დელეს ფაღმა ზოშტიბელის სასახლე

... ამ სასახლის შემავალი მოსასახლე ერთი და გლეხი გვინცვლადე ლუთისია მისითა შვილებითა და ძმანწულითა და მისითა სამართლიანითა დლეს რისაც მქონებელი იყო კვამლი ერთი, ტკაბელავაძე გუგუტაი მისითა შვილებითა და სამართლიანითა დლეს რისაც მქონებელი იყო კვამლი ერთი“...¹².

ამრიგად, ამ საბუთის მიხედვით, მოსასახლეს „გლეხი“ არ ეწოდება. სასახლეში შემავალი ერთი მოსასახლე განსხვავდება

¹¹ ქართ. სამ. ძეგლ. III, გვ. 468.

¹² სცოა ფ. 1449, ს. 856.

გლებებისაგან, რომლებსაც მეფე მათი „სამართლიანი“ ქონებით სწირავს. აქაც, ისევე როგორც ბაშის ნუსხაში, მოსასახლე არ იხსენიება სახელითა და გვარით, იმ დროს როცა დანარჩენი გლებები ყველა სახელითა და გვარით არიან მოხსენიებულნი. საყურადღებოა, მოსასახლეს ბეგარის გასარკვევად, მამია გურიელის 1619/1627 წწ. შეწირულობის წიგნი ქრისტეს საფლავისადმი¹³.

ამ საბუთით მამია გურიელი ქრისტეს საფლავს სწირავს ჩეიხედენს სასახლეს, ათი კომლი გლებით, და ბაილეთს სასახლეს, ოცი კომლი კაცით. ჩეიხედენელ გლებებს ყველას მართებს: ორი საკლავი, ორი ქათამი, სამი გვერდი ღომი, სამი საწყავი ღვინო, საყველიერო, სამეჯინიბო, და სამარხო ძღვენი. სიის ბოლოს კი წერია: „მართებს მიქელას ხომერიკსა ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი სამადგანი ღომი და ერთი საწყავი ღვინო. ქ. მართებს ლალასა ხომერიკსა ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი სამადგანი ღომი და ერთი საწყავი ღვინო“. ასეთივე სურათია ბაილეთის გლებების ნუსხაშიც. ყველას მართებს: საკლავი, ქათამი, სამადგანი ღომი, საწყავი ღვინო, საყველიერო, საბაზიერო, სამეჯინიბო და საშობო, ზოგიერთს ამას გარდა, მართებს საპურობოც. სიის ბოლოს კი წერია: „მოსასახლესა ბეგარამიას — ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი სამადგანი ღომი და ერთი საწყავი ღვინო“.

გვარამასა და ხომერიკებს ბეგრების შედარება აშკარას ხდის რომ ჩეიხედენს მოსახლე ეს ორი ხომერიკი, ბეილეთს მოსახლე გვარამიას მსგავსად, მოსასახლე გლებები არიან. აქვე კარგად ჩანს, თუ რამდენად შეეკეცილა მოსასახლის ბეგარა სხვა გლებების საბეგრო ნორმებთან შედარებოთ. გიორგი მეფისა და მამია გურიელის საბუთები საინტერესოა იმ მხრივ, რომ, თუ აქამდე „მოსასახლე“ გვხვდებოდა მხოლოდ საეკლესიო საბუთებში (ქუთაისის და ცაიშის საყდრების გამოსავალი ბეგრების დავთრები და მალაქია კათალიკოზის საბუთები. მალაქიას საბუთებს ჩვენ ქვემოთ კიდევ შევხებით). ამჯერად „მოსასახლე“ იხსენიება საერო პირთა მიერ

¹³ შ. ბურჯანაძე, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდის სამთავროებისა, 1959, გვ. 137, № 147, საბუთი უთარილოა, შ. ბურჯანაძე მას მამია გურიელის ზეობის წლებით ათარილებს (1601—1627), საბუთში მამიას მეუღლე ათაბაგის ასული თინათინი გარდაცვლილად იხსენიება, ამის მიხედვით საბუთის დაწერის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი იქნება 1610 წ. (ამ წელს გარდაიცვალა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით თინათინი).

გაცემულ საბუთებში, რაც უარყოფს ბ. ლომინაძის ზემოხსენებულ ვარაუდს, თითქოს ტერმინი „მოსასახლე“ გამოიყენებოდა სასულიერო პირების მიერ „მოჯალაბის“ სინონიმად.

მოსასახლე გლეხების რაობის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან მალაქია კათალიკოსის შეწირულობის წიგნები (1616—1639 წწ). ერთ მათგანში მალაქია ავბობს:

„ვიყიდე ჩემის ალალის თეთრითა... სასახლე და კიდევ ახლად მე გავაწყობინე სასახლე მისის სათიბითა და ერთის სათევზოს წყლითა, და ერთის შინ მოსასახლის კვამლის კაცითა... ხიბულას სალარო არ იყო, ნაკიხვარი სალა[რო და] სასახლე გამიკეთებია, ერთი კვამლი კაცი ჩემის თეთრითა [მიყ]დია და შიდ მოსასახლეთ დამისახლებია“¹⁴.

ამრიგად, მოსასახლე აშკარად განსხვავებული საგლეხო კატეგორიაა. რაში მდგომარეობს ეს განსხვავება? ჭერ ერთი აღნიშნული საბუთის მიხედვით, მოსასახლე ნასყიდი გლეხია (ანუ გლეხია, რომელიც იყიდება უმიწაწყლოდ): მეორეც — მას ასახლებენ არა გლეხურ საკომლოზე, ან პარტანტზე, არამედ თვით სასახლის ტერიტორიაზე. დამახასიათებელია გამოთქმები: „შინ მოსასახლას კვამლის კაცით“ „შიდ მოსასახლეთ დამისახლებია“. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ლომინაძემ და მართებულად შენიშნა, რომ მოსასახლე თავის უფლებრივი მდგომარეობით მოჯალაბის მსგავსია¹⁵, მაგრამ ბ. ლომინაძე საერთოდ აიგივებს გლეხთა ამ ორ განსხვავებულ კატეგორიას, ამ თვალსაზრისს ჩვენ ვერ გავიზიარებთ. აღნიშნული საბუთის ცნობით, მოსასახლეს ასახლებენ სახასო სალაროზე, როგორც ჩანს, მან უნდა შეასრულოს მოლარის ვალდებულებები, ალბათ აქვე ექნება მას თავისი პატარა სამოსახლო, საიდანაც გადაიხდის მცირე ოდენობის ბეგარას. მოსასახლის ბეგარა რომ სხვა გლეხებთან შედარებით საგრძნობლად შეკვეცილია (რაც თავისთავად მეტყველებს მის ხელმოკლეობასა და სამოსახლო ალაგის სიმცირეზე), ეს ნათლად ჩანს ზემოთ განხილული საბუთებიდან. მაგრამ მთავარი და განმსაზღვრელი მოსასახლისათვის ეს მისი უფლებრივი მდგომარეობაა, მოსასახლე საკუთრებას მოკლებული გლეხია, მას თავისი დამოუკიდებელი, მემკვიდრეობით მასზე მიმაგრებული გლეხური საკომლო — ფუძე, „თავისი სახლკართა, ჭურ-მარნითა, ტყითა, ველითა, ვენახითა და საყანითა,

¹⁴ ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, I, 1920, კვ. 34.

¹⁵ ბ. ლომინაძე, დასახ. ნაშრომი, კვ. 110.

წისქვილითა, სასაფლაოთი, მთითა და ბარითა, საქებრითა და უძებრითა“, არ გააჩნია. ამ მოლარედ დაყენებულ მოსასახლეს გაყიდვის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ეკლესიის სახასო სალაროსა და სასახლესთან ერთად არ გაყდიან (თავისთავად სასახლე და სალარო კი შეიძლება გაყიდონ მასზე დაყენებულ მოსასახლესთან ერთად).

მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის მოსასახლე გლეხებისა და „სასახლე ადგილის“ შესახებ მალაქია კათალიკოსის მეორე საბუთი, სადაც ვკითხულობთ: „... თითლის სასახლე გამკეთება, საყდრისათვის სამრეკლო ანიშვნებია და ქუთკირის მარანი ანიშვნებია... ერთი კუთხლი კაცი ჯიქა გურიიდან მიმაცვანია, მე ბოტნეთ დამისახლება და ჯოგი დამიყენებია, მეორე კვანილი კაცი სურებული გური[ი]დან მიმაცვანია და დამისახლება... დღესასახლე არ იყო ბატონის დადიანისა ძველი გაოხრებული სასახლე იყო... დაუწყეთ შენება. საყდარი გაგვიკეთებია. დარბაზი და ჯიხური ჩემის თეთრითა მიყილია და დამიდგამს... აგრევე ბელლები, მარანი და რაც სახლები არის ან საყანე, ან საკრეფი მამული და ქურები, ყველა ჩემს თეთრით მიყილია, ერთი მოსახლე ბატონმან დედოფალმან მიბოძა და სამი მოსახლე ჩემი საკუთარი კაცები მიმიყვანია და დამისახლება... ღორის ჯოგი დამიყენებია და სამუშაო საქმე ყველა გამიჩენია და გამორიგებია: ქვაბები დამიდგამს და მეთევზენი დამიყენებია ხოირს სოფელი იყო და სასახლე არ იყო. მერმე ჩემის თეთრითა სასახლე ადგილი ვიყიდე მეგრელებს აგან და დარბაზი ვიყიდე და დავადგევიენე. ჯიხური დავადგევიენე და გარდავაქედინე; და რაიც სახლები დგას. ყველა ჩემის თეთრითა მიყილია და სხვა საყანეები, საკრეფი მამულები და ქურები მიყილია და შემამატებია, მოსასახლეები დამისახლება და ზროხები დამიყენებია“¹⁶. მოყვანილი ადგილიდან კარგად ჩანს „სასახლე ადგილს“ შინაარსი. სასახლე ადგილი მარტო ბატონის საკარმიდამოს კარნიშნავდა, არამედ ნიშნავდა საერთოდ საბატონო მიწას. რომელზედაც მოწყობილი იყო საბატონო მეურნეობა. „ხოირს სოფელი იყო და სასახლე არ იყო“-ო, მალაქია რომ ამბობს, მარტო მას კარგულისხმობს. რომ აქ საბატონო სასლა და მისი კარმიდამო არ იყო, არმედ იმას, რომ აქ, სოფლის გარდა, საკუთრივ საბა-

¹⁶ ქართ. სამ. აქვლ.; III კვ. 496.

ტონო მიწა, საბატონო მამული არ იყო. ეს კარგად ჩანს იქიდან, რომ მალაქია იძულებულია იყიდოს ეს მიწა. მეგრელებისაგან.

ამრიგად, მალაქია „სასახლე ადგილს“, ანუ საბატონო მამულს იძენს მეგრელებისაგან და შემდეგ აწყობს მასზე საბატონო მეურნეობას.

ბ. ლომინაძე „სასახლე“-ს მხოლოდ ბატონის საკარმიდამო მეურნეობად მიიჩნევს. აქედან გამომდინარე „სასახლეში დასახლებას“ ის ბატონის კარმიდამოში, უშუალოდ სასახლის როგორც შენობის ეზოვარემოში დასახლებად თვლის, სწორედ ამიტომ ვერ ამჩნევს სხვაობას „მოსასახლე“ და „მოჯალაბე“ გლეხებს შორის.

„სასახლეს“ კი, როგორც ვხედავთ, უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა, ის საერთოდ საბატონო მიწას ნიშნავდა, ანუ უდრიდა ფეოდალის მიწის იმ ნაწილს, რომელიც მის პირად მფლობელობაში იყო, განსხვავებით სოფლისაგან, სადაც გლეხები ესახლნენ.

აქედან გამომდინარე ირკვევა მოსასახლე გლეხის შინაარსიც. მოსასახლე გლეხი ისეთი გლეხია, რომელიც სასახლეში, ანუ ბატონის პირად მამულში (და არა მაინცდამაინც კარმიდამოში) სახლობს და საბატონო მეურნეობას ემსახურება.

საბუთიდან ირკვევა აგრეთვე, რომ თილითის „მებოსტნე“, ისევე, როგორც ღალიძგას სასახლის გლეხები, მოსასახლეები არიან. ამავე საბუთიდან კარგად ჩანს მოსასახლეთა მოვალეობანი ფეოდალის პირად მამულში, ანუ სასახლეში მოსახლე გლეხებს ევალეობდათ ამ მამულის როგორც სამეურნეო ერთეულის მოვლა-პატრონობა, კერძოდ, სახასო ბელლების, მარნების, ჭურების, სალაროების, ვენახების, ბაღ-ბოსტნების, ჯოგის. ერთი სიტყვით, ყველაფერი ის საქმე, რაც სასახლეს, ანუ ფეოდალის პირად მეურნეობასთან იყო დაკავშირებული.

სასახლე, ანუ ფეოდალის პირადი მამული, თავისი მოსასახლე კაცებით (იგივე სასახლის კაცები) ცალკე სამეურნეო ერთეულს წარმოადგენდა და განსხვავდებოდა სოფლისა და მასში მოსახლე გლეხებისაგან. ამაზე მიუთითებს გამოთქმა: „ხოირს სოფელი იყო და სასახლე არ იყო“.

მოსასახლე გლეხების მასა თავიანთი საქმიანობის მიხედვით, რა თქმა უნდა, ერთფეროვანი არ იყო. მოსასახლე გლეხი შეიძლება ყოფილიყო: მეთევზე, მებოსტნე, მოლარე და სხვა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა განხილული საბუთის შემდეგი

ნაწყვეტი: „ამას გარეთ ხიბულას გამოღმა სასახლისათვის გამიმატე-
ბია... დიდი დარბაზი და ჭიხური დამიდგამს... სახლ-კარი გამიკეთე-
ბია, მოსასახლენი დამისახლებია, კამბეჩისა, ზრო-
ხისა, თხისა და ღორის ჯოგი დამიყენებია, საღობი გამიკეთებია,
და ერთი მოსახლე კაცი ზედ დამისახლებია,
ხარდანი გამიკეთებია და მეხარდნე იმერეთიდან მამან მომიყუ-
ნია და დამისახლებია“¹⁷.

მოყვანილი ნაწყვეტიდან ირკვევა აგრეთვე „მესაღობის“ შინა-
არსი. მესაღობე გლახს შეეხო ჭერ კიდეც ს. კაკაბაძე და აღნიშნა:
„მესაღობის ვითარება ჩვენთვის გაუგებარია. ტერმინის მიხედვით
მას ედვა ღობის გაკეთება. შეიძლება მესაღობე იყო დაბალი კატე-
გორიის გლახი, დაახლოებით შემდეგდროინდელი მოჭალაბის და-
გვარი“¹⁸. ასევე გაურკვეველი დარჩა მესაღობის შინაარსი ლ. მუს-
ხელიშვილსაც. მისი აზრით, მესაღობე არის არა განსაკუთრებული
კატეგორიის, არამედ გარკვეული ხელობის თუ ვალდებულების
შემსრულებელი გლახი: „საბუთებში გვხვდება ბევრი სხვა განსა-
კუთრებული ხელობის თუ ვალდებულებებს ყმა, როგორც „მესა-
ღობე“ „მეახორე“, „მეთეზე“, „მესანათლე“ და მრ. სხვა., მაგრამ
ყველა ესენი ან მსახურები არიან, ან მდაბიო გლახები“¹⁹.

როგორც აღნიშნული საბუთიდან ირკვევა, სასახლეს ჰქონ-
და თავისი საღობი ადგილები, სადაც მოთავსებუ-
ლი იყო სასახლის კუთვნილი ჯოგი, მესაღობე
კი ისეთი მოსახლე იყო, რომელსაც ვალად
ედვა ამ საღობის დამისი ჯოგის მოვლა-პატრო-
ნობა.

მაღაქია კათალიკოსის საბუთში საღობზე დაყენებულ გლახს
მესაღობედ მიიჩნევს ბ. ლომინაძეც, მაგრამ, როგორც ჩანს, მკვლე-
ვარი არ თვლის, რომ ყველა მესაღობე მოსასახლეს კატეგორიას
ეკუთვნის, რადგან ქუთაისის საყდრის დაეთრის ბაშის ნუსხაში მო-
ხსენებულ მესაღობეს მოსასახლედ არ განიხილავს.

მეხარდნეც მოსასახლე გლახი იყო და მის მოვალეობას
შეადგენდა სასახლის ხარდნის (დაბლარი ვენახი) მოვლა.

¹⁷ ქარ. სამ. ძეგ. III, გ. 502.

¹⁸ ს. კაკაბაძე, მასალები... საისტორიო კრებული, III, 1928, გვ. 29 (სქო-
ლო).

¹⁹ ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 318.

მოსასახლე გლეხთა კატეგორიაში შედიოდა „მეახორეც“. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე ამ ტერმინის შესახებ აღნიშნავდა: „მეახორე უნდა იყოს მეგრული წარმოშობის ტერმინი. ოხორუე მეგრულში ნიშნავს სამოსახლოს, აქედან წარმოშობილია მეგრული დოლმეახორე, მისახლებული, რომელიც მეგრულად XIX ს-ში მოჯალაბეს აღნიშნავდა. ჩვენ გვგონია ამისდა მიხედვით, რომ მეახორე უნდა იყოს იმერეთის ზოგ კუთხეში ჯერ კიდევ ხმარებული მეგრული წარმოშობის ტერმინი, შემდეგდროინდელ მოჯალაბის შესატყვისი“²⁰.

ო. ს ო ს ე ლ ი ა უარყოფს ამ თვალსაზრისს და აღნიშნავს, რომ მეახორე ახორის მომვლელს ნიშნავს²¹, ახორი კი ნიკო დადიანის განმარტებით ეწოდება ადგილს „სადა დაიბმოდეს... ცხენები“²². სხვა სიტყვებით ახორი საჯინიბოა მაგ., ამირ-ახორი, — არაბული ტერმინია, სიტყვა სიტყვით ნიშნავს საჯინიბოს ამირას ანუ საჯინიბოს გამგებელს²³.

ამრიგად, მეახორე საჯინიბოს მომვლელს ნიშნავს. თუ მეახორის მოვალეობებს შევადარებთ მესალობეთა ვალდებულებებს, მსგავსება აშკარა გახდება. მესალობე სალობების მომვლელია, რომელშიც სხვადასხვა სახის ჯოგია დაყენებული, მეახორე კი საჯინიბოს პატრონობს. ერთი სიტყვით, მეახორე ისეთივე მოსასახლე გლეხია, როგორც მესალობე.

მეახორეს კუთვნილება მოსასახლე გლეხთა კატეგორიისადმი კარგად ჩანს საბუთებიდან, პირველად მეახორე იხსენიება ბაგრატი მეფის მიერ გელათის წმინდა გიორგის საყდრისადმი გაცემულ შეწირულობის წიგნში (1545 წ.), „არის გელათს ზღუდეს გარეთ საბას მოძღვრისეული სენაკი მისითა ჭურმარნითა, ვენახითა, სახარდნითა, საბოსტინითა, კიდევ მას ქუეშეთ ერთი მეახორე მისითა სახლკართა, ჭურმარნითა, ვენახითა, მისითა დასარჩომითა“²⁴.

ამრიგად, ამ საბუთის მიხედვით მეახორის კუთვნილება საბა მოძღვრისეული სენაკისადმი, მისი მეურნეობისადმი აშკარაა. ის სენაკის როგორც სამეურნეო ერთეულის ერთ-ერთ კომპონენტად

²⁰ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, მასალები..., საისტორიო კრებული III, 1928, გვ. 20

²¹ ს. ს ო ს ე ლ ი ა. ფეოდალური ხანის... გვ. 89.

²² ნ ი კ ო და დ ი ა ნ ი, დასტურლამალო, 1897, გვ. 16.

²³ X. K. Б а р а н о в, Арабско-русский словарь, 1977, стр. 27, 44.

იხ. აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, 1928, გვ. 151—152.

²⁴ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი. გვ. 61.

განიხილება. საბუთში ჩამოთვლილია სენაკის მეურნეობის შემადგენელი ნაწილები, როგორებიცაა: ვენახი, ჭურმარანი, ხარდანი, საბოსტნე და მათთან ერთად, „კიდევ“ ერთი მეახორე, მისის დასარჩობითა. კიდევ უფრო საინტერესოა ამ მხრივ გრიგოლ კათალიკოსის ბიჭვანთის საყდრისადმი გაცემული შეწირულობის გუჯარი (1733 წ.) კათალიკოსმა შესწირა საყდარს:

„გელათს სასახლე სამხრეთის კერძო მისი მოწყობილობით, ორი მოსახლე მეახორე სახლებულიყო და დაკარგულიყო და მათი მიწა ადგილი ამოვიღე და მოჯალაბენი დავასახლე“²⁵.

ამ საბუთში საქმე გვაქვს სასახლესთან, ანუ ამ შემთხვევაში საყდრის პირად სახასო მამულთან მთელი მისი „მოწყობილობით“, რომელშიც იგულისხმება: სასახლის საყანო ადგილები, ვრცელი ბაღ-ბოსტანები, ვენახები, საღობები, მარნები და სხვა. სასახლის სამეურნეო ტერიტორიაზე სახლობდა დასახლებული ორი მეახორეც, რომელთა მაგივრად ახლა კათალიკოსი მოჯალაბეებს ასახლებს. მეახორის სამოსახლო, რომ ჩვეულებრივი გლეხურა საკომლო არ იყო, და როგორც ჩანს, მასზე ბევრად მცირე იყო, ეს იქიდანაც ირკვევა, რომ მის ადგილას კათალიკოსი მოჯალაბეს ასახლებს, მოჯალაბეებს კი, ძირითადად, ასახლებდნენ საკარმიდამო ტერიტორიაზე, იყო სპეციალური „სამოჯალაბო ალაგები“ (სხვა არის მოჯალაბის დასახლება, და სხვა არის მისი მოჯალაბეობიდან გამოყვანა, და მებეგრე გლეხად დასახლება. ამ შემთხვევებზე ჩვენ აქ არ შევჩერდებით და მათ ქვემოთ განვიხილავთ. მოჯალაბეებზე საუბრის დროს).

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ მოსასახლე გლეხთა შემდეგი ტიპები: მოლარე, მეახორე-მეჩინებე, მებოსტნე, მეთევზე, მეხარდნე, მესაღობე. საბუთებში შეგვხვდა აგრეთვე მემარნე — მოსასახლე. მაგ., აფხაზეთის საკათალიკოსო განოსავალი ბეგრის დავთრის ერთ მინაწერში ვკითხულობთ:

„და გვისახლებია 1 მოსახლე სურბლი კაცი პაატაი გიორგაძე და მისი შული მამუკაი სასახლო მარანზედ. მას მართებს 40 საწყავეი ღვინო“²⁶.

ამგვარად აშკარაა, რომ ეს გლეხი დასახლებულია არა საგლეხო საკომლზე, არამედ სასახლის ტერიტორიაზე, კერძოდ, სახა-

²⁵ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დას. საქართვ. საეკლ. საბ., I, 1921, გვ. 141.

²⁶ ქართ. საბ. ძეგლ. 111, გვ. 434.

სო მარანზე. ამ გლეხის გაყიდვის შემთხვევაში სახასო მარანს, რა თქმა უნდა, მასთან ერთად არ გაყიდიან, ცხადია, ამ გლეხს თავისი მკვიდრი საკომლო არ გაყენია.

აქვე უნდა შევეხოთ ზოგი მოსასახლე გლეხის ბეგრის სპეციფიკას. მაგ., ზემოთ დასახელებული გიორგაძე, რომელიც სახასო მარანზე სახლობს, იხდის 40 საწყაე ღვინოს, საიდან უნდა გადაეხადა ამ ღვინოს ეს ბეგარა? ნიშანდობლივია, რომ ეს მემარნე სხვას არაფერს არ იხდის, არც ღორს, არც ქათამს და სხვა. ის დაყენებულია სახასო მარანზე და იხდის მხოლოდ ღვინოს. როგორც ვხედავთ, იმის ბეგარა უშუალოდ უკავშირდება მის საქმიანობას — მემარნეობას. ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე ზემოთ ჩვენ მიერ უკვე განხილული ბაშელი მესალობის ბეგარაც. ბაშელთა ბეგარა სრულიად ერთნაირია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქ ყველას მართებს, გარდა თავი ბეგარისა (რომელსაც ბაშელები იხდიან სრული შემადგენლობით), „სამარიობო“ და „საჭინიბო“, მოსასახლეს და მესალობეს კი მართებს მართო თავი ბეგარა, ისიც შეგვეცილი სახით, ხოლო მესალობეს, გარდა ამისა, მართებს „საბატკობო“. ამრიგად, როგორც ზემოთ განხილულ შემთხვევაში, მემარნის ბეგარა უკავშირდება მის საქმიანობას, მესალობის ბეგარაც ერთგვარად დაკავშირებულია მის საქმიანობასთან. ამ მოვლენას მხოლოდ ერთი ახსნა შეიძლება მოეძებნოს: მემარნე და მესალობე, ისევე როგორც ყველა სხვა ტიპის მოსასახლეები, არა მართო უფლიან ბატონის მეურნეობის ამა თუ იმ დარგს, არამედ თვითონაც სარგებლობენ მით, სანამ სახლობენ იმ ტერიტორიაზე. მაგ., მარანს აქვს, რა თქმა უნდა, თავისი ვენახი, რომლის ნაწილი თვით მოსასახლეს ეძლევა პირად სარგებლობაში, საიდანაც იხდის ის ბეგარას. ასევე მესალობეს გამოეყოფა, როგორც ჩანს, ნაწილი საბატონო საღობში მოთავსებული ჭოგისა, რომლითაც ის თვითონაც იკვებება და იხდის აგრეთვე ბეგარას (ამ შემთხვევაში „საბატკობოს“ ანუ ნაალდგომევს 1 ან 2 ბატკანს). ასეთ ვითარებაში მოსასახლე გლეხი დაინტერესებულია საბატონო მეურნეობის იმ დარგის აყვავებაში, რომელსაც ის უძღვება.

მოსასახლე გლეხის, როგორც კატეგორიის, გაჩენა უშუალოდ უკავშირდება ბატონეობის რიგის დარღვევას და გლეხთა ნაწილის უმიწაწყლოდ დარჩენის თუ გაყიდვის პროცესს. გარდა ამისა, გლეხთა ეს კატეგორია გულისხმობს ფრიალ განვითარებულ, დიფერენცირებულ საბატონო მეურნეობას. მოსასახლე გლეხი უშუა-

ლოდ უკავშირდება ინტენსიური მეურნეობის ტიპს. ღომის, პური-სა და სხვა მსგავსი ყანები შეიძლება სოფლის გლეხებიდან გამოყვანილ მუშებს დაემუშავებიათ, მაგრამ არის მეურნეობის დარგები, რომლებიც ყოველდღიურ მზარუნველობას საჭიროებს, გარდა ამისა, საჭიროებს თვით მწარმოებლის მეტ დაინტერესებას. მაგ., მევენახეობა-მებაღეობა-მებოსტნეობის გასავითარებლად ყმა გლეხის ოჯახიდან გამოყვანილი პირის შრომა, რომელიც გარეშე იძულების გამო მუშაობს, ბატონის მამულში არანაყოფიერია. ნოსასახლე გლეხი, როგორც აღვნიშნეთ, დაინტერესებულია საბატონო მეურნეობის იმ დარგის აღმავლობაში, რომელსაც ის უძღვება, რადგან საბატონო მეურნეობის ეს ნაწილი მისი სასიცოცხლო წყაროა, მაგ. ბატონის ხარდანზე დასახლებული მოკასახლე უვლის ამ ხარდანს, სანამ მასზე სახლობს, თვითონ სარგებლობს ამ ვენახით და უხდის ბატონს მცირე ბეგარას, ასეთ ვითარებაში საბატონო მეურნეობის ეს დარგი, ამ შემთხვევაში ხარდანი, აყვავებული რჩება და ბატონი მისგან შემოსავალს ღებულობს.

მოსასახლე გლეხები დასავლეთ საქართველოს საბუთებში დამოწმებული არიან 1545 წ-დან (ბაგრატ მეფის საბუთის მეჯბორე). ასე რომ, მათი გაჩენა სავარაუდებელია ერთიანობის ხანაში (XII—XV სს.). XVII ს. დასასრულიდან მოყოლებული, ბ. ლომინაძის აზრით, სასახლეთა მეურნეობა ქვეითდება. თუ გავითვალისწინებთ საეკლესიო მეურნეობისათვის დამახასიათებელ ორგანიზებულობას, უნდა ვაღიაროთ, რომ საერო ფეოდალთა პირადი მეურნეობის დაცემა-დაკნინება კიდევ უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო. ფეოდალის პირადი მეურნეობის განუვითარებლობა აშკარად იგრძნობა XVIII ს-ში. ეს რა თქმა უნდა, გამოიწვევდა მოსასახლე გლეხების ერთგვარ შემცირებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს კატეგორია გლეხისა მაინც განაგრძობდა არსებობას. „მოსასახლე“, როგორც ზოგადი ტერმინი ამ ტიპის გლეხის აღსანიშნავად, XVIII ს. საბუთებში აღარ გვხვდება, მაგრამ კონკრეტული სახეები მოსასახლე გლეხებისა იხსენიებიან. მაგ., ქრისტეს საფლავის ყმების ნუსხაში (1787 წ.) ვკითხულობთ:

„ერთი გლეხი მესალობეა, მარჩილის მეტი არა ეთხოვება რა“²⁷.

²⁷ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დას. საქართ. საეკლ. საბ. II, გვ. 92.

2. მოჯალაბე გლეხები

საქროა გაარკვეს მოჯალაბე გლეხების არსი, მათი წარმოქმნის დრო. მათი მიმართება მოსასახლე გლეხებთან, ცვლილებები მათ მდგომარეობაში.

როდის ჩნდებიან მოჯალაბე გლეხები?

დასავლეთ საქართველოს საბუთებში ისინი იხსენიებიან XVII ს.-დან. ცხადია, ეს მოწმობს, რომ მოჯალაბე გლეხი ამ პერიოდში უკვე არსებობდა. მოჯალაბის მოხსენიება ლევან დადიანის ერთ-ერთ (1642 წ.) საბუთში მოწმობს, რომ მოჯალაბე იყო ამ პერიოდში სამეგრელოშიც. მიუხედავად ამისა, რომ მას არ იხსენიებს არქანჯელო ლამბერტი (რის საფუძველზეც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ი. სესელია უარყოფს XVII ს. I ნახევარში სამეგრელოში მოჯალაბე გლეხების არსებობას).

კერძოდ, მოჯალაბე გლეხები გვხვდება XVII ს. I ნახ. დას. საქართველოს შემდეგ საბუთებში, 1) გიორგი მეფის შეწირულების წიგნი გელათისადმი (1637 წ.), სადაც ის სწირავს გელათის საყდარს ბაჯს სასახლეს „მისის მოჯალაბით“²⁸, 2) ზაქარია ქვარიანის შეწირულების წიგნი გელათის ღვთისმშობლისადმი (1644 წ.), სადაც იხსენიება „სასახლეში მოჯალაბე ბერუჩიკიძე და მისი შვილები“²⁹, 3) ბაგრატ მეფისა და ნესტან-დარეჯანის შეწირულების წიგნი (1660 წ.)³⁰, 4) ლევან დადიანის შეწირულების წიგნი ეწერის საყდრისადმი (1642 წ.)³¹.

დამოწმებული საბუთები ცხადყოფენ, რომ XVII ს. 30-იანი წლებიდან მოყოლებული მოჯალაბე არსებობს როგორც სრულიად ჩამოყალიბებული კატეგორია გლეხისა. რა თქმა უნდა, ის ასე ერთბაშად და ერთდროულად დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ვერ გაჩნდებოდა, ამიტომ მოჯალაბის წარმოქმნა XVI ს.-ში მაინცაა სავარაუდებელი (თუ უფრო ადრე არა) ! 1637 წ.-ზე ადრინდელ საბუთებში მოჯალაბის მოუხსენებლობა, ცხადია, არ მოწმობს მის არარსებობას: XVI ს. დასავლეთ საქართველოს საბუთები მეტად მცირე რაოდენობითაა შემონახული და, ძირითადად, ისეთი ხასიათისაა, რომ მათში არც იყო მოსალოდნელი მოჯალაბის

²⁸ თ. ეორღანი, ქრონიკები II, გვ. 451.

²⁹ ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 506, საბ. № 114.

³⁰ შ. ბუჩაძე, ისტორიული დოკუმენტები..., გვ. 31, საბ. № 21.

³¹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qd, 6740.

მოხსენება. არ არის გასაკვირველი მათი მოუხსენებლობა აგრეთვე XVI—XVII სს. ჩვენამდე შემორჩენილ საეკლესიო გლეხთა გამო-სავალი ბეგრებს დაეთრებში, რადგანაც ეს დაეთრები, როგორც ივ. ჭავჭავაძემ შენიშნა, „ხალხთა აღწერის“ დავთრები კი არ არის, არამედ საბეგრეო ვალდებულებების აღმნუსხველი დავთრე-ბია, ასე რომ, მოქალაქეები ამ დავთრებში ვერაფრით ვერ მოხვდებოდნენ. ჩვენ ქვემოთ, მონალე გლეხებზე საუბრისას ვაჩვენებთ, რომ დავთრებში მოქალაქეები კი არა რიგ შემთხვევებში მონალე-ებიც არ არიან დასახელებულნი.

რა მიმართებაშია მოქალაქე გლეხი მოსასახლესთან, რა მსგავ-სება და განსხვავებაა მათ შორის?

ძირითადი მსგავსება მოსასახლე და მოქალაქე გლეხებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ გლეხთა ორივე ეს კატეგორია საკუთ-რებას მოკლებულია, ისინი უმიწაწყლო გლეხები არიან და სახლო-ბენ საბატონო მიწაზე. მათი გაყიდვის შემთხვევაში ბატონი მათ თა-ვიანთი სამოსახლო ადგილის გარეშე ჰყიდის, რადგან თვით სამო-სახლო ალაგი ბატონისაა. სოფლის გლეხი კი მიმაგრებულია თავის საკომლოზე და საკომლოსთან ერთად იყიდება: (ჩვენ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ იურიდიულ ნორმას და არა ამ ნორმის დარ-ღვევას ცალკეულ შემთხვევებს მებატონეთა თვითნებობით). სხვა მხრეზე მოსასახლე და მოქალაქე სრულიად განსხვავებული კატე-გორიებია და მათ ერთმანეთთან არაფერი საერთო არა აქვთ.

მთავარი განმასხვავებელი მათ შორის სამსახურის ხასიათია. მოქალაქე, როგორც თვით სიტყვაც გვიჩვენებს, დაკავშირებულია ჯალბთან. ის ჯალბის, ანუ ბატონის ოჯახის მომვლელია. მოქა-ლაქე უშუალოდ ცხოვრობს ბატონის სახლში (არა „სასახლეში“ საბატონო მიწის გავებით, არამედ სახლში) ან მის ეზო-მიდამოში. აქედან გამომდინარე, მოქალაქის სამსახური კარ-მცდამოს მოვ-ლასა და ბატონის ოჯახის შინამოსამსახურეობაში მდგომარეობს. მოქალაქე ასრულებდა ყველაზე დამამცირებელ სამუშაოს, რაც, როგორც ჩანს, მოიცავდა ქვაბებისა და ქურჭლის რეცხვას, ბატო-ნის მზარეულისა და ხაბაზისათვის მოქალაქე არჩევდა პურს და სხვა პროდუქტს, ცეხავდა ღომს, ფქვავდა და სხვ., უვლიდა (ალ-ბათ წველავდა) ბატონის ეზო-გარემოში მდგომ პირუტყვს. მაგ., კაცია დადიანი ერთ თავის შეწირულობის წიგნში საირმის უდა-ბნოსადმი (1766 წ) აღნიშნავს:

„მამა დედა ჩემს... შეეწირა... გენდუმს კახიძის სოული სსახლე ...და მოქალაქე დაეცახლებინათ ჭიხვარია ძალღუტა

და უდაბნოსათვის შეეწირათ მოსამსახურეთ საფქვეავ
საცეხვათ და პირუტყვის მოსავლელად დაპუ-
რის მრჩეველად³².

ძირითადად მოქალაბე დაუსახლებელი გლეხია, რომელიც ბა-
ტონის კარზე ცხოვრობს. ეს კარგად ჩანს თუნდაც სოლომონ I-ის
განჩინებიდან მიქელაძეების გაყრის საქმეზე. მიქელაძეებს ცილო-
ბა მოსდით გლეხების გაყოფისას: უმცროსს ძმას საუმცროსოდ
ერგო „სასახლე კულაშს,... და რომელიც შენებული რამ არის
იმაშიდ, სრულებით იმიანათ, კურს გარდა“³³. სასახლესთან ერთად
მასვე ერგო შენობაში, თუ მის ეზო-გარემოში მოსახლე მოქალაბე-
ები. ოლონდ ისეთი მოქალაბეები, რომლებიც ამთავიავე მოქალაბე-
ები იყვნენ და არა შემდგომ მოქალაბედ გადაქცულნი, სამოსახლო-
დან მათი აყრის შედეგად. ამრიგად მოქალაბეები გლეხების სათ-
ვალავეში არ შედიან, რადგან ისინი სასახლის შემადგენელ ნაწილად
განხილებიან და მექანიკურად უმცროს ძმას რჩებიან. მეორე მხარე
ციდილობს დაამტკიცოს მათი არა მოქალაბეობა (რომ ისინი თა-
ვიდანვე მოქალაბეები არ იყვნენ) და თუ მან ამის დამტკიცება შეს-
ძლო, მაშინ ეს ცხრა მოქალაბე აღარ იქნება მიჩნეული სასახლის
კუთვნილებად და, სხვა გლეხების მსგავსად, მათაც გაიყოფენ. ამ-
რიგად, მეორე მხარე ეძებს ყველაზე უფრო დამაჯერებელ არგუ-
მენტს, უარყოფს ამ გლეხების თავდაპირველ მოქალაბეობას: „ამათ-
შიდ ცილობა შეიქმნა: პირველი მოქალაბე[ე]ბი არ არისო, ეს ე ს ე ნ ი
ს ს ვ ა გ ა ნ და ს ს ვ ა გ ა ნ ე ს ა ხ ლ ე ნ“.

ამრიგად, ეს გლეხები თავდაპირველად მოქალაბეები არ ყო-
ფილან, ისინი სხვადასხვა ადგილას ესახლენ, მხოლოდ, როგორც
ჩანს, ამ სამოსახლო ადგილებიდან მათი აყრის შედეგად ქცეუ-
ლან მოქალაბეებად. ერთი სიტყვით, მოქალაბე მოსახლე
გლეხის საპირისპირო ცნებაა.

XVIII ს. საბუთებში მრავლად გვხვდება დასახლებული მო-
ქალაბეები, მაგრამ ეს მოქალაბეები დასახლებული არიან არა
სასახლის გარეთ (ამჯერად სასახლეს ვხმარობთ არა საბატონო
მიწის როგორც სამეურნეო ერთეულის, არამედ ფეოდალის სახ-
ლის, მისი კარ-მიდამოს მნიშვნელობით), არამედ თვით ფეოდალის
კარ-მიდამოში ან მის სიახლოვეს. ეს გაპირობებული იყო თვით
მოქალაბის სამსახურის სპეციფიკით. ფეოდალის კარ-მიდამოში

³² ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დას. საქართვ. საეკლ. საბ. II, გვ. 30.

³³ ქარ. სამ. ძეგლ. V, გვ. 163, № 95.

იყო სპეციალური „სამოჯალაბო ალაგები“. მაგ., ჩხეიძეების ერთ საბუთში ვკითხულობთ: „ასე რომ ჩვენს კარზედა, სვიმონის კარზე ადგილი რომ იყო რომელიც მოჯალაბის ნამოსახლარი არ იყო, სხვა საერთო იყო მამისჩვენისეული და შენი წილი ჩვენ შემოგვა-ნებე“³⁴.

ზოგ შემთხვევაში მოჯალაბეს შეიძლებოდა სასახლის გარეთაც ჰქონოდა თავისი სარჩო-ალაგი. მაგ., გრიგოლ კათალიკოსოს ერთ საბუთში ვკითხულობთ: „რაქას ბარისთავს სასახლე ვარდისგორა ჰბოში განწყობილი ერთს მოჯალაბით, ტყით, წყლით... მისის ყო-ელისფერიანათ. აგრეთვე მოჯალაბეს თავისი სარჩო ფუტყეთს აქუს ტყით, წყლით, სავენახოთ, რაიც მოუნდება ერთს მოსახლე კაცს“³⁵, მაგრამ ასეთი დასახლებული მოჯალაბე კვლავ მოჯალაბეთ რჩება, თავის ბატონს მოჯალაბობით ემსახურება, ბეგარას არ იხ-დის და საერთოდ მოსახლე და მებეგრე გლეხად არ განიხილება.

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში მოჯალაბის დასახლება გაი-გივებულია მის მებეგრე გლეხად გადაქცევასთან. კერძოდ, ო. სო-სელია ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „მიწაზე დასმისა და მებეგრე გლეხად გადაქცევის შემდეგაც რჩება მოჯალაბეს თავისი მოჯალაბური ვალდებულება: ბეგარა-გა-მოსაღებს გარდა „ჩამომავლობით“ მართებს „მოჯალაბური წესით“ სამსახური, თუ მებატონემ იგი ამისგან საგანგებოდ არ გაან-თავისუფლა“³⁶.

საბოლოოდ მკვლევარი დაასკვნის: „XVIII—XIX სს-ში მო-ჯალაბე ორი სახისაა: 1. მოჯალაბე, რომელიც მებატონის ეზოში ცხოვრობს და მას „ყოვლითური ემსახურება“ და 2. გლეხად დასმული, ადგილ-მამულის მქონე, მოჯალაბე, რომელიც „მოჯალაბური წესით“ სამსახურის გარდა ბეგარა-განო-სალები მართებს“³⁷.

ამ დებულების მეორე ნაწილი, ჩვენი აზრით, მიუღებელია. „გლეხად დასმული, მებეგრე მოჯალაბე“ არ არსებობდა. „გლეხად დასმა“, „გლეხშიდ ჩაყენება“. „მებეგრე გლეხად ქცევა“, სრულიად განსხვავებული შინაარსის ცნებაა და მას მოჯალაბის დასახლებას-თან საერთო არაფერი აქვს. საბუთებში, როგორც უკვე აღვნიშ-

³⁴ Hd 2954.

³⁵ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დას. საქართვე. საეკლ. საბ. I, გვ. 140.

³⁶ ო. სოსელია, ფეოდალური ხანის..., გვ. 86.

³⁷ იქვე, გვ. 86.

ნეთ, ხშირია ცნობა მოჯალაბის დასახლების შესახებ, მაგრამ ეს მოჯალაბის „გლეხად დასახლება“ კი არაა, არამედ მოჯალაბის „მოჯალაბედ დასახლებას“ ნიშნავს. მაგ., სოლომონ I-ის მიერ გაცემული ერთი საბუთის სოლომონ II-ისეულ მინაწერში კვითხულობთ: „ქრთამი ავიღე ამაშიდ თქვენგან 11 სული გურგენიძე და ვარციხეს მოჯალაბეთ დავასახლეთ“³⁸. თუ რა განსხვავებაა მოჯალაბის დასახლებასა და მოჯალაბის „გლეხად დასახლებას“ შორის, კარგად ჩანს არქიმანდრიტ დეკანოზ გერმანის მიერ მარტილის ტაძრისადმი გაცემული შეწირულების წიგნიდან (1791).

საბუთში მოყვანილია გრძელი სია გლეხებისა, მათ შორის არიან დასახლებული მოჯალაბეები: „მოჯალაბე მეორე სვიჰონიკა თოლოკაძე და მისი შვილები კიდევ დადიანასაგან ქრთამით ვიშოვნე და ონტოფუს დავასახლე. მეოთხე მოჯალაბე ჭიბილი მახარობელა და მისი შვილები ისიც ონტოფუს დავასახლე. დედულა ფირცხალავა მოჯალაბეთ მყვანდა, მაგრამ მისი ტყბილათ მსახურებისათვის მოჯალაბეობისაგან გამოვიყვანე და მებეგრედ გლეხად დავასახლე“³⁹. როგორც ვხედავთ, საბუთი განასხვავებს ორნაირ დასახლებას მოჯალაბისას: 1. როცა მოჯალაბეს უბრალოდ მოჯალაბედ ასახლებენ და 2. როცა მას გამოიყვანენ მოჯალაბეობიდან და მებეგრე გლეხად ასახლებენ. ამრიგად, დასახლებული მოჯალაბე ჯერ კიდევ არ განიხილება მებეგრედ, ის კვლავ მოჯალაბეობით ემსახურება თავის ბატონს. ადგილიც, რომელზედაც ის სახლობს, მას მიცემული აქვს სარჩოდ თავისა თავისა და ოჯახის გამოსაკვებად. მებეგრე გლეხად დასახლება კი სულ სხვაა. ამისთვის მოჯალაბე უნდა გამოიყვანონ მოჯალაბეობიდან. ამის შემდეგ ყოფილ მოჯალაბეს მოჯალაბე აღარ ეწოდება. ის გადადის უფრო მაღალ, მებეგრე გლეხთა კატეგორიაში. ამავე საბუთში საინტერესოა შემდეგი გარემოება: გლეხთა გრძელ სიას მოსდევს მათი საბეგრო ვალდებულებები, საიდანაც ირკვევა, რომ დასახლებული მოჯალაბეები, ისე როგორც იმავე ნუსხის დაუსახლებელი მოჯალაბეები, ბეგარას არ იხდიან იმ დროს, როცა „მოჯალაბეობიდან გამოიყვანილი“ და „გლეხად დასახლებული“ მოჯალაბეები ისევე იხდიან ბეგარას, როგორც სხვა გლეხები. ამრიგად, დასახლებული მოჯალაბე მოსაზრებ, მებეგრე

³⁸ სცია, ფონდ № 1449, საბ. 68.

³⁹ ქეთ. ისტ. მუზ., საბ. 747.

გლებად არ განიხილება. „მოსახლე გლეხი“, „მებეგრე გლეხი“, „გლეხი“, „მოქალაქისაგან“ განსხვავებული, მისი საპირისპირო ცნებებია. დასახლებული მოქალაბე რომ მებეგრედ არ მიიჩნევა, კარგად ჩანს აგრეთვე 1783 წ-ის სოლომონ პირველის შეწირულობის წიგნიდან, საბუთში ჩამოწერილია გრძელი სია გლეხების და თვითეულ მათგანს მიწერილი აქვს თავისი ბეგარა. სიის ბოლოს კი ვკითხულობთ: „გელათს მოქალაბეები სახლობან (sic) პატარიძენი და როგორათაც მოქალაბის მსახურება რიგი არის, ისე მსახურონ წინამძღვარს და რაც მიაბაროს, შეუწახონ და თუ დაეჭიროს, კიდევ უმშაოვნო (sic)“⁴⁰.

როგორც ვხედავთ, ამ საბუთშიც გლეხებს ევალებათ ბეგარა, მოქალაბებს, თუმცა ის დასახლებულია, მართებს მარტო წინამძღვრის სამსახური.

ახლა ვნახოთ, თუ რაში მდგომარეობდა „მოქალაბეობიდან გამოყვანა“ და მებეგრე გლებად დასახლება.

ვანის ეკლესიის წინამძღვრის დანიელის შეწირულობის წიგნში ვკითხულობთ: „შემოგვიწირავს მორჩილაძე გოგიტა და მისი ძმა... ოქრომჭედლიშვილმა მამუკამ დადი შეხვეწით მოგაციდა ეს მოსახლობათ გლეხი, გურიათგან მოსრული. პირველად არ ემართა, მაგრამ ჩვენთა ხელში ნაყიდობისათვის მოქალაბეთ პატარ ხანს ვიმსახურეთ და აწ ისევე ამოუწერეთ მოქალაბობა და. გარეთ მოსახლობის დასტური მივეციით და ამ ეკლესიის შესაწირავ ბეგრათ დავადევიით... ასე უცილო და სამართლიანი ნაყიდი ამ ეკლესიის ხამკვიდრო გლებად შეგვიწირავს“⁴¹.

ალექსანდრე მეფის შეწირულობის წიგნში ვკითხულობთ: „შენგელია ქუემოდამ მოვიყვანეთ და მოქალაბეთ დავაყენეთ წინამძღვრისთვის და თუ წინამძღვარმა ინებოს და მამული მისცეს, ბეგარა როგორც სხვას გლეხს სდებოდეს, ისე გარდაახდევინოს და იმსახუროს“⁴².

ამრიგად, როგორც ამ საბუთებიდან ჩანს, მოქალაბეობიდან გამოყვანის, მოქალაბობის ამოწერის შედეგად გლეხი გარეთ, ანუ

⁴⁰ ს. კაკაბაძე, დას. საქართვ. საეკლ. საბ., II, გვ. 80.

⁴¹ სცთა, ფონდი 1448, საბ. 3229.

⁴² ს. კაკაბაძე, დას. საქართვ. საეკლ. საბუთები I, გვ. 158—161.

სოფლად მოსახლობას დასტურს იღებს, მას აძლევენ მამულს (გლეხისთვის მამულის, ანუ საგლეხო ფუძის, საკომლოს მიცემა, როგორც ვხედავთ, არ არის მისი დასახლების იდენტური ცნება), საკომლოს, რის შედეგად ის უკვე სხვა გლეხების მსგავსად სამკვიდრო, ანუ მკვიდრი გლეხი ხდება, მათ მსგავსად ემსახურება ბატონს და იხდის ბეგარა-გამოსალებს.

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ:

1. მოქალაქე არსებობს ორი ტიპის:

ა) მოქალაქე, რომელიც ბატონის სახლში სახლობს და

ბ) მოქალაქე, რომელიც ბატონის კარ-მიდამოში ან მის სიახლოვეს სახლობს. ორივე შემთხვევაში მოქალაქის ფუნქცია უცვლელი რჩება.

2. დასახლებული მოქალაქე არ განიხილება, მოსახლე, მებეგრე გლეხად, ასეთად განდომისათვის მას უნდა „ამოუწერონ მოქალაქობა“, „გარეთ დასახლების დასტური“ მისცენ, უბოძონ საგლეხო საკომლო, ყოველივე ამის შემდეგ მოქალაქე უკვე გამოდის მოქალაქის კატეგორიიდან და უფრო მაღალ, მებეგრე გლეხთა კატეგორიაში გადადის.

ახლა დაუბრუნდეთ კვლავ მოსასახლე — მოქალაქე გლეხების მსგავსება-განსხვავების საკითხს. ამ ორი კატეგორიის გლეხის უფლებრივი მდგომარეობის მსგავსებაზე ჩვენ ზემოთ უკვე გვემინდა საუბარი, რაც შეეხება მათ განსხვავებას, ეს, როგორც აღენიშნეთ, ძირითადად განპირობებულია მათი სამსახურის ხასიათით: მოქალაქე ემსახურება ბატონის სახლს, მის კარ-მიდამოს, ფეოდალის ოჯახს. მოსასახლე სახლობს არა უშუალოდ ბატონის კარ-მიდამოში, არამედ მის გარეთ, საბატონო მიწაზე და ემსახურება მისი მეურნეობის სხვადასხვა დარგს. მაგ., XVIII ს. საბუთებში, მოქალაქეების მოხსენიების სიხშირის მიუხედავად, არსად არ გვხვდება მოქალაქე-მეთევზე, მეხარდნე და სხვ. ასეთი რიგის სამსახური დამახასიათებელია სწორედ მოსასახლე გლეხებისათვის. მოსასახლე გლეხი მოსახლე გლეხია, ის ბეგარასაც იხდის (თუმცა შემცირებული რაოდენობით), მაგრამ გლეხთა საერთო მასიდან განსხვავდება იმით, რომ მიწა, რომელზედაც ის სახლობს, მასზე მიმაგრებული არ არის, მის მკვიდრ საკომლოს არ წარმოადგენს, არამედ ფეოდალის კუთვნილია.

3. მოინალე გლეხები

მოსასახლე თავის თავად ქართული სიტყვაა. ის ძირითადად ხმარებაში უნდა ყოფილიყო გურჯაასა და იმერეთში. ცაიშის გამოსავალი ბეგრის დავთარი გვიჩვენებს, რომ ეს ტერმინი ზოგ შემთხვევაში იხმარებოდა სამეგრელოშიც. მაგრამ სამეგრელოში გლეხთა ამ კატეგორიის აღსანიშნავად უნდა ყოფილიყო ადგილობრივი მეგრული ტერმინაც (ისევე როგორც მოქალაქის აღსანიშნავად საკუთრივ ტერმინ „მოქალაქესთან“ ერთად XIX ს. სამეგრელოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებულია ადგილობრივი მეგრული ტერმინის „დოლმახორის“ არსებობა). საბუთებზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ მოსასახლის მეგრული ვარიანტი — „მოინალე“ უნდა ყოფილიყო.

ამ თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულია მოსაზრება მოინალის მებეგრე გლეხთან იდენტურობის შესახებ. ეს მოსაზრება პირველად წამოაყენა ს. კაკაბაძემ: „მოინალე წარმოებულია მეგრულ სიტყვიდან ნინალა — სამსახური. XVI ს-ში ეს ტერმინი გლეხის აღსანიშნავად იხმარებოდა იმერეთშიც. მისი ადგილი იმერეთში შემდეგ დაიკავა მესეფე გლეხის ტერმინმა“⁴³. იგივე თვალსაზრისს გამოთქვამს ს. კაკაბაძე მისი ნაშრომის სხვა ადგილებზეც. „მებეგრე გლეხისათვის XVI ს-ში და ნაწილობრივ, საფიქრებელია, XVII ს-ნეშიც იმერეთში ჯერ კიდევ მეგრული ტერმინი (მოინალე) იყო ხმარებაში“⁴⁴.

ს. კაკაბაძის შემდეგ დასავლეთ საქართველოს გლეხობის საკითხს შეეხნენ ლ. მუსხელიშვილი და ო. სესელია, მაგრამ დებულება მოინალის მებეგრე და მესეფე გლეხთან იდენტურობის შესახებ ურყევი დარჩა. ეს გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ, როგორც ს. კაკაბაძე, ისევე შემდეგი მკვლევარებიც, დასავლეთ საქართველოს გლეხობის შესახებ მსჯელობისას ამოსავალ დებულებად მიიჩნევდნენ ლამბერტის ცნობას სამეგრელოს მოსახლეობის წოდებრივი დაყოფის შესახებ და სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ ადგილობრივი, დასავლურ — ქართული საბუთების მონაცემებს. უპირველეს ყოვლისა განვიხილოთ „აფხაზეთის საკათალიკოზო განოსავალი ბეგრის დავთრის“ მონაცემები მოინალე გლეხ-

⁴³ ს. კაკაბაძე, მასალები..., საისტორიო კრებული, I, 1928, გვ. 2. შენიშვნა 1.

⁴⁴ ს. კაკაბაძე, მასალები..., საისტორიო კრებული, III, 1928, გვ. 20.

ბის შესახებ. მოინალე გვხვდება თილითის, ხოირის, ნაყანეულის, ხიბულას, ხაუეელის და სუბვის ნუსხებში. ამ ნუსხების მიხედვით შეიძლება გავარჩიოთ ორი ტიპი მოინალისა:

1. მოინალე, რომელიც ეხდის ბეგარასა და

2. მოინალე, რომელსაც ბეგარა არ აკისრია.

მარცხ რა შეადგენდა მოინალის ვალდებულებას?

თილითის ნუსხაში ვკითხვლობთ: „მართებს მოინალეს ბაბაშურის ჟვანჯაქირიას ერთის კვირის ყოვლის დღის სამსახური“. შემდეგ კი მოსდევს ცხრა ასეთივე შემთხვევა. ზოგს უწერია „ყოვლის დღის სამსახური“, ერთ მათგანს კი „ერთი კვირის ყოვლის დღის სამსახური და კურის რეცხვა“⁴⁵. ამ მოინალეებს სხვა არავითარი ვალდებულება, თუ ბეგარა არ გააჩნიათ. ამავე ნუსხაში ამ ათი მოინალის გარდა, ჩამოწერილია გლეხები შემდეგი ვალდებულებებით: 4 ქანდაქი ხმელი ბეგრისა, საკლავის ქანდაქი და სამოგვე, ერთი წლის სამუშაო ღორი, 14 კოკა ღვინო, 12 ჯამი ღომი და გოჭკუმუ და მუშაობა⁴⁶, ან მუშაობის მაგივრად ევალემათ „სასახლის სამსახური“. სიის ბოლოს რამდენიმე მეხადილეა, რომლებსაც მართებთ: ორი ქანდაქი, ორი კოკა ღვინო, ორი დღის ყანის შველა, გოჭკომუ⁴⁷.

ამრიგად, როგორც თილითის ნუსხიდან ვხედავთ, მოინალეები, დამკვიდრებული თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ, არც მებეგრეები არიან და არც მუშები, ანუ მესეფეები; უფრო მეტიც, თუ ამ ნუსხის სხვა გლეხთა ვალდებულებებს გავითვალისწინებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ თილითის მოინალეებს ან საერთოდ არ გააჩნდათ ნამული და სასახლის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, ან მათი სამოსახლო ნაკვეთი იმდენად მცირე იყო, რომ მათ ბეგარა არ ევალეობოდათ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოინალე გლეხის ვალდებულება ყოფილა კურის რეცხვა, რაც მოსანახლე გლეხის ერთ-ერთ ვალდებულებებსაც შეადგენდა.

მსგავს მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ხოირის სასახლის ნუსხაში⁴⁸. სადაც ორ მოინალეს მართებს მხოლოდ „ტვირთი და ერთი ხმელი თევზი“. სხვათა შორის ამავე ნუსხაში მოინალე უნდა იყოს.

⁴⁵ ქართ. სამ. ძეგლ. III, გვ. 429.

⁴⁶ იქვე, გვ. 428.

⁴⁷ იქვე, გვ. 429—430.

⁴⁸ ქართ. სამ. ძეგლ. III, გვ. 425.

ხუთი გლეხი, რომლებსაც მართებთ მარტო კოკა ღვინო და ჯამბოლომი (კოკებისა და ჯამების რაოდენობა სხვადასხვაა და მერყეობს შვიდსა და ორს შორის). ამას გვაფიქრებინებს როგორც ამ გლეხების ბეგრის ხასიათი (ეს გლეხები ფაქტიურად მებეგრე გლეხები არ არიან, მათ თავი ბეგარაც კი არ მართებთ სრული შემადგენლობით. გარდა ამისა, როგორც სუბეის სასახლის მოინალეების განხილვისას ვნახეთ, მსგავსი ბეგარა ევალებოდათ სუბეის მოინალეებს), ისე თვით ნუსხის სტრუქტურა: აქ ჯერ ჩამოწერილია ოცდაცხრა გლეხი, რომლებსაც ყველას ერთნაირად ევალებათ: საპურობო, ერთი საკლავი, მუშაობა, ყურძნის კრეფა, ლაშქრობა, და სამსახური, შემდეგ კი იწყება სია მოინალეებისა (რომელიც გაწყვეტილია გლეხ კოსტაიას საბეგრო ვალდებულებებით, ეს კოსტაია აშკარად თავის ადგილზე არ ზის, როგორც ჩანს, ის ნუსხის გადამწერს გამორჩა და ამიტომ უკვე ორი ჩამოწერილი მოინალის შემდეგ მიაწერა). როგორც ვხედავთ, ხოირის ნუსხიდანაც სრულიად აშკარაა, რომ მოინალე არ არის არც მებეგრე და არც მესეფე გლეხი. მოინალეს არ მართებს ბეგარა, ან თუ მართებს, ფრიალ შეკვეცილი (ჯამი ღვინო, კოკა ღვინო), მას არ ევალება არც სამინდვრე სამუშაოები, არც ყურძნის კრეფა.

მაინც რა არის მოინალობა. ანუ რა ტიპის საინსახური ევალება მოინალეს? ამაზე ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს საკათალიკოსო დავთრის ხიბულას ნუსხა.

ამ ნუსხაში ჩამოწერილია გრძელი სია გლეხებისა, რომელთა უმრავლესობა მებეგრეა, აქვე არიან მეხადილეებიც. მებეგრეებს ყველას მართებს როგორც თავი ბეგარა, ისევე საპურობო. მაგ.: „მართებს სომიხერდას ღვინო 1 საკლავი, 14 ჯამი ღვინო, 5 კოკა ღვინო, 1 ბეგრისა და ერთი საბაზ-ერო ქათამი. ყოველი დღის მუშაობა, ტურთის ზიდვა ყურძნის კრეფა, თივის თიბვა, ლაშქრობა, ერთი ქანდაქის ფასი საყანე ღორი“⁴⁹.

ამავე ნუსხაში არის რვა მოინალე, რომელთა ვალდებულებას შეადგენს: „მოინალობა, 1 საკლავი, 8 კოკა ღვინო, 20 ჯამი ღვინო, საბაზიერო ქათამი, ყოველის დღის სასახლის სამსახური“:

ან: „1 საკლავი, 3 კოკა ღვინო, 10 ჯამი ღვინო, 1 საკლავის ქათამი, ყოველის დღის მოინალობა და სასახლის სამსახური“⁵⁰.

⁴⁹ ქართ. სამ. ძეგლ. III, გვ. 416.

⁵⁰ იქვე, გვ. 418.

ამრიგად ზოგ მონინალესთან თუ წერია: „მონინალობა... ყოვლის დღის სასახლის სამსახური“, სხვაგან გვხვდება: „ყოვლის დღის მონინალობა და სასახლის სამსახური“, ჩვენი აზრით, აქ „ყოვლის დღის სასახლის სამსახური“ განმარტებაა მეგრული ტერმინისა „მონინალობა“. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოებაც, რომ ამ რვა მონინალე გლეხიდან, რომლებსაც ერთნაირი საბეგრო ვალდებულებები და ფაქტიურად ერთნაირი სამსახური მართებთ, ორ გლეხს, რომლებიც ექვს სხვა მონინალობის მოვალე გლეხს შორის წერია, მართებთ მხოლოდ „ყოვლის დღის სასახლის სამსახური“, ნუსხის გადაწერის აღარ მოუწერია მათთვის „მონინალობა“, რადგან „ყოვლის დღის სასახლის სამსახური“ იგივე შინაარსისაა.

რას გულისხმობდა მაინც „ყოვლის დღის სასახლის სამსახური“? „სასახლე“, როგორც უკვე მოსასახლე გლეხებზე საუბრისას აღვნიშნეთ, აღნიშნავდა არა მარტო ბატონის საკარმიდამო მეურნეობას, არამედ საერთოდ საბატონო მეურნეობას მისი ვენახ-ხარდნებით, ბალ-ბოსტნეებით, ჭურ-მარნებით, სალობ-საჯოგეებით, სათევზო ტბებითა და მდინარეებით, ამდენად, ყოვლის დღის სასახლის სამსახურიც ნიშნავდა საბატონო მეურნეობაში ყოველდღიურ მუშაობას, მის ყოველდღიურ მოვლა-პატრონობას, ანუ ისეთ სამუშაოს, რომელსაც ასრულებდნენ მოსასახლე გლეხები. მართლაც, მეხარდნეობა, მებოსტნეობა, მესალობობა, მეახორეობა, მეთევზეობა და სხვა სწორედ ასეთ, ყოველდღიურ სასახლის სამსახურს გულისხმობდა. ხიბულას მონინალების საბეგრო ვალდებულებებს თუ შევადარებთ სხვა გლეხების ვალდებულებებს, ვნახავთ, რომ აქაც, როგორც ყველა ზემოთ განხილულ ნუსხებში, მონინალებს ფრიალ შეკვეცილი აქვთ ბეგარა, ბეგრის შემადგენლობა ძლიერ ჰკავს მოსასახლე გლეხების ბეგარას, ამასთან მათ არ ევალდებათ არც „ყურძნის კრეფა“, არც „მუშაობა“ და „თივის თიბვა“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არსად, არც ერთ ნუსხაში, ჩვეულებრივი სრული ბეგრით დაბეგრილი გლეხები, რომლებსაც ამავე დროს მართებთ მუშაობა და ტვირთი, არ იწოდებიან მონინალებად.

ახლა განვიხილოთ ნაყანეულის ნუსხის მონაცემები. აქაც, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, არიან მეხადილეები, რომელთაც მართებთ სხვადასხვა ვალდებულება, არიან მებეგრეები, რომლებსაც, გარდა თავი ბეგრისა, გოჭყუმურისა, საყანო ღორისა. მართებთ აგრეთვე საზროხე (ეს ბეგარა გულისხმობდა ძროხის გამოსაღებს. ის შეიძლებოდა ყოფილიყო სხვადასხვა ოდენობის: ერთი ძროხა, ნახევარი ძროხა, მეოთხედი, მესამედი ძროხისა

და საბოლოოდ „ერთი ფეხი ძროხისა“-ც კი) და ტილო სხვადასხვა ოდენობით. ამ მეტეგრეებში არიან აგრეთვე მუშაობისა და ტვირთის მოვალე გლეხები. ამავე დროს ნაქანულის ნუსხაში გვხვდება ოთხი მოიწალე. აქედან ერთ მოიწალეს არაფერი არ ევალება, ერთს მართებს მხოლოდ თავი ბეგარა: „1 ღორი, 2 ქათამი, 3 ჯამი ღომი, 3 ფოხალი ღვინო და მოიწალაობა“⁵¹. ორ მოიწალეს მართებს: „20 მწყრთა ტილო, ზროხის ნახევარი, ორი ქათამი, სამი ჯამი ღომი, ორი ფოხალი ღვინო“⁵². ამრიგად, ამ ორ მოიწალეს მართებს ტილო, „საზროხე“ და თავი ბეგრის ნაწილი, თავი ბეგრის საკლავი მათ შეცვლილი აქვთ, როგორც ჩანს, ტილოს ბეგრით, მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი მოიწალე შედარებით შეძლებულია და იხდის „საზროხეს“, მათი ბეგარა საგრძნობლად შეკვეცილია სხვა მეტეგრეებთან შედარებით: არ ევალებათ გოჭკუმუ, საყანე ღორი და თავი ბეგრის საკლავი. არ მართებთ აგრეთვე არაერთარი სამინდვრე სამუშაო: არც თიბვა, არც „ყანობა“.

განსაკუთრებით საინტერესოა სუბვის სასახლის ნუსხის მონაცემები. ამ ნუსხის დასათაურება შემდეგნაირია: „არის სუბვის სასახლე და მისი მიმდგამი სოფელი მუხურის გამოსავალი, მართებული მოსაკრებლობა“⁵³. სხვა ნუსხებში სასახლის, ანუ საბატონო მეურნეობის გეოგრაფიული დასახელება ემთხვეოდა სოფლის სახელწოდებას, რის გამოც „სოფელს“ ცალკე არ იხსენიებდნენ (მაგ. „არის ზოირს სასახლე და მართებული გამოსავალი მოსაკრებლობა“). ასეთ შემთხვევებში ნუსხის დამწერი აღნიშნავდა მხოლოდ ამა თუ იმ სოფელში სასახლის არსებობასაც, გამოსავალ მოსაკრებლობაში კი უკვე სასახლეს იგულისხმებოდა და სოფელიც. სუბვის ნუსხა ერთად ერთი შემთხვევაა, როცა საბატონო მეურნეობის, ანუ სასახლის გეოგრაფიული სახელწოდება არ ემთხვევა „სოფლის“ გეოგრაფიულ სახელს. ნუსხაში ცალკეა დასახელებული სუბვის სასახლე ანუ გეოგრაფიული ადგილი, თავისი საზღვრებით, რომელიც საბატონო მეურნეობას განეკუთვნება და არის მისი მიმდგომი ცალკე სოფელი მუხური, ამ მაგალითიდან აშკარა ხდება, რომ სხვა შემთხვევებშიც ჩვენ ორ სამეურნეო ერთეულთან გვაქვს საქმე: მაგ., არის „ზოირის სასახლე“ და არის

⁵¹ ქართ. სამ. ძეგლ. III, გვ. 420.

⁵² იქვე, გვ. 421.

⁵³ იქვე, გვ. 426.

მისი მიმდგომი სოფელი ხოირი და სხვ. მაგრამ, მათი ერთი და იმავე სახელწოდების გამო, სოფელი ცალკე არ იხსენიება „გამოსავალი, მართებული, მოსაკრებლობაი“ ორივეს ეხება. როგორც სოფელს, ისე სასახლეს. „სასახლის გამოსავალი მოსაკრებლობა“ — მხოლოდ მოსასახლე გლეხებს.

ახლა გავიხსენოთ ამ ნუსხების თანადროული მალაქია კათალიკოსის საბუთები: „ხოირს სოფელი იყო და სასახლე არ იყო, მერმე ჩემის თეთრით სასახლე ადგილი ვიყიდე... მოსასახლეები დაძინახლებია და ზროხები დამიყენებია“. აღნიშნავს კათალიკოსი. თუ შევიდარებთ ნაქანეულის საკათალიკოსო გლეხების ბეგრის ნუსხის (XVI ს. ბოლოს) ბოლოში მოცემულ ზოირის ჯუმალს, საკათალიკოსო დავთარში შესულ ზოირის ნუსხას და მალაქია კათალიკოსის ცნობას ზოირში „სასახლის გაკეთების“ შესახებ, საინტერესო შედეგს მივიღებთ: 1616 წ-მდე ზოირს მართო სოფელი იყო (მალაქია კათალიკოსის საბუთის ცნებით), ზოირის გლეხების ჯუმალის მონაცემებით (ნაქანეულის ნუსხა XVI ს. ბოლო), არის ზოირს საკათალიკოსო გლეხნი ოცდარვა, მართებთ ლაშქრობა და სამსახური⁵⁴. აფხაზეთის საკათალიკოსოს დავთრის ზოირის ნუსხაში ვკითხულობთ: „არის ზოირს სასახლე და მართებული გამოსავალი მოსაკრებლობა“. ამრიგად, როცა ეს ნუსხა შედგა უკვე შექმნილი ყოფილა ზოირის სასახლე მალაქია კათალიკოსის მიერ. ნუსხაში არაფერია ნათქვამი სოფელ ზოირზე. მაგრამ ის, რა თქმა უნდა, არ გამჭრავლა. ნუსხაში ჩამოწერილია 30 გლეხი, რომელთა საბეგრო ვალდებულებები ერთნაირია და იმეორებენ ზოირის გლეხთა ბეგრის ჯუმალის (XVI ს-ის ბოლო) მონაცემებს. ცხადია, ეს 30 გლეხი ზოირის სოფლის გლეხებია, მათ შემდეგ, როგორც უკვე ზემოთ, ზოირის ნუსხის განხილვისას აღვნიშნეთ, დაასახელებულია შვიდი მოინალე, რომელთა შესახებ არაფერი იცის XVI ს. ჯუმალმა. ამრიგად, XVII ს. ზოირის ნუსხაში, რომელიც მალაქიას კათალიკოსობის დროს არის შედგენილი, სასახლესთან ერთად ჩნდება შვიდი მოინალე. როგორც ჩანს, ეს ის მოსასახლეებია, რომლებიც ჩაასახლავ მალაქია კათალიკოსმა მისივე საბუთის ცნობით, ზოირში, იქ სასახლის დაარსებასთან ერთად. ყოველივე აქედან, ჩვენ აზრით, კარგად ჩანს, რომ მოინალე ქართული ტერმინის „მოსასახლე“ მეგობრული სინონიმი უნდა იყოს.

⁵⁴ ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 336.

ახლა ისევ დავუბრუნდეთ სუბვის სასახლის ნუსხის მონაცემებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქ მოხსენებულაა ორი სამეურნეო ერთეული: სუბვის სასახლე და სოფელი მუხურა, ნუსხაში ჩამოწერილი 30 კაცი სოფელ მუხურაში მცხოვრები ანაწილი და მსახურია (იხ. გვ. 79), აქვე არიან მებეგრე გლეხები, რომელთაც მართებთ: „ოზურლი, უფროს-უმცროსი საკლავი, ექუსი ჯამი ღომი, საპურობო, მგზავრობა, ლაშქრობა, 1 გუდა ღვინო, ზიდვა, ორი დღის თიბვა, ისლის აღება“. ან: „უფროს-უმცროსი საკლავი, 5 კოკა ღვინო, 10 ჯამი ღომი ყოველ დღეთ მუშაობა და ტურთი“. ან: „მეჩინიბობა, ოზურული. ორი საკლავი, 12 კოკა ღვინო, 1 საკეტე გუდა ღვინო, 12 ჯამი ღომი, სამი დღის ყანის შველა“⁵⁵.

ამავე ნუსხაში შეტანილია ოთხი მოინალე, რომელთა მოვალეობას შეადგენს: „20 კოკა ღვინო, ერთის თეთრის რაგინდარა, 4 ჯამი ღომი და მოინალობა“, „4 ჯამი ღომი, 10 კოკა ღვინო და მოინალობა“. ან კიდევ „1 საკლავი, 5 კოკა ღვინო, მოინალობა“⁵⁶. ერთ მოინალეს კი ბეგარა საერთოდ არ მართებს. ამრიგად, ამ მოინალეებსაც, როგორც ვხედავთ, ფრიალ შეკვეცილი აქვთ ბეგარა, სხვა გლეხებთან შედარებით. უფრო მეტიც; ისინი მებეგრეები არც არიან ამ სიტყვის დასავლურ-ქართული გაგებით, მათ თავი ბეგრის ძირითადი ნაწილი ღორც კი არ ევალდებოდათ. თუ გავიხსენებთ, რომ ამ ნუსხაში სოფელ მუხურაში მოსახლე კაცების ბეგრის გარდა მოცემული უნდა იყოს სუბვის სასახლის მოსაყრეველებაც, რაც ამ სასახლეში მოსახლის არსებობასაც უნდა გულისხმობდეს, აშკარა გახდება რომ ასეთები მხოლოდ ეს მოინალეები შეიძლება ყოფილიყვნენ. მოინალობაც ხომ როგორც ზემოთ ვნახეთ „ყოვლის დღის სასახლის სამსახურს“ ნიშნავდა.

საბოლოოდ განვიხილოთ ხაუჯელის ნუსხის მონაცემები. ხაუჯელის ნუსხაში სულ ოცი კაცია. 428-ე მუხლით უკვე იწყება ახალი სოფლის ღაჩუს კაცების ნუსხა. ხოლო 433-ე მუხლით კი გუფუს კაცების ნუსხაა მოცემული. ხაუჯელის ოც კაცს ყველას ერთნაირად მართებს: ქანდაქა და სამოგვე. საპურობო, სამი დღის მუშაობა, ლაშქრობა და სამსახური. ხაუჯელის ნუსხას, რომელშიც, როგორც აღვნიშნეთ, მოცემულია აგრეთვე ღაჩუს და გუფუს ნუსხები, მოსდევს ტყაერუს მეთევზეთა ნუსხა: „არის ტყაერუს მე-

⁵⁵ ქართ. სპ. შეგლ. III, კვ. 427.

⁵⁶ იქვე, კვ. 427.

თევზე მენაკტე“. ამ ნუსხის ბოლოში კი მიწერილია: „არის ხაუ-
ჯელს მოინალე ოთხი“⁵⁷. ამგვარად, როგორც ვხედავთ, ხაუჯელის
მოინალეები საერთოდ ნუსხაში შეტანილები არ არიან. ეს გარე-
მოება გასაოცარი არც არის: ხაუჯელის მოინალეებს, თილითის
მოინალეების მსგავსად, როგორც ჩანს, ბეგარა არ ევალებოდათ და
ამიტომ მათი სპეციალური ჩამოწერა არ მიიჩნიეს საჭიროდ.

ყოველივე ამის შემდეგ განვიხილავთ ლევან დადიანის 1642
წ. გაცემულ შეწირულობის წიგნს, რომლისთვისაც რატომღაც არც
ერთ მკვლევარს ყურადღება არ მიუქცევია, საბუთი კი შეიცავს
ფრიად საინტერესო ცნობას მოინალე გლეხის შესახებ.

„...კურთხეულისა პატრონისა ხელმწიფისა მამისა ჩემისა
მანუჩარისა სულისა საოხად და საცხოუნებლად, ეწერს, სადაც
დაეცა, აღვაშენეთ საყდარი. შემოგწირეთ ნ ა ყ უ თ უ ნ ო უ ს ა -
ს ა ხ ლ ე შენაწირაი ყუფნიასეული, ბ ა შ ი, მისი მამულითა მიწა
საყანეთი, სანადიროთა, სახობბეთა, წყლითა, ყოვლის ფერითა შე-
მოსავლითა, გამოსავლითა. ერთი კვამლი მოსახლე კაცი ლესარეს —
ხჭბაი სარია, მისის ყოვლისფერითა სახლ-კართა, მამულთა, ალა-
გითა, მეორე მოსახლე კაცი სამინა მათიკოჩი, მართებს ბეგარა: სამი
საკლავი, ამასთან მართებს 12 კოკა ღვინო, და 12 ლიჯიბი ღომი,
კიდევ ღომი ერთი ხალა (?). ხჭბაი სარიას ოჩხოლი, ზროხა, მისის
ღვინითა და ღომითა მართებს, მისი წინამძღვრის საჭმელითა,
პური, თეუზი, ყველი, თითო ქათმითა. სამინა აწყდა (ამოწყდა),
შიო ყვეძია დაგვიყენებია, მანა აგრევე მოართვას, კიდევ ბაშს
ერთი მოსახლე სოგიჯუმა გეგია ნაპარტახლში გოჯუასეულსა და-
ვაყენეთ. ამას მართებს სამი საკლავი, ერთი ყველი, უნდა სააღაპო
მესაბე საკლავის გამართვან. ამასთან მართებს ღვინო 16 კოკა,
ღომიცა 16 ლიჯიში. მისი საბერო. ამავე ბაშს მეოთხე გეტანჯია
გვირია. ამას მართებს ერთი საკლავი, 5 კოკა ღვინო, ღომი 10 ლი-
ჯიში, ღომი მისი საბერო, ერთი ქათამი, მ ე ხ უ თ ე მ ო ი ნ ა ლ ე
ნ ი ა [] მ უ შ ა კ ა ც ი და მოჯალაბეთ შეგვიწირავს
შ ა რ გ ვ ი მ ა ნ ჩ ი ა ი შ ი ჳ ი ნ ა. ამას სიჭინას მართებს (აქ ბწყარ
ნახევარი არ იკითხება)... ხახუტაი ჭითასქაა, ამას მართებს სამი
საკლავი, 15 კოკა ღვინო, 3 კალთა ღომი, მისი პური საბერო: ყვე-
ლი, თეუზი, კვერცხი, მარლი, ერთი ქათამი, ამავე ხახუტა ჭითა-
სქას მართებს ყანის მუშაობა წინამძღვრისი თითო კვირაში სამი

⁵⁷ ქართ. სამ. ძეგლ. III. გვ. 434.

დღის ყანის მუშაობა⁵⁸. მთლიანად ლევან დადიანი სწორავს თერაპეტიკულ გლუხს. აქედან დაბეგრილია 16 გლუხი, მოინალეს კი ბეგარა არ მართებს. მასზე მხოლოდ ნათქვამია, რომ ის „მუშა კაცია“, მონაღლის „მუშა კაცობა“ რომ მესეფეობაში, ანუ სამინდვრე სამუშაოებში არ მდგომარეობდა, ეს კარგად ჩანს ამავე საბუთიდან: საბუთის მიხედვით ხახუტა ჭითასქას მართებს კვირაში სამი დღის ყანის მუშაობა, მაგრამ ის მოინალედ არ იწოდება. აღსანიშნავია, რომ ხახუტას ყანის მუშაობასთან ერთად მართებს სრული ბეგარა, იმ დროს როცა მოინალეს ბეგარა საერთოდ არ ევალება. საბუთში მოინალის და მოჯალბის ერთად მოხსენიებაც ამ ორი კატეგორიის სიახლოვეზე უნდა მეტყველებდეს.

საბოლოოდ, თუ შევჯამებთ საბუთების მონაცემებს მონალე გლუხების შესახებ, შემდეგ სურათს მივიღებთ: მონალე გლუხები საბუთებში გვხვდებიან ოცდათერამეტჯერ, აქედან ოც შემთხვევაში მათ აკისრიათ ბეგარა, მაგრამ, მოსასახლე გლუხების მსგავსად, ფრიად შეკვეცილი ოდენობით. თერამეტ შემთხვევაში მათ არავითარი ბეგარა არ მართებთ. მოინალეს არც ერთ შემთხვევაში არ ევალება სამინდვრე სამუშაოები: ყანობა, მუშაობა, თიბვა, ისლის აღება და სხვა. ერთადერთი ვალდებულება მოინალის არის მონაღლობა, ანუ, ჩვენი აზრით, ქართული ტერმინოლოგიით იგივე „ყოლის დღის სასახლის სამსახური“, ორ შემთხვევაში მოინალეს ევალება მხოლოდ ტვირთი და ერთხელ ჭურის რეცხვა. რაც შემთხვევებში საბუთები (მაგ., ჩვენ მიერ ზემოთ განხილული საბუთები სოფელი ჭოირისა და სასახლე ჭოირის შესახებ, საკათალიკოზო დავთრის სუბვის სასახლის ნუსხა და სხვა) ამკარად მოკვითიებენ მოსასახლე — მონალე გლუხების იგივეობის შესახებ.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ:

1. ისევე, როგორც ყველგან, დასავლეთ საქართველოშიც, ფეოდალის მამული შედგებოდა ორი სამეურნეო ერთეულისაგან: ა) საგლეხო მეურნეობა, ანუ სოფელი თავისი საკომლოებით, ტყეებით, მინდვრებით, წყლებით, „მისის სამართლიანის საზღვრითა“ და ბ) საბატონო მიწა, ბატონის პირადი მეურნეობა, ანუ — „სასახლე“.

2. ამის მიხედვით დასავლეთ საქართველოში გლუხობაც იყოფა ორ დიდ კატეგორიად: ა) სოფელში მოსახლე გლუხები და ბ)

⁵⁸ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Qd 6740.

საბატონო მიწაზე მოსახლე და საბატონო მეურნეობის სხვადასხვა დარგების მიხედვით სპეციალიზირებული გლეხები.

3. გლესთა ამ უკანასკნელ კატეგორიას განეკუთვნებიან მოსახლე-მოინალები და მოჯალაბეები.

4. განსხვავება მოინალე-მოსასახლესა და მოჯალაბეს შორის სანსახურებრივი ხასიათისაა — ისინი ემსახურებიან საბატონო მეურნეობის სხვადასხვა ნაწილს. მოსასახლე-მოინალე გლეხები ცხოვრობენ საბატონო მიწაზე და ემსახურებიან საბატონო მეურნეობის სხვადასხვა დარგს, ვენახ-ხარდნებს, სათევზო ტბებსა და მდინარეებს. ჯოგების სალობებს, ჭურ-მარნებსა და სხვა. მოჯალაბე გლეხები სახლობენ ბატონის სახლში, ან მის კარ-მიდამოში და ემსახურებიან ბატონის კარ-მიდამოს, უშუალოდ მის საცხოვრებელ სახლს და მის ოჯახს.

5. მოსასახლე — მოინალე გლეხების არსებობა დასავლეთ საქართველოში XV—XVI სს. მიუთითებს საბატონო მეურნეობის ზრდაზე. საერთოდ, ამ საგლეხო კატეგორიის წარმოქმნა უნდა უკავშირდებოდეს პირადი მეურნეობისადმი ფეოდალის გაზრდილ ინტერესს. მისი უფრო მეტად ინტენსიფიკაციის ცდას.

6. XVII ს. II-ნახევრიდან დასავლეთ საქართველოში ფეოდალის პირადი მეურნეობა კნინდება. ამასთან დაკავშირებით მთელი XVII—XVIII სს. სიგრძეზე მცირდება მოსასახლე — მოინალე გლეხების რაოდენობა. საბუთებში იშვიათად იხსენიება მათი ცალკეული სახეები: მაგ., 1787 წ. ერთ საბუთში — მესალობე; გრიგოლ კათალიკოსი 1733 წ. საბუთში — მეახორეები; XVIII ს, არც ერთხელ არ გვხვდება ტერმინი მოინალე; ასევე XIX ს. სამეგრელოს გლეხობის არც ერთი აღწერი (არც რაფ. ერისთავი, არც ბორიხდინი) არ ასახელებს მოინალე გლეხს, იმ დროს როცა მათთვის ცნობილია მოჯალაბის მეგრული სინონიმი „დოლმახორე“.

II. სოფელში მცხოვრებ გლეხთა კატეგორიები

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ ფეოდალის მიწაზე მსხდომ ვლესთა კატეგორიები, ახლა განვიხილოთ სოფელში მოსახლე გლეხები.

თავიანთი უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით დასავლეთ საქართველოში სოფელში მოსახლე გლეხებში გამოირჩევა შემდეგი კატეგორიები:

1. მკვიდრი, მემკვიდრე (მკვიდრი გლეხი დასავლეთ საქართველოში აღნიშნავდა არა მარტო ძირ ყმას, არამედ — მამულის მქონე, მიწაზე მიმაგრებულ გლეხს, „მოსახლეს“)¹.

2. „გარემოსული“ — ნებიერი და მინდობილი.
განეხილეთ ისინი ცალ-ცალკე.

1. მამიღრი, ანუ „მოსახლე“ გლეხები

ა. აზატი გლეხები

როგორც უკვე მსახურის წოდებაზე საუბრისას აღვნიშნეთ, ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა აზატი გლეხების თაობაზე. ნაწილი ისტორიკოსებისა — ლ. მუსხელიშვილი², ედ. ხომბტარიას³, ნ. ასათიანის⁴, გ. ჯამბურია⁵ — თვლიან, რომ აზატი გლეხი იგივე მსახურია. დ. გერტიშვილი⁶, გ. აკოფაშვილი⁷, ო. სოსელია⁸ კი აზატი გლეხებს მსახურისაგან განსხვავებულად განიხილავენ.

გ. ჯამბურია, აიგივებს რა აზატს მსახურთან, ცდილობს გაარკვიოს მანეც რატომ მოხდა ეს ტერმინოლოგიური ცვლილება. „ბუ-

¹ აღმოს. საქართველოში ამ ტერმინის ასეთი მნიშვნელობით ხმარების შემთხვევას განიხილავს დ. მეგრულაძე. მეკლევარი აღნიშნავს, რომ „მკვიდრი“ გლეხი მამულთან, ანუ მიწიანი გლეხის სინონიმია, ხოლო „ბოგანო“ კი უმიწაწყლოსი. იხ. დ. მეგრულაძე, ვლახთა კატეგორიების საკითხისათვის XVI—XVII სს. აღმოსავლეთ საქართველოში, მოამბე, 1963, № 3, გვ. 216—217. იხ. აგრეთვე გ. ჯამბურია, სოციალური ურთიერთობა და კლას-ბრძოლა..., ნარკვევები IV, გვ. 189.

² ლ. მუსხელიშვილი, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალური ნომიური კატეგორიები XVI—XVII სს. ენციკლის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 315.

³ ედ. ხომბტარია, გლეხობის სოციალური მდგომარეობა XVII—XVIII სს. ქართლში, ისტორ. ინსტიტუტის შრომები, V, 1960, გვ. 77.

⁴ ნ. ასათიანი, კახეთის გლეხობა XVI—XVIII სს. საკანდიდატო დისერტ. (მანქანაზე ნაბეჭდი), გვ. 175.

⁵ გ. ჯამბურია, სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI—XVIII სს. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 190. მისივე, საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება XVII ს. პირველ ნახევარში (სადოქტორო დისერტაცია, მანქანაზე ნაბეჭდი), 1975, გვ. 78.

⁶ დ. გერტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, წ. II, 1962, გვ. 68. მისივე, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 196.

⁷ გ. აკოფაშვილი, გლეხთა კატეგორიების საკითხისათვის XVII—XVIII სს. აღმოსავლეთ საქართველოში, მსკი, ნაკვ. 34, 1962, გვ. 69.

⁸ ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დას. საქართველოს ისტორიიდან, 1966, გვ. 96. მისივე, აზატი გლეხთა კატეგორია დას. საქართველოში, მსკი, ნაკვ. 33, 1960, გვ. 185.

ნებრეია ისმის კითხვა — აღნიშნავს მკვლევარი — რატომ ეწოდა მსახურს აზატი ან თარხანი, ან უკეთ: რატომ გაუჩნდა მსახურს, რომელსაც ადრე მხოლოდ ერთი საბელი ჰქონდა, მეორე სახელიც გვიანსაშუალო საუკუნეებში? (ხაზი ჩვენია — მ. ს.) ამ კითხვას ავტორი შემდეგნაირად პასუხობს: „რადგან გათარხნებულ გააზატებული მებეგრე, ჩვეულებრივ, მსახური ხდებოდა, მსახურებზე სახელად, ბუნებრივია, თარხანიც (ან აზატი) გავრცელდა“⁹.

ახლა ვნახოთ, მართლაც სწორედ მსახურის შემცვლელად შემოვიდნენ ტერმინები აზატი და თარხანი, თუ მათ შეცვალეს რაიმე სხვა ტერმინი ასეთი ტიპის გლეხის აღსანიშნავად.

საბუთებზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ XII—XV სს. დას. საქართველოში აზატი, ანუ თარხანი გლეხის აღსანიშნავად ხმარებოდა ადგილობრივი, ძველი ქართული ტერმინი „მეხადილე გლეხი“. ამ ტერმინს იცნობს ბიჭვინთის იადგარი, რომელიც თუმცა ნატყუარი ძეგლია, მაგრამ თავის თავად XVI ს-ის პირველი ნახევრისა (1525—1550). აი, რა ტერმინებს ხმარობს ეს ძეგლი:

„16. ვინცა კათალიკოზისა ყ მ ა-მ ს ა ხ უ რ ი მოკლას...“

17. ვინცა საყდრის მ ო ი ნ ა ლ ე კ ა ც ი მოკლას...“

18. და ვინც ბიჭვინთის გარეშემო სოფელი და გლეხნი... და არბიოს...“

19 სხუანი რანიცა აგარანი და სოფელნი... სწერია. იმათ შინა მსახლობელნი გლეხნი, მსახურნი და მოინალე ვინცა მოკლას...“

26. ვინცა ბიჭვინთის საყდრის ყმის მეჭინიბე, ანუ მეხადილე, ანუ მწყემსი სცეს, ანუ გაძარკოს...“¹⁰.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ძეგლში ნახსენებია მსახური, მოინალე, გლეხი, მეხადილე და არ გვხვდება აზატი, თუმცა 1578 წ-ის „ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის დავთარში“ აზატი უკვე აღნიშნავს სრულიად გარკვეული ტიპის გლეხს და თანაც ეს ტერმინი ამ ტიპის გლეხის აღსანიშნავად, დავთრის მახედვით, უკვე ფრიად გავრცელებული ჩანს: „როგორც სხვას აზატსა მართებს“ — ვკითხულობთ წყაროში. როგორც ჩანს, ასეთ ტერმინო-

⁹ გ. ჭ ა მ ბ უ რ ი ა, საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება XVII ს. I ნახევარში, სადოქტორო დისერტაცია, 1975, გვ. 78—79.

¹⁰ ქართ. სამ. ძეგლ., II, გვ. 176.

ლოგიურ ცვლილებას, „მეხადილის“ შეცვლას „აზატით“ სწორედ XV—XVI სს.-ის მანძილზე უნდა ჰქონოდა ადგილი.

მეხადილე გლეხის რაობის დასადგენად „ბიჭვინთის იადგარი“ არავითარ ცნობას არ იძლევა. აქ მეხადილე დასახელებულია მეჭინთის და მწყემსის გვერდით და არ ჩანს, რომ ის ზოგადი ტერმინი იყოს გარკვეული ტიპის გლეხის აღსანიშნავად. ამ მხრივ ფრიად საგულისხმოა შამადავლა დადიანის საბუთი საქათალიკოზო სარგოს შესახებ (1470—74 წწ. პირი XVII ს-ის):

„აგრევე ჩუენ, ბატონმა დადიან-გურიელმან შამანდავლა, მოვიკითხეთ იადგარი, ძუელთაცა აგრე ეწერა: ვინცა ხოფის საყდარს გარშემო უპატიობა იკადროს, ანუ გლეხი [და ან] უჯოგი წაუხსნას, ანუ ქურდობა ქნას, ანუ სასახლეს [მი]უხდეს და გატეხოსა, ათი გლეხი დაეურვოს საყდარსა... ზედან მოუხდეს, დააზროს, დააწუეს... მეხადილე კუამლი გლეხი დაე[ურვოს]... ლოდ, ანუ დალატითა კაცი მოკლას, ორი ზომა [სის]ხლი დაეურვოს, ვინცა ძმათაგანსა უპატიობა ჰკადროს ანუ აგინოს, ათასი ბოტი [ინატი დაე]ურვოს“¹¹.

საბუთის მიხედვით იზრდება სასჯელი და მის შესაბამისად გლეხთა განსხვავებული კატეგორია უნდა დაეურვოს საყდარს. ერთ შემთხვევაში (გაძარცვა, ჯოგის წასხმა), გლეხი და მეორე შემთხვევაში (დაწვა, დარბევა) — მეხადილე გლეხი.

სხვათა შორის, ეს საბუთი ხელთ ჰქონდა ლევან II დადიანს და უკვე მის დროს ყოფილა ფრიად დაზიანებული და საჭირო გამხდარა მისი განახლება. აი, რას ამბობს ლევან დადიანი თავის განახლებულ იადგარში:

„ესე ვითარცა დადიან გურიელისა, სულ კურაზეულისა სამადავლასაგან გარბეებული სიგელი ვნახეთ, ესრედ ეწერა და გაერიგა“¹².

ამის შემდეგ ლევან II დადიანი სიტყვა-სიტყვით იმეორებს შამადავლას იადგარს და არაფერს არ ცვლის ტექსტში. ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტი შემდეგნაირად გამოიყურება ლევან II დადიანის რედაქციით:

„აგრევე ჩვენ, პატრონმან, დადიან-გურიელმან შამადავლამ, იადგარი ძუელითგანი ვნახეთ და ასრე ყოფილიყო ძუელითგან და

¹¹ ს. კაკაბაძე, დას. საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, 1921, გვ. 1.

¹² ექ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, 1920, გვ. 27.

ესრეთ ეწერა: „ვინცა ხოფისა საყდრისა გარშემო უპატიობა იკადროს, ანუ გლეხი დაურბიოს, ანუ ჭოგი წაუსხას, ანუ ქურდობა ქნას, ან სასახლეს მოუხდეს და გატეხოს. ათი გლეხი დაუურვოს საყდარსა, ვინცა სახოფოსა ზედან მოუხდეს, დარბიოს, და დაწუხას. მენხადილე გლეხი დაუურვოს საყდარსა, ბოდი (?), ანუ ლალატითა კაცი მოუკლან ორი ზომა სისხლი დაეურვოს: ვინცა ძმათაგანსა უპატიობა ჰკადროს, ანუ აგინოს, ათასი პოტინატი დაეურვოს“¹³.

ლევან დადიანის იადგარის ეს ნაწყვეტი იმისათვის მოეცემა, რომ გვეჩვენებია როგორ ანახლებს ის საბუთს: მან შამადავლას საბუთი, რადგან ის უკვე დაზიანებული იყო, უბრალოდ ახლად გადააწერია და ყველაფერი უცვლელად დატოვა. თავის დროზე ასე მოიქცა თვით შამადავლაც. ხოფის იადგარი შამადავლაზე ბევრად უფრო ადრე იყო შედგენილი, როგორც ჩანს, ის შამადავლას დროს უკვე განახლებას საჭიროებდა, ეს ადგილი რომ შამადავლას ძველი იადგარიდან უცვლელად აქვს გადმოტანილი, ეს კარგად ჩანს მისივე სიტყვებიდან: „მოვიკითხეთ იადგარი, ძველთაგა აგრე ეწერა“. მაინც როდის უნდა შექმნილიყო ხოფის იადგარი, ან. ყოველ შემთხვევაში, ისეთი ტიპის იადგარი, რომლის მსგავსად გადმოწერილია შემდეგი ხოფის იადგარი? თვით საბუთის მიხედვით ეს უნდა მომხდარიყო იმ პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ დასავლეთ საქართველოში ფულის ერთეულად ხმარებაში იყო ბოტინატი.

მენხადილე გლეხი გვხვდება აგრეთვე ალექსანდრე მეფის სასისხლო სიგელში, რომელიც თავისთავად ნატყუარი ძეგლია, მაგრამ, როგორც ჩანს, რაღაც ძველი სიგელის მიხედვითაა შედგენილი: „თოფურიძისა გვარისა კაცი მოკლას, 600.000 ძველი კარმანული დაგურვოს სანახაზრო და 900.000 თეთრი და მას გარეთ 10 მენხადილე გლეხი“¹⁴.

„მენხადილე კაცს“ იცნობს ქუთაისის გამოსავალი ბეგრის დაეთრის ბახე-ს ნუსხა, რომელიც ჯაერთოდ ცნობილია არქაიზმებით („ჩითაბურჩი“, „თეთრის“ ნაცვლად, „სამასახური ოჩისა“). ს. კაკაბაძე ამ ნუსხას XIV—XV სს. მიჯნით ათარილებდა¹⁵. ი. დოლიძე

¹³ ექ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, 1920, გვ. 27.

¹⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Qd-9517.

¹⁵ ს. კაკაბაძე, ქუთაისის საყდრის დაეთრის უძველესი ნაწილი, საისტორიო მოკმე, წ. I, 1925, გვ. 247.

მას XV ს. ბოლოს მიაკუთვნებს¹⁶. როგორც ვხედავთ, ნუსხის შედგენის ზემო ზღვარი XV საუკუნეს არ სცილდება.

აღნიშნული საბუთები წხარს უჭერს ჩვენს თვალსაზრისს, რომ XII—XV სს. დასავლეთ საქართველოში არსებობდა გლეხთა ორი ძირითადი კატეგორია: მეხადილე და მებეგრე. ამ ვარაუდს კარგად უდგება „ბექა-აღბუღას სამართლის“ მონაცემებიც. სამართალი, როგორც ცნობილია, იცნობს სსახურის გარდა გლეხს, რომლის სისხლის ფასი 400 თეთრია, და გლეხს, რომლის სისხლის ფასი 1000 თეთრია, ე. ი. ისეთ გლეხს. რომელიც თავისი მდგომარეობით უტოლდება სსახურს. ესენი ისეთი გლეხებია, რომლებსაც „პატრონი იცნობს სიკეთესა ზედა“. დ. მეგრულადე თვლს, რომ განსხვავება ამ ორი ტიპის გლეხს შორის ეკონომიური მდგომარეობის სხვადასხვაობაში უნდა ვეძოთ¹⁷. მკვლევარი აღნიშნავს, რომ „გლეხობის ეკონომიური აღზევებისთვის ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობათაგანი იყო გაანატება და შეუქვალობის მინიჭება. რაც „სიკეთესა ზედა“ ცნობის იურიდიული აღიარება იყო¹⁸“.

მართლაც, როდესაც სამართლებრივი კოდექსი აწესებს სისხლის ფასს, რა თქმა უნდა, ის გულისხმობს სრულიად გარკვეულ წოდებას, ან კატეგორიას, ამდენად გლეხი, რომელსაც „პატრონი იცნობს სიკეთესა ზედა“, სრულიად განსახლდრული. გარკვეული კატეგორიაა გლეხისა, რომლის რაობა დავას არ იწვევს. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ბატონი, მეტი ანაზღაურების მიღების მიზნით, იტყოდა, რომ თავის მოკლულ გლეხს იცნობს „სიკეთესა ზედა“. ეს გლეხი, თავისი ვალდებულებებით და მდგომარეობით, უახლოვდება მსახურს. თუ მივიღებთ, რომ XII—XV სს. დასავლეთ საქართველოში ცნობილი იყო გლეხის ორი ტიპი: მებეგრე გლეხი და მეხადილე გლეხი; შეიძლება დავუშვათ, რომ ბექა-აღბუღას სამართალში მოხსენიებული გლეხი, რომლის სისხლის ფასი 1000 თეთრია, შეესატყვისება დას. საქართველოს მეხადილე გლეხს. როგორც ჩანს, თვით ტერმინი „მეხადილე გლეხი“ დამახასიათებელი იყო მხოლოდ დასავლეთ საქართველოსაათვის, რადგან აღმოსავლურ ქართულ საბუთებში ის არ გვხვდება.

¹⁶ ი. დოლიძე, ქართ. საზ. მეცლ., III, გვ. 1160.

¹⁷ დ. მეგრულადე, გლეხობის ეკონ. მდგომარეობა XIII ს-ის II ნახევრიდან XV ს-მდე, კრებულში: ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, 1967, გვ. 83.

¹⁸ იქვე, გვ. 84

ახლა შევამოწმოთ რამდენად საფუძვლიანია ჩვენი თვალსაზრისი, რომ XVI ს. ბოლოდან დასავლეთ საქართველოში არსებული აზატის კატეგორია იდენტურია უფრო ადრეული პერიოდის წყაროებში მოხსენიებული მეხადილე გლეხისა. განვიხილოთ „მეხადილე გლეხი“-ს შინაარსი.

როგორც თვით ტერმინი გვიჩვენებს, მეხადილე ხადილის, ანუ მასპინძლობის მოვალე გლეხია. მეხადილეები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ერთიანად, რომელიმე მხარის, ან სოფლის გლეხები. მაგ., ერთ უთარილო საბუთში, რომელსაც თავი და ბოლო აკლია და რომელსაც ექ. თაყაიშვილი ათარილებს XVII ს-ით, ვკითხულობთ: „ხოზს ალაფო მეხადილე ჩაგავა, სამი ლოღარიკი სანთელი... ბიას კოჩიორე სიქინავა მეხადილე, სამი ლოღარიკი სანთელი... ხორგას რაც არის ყველა მეხადილე არის, აზნაურის ყმას გარდა“¹⁹.

მეხადილე გლეხი ჩვეულებრივ გლეხზე უფრო შეძლებულა იყო. ეს კარგად ჩანს უკვე ზემოთ განხილულ ხოფის იადგარიდან. საბუთის მიხედვით, როცა ეკლესიისათვის მიყენებული ზარალა შედარებით მცირეა (ქურდობა, გაძარცვა, ჯოგის წასხმა), ანაზღაურება გლეხით ხდება, ხოლო როცა ზარალი უფრო დიდია (დარბევა, დაწვა) — მეხადილე გლეხი უნდა დაეურვოს ეკლესიას.

მეხადილის მიმართების შესახებ სხვა ტიპის გლეხთან საინტერესო ცნობებს გვაწვდიან გრიგოლ კათალიკოსის საბუთები. მაგ., 1696—1715 წწ-ში გაცემულ საბუთში ვკითხულობთ: „ამ ჩემს შეწირულს კაცებს ვისაც სანთელი ემართოს, მეხადილე კაცისათვის საკლავი შეგვიწვეია და მელორე კაცისათვის უფროსი საკლავი“²⁰.

აქ მელორე კაცი იგივე მებეგრე, ანუ თავი-ბეგრის გადამხდელ გლეხს გულისხმობს. უფრო მეტიც: თვით ტერმინი „გლეხი“ თავისი ყველაზე უფრო ვიწრო გაგებით მებეგრე გლეხს ნიშნავდა (ტერმინი „გლეხი“, როგორც ცნობილია, მოიცავდა მსახურსაც და გლეხსაც, მაგრამ დასავლეთ საქართველოში მას კიდევ უფრო ვიწრო მნიშვნელობაც ჰქონდა: გლეხი თავისთავად იყოფორდა „მეხადილე გლეხად“ და გლეხად, ანუ მებეგრედ). ეს კარგად ჩანს გრიგოლ კათალიკოსის 1706 წ. გაცემული საბუთიდან:

¹⁹ ექ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, I, 1920, გვ. 55.

²⁰ ს. კაკაბაძე, დას. საქართ. საეკლ. საბუთები, I, 1921, გვ. 117.

„ნაჟანარეულებს გლახებს უფრომს უმცროსი ღორი ემართაჲ და მეხადილეს საჩუქარი ემართა, მეხადილისთვის საჩუქარი შეგვიწევიათ და გლახისათვის უმცროსი ღორი“²¹.

როგორც ვხედავთ, აქ გლახი მელორე კაცის მნიშვნელობითაა ნახმარი. მელორე რომ ღორის მებეგრეს უდრიდა, ეს ჩანს შემდეგი საბუთიდან:

„ამ ჩვენს შეწირულს კაცს ყველას ბეგრათ სამთელი დავადევით: ცხენის წყლის გამოღმა, ოპერეთის ქვეყანას — თითო შამახური და გაღმა ოდიშის ქვეყანას — 5—5 ლოლარიკონი. ამის მაგიერად მეხადილეს საჩუქარი ამოუწერეთ და ღორის მებეგრეს თითო საკლავი“²².

ამრიგად, მეხადილე უპირისპირდება ღორის მებეგრეს, ანუ თავიბეგრის გადამხდელ გლახს. XVII—XVIII სს-ში ტერმინი მეხადილე გლახი თითქმის არ გვხვდება წყაროებში. მეხადილის ტიპის გლახს აღსანიშნავად შემოდის ტერმინი „აზატი“.

განვიხილოთ ახლა ცნობები აზატ გლახებზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, „აზატი“ დასავლეთ საქართველოში პირველად გვხვდება ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის ნუსხაში.

„მართებს შალაბერიძეს აბრამასა ღვინო კოკა 28, ღომი ურეში 1, ნაოთხალი 2, ფეტვი ნეკლავი 30, საკლავი 1, მისი ყველი, კურეცხი და თევზი. ყველი ლიტრა ერთი, გოჭი და ქათამი, ტურთი, მუშაობაჲ, როდისცა მოუნდეს ქუთაის თუთო თეთრის ყავრის მიტანა; ან უნდა იქნას ესე, და ან რაც სხუამან აზატმან ქნას, პურის ჭამა და ცხენით სამსახური“²³.

იმავე ნუსხაში სხვა ადგილას ვკითხულობთ: „ღვინო კოკა 28, ღომი ურეში 1, ნაოთხალი 2, საკლავი 1, გოჭი და ქათამი, მისი ყველი... ტვირთი, მუშაობაჲ... ამას ნულარ იქს, რაც სხუამან აზატმან ქნას, პურის ჭამა და ცხენით სამსახური და ლაშქრობაჲ, ქუთაისის საყდრის მუშაობაჲ“²⁴.

როგორც ვხედავთ, ამ ორი აზატის სამსახურებრივი ვალდებულება განსხვავებულია: ერთს მართებს მარტო ცხენით სამსახური, მეორეს კი დამატებით მართებს ლაშქრობა და მუ-

²¹ ს. კაკაბაძე. დას. საქართ. საეკლ. საბუთები, I, 1921, გვ. 92.

²² იქვე, გვ. 145.

²³ ქართ. სამ. ძეგლ. III, გვ. 304.

²⁴ იქვე, გვ. 306.

შაობა, რაც შეხება მათ საბეგრო ვალდებულებებს, აქ განმსაზღვრელი და ძირითადი ის არის. რომ მათ თავი-ბეგრის მაგივრად ევალებათ პურის ჭამა, ანუ სამასპინძლო. ამიტომ ეს გლეხები აღარ არიან „მელორე“, ანუ „ლორის მებეგრე“ გლეხები.

აზატის რაობის დასადგენად საინტერესოა თვით ხადრის (პურისჭამა, საპურობა, სამეგრელოში — გოჭუქმური) შემადგენლობის გარკვევა. ამ საკითხს ჩვენ საბეგრო ვალდებულებისადმი მიძღვნილ თავში ვეხებით. აქ კი მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ პური-ჭამა, ანუ ბატონის გამასპინძლება ევალებოდათ როგორც მებეგრე, ისევე აზატ გლეხებს, ოღონდ აზატ გლეხს, სამასპინძლოს გარდა, შეიძლებოდა დაკისრებული ჰქონოდა ძღვენი, ხოლო ლორის მებეგრე დატვირთული იყო მრავალი სხვადასხვა სახის გამოსაღებით. მაგრამ პრინციპული განსხვავება იყო თვით მებეგრის და აზატის პურის-ჭამის ვალდებულებაში. მებეგრე გლეხი, თუ მას ევალებოდა „პურის-ჭამა“, ამ ბეგარს იხდიდა ღირსით, იმ დროს როდესაც აზატის სამასპინძლო ძროხით გადაიხდებოდა. აი, როგორ აღწერს აზატის ვალდებულებებს XIX ს. რაფ. ერისთავი.

„აზატი ქვემო სამეგრელოში მოვალეა ბატონს გადაუხადოს ყოველ ორ წელიწადში ერთხელ თითო საუკეთესო ძროხა, 1—2 ქილა ღომი, და 1—2 კოკა ღვინო. უნდა გაუმასპინძლდეს ბატონს და მისს ოჯახობას წელიწადში ერთხელ... ..ისეთი აზატაც არის ხოლმე, რომ იმ წელიწადს როცა, არ უნდა გადაიხადოს ძროხა და ძროხასთან მოყოლებული ხორაგი, ვალდებულია მოუყვანოს ბატონს თითო თხა, ან ცხვარი... თითო ქილა ღომი და თითო კოკა ღვინო...“

აზატი ზემო სამეგრელოში... იგივეა. რაც ქვემო სამეგრელოში, ...განსხვავება ის არის, რომ აქ ისინი არ იხდიან ღომსა და ღვინოს, რომ აქ უმასპინძლდება ბატონსა და მის ოჯახს, როცა კი ეს უკანასკნელნი ეწვევიან და მიაქვს მასთან ოქირსა-პიჩურის (ქრისტეშობის მარხვისა) და ოდიდი-პიჩურის (დიდმარხვის) გადასახადისათვის დადგენილი სურსათი“²⁵.

გადასახადის სახეობაში ასეთი სხვაობის გამო იყო, რომ, თუ მებეგრე გლეხის სინონიმად გამოიყენებოდა დასავლეთ საქართველოში ტერმინი „მელორე“ ან „ლორის მებეგრე“, რაც ნიშნავდა, რომ ამ გლეხს თავი ბეგარა ევალება (თავი-ბეგრის ძი-

²⁵ კ. ბოროზდინი, რაფ. ერისთავი, მურღე. ბატონობა სამეგრელოში, გვ. 102—103.

რითად ნაწილად, როგორც ცნობილია, ითვლება ღორი), ამატი გლეხის სინონიმად გვხვდება ტერმინი „მეზროხე“. ამ მხრავ საინტერესო ცნობას გვაწვდის ლევან დადიანის მიერ ბიჭვინთის საყდრისადმი მიცემული შეწირულობის წიგნი (1628 წ.). საბუთში ჩამოწერილია ცამეტი კაცი, რომლებსაც მართებთ გოჭკუპური (დადიანი ამ გოჭკუპურს ცვლის ალაპით), აქედან ექვს გლეხს მართებს: „ძროხა, სამი გულა ღვინო, ორი ქილა ღომი, ორი ქათამი, ერთი თევში პური“: სამ გლეხს მართებს: „ერთი ცხვარი, სამი გულა ღვინო, ორი ქილა ღომი, ერთი ქათამი“; დანარჩენ ოთხ გლეხს კი გოჭკუპური ევალეობდა ღორით და ახლა დადიანი უცვლის მას საპერანგო ტილოთი. ბოლოს კი ვკითხულობთ: „ამ ცამეტმან მოსახლემან კაცმან: ექვსმან მეზროხემან კათალიკოხსა, კარგსა ძღვენსა შოართნიდა, ვითაცა ზოხა (უნდა იყოს ალბათ ძროხა — მ. ს.) მართებს სააღპოდ, ამისთვის ბეგარა არ გაგვიჩენია და შეიდმან მოსახლემან: თითო საკლავი, იმისი ღომი და ღვინო ბეგრად მიართვას ბატონს კათალიკოხსა“²⁶.

როგორც ვხედავთ, ცამეტი კაცი ორ ჯგუფად იყოფა, რომელთა შორის, ბეგრის მიხედვით, არსებული განსხვავებაა შვიდი გლეხი, გარდა გოჭკუპურისა, იხდის თავ-ბეგარას, ექვსმა მეზროხე კაცმა კი ძღვენი უნდა მიართვას კათალიკოხს. რადგან, ეს ექვსი გლეხი ამატი გლეხია, რომელაც, ძროხის ხაღლის (ამ შემთხვევაში ალაპის) გარდა, იხდის ძღვენს.

„მეზროხე“, რომ მართლაც ამატი გლეხის სინონიმად გამოიყენებოდა, კარგად ჩანს მათხოჯის ნუსხიდან, სადაც ვკითხულობთ:

„ქ. არის მათხოჯს მეზროხე კაცი“:

ქ. შუშუა ფირცხალავა ასლად ამუკვეთილი,

ქ. მახარა ფირცხალავა,

ქ. მამისთვალი ბარაბიძე...

ქ. ეს ამატი კაცი. აწ ამას გარდა...“²⁷

მათხოჯის ნუსხას განიხილავს ო. სოსელია და მიდის შემდეგ დასკვნამდე: „XVII ს-ში ამატთა ხსენებას მხოლოდ ზემოთ-დასახელებულ მათხოჯის ნუსხაში ვხვდებით. იქ სულ 15 კომლი ამატი არის აღრიცხული და ყველა „მეზროხეებად“ არიან წოდებუ-

²⁶ მ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. დას. საქართველოს საი. საბ. I, გვ. 42.

²⁷ მ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიისათვის, I, გვ. 437.

ლი. ამგვარად, მათხოჯის აზატთა ვალდებულება ერთი ნორმით იყო გადაკვეთილი. ამ ნორმის მიხედვით თითოეული აზატი თოთო ძროხას იხდიდა. ამიტომაც აწერია მათხოჯის აზატთა სიას თავზე: „არის მათხოჯს მეზროხე კაცი“²⁸.

ჩვენი აზრით, ასეთი დასკვნა მართებული არ არის. აზატებრს შეზღვევ სიაში ჩამოწერილია 21 გლეხი — „მესეფე კაცი“ და მათზე წყაროში წერია, რომ ესენი არიან „მეურმეულე“, დაპირისპირებით „ურმულ ამოკვეთილთან“, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რბმ ეს 21 გლეხი მარტო ურმეულ ბეგარას იხდიდა, უბრალოდ ეს ურმეული ბეგარა (ამ ბეგარის შესახებ იხ. აქვე გვ. 150—151) დამახასიათებელი იყო მათთვის, როგორც მესეფე გლეხებისთვის, და ამიტომ მესეფის პარალელურად მათ უწოდებენ „მეურმეულს“ ზუსტათ ისევე, როგორც თავი — ბეგრის ვადამხდელი გლეხისათვის, ანუ მებეგრე გლეხისათვის, დამახასიათებელი და განმსაზღვრელი იყო ღორის გამოსაღები, რის გამოც მებეგრის სინონიმად წყაროებში იხმარება „მელორე“. ასევე აზატი გლეხისათვის ძირითადი ნიშანი იყო ის, რომ მას ამოუკვეთეს ღორი და ნაცვლად თავი ბეგრისა, დააკისრეს მასპინძლობა (ხადილი, პურის-ჭამა) ძროხით. ასე რომ, ეს მათხოჯის „მეზროხეები“, ჩვენი აზრით, ისევე იხდიან ხადილს ძროხით და შესაძლებელია ძღვენსაც, როგორც ამას იხდიან დადიანის საბუთში დასახლებული „მეზროხეები“.

საბოლოოდ ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როგორც მებეგრის სინონიმად გამოიყენებოდა ტერმინი „მელორე“, ისევე აზატის სინონიმად იხმარებოდა ტერმინი „მეზროხე“. ეს ორი ტერმინი ზუსტად განსაზღვრავს ძირითად და არსებით სხვაობას ამ ორი ტიპის გლეხს შორის: „მელორე“ იყო თავი ბეგრის ვადამხდელი, ხოლო „მეზროხე“ — სამასპინძლოს ვადამხდელი (ხონის დავთარში გვხვდებიან ხადილის ვადამხდელი გლეხები, რომელთა ხადილის შემადგენლობაში ძროხის ნაცვლად ღორი შედიოდა, მაგრამ ეს გლეხები მსახურები იყვნენ და არა აზატები).

²⁸ იქვე 23 ო. სოსელია, აზატ გლეხთა კატეგორია დასავლეთ საქართველოში, მსკი, ნაკვ. 33, 1960, გვ. 190.

განვიხილოთ ახლა არქ. ლამბერტის ცნობები სამეგრელოს გლეხების შესახებ:

„კოლხიდის ანუ ოდიშის ერი შესდგება... აზნაურების და გლეხებისაგან...“

აზნაურის წოდებას შეადგენენ აზნაურები და თავადები...

გლეხთა წოდებას შეადგენენ მსახურები და მოინალეები...

არავის არ შეუძლია გამოვიდეს იმ წოდებიდან, რომელშიაც იგი დაბადებულია, ისე რომ აზნაურს არ შეუძლიან თავადი გახდეს, მსახურს — აზნაური და მოინალეს — მსახური. ყოველი კაცი უნდა დარჩეს თავის წოდებაში, თუნდაც სიმდიდრით გაუსწორდეს კოლხიდის უდიდებულეს კაცს“²⁹.

შემდეგ ლამბერტი აღწერს მსახურის და მოინალის სამსახურებრივ ვალდებულებებს ბატონის კარზე და დასძენს:

„გარდა პირადი სამსახურისა, ყოველი გლეხი ვალდებულია ბატონს, მისის მოთხოვნისამებრ, აკამოს წელიწადში ერთხელ, ორჯელ, ან სამჯერ ჩვეულებისა და იმის მიხედვით, თუ რამდენი მიწა-ადგილი აქვს გლეხს. ვინც უფრო შეძლებულია, ძროხა უნდა მოუყვანოს და ურმით ღომი, პური, ღვინო და ქათმები. ვისაც კი ნაკლები მიწა-ადგილი აქვს, უნდა მოუყვანოს ერთი ღორი, სამი თუ ოთხი გულა ღვინო და ერთი ტომარა ღომი თავისი პურით და ქათმით“³⁰.

ლ. მუსხელიშვილი ძირითადად ლამბერტის ცნობას ეყრდნობა, როცა უარყოფს აზატის, როგორც ცალკე საგლეხო კატეგორიის არსებობას დას. საქართველოში. მისი აზრით, ლამბერტი აღწერს მხოლოდ მსახურს და მოინალეს და, ამრიგად, სხვა კატეგორიის გლეხს XVII ს-ის სამეგრელოში ის არ იცნობს³¹.

ჩვენი აზრით, ლამბერტის ცნობა სხვანაირად უნდა გავაგოთ: ლამბერტი აღწერს საერთოდ წოდებებს, როგორც გაბატონებულ, ისე ჩაგრულ კლასში, და არა კატეგორიებს. ჩაგრულ კლასში ის ასახელებს ორ საგლეხო წოდებას: მსახურს და მოინალეს. აზატი კი წოდებას არ წარმოადგენდა: აზატი შეიძლება მსახურიც ყოფილიყო და გლეხიც, ამიტომ ლამბერტი მას არ ასახელებს (ასევე,

²⁹ არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ა. ჯუონასი, გამოც. II, თბ., 1938, გვ. 27.

³⁰ იქვე, გვ. 28.

³¹ ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 313—314.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ლამბერტი არ ასახელებს, მაგალითად, მოჭალაბის კატეგორიას, თუმცა მისი არსებობა, ამ პერიოდის სამეგრელოში, დადასტურებულია დოკუმენტურად). სამაგიეროდ გლენების ბეგრის აღწერისას ლამბერტი სრულიად აშკარად იცნობს გადამხდელთა ორ ჯგუფს: ნაკლებ შემძლებელს — მელორეს და უფრო შეძლებულს — მეძროხეს, ანუ გლესს, რომლის ბეგრის შემადგენლობაში ღორი არ შედის. ეს მეძროხე გლენები მხოლოდ აზატები შეიძლება ყოფილიყვნენ.

ამდენად, მართალია ლამბერტი არ ასახელებს აზატებს, მაგრამ აზატი უნდა დავინახოთ მის მიერ აღწერილ „მეძროხეში“.

სხვა საქმეა, რომ არა სწორია ჩვენი აზრით, ლამბერტის წოდებრივი დაყოფა გლესთა კლასისა. ვფიქრობთ რომ ლამბერტმა ამ დაყოფის დროს მსახურებში იგულისხმა სოფელში მოსახლე გლესობა, ხოლო მოინალეში — საბატონო მიწაზე მსხდომი (ე. ი. წოდებების მაგიერად წარმოადგინა ორი კატეგორია გლესობისა). ამას მხარს უჭერს თითქოს ის გარემოება, რომ ლამბერტი ხმარობს ასეთ გამოთქმას: „მსახური ანუ გლესი“, მოინალეს კი ის არც ერთ შემთხვევაში არ უწოდებს გლესს (და მართლაც, მოინალე-მოსასახლეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უპირისპირდებოდა ტერმინი „გლესი“, სოფელში მოსახლე გლესის მნიშვნელობით). შესაძლოა ეს იმიტომ მოხდა, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ლამბერტისათვის უფრო იოლი შესამჩნევი იყო ორი საგლესო კატეგორია: საბატონო მიწაზე მოსახლე და სოფელში მოსახლე. სახელებად კი მათ შეუფარდა ის ტერმინები, რომლებიც მისთვის ცნობილი იყო: მსახური და მოინალე.

ასეთივე განსხვავებაა სამეგრელოში აზატებსა და მელორე, ანუ მებეგრე გლესებს შორის XIX ს-შიც. ეს მუროეს ცნობით, აზატები, ანუ თავისუფალი გლესები მესამე კატეგორიას შეადგენდნენ. თუმცა ზოგიერთი გადასახადისაგან თავისუფალნი იყვნენ, მაგრამ საერთოდ იმდენსვე იხდიდნენ, რამდენსაც მებეგრე. მათი მდგომარეობის უპირატესობა ის იყო, რომ ღორს არ იხდიდნენ, აზატები თან ახლდნენ ბატონს მოგზაურობის დროს, დაუხვდებოდნენ მას, გაუმჟაბინებდებოდნენ როგორც ბატონს, ისე მის ოჯახს, ინახვდნენ მის ცხენებს. ორ წელწილადმი ერთხელ აძლევდნენ: ერთ ძროხას, ერთ-ორ ქილა ღორს, ერთ ან ორ კოკა ღვინოს³².

³² ქ. ბოროზდინი; რაფ. ერისთავი, ვან. მურიე, ბატონყმობა სამეგრელოში, 1927, გვ. 126—127.

ასევე აღწერს განსხვავებას აზატსა და მებეგრეს შორის ბოროზიდიანი. მისი ცნობით, ყოველ კომლს მებატონესთან ბეგარა მიჰქონდა ს ა ბ ე გ რ ი ე ყ ო : ღორი, ქათამი და გადაჭრილი ს ა წ - ყ ა ო ღ ო მ ი , ღ ვ ი ნ ო ... მეორე ჭურის გლეხები აზატები არიან— „ ა ზ ა ტ ე ბ ი ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ნ დ ა რ ი ა ნ ბ ა ტ ო ნ ს ე ა ხ ლ ნ ე ნ ხ ო ლ კ ე მ გ ზ ა ვ რ ო ბ ის ღ რ ო ს და ო რ წ ე ლ ი წ ა დ შ ი ე რ თ ხ ე ლ ე რ თ ი ძ რ ო ხ ა მ ო ლ ე ყ ე ა ნ ო ნ , ა ნ და ეს ძ რ ო ხ ა და უ კ ლ ა ნ და ს ა ნ ა ქ ე ბ ო დ გ ა უ მ ა ს პ ი ნ ძ ღ ღ ნ ე ნ “³³.

იგივე ცნობას გვაწვდის რაფ. ერისთავი: „აზატები აქ არ იხდიან მხოლოდ ზოგიერთს გადასახადსა და ბეგარას. ზ ო გ ი ე რ თ მ ა თ ს გ ა დ ა ს ა ხ ა დ ს მ ე ბ ე გ რ ე ს გ ა დ ა ს ა ხ ა დ ზ ე უ ფ რ ო მ ე ტ ი ფ ა ს ი ა ქ ვ ს კ ი დ ე ც “. რატომ ცდილობს მებეგრე გააზატებას? — კითხულობს ის. „მთავარი მიზეზი იმისი ისაა, რომ... აზატს ღორის ბეგარა არ აქვს და ეს კი კეთილშობილების ხარისხის ნიშანია“³⁴.

როგორც ვხედავთ, ლამბერტის ცნობა მდიდარ და ღარიბ გლეხებზე, ანუ ღორის გადამხდელ და ძროხის გადამხდელ გლეხებზე, სავსებით შეესაბამება XIX ს-ის ცნობებს სამეგრელოში აზატი და მებეგრე გლეხების შესახებ.

მეორე არგუმენტი, რომლის გამოც ლ. მუსხელიშვილი უარყოფს აზატის, როგორც ცალკე საგლეხო კატეგორიის არსებობას, შემდეგია: ქუთაისის დავთარში ორი შემთხვევა გვაქვს გააზატების. ორივე შემთხვევაში ააზატებენ გლეხს, რომლის ვალდებულება მანამდე იყო ტვირთი და მუშაობა. გააზატების შემდეგ კი ერთ გლეხს ევალება ხაღილი და „ცხენით სამსახური“, მეორე გლეხს „ცხენით სამსახური“, ლაშქრობა, ქუთაისის საყდრის მუშაობა. როგორც ვხედავთ. ამ გააზატებული გლეხების ვალდებულებები მსგავსია მსახურის ვალდებულებებისა. ამის შედეგად მკვლევარი ასკვნის, რომ გააზატება გამსახურების იგივეობრივი ცნებაა³⁵.

გააზატებული გლეხი ზოგ შემთხვევაში (არა ყოველთვის) შეიძლება თავის ვალდებულებებით ჰკავდა მსახურს, მაგრამ ეს თავისთავად არ ნიშნავს მის მსახურობას. ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოში დაბეგრილი მსახურები ემსგავსებოდნენ მებეგრე გლეხებს, მაგრამ მაინც მათგან განსხვავებულ წოდებას შეა-

³³ ქ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი , ბ ა ტ ო ნ ე მ ო ბ ა ს ა მ ე რ ო ღ ო შ ი . გვ. 45—47.

³⁴ იქვე, გვ. 102.

³⁵ ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი , დას. ნაშრომი, გვ. 313—314.

დგენდნენ. ამ საკითხის გასარკვევად განვიხილოთ აზატი გლეხების ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა, მათი ბეგარა-ვალდე-ბულებები.

დასავლეთ საქართველოში აზატი გლეხი, ანუ იგივე მეხადილე და მეზროხე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უფრო შემძლებული გლეხია. გააზატების სამი გზა არსებობდა:

1. რ ა ი მ ე ს ა მ ს ა ხ უ რ ი ს დ ა კ ი ს რ ე ბ ი ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ბ ე გ რ ი ს ა მ ო წ ე რ ა. ასეთ შემთხვევაში უფრო დროებით გააზატებასთან გვაქვს საქმე. მაგ., „ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის დავთრის“ როკითის ნუსხაში ვკითხულობთ:

ღვინო კოკა 28, ღობი ურემი ერთი, ნაოთხალი ორი, ფეტვი მკელავი 30, საკლავი 1, მისი ყველი, კვერცხი და თევზი... ტვირთი, მუშაობა ...„თუ ქნას მეჭინიბობაჲ, თუ არა და ეს უნდა გარდიჯადოს“³⁶.

ამ შემთხვევაში გლეხი თავისუფლდება ბეგრისაგან (ე. ი. აზატდება, მეჭინიბობის გამო). მსგავსი აზატი მზარეულები, მეჭინიბეები, ფარეშები და სხვ. მრავლად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოშიც, მაგრამ აქ მათი გააზატება ხდება არა ავტომატურად, სამსახურის დაკისრების შედეგად, არამედ — სათანადო აჯის შედეგად. მაგ., 1618 წ. ერთ საბუთში ვკითხულობთ:

„მეფემან პატრონმან ბაგრატ, ესე წყალობისა და სითარხნის წიგნი... გიბოძეთ თქუენ კავთისჯეველს იმანაძეს... მას ქამსა ოდეს დაგაყენეთ მეჭინიბეთ, მოგუიდეგით კარსა და სითარხნის წყალობას დაგუეაჯენით... განთავისუფლეთ ასრე, რომე... არა დალა, არა კულუხი, არა საბალახე, არა მალი, არა ფურის ერბო, ერთის სათათრის საურისაგან კიდე... არა გეთხოვებოდეს“³⁷.

როგორც ვხედავთ, ეს გლეხი იმიტომ კი არ აზატდება, რომ ის მეჭინიბედ დააყენეს, თავისთავად მეჭინიბობა არ გულისხმობდა გააზატებას. მას ათავისუფლებენ იმიტომ, რომ ის „მიადგა კარსა და სითარხნისა წყალობას დაეაჯა“. ყოველგვარი აჯა კი მეფისადმი, თუ ბატონისადმი, დაკავშირებული იყო „ქრთამის გამოღებასთან“.

სამსახურებრივი ვალდებულების გამო დროებით გააზატებასთან გვაქვს საქმე სოლომონ I-ის მიერ სოხასტრის ეკლესიისადმი გატემულ წიგნში, სადაც ვკითხულობთ:

³⁶ ქართ. სამ. ძეგლ. III, გვ. 302.

³⁷ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკ. საქართ. სოციალური ისტორიისათვის, წ. I, გვ. 17, საბუთი № 20.

„ნასიკა ბრეგაძე ამ ქამად ხელოსანი იყო და სადნამდის ხელო-
სნათ იყოს, თითოს იჯრის ყოველისფერს უნდა თავისს სახლშიდ
მოართმევდეს წინამძღვარს და უნდოდეს თვითან მის სახლშიდ და-
პატიეებდეს, ისე გაუმასპინძლებოდეს, როდესაც ხელოსანათ
აღარ იქმნეს, როგორათაც სხვას, ისე გარდაიხდიდეს ღმოს, ღვი-
ნოს, ხორცს, სამთელს და ყველს“³⁸.

ამრიგად ეს ნასიკა ბრეგაძე სანამ ხელოსანი იქნება სამასპინ-
ძლო, ანუ ხადილი უნდა გარდაიხადოს, როცა ხელოსანი აღარ იქ-
ნება, სხვა გლეხების მსგავსად, მანაც თავი ბეგარა უნდა გადაიხა-
დოს. ასეთივე დროებით გააზატებასთან გვაქვს საქმე ბატონიშვი-
ლი ვახტანგის მიერ 1788 წ. გაცემულ ბრძანების წიგნში. ოლონდ
ამ შემთხვევაში დროებით ააზატებენ არა სამსახურის დაკისრების
გამო, არამედ სახელოს ჩამორთმევის გამო კომპენსაციის სახით:

„ბატონიშვილი ვახტანგ გიბრძანებ არაგვის მოხელენო... ამ
მელიაშვილს გრიგოლს რომელსამე მიზეზით ნაცულობა ჩამოერ-
თვა და ამისის მიზეზით ამას ოთხ წელს აზატობა მივეციო, ამას
ნურაფერს საჩვენო ყალანსა და ბეგარას ნუ სთხოვთ და ნურცარას
საქვეყნოს ხარჯსა და გამოსაღებში გარევეთ“³⁹.

როგორც საბუთიდან ჩანს, გლეხი ნაცვალი ყოფილა, მაგრამ
ამავე დროს მებეგრე იყო და ახლა ააზატებენ ნაცულობის ჩამორ-
თმევის საკონპენსაციოდ, თანაც ააზატებენ მხოლოდ ოთხი წლის
ვადით.

გლეხი შეიძლებოდა გაეაზატებიათ მეღალაობის დაკისრების
გამო. მაგ., 1623 წ. საბუთში ვკითხულობთ:

„პატრონმა სვიმონ ესე წყალობის სითარხნის წიგნი გიბოძეთ
თქვენ ქობულაშვილს პაპუნასა... .. სითარხნის წყალობასა და-
გვეაჭენით, ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, მოკითხული
ექენით და აღექსანდრე მეფის მეაღაპე ყოფილი იყვენ-
ით და ამაზედ თარხნად ყოფილი იყვენით.
ჩუენცა რაც გდებოდათ ის ალაპი დაგადევით და გათარხნეთ
ასრე რომე არაფერი საჩვენო სათხოვარი არ გეთხოვებოდეს...
სათათროს საურისა და ლაშქრობა ნადირობის მეტი“⁴⁰.

II. გლეხისათვის ბატონს ბეგარა შეიძლე-
ბოდა ამოეწერა აგრეთვე ბატონის წინაშე

³⁸ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დას. საქართვ. საეკლ. საბ. II, გვ. 78.

³⁹ ქუთაისის ისტორ. მუზეუმის საბუთები 1047

⁴⁰ ხელნაწ. ინსტიტუტი, ფონდი Qd 7062.

პირადი დამსახურების შედეგად. ასეთი შემთხვევები. ძირითადად, დამახასიათებელია ალმოს. საქართველოსათვის. მაგრამ. გვხვდება, თუმცა ნაკლებად, დას. საქართველოშიც. მაგ., აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე (1696—1742 წწ.) „ცაიშის საყდრის გამოსავალი ბეგრის დავთრის“ ერთ მინაწერში ამბობს: „ჩუენ, აფხაზეთისა კათალიკოზმან... ფაცილა მელისაშულელს კაკუს, მის ძმას გიორგის, და მის სიძეს ჩენს გაზრდილს კალანდაეს იესეს ბეგარა რაც ემართა გარდუწერე ყველა; და ერთი შამახური სანთელი დავადევი, ყოველ წლიწადს ბიჭვთის ღმრთის-მშობელს მიართმევდეს. ამისთვის უყავი ეს წყალობა: სიბერის დღის დიდი უძლურება შემემთხვა და დიდად მემსახურებოდა იესე მკერვალი კალანდაე“⁴¹.

III. გააზრტების ყველაზე უფრო გავრცელებული გზა დას. საქართველოში იყო „ქრთამვა“, ანუ აზატობის გამოსყიდვა გლეხის მიერ. გამდიდრებულ მებეგრეს შეეძლო „ექრთამა“ ბატონთან თავი ბეგოს, ან მისი ძირითადი ნაწილის ღირის ბეგრის ამოკვეთა, ამაში ხშირად თვით მებატონეები იყვნენ დაინტერესებულნი, რადგანაც სჭირდებოდათ ფული, რომელიც, ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი კარჩაკეტილი, ნატურალური მეურნეობის პირობებში, ძნელი საშოვნელი იყო. ამ მხრივ საინტერესოა კაცია წულუკიძის წიგნი მამუკა რუხაძისადმი:

„ჩემს ერთგულს მოსამსახურეს რუხაძეს მამუკას... ეამთა ვითარებისაგან დიდი ბეგარა დაგდებოდათ... მისი ნახევრის ამოკვეთა რადგან გვეედრეი, ვედრება თქვენი ვისმინეთ და შეძლები-სამებრ თქვენსა ქრთამიც გამოგართვით, როგორც ამ საქმეს შევნოდა“⁴².

ამ შემთხვევაში გააზრტებასთან არა გვაქვს საქმე, მაგრამ საბუთში კარგად ჩანს, თუ რა პირობით ხდებოდა ბეგრის ამოკვეთა.

1789 წ. წყალობის წიგნით იმერეთის მეფე დავითი ააზატებს გლეხ გიორგაძეს:

„შემოგვეხვეწეთ და გვიაჩენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და ამოგიკვეთეთ ღორის ბეგარა და ხორცის საუდიერო, და ქრთამიც აგართვით, ჩვენის გულის საჭეროთ“⁴³.

⁴¹ ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 476.

⁴² ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტ. საქართველო. სოციალური ისტორიისათვის, II, გვ. 286, № 448.

⁴³ სცია, ფ. 1447, საბ. 1439.

ლორის ბეგრის ამოკვეთა, რომ გააზატებას გულისხმობდა, კარგად ჩანს თუნდაც „აფხაზეთის საკათალიკოსოს გამოსავალი ბეგრის დავთრის“ მათხოჯის ნუსხის შემდეგი მინაწერიდან:

„მართებს მუშის ფიცხელაურს ურემი ღომი, ცხრა მრთელი ღვინო, ორი საკლავი, საპურობო ცეხელი სამი ნაოთხალი ღომი, ბარგის ზიდვა“ გასწვრივ კიდევ. „მუშუა ფიცხელაურს და მის შვილებს საკლავი ემართა, ახლას ამომიკვეთია და ხადილი დამიცი. ყოველმან ჩუენმა შემდგომმა კათალიკოზებმა ასე დაუმტკაეთ“⁴⁴.

როგორც ვხედავთ, გააზატების დროს მთავარი სწორედ საბეგრო ხასიათის ცვლილებაა (ლორის ბეგრის ამოკვეთა). გლეხის სამსახურებრივი ვალდებულების ცვლილებაზე კი ასეთ შემთხვევებში არაფერია ნათქვამი.

აფხაზეთის კათალიკოზის სვიმონ ჩხეტიძის მიერ ივანჯანაშვილ მამისთვალსადმი გაცემულ წყალობის წიგნში (1664 წ.) ვკითხულობთ:

„დაგვეაჩენით და ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი და შეგიწყალეთ და გიბოძეთ მალლაკს მახარობელი ივანჯანისშვილი მისის ცოლშვილით და ალაგითა, მამულითა, საყანითა... კიდევ შეგიწყალეთ და ამოგიკვეთეთ შენის სახლას ბეგარასე რომე, რაც შენს სახლის კაცსა და შენს ალაგს მართებოდეს, ასრე შეგვიწვეია, რომ არაფელის ბეგრისაგან შენ აღარ გეთხოვებოდეს და არც გარდაგახდევინოთ“⁴⁵.

1673 წ. კათალიკოსის მიერ იმავე მამისთვალსადმი ივანჯანაშვილისადმი გაცემულ წყალობის წიგნში კი ვკითხულობთ:

„დაგვეაჩენით და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ მალლაკს პარტახტი დედუღაის და გიორგის ივანჯანისშვილისეული ... და ამას რაც გაეწყობოდა ქრთამიც მოგვართვი“⁴⁶.

ამ ორა საბუთის შედარებიდან აშკარად ჩანს, რომ, თუმცა პირველ შემთხვევაში „ქრთამი“ ნახსენები არ არის, მაგრამ ამ გლეხმა თავისი გათარხნება და ერთი გლეხი მისის მამულით ისევ

⁴⁴ ქართ. სამ. ძეგლ. III, გვ. 408.

⁴⁵ ქუთაისის მუზეუმის საბ. 1843.

⁴⁶ ქუთაისის მუზ. საბ. 1842.

„იქრთამა“, როგორც მეორე შემთხვევაში „იქრთამა“ პარტახტი.

ფრიად საინტერესოა ამ მხრივ ლაზარე მაქარაშვილის ოჯახის ისტორია. XVII—XVIII სს. მიჯნაზე ზაალ წერეთლის სათაფლადო სახლი გაღარიბებას განიცდის, ბატონის ეკონომიური გაჭირვებით სარგებლობს მისი ყმა გლეხი მაქარაშვილი, რომელიც თანდათანობით იძენს პარტახტებს, გლეხებს და საბოლოოდ აზატდება. განვიხილოთ ეს საბუთები:

„მე ზაალ წერეთელმა, ბატონმა ჩემმა შვილმან ვალადებულ და ოტიამან, სვიმონ ქაიხოსრომ და დავით, ვისმინეთ მოხსენება თქვენი, გიბოძეთ და შეგიწყალეთ და მოგეცით ოსიტას ნასხასშვილისეული პარტახტი“...⁴⁷.

„წყალობრს წოგნი მოგეცით ჩვენ ვალდებულ წერეთელ[მა, ჩვენმა ძმამ ოტიამ], სვიმონ ქაიხოსრომ [და დავით თქვენ ლაზარეს მაქარაშვილსა], ძმასა შენსა გიორგის... ამა პირსა ზედა, რომ ე ბ ი ქ ი მ ო გ ე ც კ ა პ ა ნ ა ძ ი ს შვილი მე, არც წაგართვა და არც გაგიყიდოთ, და სამოხელეო ამოგიკვეთეთ“⁴⁸.

„ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ, წერეთელმა ვ ა ლ ა დ ე ბ უ ლ და ვ ა ხ უ შ ტ ი მ, შენ, დათუა მაქარაშვილს... ასე ამა პირსა ზედა: შ ე ნ ი თ ე თ რ ი გ ვ ე მ ა რ თ ა, გ ა გ ვ ი ქ ი რ - და გ ა დ ჯ ა ხ დ ა. მ ო ჯ ე ც ი თ მ ა მ უ ჯ კ ა შ ვ ი ლ ი ს ტ უ ლ ი ა ლ ა გ ი მისის სახნავ-სათესვით, ტყით, მინდვრით, წყლით, წისქვილით, სასაფლაოთი, რასიც მქონებელი მამუკაშვილი იყო, მისისა ყოელისფერით, გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმა ყოელი-სა კაცისა უცილებლად“⁴⁹.

ამავე პერიოდში, ლაზარე მაქარაშვილი აზატდება: „გიბოძეთ წიგნი ესე ს ი თ ა ლ ხ ნ ი ს ა და ქ რ თ ა მ ი ს რ უ ლ ი მ ო გ ე ც ა რ თ ვ ი თ. მე ზაალ წერეთელმა და შვილმა ჩემმან ვალადებულ, ოტიამან და სვიმონ და ქაიხოსრომ და დავით, შენ ლაზარე მაქარაშვილს და შენსა ძმასა გიორგისა და ბასილსა და საბასა და პაპუნას და დათუნასა... ესე ს ი თ ა რ ხ ნ ი ს წ ი გ ნ ი გ ი ბ ო ძ ე თ, არცა გეთხოვებოდეს ობოლი და არცა ქვრივი და არცა ძიძა და არცა ბეგარა და არცა ს ა პ უ რ ო ბ ო და არცა ცხენის

⁴⁷ შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდისის სმთავროების, წ. 1, 1959 გვ. 46, საბ. 40.

⁴⁸ ი ქ ვ ე, გვ. 55, საბ. 50.

⁴⁹ ი ქ ვ ე, გვ. 56, საბ. 51.

ხედნა და არა საკვებავი არა გმართებს რა... და ან ხელოსნობა და ან მსახურობა“⁵⁰.

საბოლოოდ ვახუშტი წერეთელი ზაალიშვილი (ეს უნდა იყოს ზემოთ განხილულ საბუთში ვალადებულთან ერთად დასახელებული ვახუშტი) კოტრდება და აძლევს მთელი თავისი მამულის ნასყიდობის წიგნს წერეთლებს ქაიხოსროს, ქველსა და ნიკოლოზს::

„მამისა და პაპის და ბიძის და ძმების დიდი ვალი დამრჩა, მარჩობდნენ. ორიოდე ცოლქმარი კაცი მყავდა, ორჯელ სამჯერ ამიყარეს, ხარი არ შემარჩინეს, ძროხა არ შემარჩინეს, ორას ორმოცი მარჩილი სულა რაჰველების მემართა, სხვა კიდევ სააბაშიო კაცის ბევი მემართა. ახლა თქვენ შემოგვხვეწე, სხვა კაცმა არ გამოიტხა და ჩემი თავი და ჩემი გალარიბებული მამული... თქვენთვის მომირთმევი. ეს ვალები ყველა თქვენ გარდამხადეთ, ღმერთს დამადლე, თვარამ ვერც მამულით, ვერც მიწა ალაგით, ვერც ჩემის გასყიდვით ვერ აუვიდოდით. აწ ჩვენი თავი და ჩვენი მამული ნასყიდობით თქვენთვის მოგვირთმევი“⁵¹ (1727 წ. ახლო).

ამრიგად, აქ აშკარაა ფეოდალთა კლასის გალარიბება-დაცინება და მის საპარისპიროდ ყმა გლეხების გამდიდრება ვააზატება. იმ დროს, როდესც ფეოდალებს თავისი გაქცეული გლეხის ამოსაყვანად მისაცემი „საბოქაულოს“ გადახდაც კი არ შეუძლიათ, გლეხები დიდი რაოდენობით „ქრთამს“ ხარჯავენ ვააზატებისათვის, ან რაიმე შემოსავლიან სახელოს ხელში ჩაგდების მიზნით. მაგ., ქუთათელ სვიმონის მიერ გიორგობიანისადმი გაცემულ საბუთშეკითხულობთ (1817 წ.):

„ძველთაგანაც თქვენს სახლს ქონდათ მოხელეობა და ახლა კიდევ შემოგვეხვეწენით და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ ფუტიური მოხელეობა და შენ ქრთამი მოგვართვი, როგორაც გული შეგვჯერდებოდა: ერთი კარგი ზერდაგი (?) ულაცი ქუთათელს, ერთი კარგი ნებიერი მის აზნაურიშვილს ქაიხოსრო აბულაძეს, და გიორგი მემარიაშვილს ერთი კარგი ნებიერი, ორი ძროხა იაშვილს მამუკას, ერთი ძროხა ბაანია ჩიქვანის ქალს. ერთი ძროხა დათუა ჩიკვაძეს, აწ გკონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ეს სახელო“⁵².

⁵⁰ Sd 5091.

⁵¹ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკ. საქართ. სოციალური ისტორიისათვის, I, № 653.

⁵² სტია, ფ. 1449, საბ. 261.

XVIII ს. მანძილზე წოდებრივი სხვაობა მსახურსა და გლეხს შორის მცირდება. წინა პლანზე რბაცვლებს ეკონომიურ ფაქტორზე დაჰყარებული სხვაობა აზატ და მებეგრე გლეხებს შორის, ამავე დროს მსახურთა უდიდესი მასა იბეგრება.

განვიხილოთ აზატ გლეხთა ვალდებულებები. აზატი გლეხები თავიანთი ვალდებულებების მიხედვით ფრიალ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აზატის ყველაზე უფრო გავრცელებული ტიპი იყო მეზადილე ანუ მეზროზე გლეხი, მაგრაჲ. გარდა ასეთი აზატებისა, იყვნენ აზატები, რომლებიც, საერთოდ, არაფერს არ უხდიდნენ ბატონს. მაგ., ზემოთ განხილულ საბუთში, მეჯინიბეს არაფერი ევალებოდა, გარდა მეჯინიბობისა, გააზატებულ ლაზარე მაჭარაშვილს არაფერი ბეგარა არ მართებს, ან მამასახლისობის და ან მსახურობის მეტი (აქ აღსანიშნავია, რომ თავისთავად მამასახლისის სახელს ფლობა არ ნიშნავს მსახურობას). საეკლესიო გლეხებში ხშირია აზატები, რომლებიც იხდიან მხოლოდ სანთლის ბეგარას. მაგ., ოტია დადიანის შეწირულობის წიგნში სუჯუნის მონასტრისადმი ვკითხულობთ: „ჩართვალა კოჩობა დაკარგული იყო და ჩვენ ამოდიყვანეთ მისი ცოლშვილიანათ და თქვენ შუაქალაქს დაგისახელეთ... სხვა ბეგარა არ არა და გვიც. ამის მეტი რომ ყოველს გიორგობას თვითო შამახურს სანთელს და ერთი რუბის საკმაველს... მოგართმევდეს. რასაც შემძლებელი იყოს ეკლესიის მოსამსახურე იყოს... არა სახარჯო მას არ ეთხოვოს“⁵⁵.

ასევეა ოდიშის დედოფლის თამარის მიერ ცაგერის საყდრისადმი მიცემულ შეწირულების წიგნში:

„ეს ორნი ძმანი... ობოლი სადმე იყვნენ... დავიხსენი... გამიზღია... ასე მოსახლეობიანათ... შემომიწირავს... ამისთვის ბეგარა დამიცს ერთი რუბის სამთელი წელიწადში, ღვთისმშობლობას ცაგერის ღვთისმშობელს მიართმევდეს და წირვა დამიცს სხვები ბეგრების სამაგეროთ ჩემის სულისათვის და ასე აზატობით შემომიწირავს“⁵⁴.

იყვნენ აზატები, რომლებსაც ევალებოდათ მარტო ღვინის ბეგარა და სხვ.

ამრიგად, აზატი გლეხები, თავიანთი საბეგრო ვალდებულებებით, არ არიან ერთგვაროვანი, მაგრამ ძირითადი და გამ-

⁵³ ს. კაკაბაძე, დას. საქართვე. საეკლ. საბ., II, გვ. 10.

⁵⁴ იქვე, გვ. 8-9.

საზღვრელი ყველა აზატისათვის ის არის, რომ ისინი განთავისუფლებულნი არიან თავი-ბეგრისაგან ან მისი ძირითადი ნაწილის — ლორის გამოსაღებისაგან⁵⁵.

ახლა განვიხილოთ აზატი გლეხების სამსახურებრივი ვალდებულებები. აზატი გლეხების სამსახურებრივი ვალდებულებები კიდევ უფრო მრავალფეროვანი იყო, მათ საბეგრო ვალდებულებებთან შედარებით. ამ მხრივ შეიძლება აღვნიშნოთ გააზატების შემდეგი სახეები: 1) გააზატებულ გლეხს აკისრებენ მსახურის, ანუ მოლაშქრე-მხლებელი-მცველის გამოყენას ბატონის კარზე, ასეთი გააზატებული გლეხი ფაქტიურად მსახურის ფუნქციას ასრულებს; 2) გლეხს სამსახურებრივი ვალდებულება იგივე რჩება რაც გააზატებამდე; 3) სამსახურებრივი ვალდებულება ეცვლება, მაგრამ არა მსახურობით, არამედ სხვა სახის ვალდებულებით; 4) გლეხს სამსახურებრივი ვალდებულებები საერთოდ ეხსნება ბეგარასთან ერთად.

გ. ჯამბურია მსახურის და აზატის იგივეობის დასამტკიცებლად გეთავაზობს შემდეგ საბუთიანობას:

1581 წ. სიმონ I-ის მიერ კავთისხეველებზე გაცემულ სითარხნის წიგნში მეფე ათარხნებს ჯილავის მეთოფეებს და ათავისუფლებს მათ ყველაფრისაგან „თუნიერ... მსახურობისა და სათათროსა საურისაგან“⁵⁶. „ე. ი. თარხანი გლეხები მსახურებია“ — ასკენის მკვლევარი⁵⁷. აქვე მკვლევარს მოჰყავს რევაზ ერისთავის მიერ გაცემული სითარხნის წიგნი, სადაც ერისთავი აღნიშნავს: „გათარხნეთ... გამოსაღები არა გეთხოვებოდეს ლაშქრისა და ნადირობის შეტვი და მსახურობა და ძღვენი“⁵⁸.

საბოლოოდ გ. ჯამბურიას მსჯელობა ამ საკითხის შესახებ შემდეგია: „ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში (XVII ს-ის II ნახ.) გლეხობაში გარჩეულია „მსახური და გლეხი“ (მოყალნის მნიშვნელობით), „მოყალნე მსახლობელი“ და „ბოგანო“. თარხანი აქ ნახსენები არაა. სამაგიეროდ საყაფლანიშვილოს ერთი ნუსხის

⁵⁵ ლ. მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 315; იხ. აგრეთვე ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დას. საქართველოს ისტორიიდან, გვ. 99.

⁵⁶ ნ. ბერძენიშვილი, დოკ. საქართ. სოციალ. ისტ. I, გვ. 11, № 11.

⁵⁷ გ. ჯამბურია, საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვითარება XVII ს. I ნახევარში, სადოქ. დისერტაცია, გვ. 77.

⁵⁸ ნ. ბერძენიშვილი, დოკ. საქართ. სოციალ. ისტ. I, გვ. 20, № 24.

(1688—1690 წწ.) მიხედვით გლეხობა იყოფა თარხნებად და მოყალნეებად. სადღა მსახური? ისინი თარხნებში იგულისხმებიან ანუ უკეთ თარხნები მსახურებია. ამის პირდაპირი საბუთია ნუსხის გამოთქმა: „თარხნისაგან სამასპინძლო გამოვა“. სამასპინძლო კეროგორც ცნობილია მსახურებს ედოთ“⁵⁹.

ჩვენი აზრით, ეს საბუთიანობა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ დავასაბუთოთ მსახურისა და თარხნის იგივეობა. თავისთავად მსახური აზატი გლეხია, ამიტომ, როცა ნუსხა ასახელებს თარხანს და მოყალნეს, მსახური თარხანში იგულისხმება (დას. საქართველოში როცა საუბარია მეხადილესა და მებეგრეზე, მსახური ორივეში შედის ხოლმე), მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა თარხანი ამავე დროს მსახურია. ზემოთ დასახელებული ორი ნუსხა სხვადასხვა პრინციპით აღწერს გლეხობას. ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში გარჩეულია მსახური და გლეხი. როგორც ჩანს, მის შემდგენელს სწორედ ეს აინტერესებდა, ხოლო საყაფლანიშვილის ნუსხაში გლეხები დაყოფილია გადასახადის გამოღების მიხედვით, ანუ თარხნებად და მოყალნეებად. რაც შეეხება სიმონ პირელის და რევაზ ერისთავის საბუთებს, აქ, როგორც ჩანს, გლეხის გამსახურებასთან გვაქვს საქმე, რადგან ეს გლეხები უბრალოდ კი არ თარხნდებიან, არამედ მათ მსახურის გამოყვანა ევალებათ. განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ რევაზ ერისთავის გაცემული საბუთი, სადაც ნათქვამია: „გაგათარხნეთ... გამოსაღები არა გეთხოვებოდეს ლაშქროსა და ნადირობის მეტი და მსახურობა და ძღვენი“ ანალოგიურად ათარხნებს თავის გლეხს ვამიყ არაგვის. ერისთავი (1778 წ.):

„სხვა არაფერი ჩვენი გამოსაღები ერთი მსახურისა და ლაშქრობა ნადირობის მეტი არა გეთხოვებოდეს რა“⁶⁰.

როგორც ამ საბუთებიდან იხედავთ, ლაშქრობა-ნადირობის ვალდებულება არ არის მსახურის გამოყვანის იდენტური. საბუთებში აღნიშნულია, რომ ლაშქრობა, ნადირობის გარდა, ამ გლეხებს საკუთრივ მსახურის გამოყვანა ევალებათ.

გვხვდება ისეთი საბუთებიც, სადაც გააზატებულ გლეხს ევალება მხოლოდ ლაშქრობა-ნადირობა და მეტი არაფერი. მაგ.

⁵⁹ გ. ქა მ ბ უ რ ი ა, საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვითარება...
გვ. 77.
⁶⁰ Qd 1671.

გიორგი მეფის მიერ თოფჩიაშვილ ბაანდურასადმი გაცემულ წიგნში (1691 წ.) ვკითხულობთ: „არა გეთხოვებოდეს რა ერთი ლაშქარ-ნადირობის შეტი“⁶¹. ასეთი გლეხი მსახური არ უნდა იყოს, რადგან მას არ ევალება მსახურის გამოყვანა (ლაშქრობა-ნადირობა კი საერთოდ სახელმწიფო ვალდებულებაა, ის სხვა სახელმწიფო ვალდებულებებთან ერთად, როგორცაა საური და სხვ., გლეხთა ძირითადი მასის მოვალეობაა). ასეთი გააზრების შემთხვევებში საქმე გვაქვს არა ახალი სამსახურის დაკისრებასთან, არამედ ლაშქრობა-ნადირობის, როგორც სახელმწიფო ვალდებულებების შენარჩუნებასთან.

ამ მხრივ საინტერესოა იესე ჭავჭავაძის სითარხნის წიგნი, გაცემული თავის გლეხ ათანასე ანუქისშვილისადმი (1614 წ.):

„ასრე რომ წყალობის წიგნსა დაგვიაჭენით, ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და მოკითხული ვქენით მამათა და პაპათაგან სითარხნისა წიგნი და ნიშანი გქონდა და აწე ჩუენცა დაგვიწერეთ... და გათარხნეთ და განთავისუფლეთ ყოვლისფერითა... ბატონის ლაშქრობა და საური უნდა არა დაგუაკლოთ და სხვა თქვენი გამოსალები ყოველთა წელიწადსა შინა უნდა მოგუართუამდეთ: 4 კოდსა პურსა და ოთხსა კოკასა ღვინოსა და ორის წლისა სახორცესა ძროხასა და ორის დღისა გუთანსა გვიხნევდით. სხუა ამას ზემოთ რაცა მოგვიკვეთია, არა გეთხოვებოდეს რა და რაც ჩუენი გეწეროს ამა სიგელსა შიგან ამას ნუ დაგუაკლებთ: პურსა, ღვინოსა და სახორცესა სამასპინძლოდ და ორსა დღესა გუთნისა ხუნასა“⁶²

ამრიგად, ამ საბუთში გარჩეულია საბატონო ვალდებულებები (სამასპინძლო და 2 დღის ხენა) სამეფო (სახელმწიფო) ვალდებულებებისგან (საური და ლაშქრობა). ცხადია, ეს გლეხი მსახურად ვერ ჩაითვლება: მას თავისი ბატონის მიმართ არც ერთი მსახურისთვის დამახასიათებელი ვალდებულება არ აქისრია (არც მგზავრობა, არც ხლება, არც სხვა გლეხების აკლებაში მონაწილეობა და, საერთოდ, მსახურის გამოყვანა).

ლაშქრობა, რომ საერთოდ გლეხთა უმრავლესობის ვალდებულება იყო, კარგად ჩანს ლამბერტის ცნობიდან, რომლის მიხედვით მონილად გლეხს ისევე ევალება ლაშქრობა, როგორც მსახურს. ამაზე მიგვიბრუნებენ აგრეთვე ცაგერისა და აფხაზეთის საკათალიკოზოს

⁶¹ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკ. საქართ. სოც. ისტორიისათვის, I, გვ. 89, № 125.

⁶² Qd 9642.

გამოსავალი მეგრების დავთრებზე, სადაც მეტვირთე გლესხ ევალება ლაშქრობა. ოყურეშის ნუსხის მეტვირთეებს ევალებათ „მეფის ლაშქრობა“, ხიბულას ნუსხის მეტვირთეებს კი -- უბრალოდ „ლაშქრობა“⁶³. მსგავს ცნობას გვაძლევს ნაზარალიხანის ერთი წყალობის წიგნი, სადაც ის ათარხნებს თავისი აზნაურის გლეხებს:

„წყალობის წიგნი... გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერთგულსა და ნამსახურსა ყარაბუღახის ძმას შიოშბეგიშვილს იესეს... მას ეამსა, ოდეს სითარხნის წყალობას გვეაჭენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგაწყალეთ და კლდისა ექვსი კომლი შიხაშვილი... ეს ექვსი კომლი კაცი ასე გვითარხნებია, რომე არაფერი საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არ ეთხოვებოდეს... თვინა-ერ ერთის სათათროს საურისა და ლაშქრობა-ნადირობის მეტი არა ეთხოვებოდეს“⁶⁴.

როგორც ვხედავთ, მეფე ათარხნებს არა გლეხებს, არამედ თავისი აზნაურის მამულს, ათავისუფლებს მის გლეხებს სახელმწიფო გადასახადებისაგან. გლეხები თავისი ბატონის მიმართ, რა თქმა უნდა, მებეგრე გლეხებად რჩებიან, ამავე დროს სახელმწიფო ვალდებულებებიდან მათ მეფე უტოვებს (აშკარაა, რომ ადრეც ჰქონდათ ეს ვალდებულება და როცა სხვა ვალდებულებებს უხსნის, ამ ორს უტოვებს) სათათრო საურს და ლაშქრობა-ნადირობას.

✓ ამრიგად: მსახური იყო გლეხთა ის კომლი, რომელსაც ევალებოდა მსახურის გამოყვანა. ლაშქრობა-ნადირობის ვალდებულება, თავისთავად არ გულისხმობდა მსახურების გამოყვანას. მსახური პროფესიონალი მოლაშქრე იყო, მუდმივი მხლებელი-მცველი. ლაშქრობა-ნადირობა კი გლეხთა საყოველთაო სახელმწიფო ვალდებულება იყო ომიანობის შემთხვევაში.

საბუთებში მრავლად გვხვდება შემთხვევები, როცა ათარხნებენ „კარზე მოსამსახურე“ გლეხებს (მეჭინიბე, ხაბაზი, მზარეული, ფარეში, ოქრომქედელი, მხატვარი, კალატოზი და სხვ.). ასეთ დროს სამსახურებრივ ვალდებულებებში არავითარი ცვლილება არ ხდება. ეს გლეხები უბრალოდ ბეგრიდან თავისუფლდებიან. საბუთები გვაძენობენ აგრეთვე ისეთ გათარხნებზე, როცა გლესხ არავითარი სამსახურებრივი ვალდებულება არ ეკისრება. ასეთი

⁶³ ქარო. ს.მ. ძეგლ., III, გვ. 379, გვ. 414.

⁶⁴ Qd 2150.

საბუთები გვაქვს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოდან. მაგ., ვახტანგ VI-ის ერთ წყალობის წიგნში ვკითხულობთ:

„...ოსიაურელს გოგიბაშვილს ბეჟანს... მას უამსა ოდეს მოგვადეგით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და სითარხნის წყალობას დაგვეაჯენით, ვისმინეთ აჟა და მოხსენება თქვენი და წყალობა გიყავით... არ გეთხოვებოდეს არა საბალახე, არა საური, არა პირისთავი, არა ნახირისთავი, არა საშობაო, არა სააღდგომო, არა ხუნა, არა ლეწვა, არა მკა, არა ურემი, არა სასოფლო წაღებულობა და გამოსაღებულობა არა გეთხოვებოდეს“⁶⁵.

ასეთივე ცნობას გვაწვდის რუსუდან დედოფლის სითარხნის წიგნი სურამელ მღებარ სარქისისადმი: „თქვენი სითარხნის წიგნების განახლებასა... დაგვეაჯენით... ასე გათარხნეთ და გათავისუფლეთ, რომ არაფერი საჩვენო ხარჯი და სათხოვარი არა გეთხოვებოდეს რა... არა მუშაობა... და არც ლაშქრობა, რადგან თქვენს ნასყიდს მამულზედ სახლობთ და ძველთაგანაც ასე თარხანი ყოფილხართ, ჩვენც ასე გათარხნეთ“⁶⁶.

ასეთივე მაგალითები დასტურდება დას. საქართველოს საბუთებშიც: ცაგერელ-ბედიელის ჩიქვანი გაბრიელის შეწირულობის წიგნი სუჯუენის წმინდა გიორგისადმი გვამცნობს:

„მართებს ხატის ათი ლალარიკონი სამთელი, ერთი ნარგისი ზეთი, ერთი ნალბაქი საკმეველი, სხვა ამის მეტი არაფერი ამას არ მართებს, არც ლაშქრობა, არც ნადობა, არც შინაყმობა არც მუახლობა, არც სხვა საქმრობა არაფელი სხვა უდიერობა ხატის სამსახურის მეტი არა მართებს რა“⁶⁷. ხატის სამსახურში კი აქ სწორედ სანთლის და ზეთის მიერთმევა იგულისხმება.

სოლომონ I-ის მიერ გლუნჩაძეებზე გაცემულ სითარხნას წიგნში აღნიშნულია: „გარდასახადი თქვენ არ გეთხოვოს და არც სხვა რამე ჩვენგან და არც ჩემის შემდგომისაგან მეფებთაგან, არც გარდასახადი და არც სხვადასხვა მეფობრივი სამსახური“⁶⁸.

⁶⁵ Qd 3357.

⁶⁶ Qd 2522.

⁶⁷ ს. კაკაბაძე, დას. საქართ. საეკ. საბ., I, გვ. 78.

⁶⁸ შ. ბურჯანაძე, ლოკუმ. იმერეთის სამეფოს..., გვ. 104.

რაც შეეხება აზატის უფლებრივ მდგომარეობას: ამ კატეგორიის გლეხებისათვის დამახასიათებელია შემდეგი: აზატი გლეხი ყოველ ახალ მეფეს ამტკიცებინებს თავის აზატობას, რადგან ამ დამტკიცების გარეშე ის შეიძლება მოყალნეთ იქცეს. ამ მხრივ დამახასიათებელია ნაზარალიხანის წყალობის წიგნი, სადაც ვკითხულობთ:

„აზატობას დაგვეაჩენით და მოკითხული ვქენით და ძველადაც აზატი ყოფილიყვენით და წიგნები დაგკარგოდათ და საფიცით გამოგეტანათ და ჩვენც წყალობა გიყავით და ხელახლა წყალობა გაგიახლეთ“⁶⁹.

გ. ჯამბურია, რომელიც აიგივებს თარხან გლეხს და მსახურს, გვთავაზობს შემდეგ მსჯელობას:

„ვკვდება თუ არა შემთხვევები მებეგრის გათარხნებისა, როცა უშუალოდ მსახურის ფუნქცია არაა ნაგულისხმები? არის ისეთი შემთხვევები, როცა გათარხნებულია მოხელე (მამასახლისი, ნაცვალი, მღვდელი ან სხვა ასეთი) და ფეოდალის კარზე მყოფი ხელოსანი, რომელიც განსაკუთრებულ დახელოვნებას მოითხოვს (მდივანი გადამწერი, შეიძლება მკედელიც და მზარეულიც კი), მაგრამ ყველა ისინი მსახურის კატეგორიაშია აყვანილი და მისი სისხლი ორჯერ მეტი ღირს, ვიდრე მებეგრისა“⁷⁰.

სინამდვილეში ვახტანგის სამართალი არსად არ აიგივებს აზატს და მსახურს და, ამდენად, არსაიდან არ ჩანს, რომ აზატის სისხლი ორჯერ მეტია ვიდრე გლეხისა. ვახტანგის სამართალში, წოდებებზე საუბრისას, რვა სხვადასხვა მუხლში დასახელებულია მსახური, განსხვავებით გლეხისაგან და არც ერთხელ მსახურის ნაცვლად არ არის ნახმარი ტერმინი „აზატი“, თუმცა აზატის კატეგორია ვახტანგისათვის კარგად ცნობილია. აზატისადმი საგანგებოდაა განკუთვნილი, მაგ., 234-ე მუხლი, სადაც ვკითხულობთ: „ვინც ან თავის მკვეალი ან მონა, ნასყიდი და თავის უცილობელი, ჰყუჟს და გაა[ა]ზატოს, კელი არავისა აქუს. თუ სასახლო და საძმო რამ არის, უერთმანერთოდ აზატი არ არის“⁷¹.

⁶⁹ Qd 1950.

⁷⁰ გ. ჯამბურია, საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვითარება... სალოქტორო დისერტაც. გვ. 79.

⁷¹ ქართ. სამ. ძეგლ., I, გვ. 541.

ასევე 260-ე მუხლში აღნიშნულია:

„და იმ კაცს წიგნი კელთ ეჭიროს, ის ყმა აზატი არის და აზატნაქმარისაგან კიდევე უფრო აზატი იქნების, და აღარ კელი აქვს მის პირველს პატრონს მასთან“⁷².

აზატი და მსახური რომ იგივეობრივი ცნებები იყვნენ, ვახტანგისთვის ბევრად უფრო ოლი იქნებოდა აზრობრივადაც და სტილისტურადაც ზემოთქმულის მაგივრად შემდეგი გამოთქმა: „ეს ყმა აზატი არის და მსახურისგან კიდევე უფრო აზატი იქნების“, მაგრამ ვახტანგი არსად არ ურევს ამ ორ ტერმინს ერთმანეთში და სრულიად გამოიწულად ზმარობს მათ.

ყოველივე ამის გამო, ვფიქრობთ, რომ აზატი მამასახლისი, მეჩინიბე, ხაბაზი, ფარეში, მქედელი და სხვ. არ იყვნენ თავისთავად, აზატობის გამო, მსახურები და რომ მსახურები იყვნენ ის კომლები, რომლებსაც მემკვიდრეობით ევალეობდით მსახურის გამოყვანა (იქნებოდნენ ისინი აზატები, თუ მებეგრები). აი, რა მონაცემებია ამ საკითხზე ჯრუჭის მონასტრის ყმების დავთარში (1809 წ.):

სკინდორს, ჭილოანს, ითხვისს — 12 კომლი გლეხი, მართებთ: ბეგარა, სეფობა, ცხენის ხედნა.

შუჭრუთს — 3 გლეხი მეფარიძეები, მართებთ: ბეგარა, სეფობა, ცხენის ხედნა.

ზოდს მოსახლე ივანიკა და მისი ძმა, მართებთ: 12 კოკა ღვინო, მსახური.

ზოდს — 5 გლეხი ყავლაშვილები: ბეგარა, სეფობა.

სხუაეას — ქვათაძე ზაზუნია, მართებთ ხაბაზობა.

ქორეთს — 25 გლეხი: ბეგარა, კვირაში ორი დღის სეფობა, ზამთარ საქონლის შენახვა.

ითხვისს — 6 გლეხი: ბეგარა, კვირაში ორი დღის სეფობა.

2 გლეხი: მსახური და სხვა არაფერი.

1 გლეხი: ხაბაზობა.

ფარეხეთს 5 გლეხი: ბეგარა, სეფობა კვირაში ორი დღის.

ჭიბრევეს 2 გლეხი: მზარეულობა.

2. გლეხი ომიძეები: ბეგარა, მსახური, ცხენის ხედნა. რაჭას წედისს — 5 გლეხი, მართებთ მარტო 4 თავი ავეჯი რკინა, შქმერს — მართებთ: ბეგარა, ცხენის ხედნა და ზამთარ ცხენის შენახვა.

⁷² ქართ. სამ. ძეგლ., I, გვ. 547—548.

მრავალძალს — 2 გლეხი: ბეგარა, მსახური, ზამთარ ცხენის შენახვა. მოხვაში მოსახლე გლეხებს: სეფობა, ქურის რეცხვა, ხარით, ცულითა და წალდით მუშაობა.

ქობრევს და შქმერს — 3 გლეხი: აქედან

2 გლეხს: ბეგარა, ცხენის ხედნა, ცხენის შენახვა.

1 გლეხს: 6 კოკა ღვინო სეფობა.

ბეჯითს — სხირტლაძე შიო: მეჭინიბეობა⁷³.

როგორც ვხედავთ, ჭრუჭის მონასტრის გლეხების ნუსხაში გვხვდება 7 მსახურის კომლი, აქედან 4 კომლი მებეგრე მსახურია და 3 კომლი აზატი მსახური. აქვე არიან აზატი გლეხები, რომლებსაც მართებს ზოგს მარტო ხაბაზობა, ზოგს მარტო ცხენის ხედნა, ზოგს მეჭინიბეობა, მზარეულობა ან მარტო 4 თავი ავეჯი რკინა. თუ აზატს მსახურთან გავაიგივებთ, მაშინ უნდა ჩავთვალოთ, რომ ეს აზატი მზარეული, ხაბაზი, მეჭინიბე და სხვ. მსახურები იყვნენ. მაგრამ ნუსხაში გარკვევით გამოიჩნულია ის კომლები, რომლებიც მსახურს იძლევიან სხვა ტიპის შინაყმის მომცემ გლეხებისაგან. ჭრუჭის მონასტრის ყმათა ამ ნუსხის მონაცემებს 55 წლის შემდეგ ზუსტად იმეორებს ერთი საბუთი:

(Записка комитета, учрежденного в гор. Кутансе об улучшении быта помещичьих крестьян от 2-ого марта 1864 г. за № 38), რომელიც ქუთაისის გუბერნიის საბატონო გლეხთა შესახებ მრავალ სხვა ცნობასთან ერთად, გვაძლევს გლეხთა შემდეგი ჯგუფების აღწერას:

«В отношении отбывания повинностей помещику крестьяне делятся на разряды:

Азаты обязаны отбывать постоянную прислугу (шникама) при доме помещика.

Мсахури (есть и такие мсахури, которые обязаны только одною домашнею прислугою подобно азатам), сверх постоянной прислуги отбывают повинность земными произведениями (вином, хлебом, кукурузой или гомнею), а также скотом или животностью, деньгами в размере, установленном обычаем.

⁷³ ს. კ ა ვ ა ბ ა ძ ე, მასალები..., საისტორიო კრებული, I, ვკ. 42.

Глехи, сверх постоянной прислуги, отбывают полевые работы и кроме того повинность земными произведениями, скотом или животностью, деньгами.

Моджалобы находятся целым семейством в полном распоряжении помещика»⁷⁴.

როგორც ამ მოხსენებიდან ირკვევა, ჯერ კიდევ XIX ს. 60-იან წლებში დასავლეთ საქართველოში განირჩეოდა აზატი მსახური აზატი გლეხისაგან, თუმცა მათ შორის სხვაობა ფორმალურობამდე დაყვანილი: აზატი მსახურები იძლევიან შინაყმას, აზატი გლეხების მსგავსად. საქმე ისაა, რომ მსახურის მიერ მიცემული შინაყმა მსახურია ანუ მოლაშქრე-მხლებელი-მცველი, ჰაგრამ XIX ს. შუა წლებისთვის მსახურის ეს ფუნქცია აზრს კარგავს და, ამრიგად, მის მიერ მიცემული შინაყმა აზატი გლეხების მიერ მიცემული შინაყმის იდენტურად გამოიყურება, თუმცა, ფორმალური სხვაობა მსახურის წოდებასა და აზატ გლეხს შორის თვით XIX ს. 60-იან წლებამდეც რჩება.

ბ. მებეგრე გლეხები

სოფელში მოსახლე გლეხების უდიდეს ნაწილს წარმოადგენდნენ მებეგრე გლეხები. საბუთების მიხედვით, მებეგრე გლეხთა ვალდებულებას შეადგენდა: ბეგრის გამოღება (როგორც თავი-ბეგარის, ასევე სხვადასხვა სახის გამოსაღებების), ს.ა.მ.ს.ა.ხ.უ.რ.ი (შინაყმის მიცემა), გ.უ.შ.ა.ო.ბ.ა (ნადის გამოყვანა), ტ.ვ.ი.რ.თ.ი.ს. ზ.ი.ღ.ვ.ა, მ.გ.ზ.ა.ვ.რ.ო.ბ.ა, ლ.ა.შ.ქ.რ.ო.ბ.ა.ნ.ა.ღ.ი.რ.ო.ბ.ა.

ისტორიოგრაფიაში დღესდღეობით მიღებულია თვალსაზრისი, რომ მებეგრე გლეხი ბატონის კარზე ასრულებდა „სათაკილო“ საწესახურს, ხოლო მსახურის სამსახური „საპატიო“ იყო. ამ დებულების ამოსავალი წყაროა არქანჯელო ლამბერტის ცნობა მოინალე გლეხებზე, რომლებსაც აიგოებენ მებეგრე გლეხებთან. მაგ., გ. ჯამბურია, ესება რა მებეგრე გლეხთა სამსახურებრივ მოვალეობას, აღნიშნავს: „მებეგრე გლეხ-ს დამახასიათებელი სამსახურებრივი ვალდებულება იყო აგრეთვე „მეშაობა“ (ბეგარის გარდა), რომელშიც იგულისხმება ყოველგვარი მეშაობა და ბატონის სასახლის მეურნეობაში მონაწილეობა — ტვირთის ზიდვა, „კურის რეცხვა“,

„ზერის მუშაობა“, „ხოდაბუნის მკა“ და სხვა მრავალი“⁷⁵. ამის დამადასტურებლად მკვლევარს მოყავს არქანჯელო ლამბერტის ცნობა მოინალის შესახებ და დასძენს: „ა. ლამბერტის დახასიათება უდგება მთელი საქართველოს მებეგრე გლეხის ზოგად დახასიათებას“⁷⁶.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი აზრით, მოინალე არ არის მებეგრე გლეხის იდენტური, არამედ ის აღნიშნავს სრულიად განსხვავებულ კატეგორიას გლეხისას, რომლის ქართული შესატყვისი მოსასახლე გლეხია. ამრიგად, ლამბერტის ცნობა არ გამოდგება არა მარტო მთელი საქართველოს, არამედ სამეგრელოს მებეგრე გლეხის დასახასიათებლადაც კი.

მსახურსა და აზატზე საუბრისას ჩვენ შევეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ გლეხისაგან მიცემული შინაყმა შეიძლებოდა ყოფილიყო მზარეული, ხაბაზი, მეჩინიბე, ბაზიერი, მოლარე და სხვ. იშვიათ შემთხვევებში მებეგრე გლეხი ინიშნებოდა სოფლის ხელოსნად... ანუ მამასახლისად. მებეგრე გლეხის ერთ-ერთ ვალდებულებას შეადგენდა ლაშქრობა-ნადირობაც.

მაგ. ოდიშის დედოფლის ანას მიერ მარტვილის საყდრისადმი მიცემულ შეწირულობის წიგნში (1796 წ.) ვკითხულობთ: „მართებს ამ მანიავას: 20 ჭკადირი ღვინო, 2 ღორი, 1 ქათამი, ... მართებს კიდევ მანიავას მზარეულობაც, აგრეთვე ნადობა, ტვირთობა, მგზავრობა, და სხვა, რაც სხვათსა წინამძღვროს გლეხებს მართებს იმის მსგავსად“⁷⁷.

ასევე, „აფხაზეთის საკათალიკოსოს დავთრის“ ნიბულას ნუსხაში ვკითხულობთ: „მართებს ხუტკუბიას ქარცხიას: გოქკომური და 1 საკლავი და 1 ქანდაქის ფასი საყანე ღორი, ბაზიერი, ... ტვირთის ზიდვა, ყოველ დღეთ ყანის მუშაობა, და ლაშქრობა და ყურძნის კრება და თივის თიბვა, იფქლის მკა“⁷⁸.

მებეგრე გლეხების ლაშქრობა-ნადირობის ვალდებულებას ეხება აგრეთვე ო. სოსელია და აღნიშნავს: რომ ამ ვალდე-

⁷⁵ გ. ქამბურია, საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება XVII საუკუნის I ნახევარში, 1975, სადოქტორო დისერტაცია, გვ. 87.

⁷⁶ იქვე, გვ. 88.

⁷⁷ სცა, ფ. 1448, № 1560.

⁷⁸ ქართული სამართლის ძეგლ., III, გვ. 414.

ბულები საგანს იშვიათად თუ ვინმე თავისუფლდებოდა⁷⁹. აზარტ: გლეხებზე საუბრისას ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ლაშქრობა-ნადირობა არ იყო მხოლოდ მსახურისათვის დამახასიათებელი და რომ ის გლეხთა ძირითად მასას ევალებოდა. მოვიხმოთ კიდევ დამატებით რამდენამე საბუთი ამ თვალსაზრისის შესამაგრებლად. კაცია დადიანი, თავის შეწირულობის წიგნში საირმის უღაბნოსადმი (1766 წ.), აღნიშნავს: „რომელიც ამ ზემო წერილი არის და ჩვენ მიერ შეწირული ჩვენი და ჩვენი მოურავისა და მოხელე კაცის გარდასახადი და ძალი და უსამართლობა არ მიადგეს რა, არც გლეხებსა და არც ვაჟრებს, არც ლაშქრობა, არც ნადობა, არც ნადირობა, არც საუდიერო“⁸⁰.

ამრიგად, კაცია დადიანი შეწირულ გლეხებს და ვაჟრებს ათავისუფლებს ლაშქარ-ნადირობისაგან, ცხადია, ის მათ ისეთი ვალდებულებისაგან არ გაათავისუფლებდა, რომელიც მათ ისედაც არ ემართათ.

ასეთივე ცნობას შეიცავს აგრეთვე ბაგრატ მეფის შეწირულობის წიგნი გელათის წმინდა გიორგის საყდრისადმი (1545 წ.). საბუთში მეფე ეკლესიას სწირავს მთელ სოფელს. ჩამოწერილია გრძელი სია გლეხებისა მათი ვალდებულებებით. ბოლოში კი ბაგრატი დასძენს: „ნავენახევი შეგუიწირავს კელშეუვალად და განთავისუფლებით თვინიერ ნადირობისაგან კიდე და ნადირის ჯერად ნუ დაგვაკლდებიან“⁸¹.

როგორც ვხედავთ, მეფე ეკლესიას სწირავს გლეხებს და ყოველგვარი სანეფო ვალდებულებებისაგან ათავისუფლებს მათ, „თვინიერ ნადირობისა“.

კიდევ ერთი საბუთი — ქრისტეს საფლავის ყმების ნუსხა (1787 წ.). აქ ჩამოწერილია გლეხები სხვადასხვა ვალდებულებებით. მათ შორის არიან მესეფე გლეხები, მოსამსახურე-მებეგრეები, აზატები, რომელთაც მხოლოდ ფულადი ბეგარა მართებთ, სიაში დასახელებულია ერთი მოსასახლე გლეხიც, კერძოდ, მესალბე, საბუთის ბოლოში კი მეფე ათავისუფლებს მათ ყოველგვარი სამეფო

⁷⁹ ო. ს. ო. ს. ე. ლ. ი. ა., დას. საქართველოს გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა..., კრებულში: ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, 1967, გვ. 231.

⁸⁰ ს. კ. ა. კ. ა. ბ. ა. ძ. ე., დას. საქართ. საეკლ. საბ., II, გვ. 30.

⁸¹ ს. კ. ა. კ. ა. ბ. ა. ძ. ე., აფხაზეთის საქათალიკოსო გლეხების დიდი დაეთარი, გვ. 63.

ვალდებულებებისაგან: „არა რა ეთხოვებოდეს, არც საური, არცა საუღურო და არც სხვა რამე მსახურებაჲ, თ ვინ იერ ლაშქრობსა და ნადირობისა“⁸².

მებეგრე გლეხები იყოფოდნენ ქვეკატეგორიებად. მაგ., მეტვირთე მებეგრეებისაგან განსხვავებით, იყვნენ გლეხები, რომლებსაც „ტვირთი ამოწერილი“ ჰქონდათ, „მუშაობა შეაღწებულნი“. ან სულაც „მუშაობა ამოკვეთილი“. განვიხილოთ მუშაობა-ამოკვეთილი გლეხები.

მათხოვის ნუსხაში (XVII ს.) აზატების ღირსის მოსდევს 21 გლეხი, რომლებზეც ნათქვამია, რომ ესენი არიან „მესეფე კაცები“. ბოლოში კი წერია: „ესენი არიან მეურმეულნი“. ამათგან განსხვავებით ნუსხაში ჩამოწერილია ორი გლეხი „ურმეულამოკვეთილი“⁸³. როგორც ვხედავთ, ნუსხა განასხვავებს ორი ტიპის მებეგრეს: მესეფეს, ანუ მეურმეულს და ურმეულ-ამოკვეთილს, ე. ი. გლეხს, რომელსაც სეფეობა არ ევალება. მაინც რომელ ურმეულ ბეგარაზეა საუბარი და რატომ უკავშირდება ურმეულის ამოკვეთა მუშაობის ამოკვეთას? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მებეგრე გლეხს, გარდა თავი პეგრისა და შინაყმის გამოყვანისა, ევალებოდა ერთი ნადის, ანუ მუშის გამოყვანა, რომელიც კვირაში რამდენიმე დღეს ამუშავებდა ბატონის ყანას. მაგრამ გლეხს შეიძლებოდა არ დაემუშავებინა ბატონის მიწა და მაშინ იხდიდა დამატებით ბეგარას „საუნადოს“ სახით. რაფ. ერისთავი შემდეგნაირად ახასიათებს ამ ბეგარას: „ამ გადასახადს იხდიან ყანაში პირად მუშაობის მაგიერად. ეს მართებს ყველა ოჯახს, საცა არის მამაკაცი, რომელიც ვალდებულია ყანაში იმუშაოს. შეთანხმებაზედა დამოკიდებული და ისე თითოეული კომლი იხდის წელიწადში ღირსს ათ ქილამდე ან ფულად“⁸⁴.

იგივე ბეგარა გვხვდება XVI—XVII ს. საეკლესიო დავთრებში. მას უწესებენ გლეხებს „მუშაობის შეაღწების“ შემთხვევაში, ანუ მუშაობის მაგიერად, თუმცა დავთრებში ეს ბეგარა თავისი სახელწოდებით — „საუნადო“ არ იხსენიება. მაგ., „ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის დავთარის“ ახალსოფლის და ორიშაშის ნუს-

⁸² ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დას. საქართვ. საეკლ. საბ., II, გვ. 92.

⁸³ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკ. საქართ. სოც. ისტორიისათვის, I, გვ. 437,

⁸⁴ რაფ. ერისთავი, ბატონყმობა სამეგრელოში, გვ. 93.

ხეგში ყველა გლესს ევალება შემდეგი სახის ბეგარა: „თუ ყანა მუშაოს, ორი ნაოთხალი ლომი გამოიღოს; თუ არ მუშაოს, რვა გამოიღოს“⁸⁵. ამრიგად, ორი ნაოთხალი ლომი თავი-ბეგარის ლომია, ის გლესს ყველა შემთხვევაში ევალება: რაც შეეხება დამატებით ექვს ნაოთხალ ლომს, ის მან, თუ არ იმუშავა, მუშაობის სანაცვლოდ უნდა გადაიხადოს.

ამ მხრივ ფრიად საინტერესოა „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი ბეგარის დავთრის“ ნავენახევის ნუსხა, სადაც ვკითხულობთ: „მართებს მამისთვალასა ზაქარიას ხაჭუტბერაძესა 20 თეთრი, 24 კოკა ღუნო, 12 გოდორი ლომი, 6 გოდორი კიდევ დავსდევით, შევიალნა ბატონმა მუშაობა, მისთვის“⁸⁶.

როგორც ვხედავთ, მუშაობის შეაღწება უშუალოდაა დაკავშირებული ლომის ბეგარასთან. თუ გლესი არ მუშაობს, მან უნდა გადაიხადოს დამატებითი (თავი ბეგარის ლომის გარდა) ლომის ბეგარა. ეს ბეგარა მოცემულია, როგორც ვხედავთ, სხვადასხვა საზომებში: ერთ შემთხვევაში გვხვდება ნაოთხალი ლომი, მეორე შემთხვევაში — გოდორი ლომი. ასეთივე საზომია „ურმეული“⁸⁷. სანამ გლესი მესეფთეა, ე. ი. სანამ მას მუშაობა ევალება, მან ან ნაღი უნდა გამოიყენოს, ან გადაიხადოს დამატებითი ლომის ბეგარა. როგორც ჩანს, სწორედ ამ ბეგარის აღსანიშნავად იხმარებოდა ტერმინი „ურმეული ლომი“, „ურმეული ლომის ბეგარა“. მეურმეულე არის გლესი, რომელსაც ბატონის ყანაში მუშაობისაგან გათავისუფლების შემთხვევაში ეს დამატებითი ურმეული ლომის ბეგარა მართებს.

ამრიგად, „ურმეულის ამოკვეთა“ გლესის მესეფეობიდან გათავისუფლებას, ანუ მის ამ დამატებითი ლომის ბეგარიდან გათავისუფლებას ნიშნავდა. ამ მხრივ საინტერესოა ჭყონდიდელ-მიტროპოლიტ გაბრიელის ერთი საბუთი (1753 წ.), სადაც ჭყონდიდელი აღნიშნავს: „საყდრისა შენისა ყმა იყო, მაგრამ ეს სანთლის ბეგარა არ ემართა და ჩვენ დავადევით. ცხრა გლესი არის... ექვს გლესს ურმეული ლომის ბეგარა ემართა, ურმეული ლომი გარდავიღეთ და თითო მარჩილის სანთელა და თითო რუბის საკმეველი დავადე-

⁸⁵ ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 280—283.

⁸⁶ იქვე. გვ. 401.

⁸⁷ გ. ჭაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1973, გვ. 117—119.

ვით და ამ სამს გლახს ...ურმეული არ ემართა და ღორის ბეგარა შევაწიეთ და თითო მარჩილის სანთელი დავადევით“⁸⁸.

ამ საბუთიდან კარგად ჩანს ის ეტაპები, რომელსაც გადიოდა გლეხი გააზატებამდე: მეურმეულე, ანუ მესეფე გლეხისთვის მთავარი ბეგარა, რომლის ამოკვეთასაც ის ცდილობდა, ურმეული ღომი, ანუ დამატებითი ღომის ბეგარა იყო, ამიტომ მეუომეულეებს სწორედ ამ ბეგარას უცვლის გაბერილ ჭყონდიდელი სანთლის გადასახადით. ურმეულ-ამოკვეთილი გლეხებისთვის, ე. ი. გლეხებისთვის, რომლებსაც სეფობა და მასთან დაკავშირებული დამატებითი ღომის ბეგარა არ ევალეობდათ, მთავარი იყო თავი ბეგრის, ან მისი ძირითადი ნაწილის — ღორის ამოკვეთა, ჭყონდიდელიც ამ გლეხებს ღორის ბეგარას უცვლის სანთლის გადასახადით.

გარდა ასეთი ნიადაგ მომუშავე, ანუ მეურმეულე-მესეფე გლეხებისა, იყვნენ გლეხები, რომლებსაც ევალეობდათ მხოლოდ სანადო სამუშაოები, მაგ., სოლომონ I-ის სოხასტრის ეკლესიისათვის მოცემულ შეწირულობის წიგნში ვკითხულობთ:

„ამ ზემო თქმულმან კაცებმან, ნადად თუ დაპატო-
ვოს წინამძღვარმან ყანაშიდ მოეხმარონ, ვენახი, სადაც ჭონ-
დეს, კიდევ დაუმუშაონ და კიდევ მოუკრიფონ საყდარს, როგო-
რათაც დაეჭიროს მუშაობა და წინამძღვარმან უბრძანოს ისე იმუ-
შაონ. სხვა ნიადაგ მუშაობა არ განგვიწესებია“⁸⁹.

ამრიგად, მებეგრე გლეხები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ: მეტვირთე, მესეფე-მეურმეულე, მენადე, ურმეულ-ამოკვეთილი-მოსამსახურე. მებეგრე, თავი-ბეგრის ან ღორის ამოკვეთის შემთხვევაში, გადადიოდა აზატთა კატეგორიაში. ცხადია, მებეგრე გლეხისათვის საყალღებულო არ იყო ყველა ამ საფეხურის თანდათანობით გავლა: მეტვირთე და მესეფე შეიძლებოდა პირდაპირ გამხდარიყო აზატი. ეს დასოკიდებული იყო ბატონის სურვილსა და, აგრეთვე, გლეხის მიერ მირთმეული ქრთამის ოდენობაზე.

2. „ბარათმოსული“ გლეხი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარდა „მკვიდრი“, „მოსახლე“, ანუ მიწაზე მიმაგრებული გლეხებისა, მებატონეს შეიძლებოდა ყო-

⁸⁸ ს. კაკაბაძე, დას. საქართ. საეკლ. საბუთები, II, გვ. 2.

⁸⁹ იქვე, გვ. 78.

ლოდა გლეხები, რომლებსაც შერჩენილი ჰქონდათ წასვლის უფლება. ასეთები იყვნენ „ნებით მოსული“ და „მინდობილი“ ყმები.

დასავლეთ საქართველოში „ნებით მოსულ“ გლეხთა კატეგორია განიხილა ო. სოსელიამ. მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ნებით მოსული“ გლეხი შეესაბამებოდა აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ „ნებიერის“ კატეგორიას⁹⁰. მაგრამ მკვლევარი მკვეთრად არ მიჭნავს ნებით მოსულას, როგორც გლეხის შექმნის გზას, „ნებით მოსულის“, როგორც საგლეხო კატეგორიისაგან: „ნებით მოსული ყმაგლეხი ხშირად იძულებულია დაპირდეს ბატონს: „სამსახურს ვეცადო საუკუნოდ“, „სანამ ცოცხალი ვიყო, აღარ გაგეყმო“, „ჩვენი შვილი და მომავალი თქვენს შვილსა და მომავალს ემსახუროს“⁹¹.

ასეთი გლეხები ნებიერთა კატეგორიას არ ქმნიან. მსგავს საბუთებში მითითება გვაქვს ამ გლეხების შექმნის გზაზე: რომ ისინი ნებით მოვიდნენ ახალ ბატონთან, მაგრამ, როცა გლეხი „საუკუნო სამსახურს“ პირდება ბატონს, ის მისი ჩვეულებრივი მემკვიდრე გლეხი ხდება და მემკვიდრე გლეხთა რომელიმე კატეგორიას უერთდება.

მკვლევარი გ. ჯამბურია სწორად შენიშნავს: ნებიერი, ანუ წყალობის ყმა „ისეთი გლეხია, რომელიც თავისი ნებით არის მისული ბატონთან და წასვლის უფლება შენარჩუნებული აქვს. ისეთ გლეხს კი, რომელიც ბატონთან თავისი ნებით „მკვიდრად“ ან „ნასყიდად“ მოვიდა, წყალობის ყმა არ ჰქვია“⁹².

მინდობილი. „მინდობილი“, „შეხიზნული“, „სტუმარი“ შეესაბამებოდა აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ ხიზანთა ინსტიტუტს⁹³.

რაფ. ერისთავის ცნობით „მინდობილი ისეთი გლეხია, ვინც სხვის ადგილ-მამულზედა სცხოვრობს, თავის მებატონეს უხდის ყველა გადასახადს, რაც მისგან ემართა, ხოლო მიწის პატრონს უხდის იმ გადასახადებს, რაც ურთიერთი თანხმობით დაადგინეს“⁹⁴.

⁹⁰ ო. სოსელია, ფეოდალურის ხანის..., გვ. 73.

⁹¹ იქვე, გვ. 76.

⁹² გ. ჯამბურია, სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა...

გვ. 196.

⁹³ ო. სოსელია, ფეოდალური ხანის..., გვ. 91.

⁹⁴ რაფ. ერისთავი, დასახ. ნაშრ. გვ. 104.

„მინდობილის“ სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შე-
სახებ XIX ს-მდე ფრიად მწირი ცნობები მოგვეპოვება. ამ მხრივ
საინტერესო უნდა იყოს გელოვნების მიერ გაბრიელ ჭყონდიდე-
ლისაღმი გაცემული პირობის წიგნი (1660—1685 წწ.), რომელ-
შიც ვკითხულობთ: „თუ თქვენ თქვენი ყმა ფოჩიანი ჩვენს ალაგზედ
დასახლოთ, ბეგრის მეტს სხვას ჩვენ იმ კაცისას არას შემოგე-
ცილოთ. მუშაობა, მგზავრობა და სამსახური ყველა თქვენი იყოს
და ბეგრას ჩვენ მოგვეცემდეს. როდესაც მონინდომოთ თქვენის
ყმის აყრა და აყართ და წაიყვანოთ, არავინ არ მოგიშალოთ,
უსაყვედუროთ მოგართვათ და რაც მისი ნამუშავევი პური და
ღვინო და თეთრი ქონდეს, არ მოუშალოთ“⁹⁵.

გაბრიელ ჭყონდიდელი, როგორც ჩანს, მცირე მიწიანობის
გამო, თავის ყმას ასახლებს გელოვანის მიწაზე. გლეხი პირადად
ვალდებული რჩება თავის ბატონისადმი: მუშაობა, მგზავრობა და
სამსახური ვეალება, ბეგრას კი როგორც გადასახადს მიწის ჭე-
რისათვის უხდის მიწის პატრონს. გლეხის თავის მებატონესთან
წასვლის შემთხვევაში, მიწის პატრონი მას ვერ დააკავებს და აგ-
რეთვე მის მიწაზე ყოფნის პერიოდში შექმნილი „ნამუშავევიც“
თან უნდა გაატანოს.

ნ ა ს ყ ი დ ი. ქართულ ისტორიოგრაფიაში შენიშნულია, რომ
„ნასყიდ“ გლეხთა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ მხოლოდ უმი-
წოდ და უუფლებოდ გაყიდული გლეხები; თავისი მამულით გაყი-
დული გლეხი კი „ნასყიდთა“ კატეგორიას არ მიეკუთვნებოდა⁹⁶.
ასეთი უმიწაწყლოდ გაყიდული, ანუ ნასყიდი გლეხები დასავლეთ
საქართველოში, რა თქმა უნდა, არსებობდა XV ს-ზე ბევრად ად-
რეც. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საბატონო მიწაზე მსხდომ
გლეხთა კატეგორიების (მოჯალაბის და მოსასახლე-მოინალის) გჯ-
ჩენა უნდა უკავშირდებოდეს ნასყიდ გლეხთა, ანუ უმიწოდ გას-
ყიდულ გლეხთა ფენის წარმოქმნის პროცესს. XVI—XVIII სს. და-
სავლეთ საქართველოში საბუთებში გვხვდებიან უმიწოდ გასყიდუ-
ლი გლეხები, გვხვდებიან გლეხები, რომლებიც თავს „ნასყიდო-
ბით“ აძლევენ ფეოდალს, მაგრამ ცალკე კატეგორია ნასყიდი გლე-
ხებისა არ შეინიშნება.

⁹⁵ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დას. საქართვ. საეკლ. საბ. I, გვ. 81.

⁹⁶ ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი, „რკონის დაწერილი“. როგორც ისტორიული წყა
რო, საკანდიდატო დისერტაცია, მანჭანაზე ნაბეჭდი, 1952 წ. გვ. 146—147.

დასავლეთ საქართველოს საბუთების მიხედვით, გლეხისთვის საგლეხო ფუძის, მამულის მიცემა მისი გლეხად ქცევის იდენტურად გვევლინება (იხ. აქვე მოჯალაზე გლეხები). სოფელში დასახლებაამდე. ანუ საგლეხო ფუძეზე დასახლებამდე კი ნასყიდი გლეხი სახლობს საბატონო მიწაზე და, ამდენად, ავსებს მოჯალაბეთა და მოსასახლე-მოინალეთა რეგებს.

გარდა ზემოთ დასახელებული საგლეხო კატეგორიებისა, ფეოდალებს (განსაკუთრებით მსხვილ ფეოდალებს, მეფე-მთავრებს, ეკლესიას) ჰყავდათ, აგრეთვე მოიჯარადრე გლეხები. ეს გლეხები რომელიმე მცირემიწიანი ფეოდალის ყმები იყვნენ და იჯარით ამუშავებდნენ მეორე უფრო მსხვილი ფეოდალის მიწას, რაშიც უხდიდნენ მას მოსავლის მეათედს-მოდს (ხშირ შემთხვევაში მოდი მოსავლის მეათედს აღემატებოდა). იჯარით გაიცემოდა ვრცელი საყანო ადგილები და ტყეები. გმინდა მიხედვით იყო მოიჯარადრე გლეხების ორი ტიპი: „მეყანური“ ანუ გლეხი, რომელიც მოდის გამოღების პირობით ამუშავებდა ყანას, და „მეტყეური“, ანუ გლეხები, რომლებსაც მოდის გადაბდის პირობით ტყით სარგებლობის უფლება ეწლეოდათ. მაგ. გენათელ მიტროპოლიტ ეფთვიმეს ერთ საბუთში (1805 წ.) ვკითხულობთ: „თქვენ ჩემის ეკლესიას გელათის მემკვიდრე მებეგრეს მაჭატაურზედ მოსახლეს გლეხს გიგაშვილს... ზეით, რომ წყარო არის, ის წყარო სახმარათ არ დაგეშალოსთ დაესახლოთ მაინც და არ დაესახლოთ მაინც. ვინ იცის სხვაც ვინმე იქნეს, თუ დაესახლოს ვინმე წყარო საერთო არის და ყველამ უნდა იხმაროთ. სასაკუთროთ არც თქვენთვის დამიდს და არც სხვისთვის. ყველამ ერთად იხმარეთ: მოსახლემა, მეყანურმა, და მეტყეურმა და სხვა ადგილები, როგორც ზემოთ დავვიწერია ისე შემოსაზღვრეთ“⁹⁷.

აზატ გლეხებზე საუბრისას ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ XVII ს. მეორე ნახევრიდან ფრიად საგრძნობი ხდება გლეხთა ქონებრივი დიფერენციაცია. ნაწილი გლეხებისა იძენენ პარტახტებს, ან სხვა მიწებს, „ქრთამით“ ლებულობენ აზატობას, იძენენ გლეხებს და სხვ. ყმობიდან გლეხთა თავდახსნის თავისებური ფორმა ვრცელდება დასავლეთ საქართველოში XVIII ს. ამასთან დაკავ-

⁹⁷ ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, 1650.

შირებით განვიხილოთ ე. წ. „სათავდებო წიგნები“. სათავდებო წიგნები დასავლეთ საქართველოში XVIII ს. მთელ მანძილზე გვხვდება მაგრამ საგრძნობლად მატულობს მათი რიცხვი XVIII ს. მეორე ნახევარში. თავდებობას, როგორც სოციალურ მოვლენას შეეხო ო. სოსელია: „თავდებობა“ კლასობრივი ბრძოლის თავისებური ფორმა ჩანს—ამბობს მკვლევარი—...თავდების სახით გლახს ერთგვარი მეთვალყურე უჩნდებოდა, რომელიც სათავდებო პირობის ძალით ვალდებული იყო მის მიერ ნათავდები გლახისათვის ბატონის წინააღმდეგ მოქმედების ნება არ მიეცა“⁹⁸.

ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ თავდებობის ინსტიტუტს ერთი საინტერესო მხარეც გააჩნდა. მივმართოთ საბუთებს: რობაქიძე დავითის მიერ თავის ბატონ ვახტანგ იაშვილისადმი მიცემულ თავდებობის წიგნში ვკითხულობთ: „თუ სადმე წაგივიდეს თ (გლახი თამაზ ტოფაძე — მ. ს.) ან ისევ თქვენი კაცი მოგქცეთ და ან 3000 მარჩილი“⁹⁹. ვარდენიშვილი ხუციას და სხვათა მიერ ქუთათელ მაქსიმესადმი მოცემულ თავდებობის წიგნში ვკითხულობთ: „გოჩიაშვილებს შესწყერთ და ჩვენი თავი თავდებათ მოგართვა. თუ ეს სამი ძმა... სამეწავიდე სორმოცდა ათის მარჩილს მომცემი ვიყოთ“¹⁰⁰. მაშისთვალა კობეშავიძის წიგნში ქუთათელ დოსითეოსისადმი ვკითხულობთ: „თქვენი სამწყსო კაცი ჯავახაძე მახარობელი და მისი ცოლი დაჭირული გყაუდა... თავდებად დაუდექი. თუ კიდევ რამე იავკაცოს ის თევე დაჭირული მოგართვა... თუ ის... ვერ მოგართვა, ასი მარჩილის მომრთმევი ვიყო“¹⁰¹. მსგავსი საბუთები მრავლად გავაჩნია. თავდებობის ეს საბუთები, ფაქტიურად გლახის უმიწაწყლოდ თავის გამოსყიდვის უფლების იურიდიული აღიარებაა. ამ საბუთებში გლახები შეფასებულნი არიან 500, 300, 200, 100, 50 მარჩილად, რომელიც უნდა გადაუხადოს თავმდებმა ბატონს ამ გლახის წასვლის შემთხვევაში. ფეოდალი ცდილობს გლახის დაკარგვის შემთხვევაში აინაზღაუროს გლახის ღირებულება. გლახს ფაქტიურად შეუძლია ეს თანხა მისცეს თავის თავმდებს და ავ გზით თავი გამოიხსნას. მაგ., მახარობელი გოგლი-

⁹⁸ ო. სოსელია, კლასობრივი ბრძოლის ისტორიიდან გვიანფეოდალურ დასავლეთ საქართველოში, მიმოხილველი, III, 1953, გვ. 213.

⁹⁹ ო. სოსელია, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის გვ. 18, № 6.

¹⁰⁰ იქვე, № 7.

¹⁰¹ იქვე, გვ. 24, № 14.

ა) აზატი: 1. მეხადილე, 2. რაიმე სხვა სახის ბეგრის მოვალე (ვაგ., სანთლის, ფულის, ღვინის), 3) საერთოდ ყოველნაირი ბეგრისაგან თავისუფალი.

ბ) მებეგრე გლეხი: 1) მეტვირთე, 2) მესეფე-მეურმეულე, 3) მონადე, 4) ურძეულ ამოკვეთილი, ანუ მოსამსახურე.

2. „გ ა რ ე თ მ ო ს უ ლ ი“ გ ლ ე ხ ი:

ა) „ნებით მოსული — „ნებიერი“,

ბ) „მინდობილი — „ხიზანი“.

თ ა ვ ი I I I

საგლეხო ბეგარა დასავლეთ საქართველოში

1. თავი-ბეგარა

დასავლეთ საქართველოს გლეხთა საბეგრო ვალდებულებები XVI—XVII სს-ში განიხილა ლ. მუსხელიშვილმა. ის ბეგარას განმარტავს შემდეგნაირად: „ბეგარა ფართო მნიშვნელობით ეწოდება ყოველგვარ ფულადსა და სულად გადასახადს, რომელიც მწვას ელო და მიწის ჰერასთან იყო დაკავშირებული“. ბეგარაში ლ. მუსხელიშვილი გამოჰყოფს „თავ ბეგარას“ და ასკვნის, რომ ტერმინ „ბეგარას“ აქვს ორი გაგება: ფართო მნიშვნელობით ის იმბარება ყოველგვარი სამიწო სამამულო-გამოსაღების აღსანიშნავად და უფრო ვიწრო მნიშვნელობით კი უდრის თავ ბეგარას¹.

ბეგარის საკითხი განიხილა აგრეთვე ო. სოსელიამ, მან შეაფასო მუსხელიშვილის განმარტება ბეგარისა და მოგვცა ამ ტერმინის სამი მნიშვნელობა: ფართო გაგებით ბეგარა ეწოდება ყმის ყოველგვარ ვალდებულებას ნატურით, ფულადსა და შრომითსაც. ვიწრო გაგებით ბეგარას ეძახიან მხოლოდ ფულად და ნატურით გადასახადს, ხოლო კიდევ უფრო ვიწრო გაგებით — ამა თუ იმ ცალკეულ ვალდებულებას. მაგ., ღომის გამოსაღებს ღომის ბეგარა ერქვა, სანთლის გამოსაღებს — სანთლის ბეგარა, თეთრის გამოსაღებს — თეთრის ბეგარა, ღორის გამოსაღებს — ღორის ბეგარა და სხვა².

¹ ლ. მუსხელიშვილი, დას. საქართ. ვლახობის სოციალ-ეკონომიური კატეგორიები XVI—XVII სს., გვ. 276. აქვეა ნაშინი ბეგარა მუსხელიშვილის მიერ, რომელიც „ტერმინი „ბეგარა“ თითქოს უფრო ფართოდ იხმარება და სიტყვას ეწინააღმდეგება ვალდებულებასაც“. იხ. იქვე, გვ. 274, შენიშვ. 1.

² ო. სოსელია. საგლეხო ვალდებულებები დასავლეთ საქართველოში XVIII ს-ში, მსკ., ნაკვ. 32, 1955, გვ. 76.

ჩვენი აზრით, ბეგარის აქ მოყვანილი მესამე მნიშვნელობა, ემთხვევა მეორეს. ასე რომ, ბეგარას ო. სოსელია ორი მნიშვნელობით ხმარობს და, თუ, ერთი მხრივ, ის აფართოებს ლ. მუსხელიშვილის განმარტებას შრომითი ვალდებულების დამატებით, მეორე მხრივ, არ განიხილავს ტერმინ „ბეგარის“ მე-3-მე მნიშვნელობას — „თავ-ბეგარას“.

ჩვენი აზრით, დასავლეთ საქართველოში ტერმინ „ბეგარას“ აქვს ოთხი მნიშვნელობა:

1. ფართო გაგებით ბეგარა ეწოდება გლეხის ყოველგვარ ვალდებულებას ბატონის მიმართ, არა მარტო ნატურითა და ფულით, არამედ პირად სამსახურსაც, ჭეშობას, ლაშქრობას.

მაგ.: „გოლეთიანი გიორგი მეფის მოალაპე არის და ბეგარა არ მართებს, პურის-ჭამისა და ლაშქრობის მეტი“³.

ან კიდევ: „ორი მცხეველი ანგარიშში დადებული არის მაგრამ ბეგარა არა მართებს სამსახურისა და მცხეველობის მეტი“⁴.

2. ბეგარაში განირჩევა საკუთრივ ნატურალური თუ ფულადი გადასახადი (ანუ „ალაგის ბეგარა“) და სამსახური.

მაგ., „ხატს მარტო ალაგის ბეგარა ეძლეოდა, თვარამ კაცი ყველა კაცია ჭილაძეს მსახურებდა“⁵.

ბეგარის, როგორც ნატურალური გადასახადის საყოველთაო ნორმა არ იყო დადგენილი სხვადასხვა მხარეებისა და სოფლების მიხედვით, იგი ფრიად განსხვავებული სახით წარმოვიდგება (ეს, როგორც ჩანს, განპირობებული იყო ამა თუ იმ მხარის ეკონომიურ-გეოგრაფიული სტრუქტურით, მისი ტრადიციული მეურნეობით), მაგრამ თვითოეულ მხარეში კი მისი შემადგენლობა განსაზღვრული იყო. ამ თვალსაზრისით ბეგარა იყო მთელი და შემცირებული. მაგ., ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგარის დავთარში ვკითხულობთ: „მართებს ჭუარის-მტვრთვლის ყმას მეფარძესა ხაჩუტასა და მთელი ბეგარა უნდა გამოიღოს“⁶.

ან კიდევ: „იმ ადგალს სრული ბეგარა ემართა. მაგრამ რადგან ამ გიორგიტამ თავისი ნებით მოიწია ამ ეკლესიასათვის,

³ ქართ. სამ. ძეგლ. III, გვ. 377.

⁴ იქვე, გვ. 381.

⁵ ს. კაკაბაძე, დას. საქართ. საეკლ. ს.ბ. I, გვ. 78.

⁶ ქართ. სამ. ძეგლ. III, გვ. 306.

ჩვენც შევიბრალეთ და ყოვლისფერს ბეგარაშიდი (sic) ორს ჩარექს სანთელს დაესჯერდით“⁷.

ნატურალური და ფულადი ბეგარა თავის თავად შედგებოდა „ბეგრებისაგან“, ეს ბეგრები შემდეგი სახისა იყო: თ ა ვ ი-ბ ე გ ა-რ ა — ბეგარა.

ს ა მ ა ს პ ი ნ ძ ლ ო: პურის-ჭამა, სმა-ჭამა, საპურობო, ხაღი-ლი, გოჭუქმური სამეგრელოში, რიკ-რიკა.

ძ ღ ე ე ნ ი ს რ ი გ ი ს გ ა მ ო ს ა ლ ე ბ ე ბ ი: საქრისტეშო-ბო, საყველიერო, სამარიობო, სამარხო, სანააღდგომეო, სასტუმ-რო, სამაჭრობო.

ს ა მ ო ზ ე ლ ე ო ს რ ი გ ი ს გ ა მ ო ს ა ლ ე ბ ე ბ ი: საშო-ურაო, საციხისთაო, საბაზიერო, სამეჭინიბო, სამეჭოლორო და სხვა.

ს ა გ ა ნ გ ე ბ ო გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი: საბატკობო, საზროხე, საყანე, საქორწილო, საჩექმე, საქერივო და სხვა.

ს ა ქ ე ე ყ ნ ო, ა ნ უ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი: საციხო, საური, საუდიერო. და სხვ.

3. ბეგარა თავისი მესამე, უფრო ვიწრო მნიშვნელობით, აღნიშ-ნავდა თავ-ბეგარას. თავი-ბეგარის შესახებ საინტერესოა: რაფ. ერისთავის ცნობა, რომელიც, თუმცა მე-19 ს. სინამდვილეს ასახავს, მაგრამ გამოდგება ადრეული ჰერიოდისათვისაც: „ამ წოდების გლეხების (მებეგრე — მ. ს.) ყოველს კომლსა ჰმარ-თრებს ა) თავი ბეგარა (უმთავრესი, ანუ ძირითადი გადასახადი) ბ) დამატებითი — სხვადასხვა სახელწოდებით... არ შეიძლება იყოს ისეთი კომლი მებეგრეთა კლასისა, რომ თავი-ბეგარა ...არ ემართოს, ...მაგრამ ისიცაა, რომ როცა თავ-ბეგარას იხდის, შეიძლება დამა-ტებითს გადასახადს არ იხდიდეს“⁸.

დავთრების მიხედვით თავი-ბეგარის შემადგენლობაში შედი-ოდა: საკლავი (ღორი) 1, 2 ან 3 და მისი ქათამი, ღვინო, ყველი, პური, კვერცხი, თევზი.

ბეგარა, რომ თავისი მესამე ვიწრო მნიშვნელობით თავ-ბე-გარას აღნიშნავდა, ეს კარგად ჩანს იმ შემთხვევებში, როდესაც ერთ გლეხს რამდენიმე ბეგარა ჰქონდა დაკისრებული და საჭირო იყო იმის აღნიშვნა, ესა თუ ის გადასახადი რომელი ბეგარისა

⁷ ს. კაკაბაძე. დას. საქართ. საეკლ. საბ. I, გვ. 124.

⁸ რაფ. ერისთავი, ბატონუმობა სამეგრელოში, გვ. 96.

რაფ. ერისთავი აქვე იძლევა თავის ბეგარის შემადგენლობას, იხ. გვ. 90, 96.

იყო მაგ.: „საპურობო, ერთი საკლავი, საბაზიერო ქათამი, 1 ბეგრის ქათამი...“⁹ აქ, როგორც ვხედავთ, გლეხს აკისრია ორი ქათამი: ერთი საბაზიერო და მეორე — ბეგრის, ე. ი. თავი ბეგრის.

ან მაგ.: თუ ერთ შემთხვევაში გვხვდება: „10 კოდი წმინდა პური, ორი კოდი ქერი, 20 კასრი ღუნო, 2 თ ა ვ ი (მ თ ა ვ ნ ი) ს ა კ ლ ა ვ ი, 6 ს ა ს ტ უ მ რ ო“¹⁰. სხვა შემთხვევაში გვაქვს: „მართებს ოთხთა გიორგობიანებსა ათი საკლავი [სასტუ]მროიანად, ათი კოდი იფქლი სასტუმროიანად, ხუთი [კოდი] ქერი, 6 კ ა ს რ ი ღ ვ ი ნ ო ბ ე გ ა რ ა, 8 ს ა ს ტ უ მ რ ო...“¹¹.

ორივე განხილულ შემთხვევაში ერთადაა წარმოდგენილი ორი ბეგარა: „ბეგარა“ — ე. ი. თავი ბეგარა და სასტუმრო. ამასთან, პირველ შემთხვევაში გარჩეულია ერთმანეთისაგან თავი ბეგრის საკლავი და სასტუმრო საკლავი, მეორე შემთხვევაში ცალ-ცალკეა წარმოდგენილი ბეგრის, ე. ი. თავი ბეგრის ღვინო და სასტუმროს ღვინო.

ზემოთ წარმოდგენილი თავი ბეგრის გადასახადები არის ამ ბეგრის სრული შემადგენლობა, მაგრამ ასეთი სახით ის იშვიათად გვხვდება, ჩვეულებრივ გვაქვს ხოლმე: ს ა კ ლ ა ვ ი, ქ ა თ ა მ ი (ხანდახან ქათამი არ არის) ღ ო მ ი და ღ ვ ი ნ ო. ამ კომპონენტების რაოდენობრივი მოცულობაც სხვადასხვაა, რაც განპირობებულია როგორც ცალკეულ მხარეში არსებული ტრადიციით, აგრეთვე მებეგრე გლეხის შეძლებით.

4. საბოლოოდ განვიხილოთ ტერმინი „ბეგარის“ ყველაზე უფრო ვიწრო და ამავე დროს ყველაზე უფრო ძირითადი მნიშვნელობა. ბ ე გ ა რ ა ი ხ მ ა რ ე ბ ა და ს. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ა გ რ ე თ ვ ე პ ი რ და პ ი რ ს ა კ ლ ა ვ ი ს — ლ ო რ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი თ. საერთოდ, თავი ბეგარა, რომელზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, შეიძლება დაეშალოს ძირითად და თანამხლებ კომპონენტებად. ძ ი რ ი თ ა დ ი ნ ა წ ი ლ ი თ ა ვ ი ბ ე გ რ ი ს ა ა რ ი ს ს ა კ ლ ა ვ ი — ლ ო რ ი. აქედან გამომდინარე ტერმინი „ბეგარა“, თუ ერთ შემთხვევაში უდრის თავ-ბეგარას, სხვა შემთხვევაში აღნიშნავს დაეთრებში ლორის გამოსალებს: მაგ., ნაუანულის ნუსხაში ვკითხულობთ: „მართებს გოქკომუ, ბ ე გ ა -

⁹ ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 414.

¹⁰ იქვე, გვ. 397.

¹¹ იქვე, გვ. 381.

რ ა, ტილო ორი გობი ღომი, ორი ქათამი, ექ[უ]სი ფოხალი ღუნო“, „მართებს 1 ღორი, 2 ქათამი, სამი ჯამი ღომი, 3 ფოხალი ღუნო“, მართებს: „გოჭკომუ 60 მწყრთა ტილო, ზროხის ნახევარი, 3 ბეგარა, 2 ქათამი, თიბვა, 13 კოკა ღვინო“¹²...

ამ მაგალითების შედარებიდან აშკარად ჩანს, რომ ბეგარა, პირველ და მესამე შემთხვევებში სწორედ ღორის მნიშვნელობითაა ნახმარი. ამრიგად, ბეგარა საბუთებში ზოგჯერ მართლ ღორას გამოსაღებს აღნიშნავს. ასეთი გაგებით მელორე — მებეგრე გლეხის იდენტურია. ბეგრის ამ ვიწრო მნიშვნელობასთან არის დაკავშირებული ის, რომ დას. საქართველოში გააზრტება გულისხმობდა თავი-ბეგრას ან მისი ძირითადი ნაწილის ღორის „ამოკვეთას“. ღორის გამოსაღები შეიძლებოდა ყოფილიყო სხვადასხვა ღირებულების. დავთრებში ჩხირადაა ნახმარი „საკლავი 12 თეთრისა“, ან „საკლავი 10 თეთრისა“. 7, 6, 5, 3 და 2 საცკი¹³. უკანასკნელ შემთხვევაში ალბათ ის არ უდრიდა მთლიანად ღორს, არამედ ღორის ხორცს.

იყო შემთხვევები, როდესაც გლეხები იხდიდნენ ღორის ბეგარას არანატურის სახით, არამედ ფულადი გადასახადის სახით.

მაგ., თუ ზოგ შემთხვევაში წერია „საკლავი 12 თეთრისა“ ან „10 თეთრისა“, სხვაგან შეიძლება ეწეროს 2, 12 თეთრი, 24 თეთრი, 10 ან 20 თეთრი. ასეთ შემთხვევებში ბეგარის ძირითადი ნაწილის ფულადი გადასახადით შეცვლასთან გვაქვს საქმე.

დასავლეთ საქართველოში გლეხთა ვალდებულებების აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი ბეგარა იყო. იმავე ზოგადი მნიშვნელობითაა ნახმარი გიორგი გურიელის შეწირულობის წიგნში ბიჭვინთის საყდრისადმი (1664 წ. ახლო) „ხარაჯა“.

„სხვა ამას გარდა ამათი ხარაჯა ბიჭვინთის ღვინსმობლისათვის შეგვიწირავს, არცარა ვის ჯორციელის კაცისაგან ეთხოვებოდესრა“¹⁴.

„ხარაჯა“ ან „ხარჯი“ გვხვდება აგრეთვე დავთრებში. ჩვენი აზრით, ასეთ შემთხვევებში საქმე გვაქვს არა რალაც სათათრო გადასახადთან, არამედ უბრალოდ „ხარაჯის“ ბეგარის მნიშვნელო-

¹² ქართ. სამ. ძეგლ. III, გვ. 419—422.

¹³ ს. კაკაბაძე, მასალები დას. საქართველოს... საისტორიო კრებული, III, გვ. 46.

¹⁴ ს. კაკაბაძე, დას. საქართ. საეკლ. საზ., I, გვ. 71.

ბით ხმარებასთან. ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ, როდესაც რამდენიმე სხვადასხვა ბეგარის შემადგენლობა თანხვდება, მაშინ ხმარობენ „ბეგარის ქათამს“, „ბეგარის ღვინოს“ და ა. შ., რათა გამოყონ ბეგარის, ანუ თავი-ბეგარის შედგენილობა სხვა ბეგარისაგან. ამ შემთხვევაშიც იგივე მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე, მაგ., „საკლავი 3 ორმოცდაორი თეთრისა, ქათამი ორი, ღვინო გორო თერთმეტი, პური სახარჯო სამი, ყველი ერთი თეთრისა და სამარხო პური ფოხალი ერთი, ღვინო ფოხალი 1...“¹⁵.

აქ ერთმანეთისაგან გარჩეულია სახარჯო პური (ე. ი. ბეგარის — თავი ბეგარის) და სამარხო პური.

ერთ საბუთში „ხარჯი“ გვხვდება ხორცის გამოსაღების აღსანიშნავად: „შევსწირე გლეხი ერთი ჩემი საკუთარი წილად ზვედრებულნი თამაზიკა ომხერელი... მართებსთ ათი კასრი ღვინო, ხუთი კოდი პური, ხორცი ორი ხარჯი ან მარჩილის ან ყურუშის“¹⁶.

ბეგარის, როგორც ტერმინს, ოთხი სხვადასხვა მნიშვნელობის განხილვის შემდეგ, შევეხებით საბუთებში მოცემულ სხვადასხვა სახელწოდების ბეგარებს.

2. პურის ჭამა

„პურის ჭამა“, „მასპინძლობა“ თავდაპირველად არ უნდა ყოფილიყო ბეგარა, არამედ ნებაყოფლობითი საპატიო ვალდებულება, ვასალიტეტის გამოხატულების ერთგვარი ფორმა, საპატიო დაბეგრა, განსხვავებული გლეხის როგორც ყმის დაბეგარისაგან. ამ მხრივ საინტერესოა ის ფაქტი, რომ როდესაც XVII ს-ში აზნაურთა დაბეგარის მოვლენასთან გვაქვს საქმე, მათ ევალემათ არა თავი-ბეგარა ან სხვა, არამედ „პურის ჭამა“, „ზოროხიანი კარგი პურის ჭამა“ და ა. შ.

ასეთივე ნებაყოფლობითი ვალდებულება უნდა ყოფილიყო თავდაპირველად „პურის ჭამა“ აგრეთვე ყმა-გლეხისათვის ბატონის მიმართ. მაგრამ თანდათან ის სავალდებულო გახდა და ბეგარის სახე მიიღო.

ლ. მუსხელიშვილმა საბეგრო ნორმების ზოგიერთი ძირითადი სხვაობის განხილვისას აღნიშნა, რომ ზოგი ნორმა შედგებოდა:

¹⁵ ქართ. სამ. ძეგლ. III, გვ. 376.

¹⁶ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დას. საქართველოს საეკლ. საბუთები, II, გვ. 170.

„თავი-ბეგარისა და სხვა ბეგრებისაგან (პურის-ჰამა, სპეც. ბეგარა, ძღვენი). ან მარტო თავი ბეგრისაგან: ზოგი კი შეიცავს მხოლოდ პურის-ჰამას და ნართაულ ბეგრებს (სპეც. ბეგარა, ძღვენი), ანდა მარტო პურის-ჰამით ამოიწურება. პირველი ტიპის ნორმისათვის პურის-ჰამაც ნართაულია უმეტეს შემთხვევაში, ან მეორე თუ მესამე ადგილას სწერია, ან ნუსხის ბოლოშია გაწერილი საყოველთაოდ და ძირითადი ბეგარა არის თავი ბეგარა. მეორე ტიპის ნორმანი კი მთავარი ადგილი უჭირავს პურის-ჰამას, აქ თუ შეიძლება ითქვას „თავი-ბეგარა“ ეს არის და დანარჩენი ბეგარები ამას ერთვის“¹⁷.

ზემოთ მოყვანილი სქემა საბეგრო ნორმებისა სრულად არ ასახავს ამ ვალდებულებების მთელ მრავალფეროვნებას, მაგრამ აქ მთავარი შენედეგი განსხვავებაა: I შემთხვევაში მებეგრე, მეორე გლეხთან გვაქვს საქმე, II შემთხვევაში — მეხადილე, ანუ ახატ გლეხთან. ამრიგად, პურის ჰამა, ცალკე მოცემული თავი ბეგარის გარეშე, ასახავს სხვაობას გლეხთა კატეგორიებს შორის.

ახლა განვიხილოთ პურის ჰამა, როგორც ბეგარა და მისი შემადგენლობა: პურის ჰამა ფართო მნიშვნელობით ნიშნავს ყოველნაირ პურის ჰამას. როდესაც ბატონი გლეხთან მივიდოდა, გლეხი ვალდებული იყო გამასპინძლებოდა, ანუ პური ეჭმა, ოდიშის სანთავროში ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა გოჭკოშუ, ან უგოჭკოშური. იმერეთსა და გურიაში კი რამდენიმე სახელწოდება გვხვდება: პურის-ჰამა, სმა-ჰამა, ხადილი, საპურობი, მასპინძლობა, რაკ-რიკა. აქედან რიკ-რიკა უფრო მდამბიური პურის ჰამა იყო¹⁸.

დანარჩენი ტერმინები კი ერთი რიგისა არიან და ერთმანეთის სრულ სინონიმებად გამოიყენებიან, მცირე განსხვავებით. მაგ., „ხადილი“ იშვიათად იხმარება მებეგრე გლეხის საბეგრო ნორმის აღსანიშნავად და ძირითადად გულისხმობს პურის-ჰამის ვალდებულებას, რომელიც ვეალებათ აზნაურებს, მსახურებსა და ახატ გლეხებს. მებეგრე გლეხის პურის ჰამის შემადგენლობაში შედის: ორი საკლავი (იშვიათად ერთი), თევზი, ყველი, კვერციხი, პური, ღომი, ღვინო, ქათამი. ხანდახან მებეგრე გლეხის საპურობოში იანგარიშება მხოლოდ პური, ღვინო და ქათამი, ხან მხოლოდ ქათამი

¹⁷ ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 281.

¹⁸ იქვე, გვ. 276, 287.

და სხვა. აზნაურებისა და აზატი გლეხების „პურის-ჰამის“ შემადგენლობაში ღორის ნაცვლად შედის ძროხა. დაუბეგრავი მსახური შესაძლებელია ხადილს ძროხითაც იხდიდეს და ღორითაც. ეს, როგორც ჩანს, მის შექმნებაზე დამოკიდებულ.

იშვიათ შემთხვევებში გვხვდება პურის ჰამის შემადგენლობაში ცხვარიც¹⁹.

აქვე უნდა აღვნიშნოთ პურის ჰამის, როგორც ბეგარის, კიდევ ერთი მხარე. თუ თავდაპირველად, თავისი წარმოშობით ეს ვალდებულება, მართლაც, ბატონის მოსვლასთან და მის გამასპინძლებასთან იყო დაკავშირებული, დროთა განმავლობაში ის ჩვეულებრივ გადასახადად იქცა. ამ გარემოებას ჯერ კიდევ უურადლება მიაქცია ს. კაკაბაძემ.

„საუურადლება — ამბობს ის, — რომ საპურობოს შესახებ ერთი კომლის მიმართ ნათქვამია: „გარდაღმა არ გარდიტანებენ, შინა გუაჰმევენ“, ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ჩვეულებრივ საპურობო (აგრეთვე გოჭკომური და ხადილი) მებატონესთან უნდა ყოფილიყო მიტანილი“²⁰. ამავე თვალსაზრისს იზარებს ო. სოსელია²¹. რომ პურის ჰამა ამ პერიოდისათვის მარტო ბატონის მოსვლის შემთხვევაში გამასპინძლებას არ გულისხმობდა და ჩვეულებრივი გადასახადი იყო, ეს კარგად ჩანს ალექსანდრე V-ის მიერ გელათის ტაძრისადმი მიცემულ შეწირულობის წიგნიდან, სადაც ვკითხულობთ: „ამკვერიძეა მართებს ოცი მენახევრე ღვინო ყოველს წელიწადს, ერთი ჯელოსნისა არის. კიდევ მესამე წელიწადს ხადილი, ორი მარჩილი თეთრი. ამისათვის დაგვიც ორი მარჩილის სანთელი. მესამეს წელიწადს ცხრა მენახევრე ღვინო, ორი ქათამი, შინ თუ დახარჯა, ღომიც ამისი არის თუ არა და ღომს არ მისცემ[ს]“²². აქედან ჩანს, რომ თუ ამკვერიძემ ხადილი შინ გადაიხადა, მაშინ ღომიც უნდა დახარჯოს, ხოლო თუ ხადილი შინ არ გადაიხადა და მიიტანა. მაშინ ღომი არ უნდა მიიტანოს. ხადილს ხორცი (ან ღორი. ან ძროხა) ამ შემთხვევაში შეეკვლილია ფულადი გადასახადით — 2 მარჩილით (1 მარჩილი უდრის ერთი ღორს), ამ ფულად გადასახადს ალექსან-

¹⁹ ს. კაკაბაძე, დას. საქართველოს საეკლ. საბუთ., I, გვ. 42. აგრეთვე ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 377.

²⁰ ს. კაკაბაძე, მასალები..., საისტორიო კრებული, III, გვ. 31, შენიშვნა. 2.

²¹ ო. სოსელია, დას. საქართველოს გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა..., გვ. 217.

²² ს. კაკაბაძე, დას. საქართველ. საეკლ. საბ., I, გვ. 122.

დრე ცვლის სანთლით. აქ იგივე მოვლენასთან გვაქვს საქმე, როგორც თავი ბეგარის (ლორის გამოსაღების) ფულით ან სანთლის ბეგარით შეცვლის დროს.

პურის ქამის, როგორც ბეგარის, არა მარტო მთავარი ნაწილი, (ლორი ან ძროხა) შეიძლებოდა შეცვლილიყო ფულადი გამოსაღებით, არამედ მთლიანად შეცვლილიყო ფულადი ბეგარით. მაგ., ხაუელის ბეგარის ნუსხაში გვხვებხართ: საპურობო 2 ქანდაქი ან სამი ქანდაქი²². პურის ქამა შეიძლებოდა აგრეთვე ტილოს ბეგარით შეცვლილიყო. მაგ., ლევან II დადიანის ერთ საბუთში ვკითხულობთ:

„მართებს სიქანდარას გოგუას მებოსტნეს გოჭკომურის საკლავისა. ღომისა და ღვინოს მაგიერად ორი საპერანგო ტილო მოიტანოს სანთლის გულად სააღაპოდ“²³.

ამრიგად, ხადილი (პურის ქამა, საპურობო, გოჭკომური) შეიძლებოდა „შინ გარდახდილიყო“, მაგრამ, ძირითადად, ის ბატონთან მიჰქონდათ, როგორც ჩვეულებრივი ბეგარა. ქ. ჩხატარაიშვილი გამოთქვამს თვალსაზრისს, რომ ხადილის გადასახადი მეხადილე გლეხებს მხოლოდ 2 ან მეტნაწილად 3 წელიწადში ერთხელ ემართათ²⁴: ჩვენი აზრით, ეს სავალდებულო და დაკანონებული არ იყო. საბუთებში გვხვდება შემთხვევები, როცა მეხადილე გლეხი ხადილს იხდის ორ ან სამ წელიწადში ერთხელ, მაგრამ ასევე შეიძლებოდა ყოფილიყო ის ყოველწლიური ვალდებულება. მაგ., იოსებ კათალიკოზის მიერ ბიჭვინთის საყდრისადმი მიცემულ შეწირულების წიგნში ვკითხულობთ: „ამისგან სამსახური ხადილი მიერთმეოდეს კათალიკოსს ერთი წელიწადი რომ შუაზე გავიდეს ერთი სამი ოთხი მარჩილის ზროხა, სამი საწყაი ღვინო, მისი პური, გვერდი ღომი“²⁵.

3. ძ ჳ ე ნ ი

გლეხის მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე სხვადასხვა დღესასწაულის თუ სტუმრიანობის დროს ბატონისათვის ძღვენის მირთმევა.

²² ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 431.

²³ ს. კაკაბაძე, დას. საქართვე. საეკლ. საბუთები, I, გვ. 42.

²⁴ ქ. ჩხატარაიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 82, აგრეთვე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 593.

²⁵ ს. კაკაბაძე, დას. საქართვე. საეკლ. სამ., II, გვ. 41.

ოდიშის საკათალიკოსო გლეხთა XVII საუკუნის გამოსაღებთა ნუსხაში, სახელდობრ, ზაუქელს მოსახლე გლეხთა საგადასახადო ნუსხაში, ძღვენის მნიშვნელობით ნახმარია „მოილო“. ამრიგად, მოილო (მოგიტანე) „ძღვენის“ შესატყვისის წარმოადგენს²⁶.

დავთრებში გვხვდება სხვადასხვა სახის ძღვენი: „თევდორობა დღეს პურიტა და სამარხოთა ძღვენი“, „საქრისტეშობო“, „საყველიერო“, „სამარხო“, „სააღდგომო“, „სამარიობო“. ასევე ძღვენს უნდა მივაკუთვნოთ „სასტუმრო“, რომელსაც ყმა გლეხი ბატონს მიაართმევს, როცა ამ უკანასკნელს სტუმარი ეწვევა²⁷.

სააღდგომო (ს ა ნ ა ა ღ დ გ ო მ ე ო). „სანააღდგომეო ძღვენი“ მოხსენებულია ცაგერის საყდრის მოალაპე გლეხების ბეგარის შემადგენლობაში. ამ გლეხებს მართებთ ორი სახის ბეგარა: თავი ბეგარა და სანააღდგომეო, რომელშიც შედის: 2 გორო ღვინო, 2 გორო პური, ერთი ტახი, ერთი ცხვარი, ერთი ყვერული და ორმოცი კვერცი²⁸.

ამრიგად, ცაგერის მეალაპე გლეხთა სააღდგომო ბეგარად დიდი მოცულობისაა, ვიდრე XIX ს-ის იგივე ძღვენი.

ს ა ყ ვ ე ლ ი ე რ ო. საყველიეროს შემადგენლობა რაფ. ერისთავს შემდგენიარად აქვს განსაზღვრული: 30 კბილი ყველი, 30 — 40 კვერცი და სხვადასხვა სიდიდისა და ჯიშის თევზი²⁹. დავთრების მიხედვით, საყველიერო ერთი თეთრის ოდენობისაა³⁰. ერთი შემთხვევაა, როცა გვაქვს „5 კვერცი საყველიერო“³¹, ერთხელაც — „კვერცი ორი საყველიერო“³².

ს ა ქ რ ი ს ტ ე შ ო ბ ო. დავთრებში საქრისტეშობო ძღვენის შემადგენლობა არ ჩანს. ზოგჯერ აღნიშნულია „საქრისტეშობო ქა-

²⁶ ო. ს ო ს ე ლ ი ა, დას. საქართ. გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა..., გვ. 218; იხ. აგრეთვე ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, საისტორიო კრებული, III, გვ. 35 და ო. სოსელია, საგლეხო ვალდებულებანი დასავლეთ საქართველოში XVII ს-ში, მსკი, ნაკვ. 37, გვ. 80.

²⁷ ო. ს ო ს ე ლ ი ა, დასავლეთ საქართველოს გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა..., გვ. 218.

²⁸ ქართ. სამ. ძეგლ. III, გვ. 523; რაფ. ერისთავის მონაცემებით, ეს ძღვენი სამეგრელოში XIX ს. შედგებოდა: ბატკანის, ციკანის ან ყვერულისაგან, ტიკპორა ღვინისა და ცხრა კვერცხისაგან (ბატონე. სამეგრელოში, გვ. 92).

²⁹ რაფ. ერისთავი, დასახ. ნაშრ. გვ. 92.

³⁰ ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 317, 358—366, 376, 407—409.

³¹ იქვე, ვვ. 368.

³² იქვე, ვვ. 333.

თამი ერთი“. მაქსიმე კათალიკოზის 1778 წ. საბუთის მიხედვით კი საქრისტეშობო ძღვენიში შედის: ერთი ჩარეჟი ყველი, ერთი დედალი, 20 კვერცხი, ერთი ფოხალი ღომი და ერთი დოქი ღვინო³³.

სამარიობო ძღვენი — ამ ძღვენის შემადგენლობაში დასახელებულია მხოლოდ ქათამი³⁴.

პურის ძღვენი — ორი გამომცხვარი პურისგან შედგებოდა.

სამარხო ძღვენი³⁵, როგორც ჩანს, შედგებოდა სხვადასხვა სამარხო საქმელებისაგან: კაკალი, ლობიო, მწვანელი³⁶.

კვხვდება აგრეთვე „თევდორობაჲს დღეს პურითა და სამარხოთა ძღუენი“³⁷.

სასტუმრო. ეს გადასახადი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არქ. ლამბერტის აღწერის მიხედვით, ბატონის სტუმრიანობის შემთხვევაში მისატანი ძღვენი უნდა იყოს. დავთრების მიხედვით სასტუმროს შემადგენლობაში შედიოდა: საკლავი 1 ან 2, ფქვილი 1—2 კოდი, ღვინო 1—2 კასრი, ქათამი 2—3, კვერცხი, მისი ერბო, ხაჭო და მარილი ან „სალორე მარილი“³⁸.

სამაქრობო. ძღვენის კატეგორიის გადასახადებს ეკუთვნოდა, ჩვენი აზრით, სამაქრობოც, თუმცა ის არსად წყაროებში ძღვენის სახელწოდებით არ იხსენიება. როგორც ჩანს, ეს იყო ერთ-ერთი „დიდ ღღესასწაულებში“ მისატანი ძღვენებიდან, რომელთა შესახებაც მოგვითხრობს არქ. ლამბერტი. სამაქრო გადასახადი გლეხს უნდა გადაეხადა ღვინის დაწურვის შემდეგ³⁹.

ამ ცნობიდან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ სამაქრობო „სთველის გიორგობასთან“ დაკავშირებული ძღვენი იყო⁴⁰. ამ გადასახადს მასპინძლობის სახე უნდა ჰქონოდა. მაგ. ხონის საყდრის გამოსავალი ბეგრის დავთარში (1790—1803 წწ.) ვკითხუ-

³³ ს. კაბაძე დას. საქართ. საეკლ. საბ. II, გვ. 637.

³⁴ ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 286.

³⁵ იქვე, გვ. 298.

³⁶ რაფ. ერისთავი. დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

³⁷ ქართ. სამ. ძეგლ. III, გვ. 336.

³⁸ იქვე, გვ. 380—383.

³⁹ ეან მურიე. ბატონყმობა სამეგრელოში, გვ. 125.

⁴⁰ „სთველის გიორგობის“ შესახებ იხ. Е. Накашндзе, Очеркъ винограводства в винодѣлія в Гуріи и Мингреліи, стр. 11.

ლობთ: „მართებს... ნაადგომევეს საბატკობო, საყუშლიერო ძღუშ-
ნი, შაკრობაზედ შა [სკ] ინძლობა...“⁴¹ რაფ. ერისთა-
ვის ცნობით, სამაჰრობო უკანონო ბეგარაა, მაგრამ შემოსულია და
ყველა იხდის როგორც გოჰკომურს. გლეხობის თვალსაზრისი ამ ბე-
გარის უკანონობის შესახებ, აგრეთვე იმის მოწმობა, უნდა იყოს,
რომ სამაჰრობო, ღხეა რიგის ძღვენთან და პურის ჰამასთან ერთად,
ერთ დროს ნებაყოფლობითი უნდა ყოფილიყო და მხოლოდ
შემდგომ იჰყა სავალდებულო ბეგარად. სამაჰრობო უკვე გავრცე-
ლებული და ჩვეულებრივი გადასახადი უნდა იყოს XVI ს. I ნა-
ხევარში. ბაგრატ მეფის შეწირულობის წიგნში გელათის მონა-
სტრისადმი „სამაჰრობო“ შემდეგი შემადგენლობით გვხვდება:

სამაჰრობო: საკლავი 1 (2), ჰათამი 2 (4), ღვინო კოკა 3 (6),
ბატკანი 1 (2), სამაჰრო თეთრი 2⁴². მაგრამ სამაჰრობოს შემადგენ-
ლობაში ყოველთვის საკლავი ან ბატკანი არ შედიოდა. იგი შეი-
ძლებოდა ყოფილიყო მარტო „4 ჰათამი, 3 კოდი ღომი, 2 კოკა ღვი-
ნო, 2 თეთრი“, ან ორი თეთრის ნაცვლად „2 თეთრის თევზი“⁴³.
ცაგერის საყდრის დავთრის ჩხუტელის ნუსხაში კი მის შემადგენ-
ლობაში შედის, გარდა ზემოთ დასახელებულისა, „გამომცხვარი
პური 10 (12)“⁴⁴.

ომაისური. ეს ბეგარა გვხვდება საცაიშლოს გამოსავალი
ბეგარის წყარიგზურის სასახლის ნუსხაში, სადაც ზოგ გლეხს ერთ
წელიწადს მართებს ბეგარა, მეორე წელიწადს კი „ომაისურში და
თვითი საჰოგე“⁴⁵. ამ ნუსხაზე დაყრდნობით ს. კაკაბაძე ფიქ-
რობდა, რომ ეს გამოსაღები შეიძლება უდრიდეს სასტუმროს და
წარმოსდგებოდეს მეგრული სიტყვიდან მიისური-მოისტუმრე⁴⁶.

წყარიგზურის ნუსხაში ომაისურის შემადგენლობა არ ჩანს.
ამ მხრივ საინტერესო ცნობას იძლევა ზოფის ეკლესიის გლეხთა
თეთრის გამოსაღების ნუსხა, სადაც ვკითხულობთ „მართებს მსხუ-
ლებს ხატის ბეგარა: ომაისური ერთი ზროხისაი თეთ-
რი“⁴⁷. შემდეგ კი ჩამოთვლილია გლეხები, რომლებსაც მართებთ

⁴¹ ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 1032.

⁴² ს. კაკაბაძე, აფხაზ. საჯხო გლეხების დიდი დავთ. გვ. 66; თ. ვორდა-
ნია, ქრონიკები, II, გვ. 339.

⁴³ ქართ. სამ. ძეგლ. III, გვ. 360.

⁴⁴ იქვე, გვ. 375.

⁴⁵ ქართ. სამ. ძეგ. III, გვ. 473.

⁴⁶ ს. კაკაბაძე, მასალები..., საინტ. კრებ., III, გვ. 31, შენიშვნ. 1.

⁴⁷ ქართ. სამ. ძეგ. III, გვ. 347.

20 თეთრი. შეიძლება გვეფიქრა, რომ ხატის ბეგარა ომაისური სხვა არის და „ზროხის თეთრი“ კი სხვა, მაგრამ უფრო ჭკვემოთ ნუსხაში ძროხა არ არის დასახელებული და ჩანს, რომ ჩამოთვლილი თეთრი სწორედ ომაისურის თეთრია: „მართებს წყლისძველთა ხატის ბეგარა ომაისური იოვანე ილიჯარიასა 20 თეთრი“ და ა. შ. ამრიგად, გამოდის, რომ ომაისური შეიცავს ერთ ძროხას ან ძროხის თეთრს. ძროხა კი ჩვეულებრივად შედის ხადილის, საპურობოს, სამასპინძლოს და, საერთოდ, „პურის ჭამის“ შედგენილობაში და არსად არ გვხვდება „სასტუმროს“ გამოსალებში.

სასტუმროსა და ხადილის განსხვავება ჩანს ოცხანის საკათალიკოსო გლეხების ნუსხის მეორე ვარიანტში. აქ ზოგ გლეხს მართებს ხადილი და სასტუმრო, ზოგს კი მხოლოდ სასტუმრო. სასტუმროს შემდგენლობაში შედის ყველგან საკლავი (ლორი), ხოლო ხადილისაში — ძროხა.

მაგ.: „მართებს... ერთი ზროხა საპურობო, ერთი საკლავი სასტუმროდ, ორი წონა ღომი, ცხრა სამესხო ღვინო, მისი პური და ორი ქათამი“ ან: „მართებს... ერთი ხადილი ზროხა, ოთხი საკლავი სასტუმროიანად“... ან: „ერთი ხადილის ზროხის წახეკარი, ერთი საკლავი სასტუმრო“⁴⁸ და ა. შ.

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ ომაისური ხადილი და სამასპინძლო იყო და არა სასტუმრო.

4. სამოხალეოს რიგის გამოსალებები

გლეხი გარკვეულ საბეგრო ვალდებულებებს იხდიდა მეფას მოხელეების მიმართ. მაგ., გლეხები იხდიდნენ ბეგარას მეფის მოხელე მოურავის მიმართ. ამ ბეგარას „სამოურაო“ ეწოდებოდა. ალექსანდრე მეფის მიერ გელათისადმი გაკემული შეწირულობის წიგნის მიხედვით (1740—1750), „სამოურაო“ შედგებოდა ერთი რუბისა და ორი ფოხალი გაკეხვილი ღომისაგან⁴⁹. ფხვიების მიერ გელათის წმინდა გიორგის საყდრისადმი მიცემულ შეწარუ-

⁴⁸ ექ. თაყაიშვილი, საქ. სიძე., I, 28.

⁴⁹ ს. კვაბაძე, დას. საქართ: საეკლ. საბუთ., I, გვ. 158-161.

ლების წიგნში კი სამოურაოს შემადგენლობაში არის რკინა და ქათამი⁵⁰.

„ს ა ც ი ხ ი ს თ ა ო“⁵¹ ბეგარა, როგორც ჩანს, გარდაახდებოდა მეფის მოხელე ციხისთავის მიმართ.

გლეხი გარკვეულ გადასახადებს იხდიდა ფეოდალის მოხელე მოსამსახურე პერსონალის მიმართ. მაგ., ცაიშის მიმდგომი კაცების ბეგრის ნუსხაში ვკითხულობთ: „მართებს... გოჭკუშური მისის... რაც იმ დღეს მოუნდებოდეს. ერთს ღორს ახალწელი წადს ა მეხელესა მიაართმევდეს“⁵². აგრეთვე ალექსანდრე V-ის შეწირულობის წიგნში ვკითხულობთ: „ამკვერიძეს მართებს ოცი მენახევრე ღვინო ყოველს წელიწადს. ერთი ქელოსნისა არის“⁵³. მოხელე, ხელოსანი დასავლეთ საქართველოში მამასახლისის სინონიმად იხმარება.

„სამეჯინობო“. რაფ. ერისთავის ცნობით, ეს ბეგარა იყო სამეგრელოს მთავრის მეჯინბეთა შესანახი. ყოველი კომლი უმასპინძლებოდა შეძლებისდაგვარად⁵⁴. დავთრების მიხედვით „სამეჯინობო“ მოიცავდა, ბატონის მეჯინების სამასპინძლოს და ცხენების შესანახ პროდუქტს. „სამეჯინობოს“ სრული შემადგენლობა იყო: 1 ნაოთხალი ღომი, 1 ქათამი, 1 კოკა ღვინო, ერთი ურეში თივა, 1 კალათი მჭადი⁵⁵. მაგრამ შესაძლებელი იყო გლეხს ჰქონოდა სამეჯინობოდ მარტო თივა და მჭადი, ან თივა, ღომი, ფეტვი და სხვ.

„საბაზიერო“. რაფ. ერისთავის ცნობით, ეს ბეგარა განკუთვნილი იყო ბაზიერთა შესანახად და მისი შემადგენლობა „სამეჯინობოს“ იგივეობრივი იყო⁵⁶. დავთრების მიხედვით ეს არ დას-

⁵⁰ ს. კაკაბაძე, დას. საქართ. საეკლ. საბუთ., II, გვ. 178, რაფ. ერისთავის ცნობით, სამოურაო მოურაეთ შესანახი საერობო ბეგარაა და მიდის ადგილობრივი საპოლიციო მმართველობის შესანახად. მისი შემადგენლობა: 1 კოკა ღვინო, 2 ქილა ღომი, ან ხობალი და ქათამი. დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

⁵¹ ს. კაკაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, 1914, გვ. 64.

⁵² ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 444.

⁵³ ს. კაკაბაძე, დას. საქართ. საეკლ. საბუთ. I, გვ. 119.

⁵⁴ რაფ. ერისთავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

⁵⁵ ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 407.

⁵⁶ რაფ. ერისთავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

ტურღება. საბაზიეროში შედის: „საბაზიერო სამი (ერთი) ქათამი“⁵⁷, „საქორე ქათამი“⁵⁸, ან თეთრი (მაგ., „საბაზიერო სამი თეთრისა“⁵⁹).

„ს ა მ ე ჯ ო ლ ო რ ო“ . წარმოსდგება მეგრული სიტყვიდან ჯოლორი — ძალი. ამ ბეგარას გლეხები იხდიდნენ ბატონის მეჯოლორეთა, ანუ მწვერების მომვლელთა შესანახად. „სამეჯოლოროს“ შემადგენლობაა: ერთი ქანდაკის ღორი, მისი ღომი და ღვინო⁶⁰.

მთელ რიგ შემთხვევებში გლეხები იხდიდნენ სხვადასხვა სახის გადასახადებს ბატონის მოსამსახურეების მიმართ. ამ გადასახადებს სპეციალური სახელწოდება, როგორც ჩანს, არ გააჩნდათ. მაგ., ნაგუზაურის სასახლის ბეგრის ნუსხაში წერია: „...გოქომური: 2 ღორი, იმასთან 1 დიდი ძარა კაკალი ღომი... და მზარეულისა 1 თოხი უწერია“. ქვემოთ კი გლეხს ასეთივე ბეგარა მართებს და ბოლოში კი ვკითხულობთ: „მზარეულსა და მეღვინეს 1 თოხი უწერია“⁶¹. ამ ორი შემთხვევის ურთიერთშეჭერებიდან გამოდის, რომ ამ ორ გლეხს ევალებოდა მზარეულისა და მეღვინესთვის ერთი თოხის მიცემა. ჯგალის სასახლის მიმდგომი კაცებან ბეგრის ნუსხაში ვკითხულობთ: „მართებს ქვაჩილია ფართხავას საჭმელი მესალობესა“⁶². ამრიგად, მესალობის, როგორც სალობის მომვლელის მიმართაც, გლეხები იხდიდნენ გარკვეულ გამოსაღებს, ამ შემთხვევაში „საჭმელს“.

5. საბაზიერო გამოსაღებები

„ს ა ბ ა ტ კ ო ბ ო“ . ეს ბეგარა გადაიხდებოდა მაისის თვიდან, „როცა გუფული პირველად დაიძახებს“⁶³. მაგ., ცაგერის საყდრის დაეთრის ზომხას ნუსხაში ვკითხულობთ: „ნააღდგომევეს ბატკი ერთი“⁶⁴. უმრავლეს შემთხვევაში ს ა ბ ა ტ კ ო ბ ო ი ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ა ს ა მ ი თ ე თ რ ი ს ო დ ე ნ ო ბ ი თ , რ ა ც უ დ რ ი ს ე რ თ ბ ა ტ კ ა ნ ს . მაგრამ საბატკობოს შემადგენლობაში შეიძლება

⁵⁷ ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 407, 414—415.

⁵⁸ იქვე, გვ. 416.

⁵⁹ იქვე, გვ. 409.

⁶⁰ იქვე, გვ. 426.

⁶¹ იქვე, გვ. 413.

⁶² იქვე, გვ. 473.

⁶³ რაფ. ე რ ი ს თ ა ვ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

⁶⁴ ქართ. სამ ძეგლ., III, 376.

ყოფილიყო ქათამი, თევზი, ღომი და ღვინო⁶⁵. ასეთი საბატკობო, ცხადია, უფრო ძვირი იყო. ქუთაისის საყდრის დავთრის ქოლევის ნუსხაში საბატკობო რვა თეთრითაა შეფასებულნი⁶⁶.

„საზროხე“⁶⁷. ამ ტერმინით აღინიშნებოდა ძროხის გამოსაღები. ის შეიძლებოდა სხვადასხვა ოდენობის ყოფილიყო: ერთი ძროხა, ნახევარი ძროხა, მეოთხედი ძროხა და „ძროხის ერთი ფენიცი“ კი. ამ ბეგარას ზოგ შემთხვევაში იხდიდნენ როგორც მებადილე გლეხები (დამატებით ხადილთან ერთად), ისე მებეგრეები.

„საყაჭობო“ გადასახადია აბრეშუმის ჭიის მომვლელთათვის⁶⁸. საყაჭობო, როგორც ბეგარა, დას. საქართველოში XIII ს-შიც არსებობდა. გელათის დეკანოზის იაკობის ხახულის ღვთისმშობლისადმი მიცემულ შეწირულობის წიგნში ფარცხანაყანევის და მალლაკის გლეხების საყაჭობო 4 თეთრით არის განსაზღვრული⁶⁹. XVI—XVII სს. დავთრების მიხედვით საყაჭობოს ერთი თეთრის ოდენობისას იხდიდნენ.

„საყანე“. ეს ბეგარა შედგებოდა ძირითადად 1 ან 2 ღორისაგან. მაგ., „ერთი ქანდაქის ფასი საყანე ღორი“⁷⁰. ამასვე უნდა იშინავდეს თილითის სასახლის ნუსხაში დასახელებული „ერთი წლის სამუშაო საკლავი“. მაგრამ საყანე ბეგარა შეიძლებოდა სხვა შემადგენილობისაც ყოფილიყო. მაგ., საქუჩულორიოს ბეგრის ნუსხაში საყანე შედგებოდა: 20 კენჭი ყველისა, მისი ღომისა და ღვინისაგან⁷¹. „საყანე“ ბეგარა იკრიბებოდა, ალბათ, ბატონის ყანაში მომუშავე გლეხების გამოსაკვებად.

„ხმელი ბეგარა“. ამ ბეგრის შემადგენლობა განიხილა ო. სოსელიამ და თილითის ნუსხის მონაცემების ანალიზით მივიდა დასკვნამდე, რომ „ხმელი ბეგარა“ უნდა ყოფილიყო

⁶⁵ ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 258

⁶⁶ იქვე, გვ. 298.

⁶⁷ იქვე, გვ. 419; ს. კაკაბაძე, მასალები..., საისტორიო კრებული, III, გვ. 46

⁶⁸ რაფ. ერისთავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

⁶⁹ ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 173.

⁷⁰ იქვე, გვ. 173.

⁷¹ იქვე, გვ. 413.

„ხმელი“. შეკომლილი სახით წარმოდგენილი დორის ხორცი — შ ა შ ხ ი⁷².

ხელ ბეგარას. როგორც ჩანს, შეიძლებოდა სულ სხვა შინაარსიც ჰქონოდა. მაგ., ნაგუაზაურის სასახლის ნუსხას ბოლოში მიწერილი აქვს: „ხმელი ბეგარა თითო ხეში ყველას მართებს“⁷³. აქედან ჩანს, რომ ხმელი ბეგარა შეშაც შეიძლება და ყოფილიყო.

„ალაყურტი“, ანუ „ყურტი“, ო. სოსელიას აზრით, გულისხმობდა წვრილად დაფქვილი ღომის, სელის მარცვლის, ან ყვითელი სიმინდის ფქვილისაგან თაფლში გაკეთებულ ღომს⁷⁴.

„ჩითახური“ გვხვდება ქუთაისის საყდრის ბახვის ნუსხაში, სადაც ის ყველა გლეხის მენადილის თუ მებეგრის ვალდებულებას წარმოადგენს. დავთრის მიხედვით, ის ფულადი გადასახადია⁷⁵.

„მოსაკრეფელობა“ (სამეგრელოში — „ოზურლი“)⁷⁶, „საბოკი“. არ იყო ერთი განსაზღვრული სახით დადგენილი ვალდებულება და ბატონის საჭიროებისამებრ იკრიფებოდა⁷⁷.

არ იყო ზუსტად განსაზღვრული და გლეხის შეიძლებაზე და აგრეთვე ამა თუ იმ კუთხეში არსებულ ტრადიციაზე იყო დამოკიდებული ისეთი გადასახადები, როგორცაა: „საქორწინო“ (ბატონის ქორწილის შემთხვევაში), „სამარხი-მკვიდრისეული“ (ბატონის ოჯახის წევრთაგანის სიკვდილის შემთხვევაში), „სახეჟმე“ (გლეხის ქალის სხვა ბატონის კაცისადმი მითხოვების შემთხვევაში), „საქვრივო“ (როცა გლეხის ქვრივი სხვა ბატონის კაცს მისთხოვებოდა), „სალაშქრო“ (ბატონის სალაშქროდ წასვლის შემთხვევაში)⁷⁸.

⁷² ო. სოსელია, საგლეხო ვალდებულებები დასავლეთ საქართველოში, მსკი, ნაკვ. 32, გვ. 77.

⁷³ ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 413.

⁷⁴ ო. სოსელია, საგლეხო ვალდებულებები..., გვ. 81.

⁷⁵ ს. კაკაბაძე, ქუთაისის საყდრის დავთრის უძველესი ნაწილი, საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 244—247.

⁷⁶ ს. კაკაბაძე, მასალები... საისტორიო კრებული, III, გვ. 32, ო. სოსელია, საგლეხო ვალდებულებანი..., გვ. 81.

⁷⁷ ო. სოსელია, საგლეხო ვალდებულებანი, გვ. 82.

⁷⁸ ო. სოსელია, დასავლეთ საქართველოს გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა, გვ. 219; რაფ. ერისთავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 93—94.

„გ ა ს ა მ ყ ო ფ ლ ო“. ამ გადასახადს იხდიდა გლეხი მისი ოჯახის გაყოფის შემთხვევაში.

კ უ ლ უ ხ ი — უძველესი ბეგარა იყო საქართველოში და ნიშნავდა ლვინოზე დაწესებულ გამოსაღებს. დასავლეთ საქართველოში კულუხი, როგორც ტერმინი ლვინის გამოსაღების აღსანიშნავად საბუთებში არ გვხვდება. კულუხს, როგორც გამოსაღებს, იხსენიებენ ანა დედოფალი 1804 წ. ბიჭვინთის საყდრისადმი გაცემულ წყალობის წიგნში: „არა გეთხოვებოდესრა, არა ბეგარა არა ხარაჯა არა კულუხი არა ხუნა არა თესვა“⁷⁹.

ამ საბუთიდან კულუხის რაობა არ ჩანს. რაფ. ერისთავის ცნობით, სამეგრელოში კულუხი, საკულუხო, სადედოფლო — ერთი და იგივე გადასახადი იყო: „ოდითვე არის შემოღებული და დედოფლის სასარგებლოდ იკრიბება... თითოეული კომლი წელიწადში ერთხელ იხდის ერთ-ორ გორო ხორბალს“⁸⁰. ლეჩხუმში ამავე გამოსაღების შესახებ რაფ. ერისთავი გვაპყნობს, რომ ერთს წელიწადს აძლევენ „სადედოფლოს“ დედოფალს თითო გორო ხორბალს კომლზე, ხოლო მეორე წელიწადს ეკლესიის სასარგებლოდ კომლზედვე იხდიან თითო გორო ლვინოს⁸¹.

რაფ. ერისთავის ცნობას ერთგვარად თითქოს მხარს უჭერს ის გარემოება, რომ ზემოთ დასახელებული საბუთის გამცემად დედოფალი გვევლინება (თუ ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის).

იმ პროლუტებზე, რომელსაც გლეხი გასასყიდად აწარმოებდა, იხდიდა მებატონის სასარგებლოდ ბაჟს. ამ მხრივ საინტერესოა მარიამ დედოფლის წიგნი ხონის საყდრისადმი, სადაც ვკითხულობთ: „ჩვენ ჟამთა ეითარებისაგან გავეჭირდა და ხონი კათალიკოზმან დაიჭირა და ჩვენს ხელში, რომ პირველითაგან ბაჟი იყო, იმაზედ უსამართლო ექნა, ხორცის, მარცხის, თევზის და მატყლის ბაჟი დაედვა თქვენთვის. შემოგვეხვეწეთ... გადაგიწერთ სახასო ამ ეკლესიის ყმას მარცხის, ხორცის, თევზის და მატყლის ბაჟი“⁸².

საშოვარზე წასული გლეხი ბატონის სასარგებლოდ იხდიდა აგრეთვე თავისი მონაგების ერთ მეხუთედს⁸³.

⁷⁹ ს. კაკაბაძე, დას. საქართვ. საეკლ. საბ., II, გვ. 146.

⁸⁰ რაფ. ერისთავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

⁸¹ იქვე, გვ. 100—101.

⁸² ს. კაკაბაძე, დას. საქართ. საეკლ. საბ., II, გვ. 39.

⁸³ ო. სოსელია, მასალები დას. საქართველოს სათავღობის მმართველობის ისტორიისათვის, მსკი, ნაკვ. 31, 1954, გვ. 187—188.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი გადასახადებისა, სამეგრელოში გლეხები იხდიდნენ აგრეთვე „სახუროს“⁸⁴ „სამჭილოს“, „საბრყვოს“⁸⁵. შესაძლებელია მსგავსი გადასახადები იკრიფებოდა დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

6. საკვანძო. ანუ სახალხლო გადასახადები

„ს ა უ რ ი“. ფულადი გადასახადია. თავისი წარმოშობით უკავშირდება სათათრო ხარაჯას, მაგრამ შემდეგ იქცა ადგილობრივ სახელმწიფო გადასახადად.

საურის მნიშვნელობა ქართლის სამეფოს ირანთან დამოკიდებულების განსაზღვრის მიზნით საგანგებოდ გამოიკვლია ვ. გაბაშვილი⁸⁶ და მივიდა დასკვნამდე, „რომ საური ხარკი არაა, ისევე როგორც ხარკი არაა აღმოსავლური „სავერი“. ჩანს, ქართლი ირანის ხელმწიფეს ხარკს კი არ უხდის, არამედ ფეშქაშს—ძღვენის სახით გამოხატულ მისართმეველს... „ფეშქაში“ არ გულისხმობს უპირობო დამოკიდებულებას „ხარკის“ მსგავსად. „ფეშქაშით“ განსაზღვრულია „მემკვიდრე მეფის“ ხარისხობრივი დამოკიდებულება „ხელმწიფეზე“⁸⁶.

„ს ა ლ ი ა ნ ი“ წარმოდგება არაბული სიტყვიდან „სალ“ — წელი. ა. ტვერიტინოვა ასე განმარტავს ამ გადასახადს: «Годовой доход с некоторых провинций Османской империи, поступавший непосредственно в государственную казну в виде дани»⁸⁷.

ვ. გაბაშვილი აღნიშნავს, რომ „სალიანელით ცნობილი ეიალეთები მოხარკეობის საფუძველზე იყვნენ დაკავშირებული სულტანის. მთავრობასთან“⁸⁸. როგორც საბუთებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, ს ა ლ ი ა ნ ე ლ ი, ანუ ს ა ლ ი ა ნ ი ს გადამხდელი იყო გურიის სამთავრო. მამია გურიელის შეწირულების წიგნში სალიანის ოდენობა განსაზღვრულია 8 ყურუშით: „მე თქვენ ს ა ლ ი ა ნ ი არ გთხოვო და არც გადაგახთიო. თუ თქვენ ეს წიგნი ეინემ შეგიშა-

⁸⁴ რაფ. ე რ ი ს თ ა ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

⁸⁵ იქვე, გვ. 110.

⁸⁶ ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, 1958, გვ. 246—247.

⁸⁷ А. С. Т в е р и т н о в а, Аграрный строй Османской империи XV—XVII вв, стр. 213.

⁸⁸ ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 344.

ლოს და სალიანი გადაგახთიოს, ქრისტეს საფლავის ბეგარა რვა-რვა ყურუში, ჩვენი ცოდვის ნუქამათ ის გაიკითხოს ქრისტემ⁸⁹.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ იმერეთის საბუთებში: ზმირად გვხვდებოდა საური და არც ერთხელ არ გვხვდებოდა სალიანი. იმ დროის, როცა გურიის საბუთებში გვხვდებოდა საურიც და სალიანიც. როგორც ჩანს, ეს განსხვავება განპირობებული იყო გურიის სამთავროს და იმერეთის სამეფოს ოსმალეთის იმპერიისადმი დამოკიდებულების სხვადასხვა ხარისხით.

„სპენჯი“ („ისფენჯი“) — ფულადი გადასახადია, იკრიბებოდა ოსმალეთის იმპერიის პროვინციებში, მათ შორის ახალციხის საფაშოში.

ა. ტვერტინოვა შემდეგნაირად განსაზღვრავს ამ გადასახადს: «Подушный налог с немуслиманского населения, «пятнина». Взимался с мужского населения независимо от имущественного и семейного состояния по 25 акча с человека. Соответствовал взимаемому с мусульман поземельному налогу ресм-и чифт»⁹⁰.

ეს ბეგარა თავის შინაარსით არ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი იმერეთის სამეფოსათვის: როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისფენჯი იკრიბებოდა ოსმალეთის იმპერიის პროვინციებში. იმერეთის სამეფო კი ოსმალეთის პროვინცია არ იყო. ის „სალიანელც“ კი არ ყოფილა. საინტერესოა, რომ ისფენჯი საბუთებში არ გვხვდება XVIII ს. ნიჭურულამდე. XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში ეს გადასახადი მოხსენებულია კონსტანტინე ბატონიშვილის საბუთებში, რომლებიც ყველა სოფ. სვირის გლეხებზეა გაცემული⁹¹. არსად არ ჩანს, რომ ისფენჯის სხვა მხარეების გლეხებიც იხდიდნენ. არსებული მასალის საფუძველზე გადაუჭრელი რჩება საკითხი, თუ რატომ ჩნდება ეს ბეგარა საბუთებში მხოლოდ XVIII ს. ბოლოს

⁸⁹ შ. ბურჯანაძე, ისტორიული დოკუმენტები..., გვ. 146, № 154, იხ. აგრეთვე სტოა, ფ. 1448, ს. 5766, ფ. 1449, ს. 1162. Дм. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Аджаре, 1878, გვ. 300, 305, 314—316.

⁹⁰ А. С. Твeртинoвa, დასახ. ნაშრომი, გვ. 202.

⁹¹ ს. კაკაბაძე, დასავ. საქართვ. საეკლ. საბ., II, გვ. 159; იხ. აგრეთვე საისტორიო მოამბე 5, 1950, გვ. 200, № 1, 2, 5, გვ. 201 № 6, გვ. 202, № 5, გვ. 203, № 17, 19, გვ. 205, № 29, 31; ო. სოსელია, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის..., გვ. 76. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd 8382.

(ეს მოვლენა შემთხვევითია, თუ კანონზომიერი) და რატომ ევა-
ლებათ ის მხოლოდ სოფ. სვირის გლეხებს (თუ ეს გარემოებაც
შემთხვევითი არ არის)? არის თუ არა ეს ბეგარა რაიმე კავშირში
იმერეთის სამეფოს ოსმალეთთან დამოკიდებულების ფორმებთან?

საბუთებიდან ირკვევა მხოლოდ, რომ ისფენჯი „სახელმწიფო
სათხოვარი“ იყო, ერთგან მისი ოდენობა 140 (!?) ფარათია განსა-
ზღვრული⁹³. კონსტანტინე ბატონიშვილის ერთ საბუთში (1808 წ.)
მისი ოდენობა ერთი აბაზია⁹³.

„ს ა უ დ ი ე რ ო“. სამეფო გადასახადი, მომდინარეობს სიტ-
ყვიდან უდიერობა — ძალდატანება. აღნიშნავს „ბეგარაზედ მეტს
აღებულს“⁹⁴. საუდიეროს იხდიდნენ ფეოდალთა გლეხები (თუ ისი-
ნი საგანგებოდ გათავისუფლებულები არ იყვნენ ამ გადასახადიდან)
მეფის, როგორც უმაღლესი სიუზერენის, მიმართ. საუდიეროს შემა-
დგენლობაში შედიოდა ხორცი (ღორი), ლვინო, ლომი⁹⁵, ქათამი⁹⁶,
პური⁹⁷. მაგრამ ყოველთვის სრული შემადგენლობით არ გვხვდება.

7. სამწყსო-სამკლესიო გადასახადები

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ბეგარებისა, გლეხები იხდიდნენ
სხვადასხვა სახის სამწყსო-საეკლესიო გადასახადებს: „ს ა ხ უ-
ც ო ს“, „ს ა კ ა ნ ო ს“ (დანაშაულის თუ სხვა შემთხვევაში),
„ს ა ს ჯ უ ლ ო ს“ (სარწმუნოებასთან დაკავშირებული დანაშაულის
შემთხვევაში), „ჩ ა მ ო მ წ ყ ვ ს ე ის ა ს“ (აქედან ჩამომწყვესვისათვის
იხდიდნენ მესამე წელიწადს თითო კებ ლომს)⁹⁸. მათვე ევალებო-
დათ ეკლესიის სასარგებლოდ სხვადასხვა სამსახური მაგ. კ ი რ ი ს
დ ა წ ვ ა და სხვ.⁹⁹.

⁹² საისტორიო მოამბე, V, 1950, გვ. 201, № 6.

⁹³ Hd 8382 (3).

⁹⁴ სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV, ი. აბულაძის გამოცემა,
№ 966, გვ. 50.

⁹⁵ ხელნ. ინსტ. ფ. Ad 152.

⁹⁶ რაფ. ე რ ი ს თ ა ე ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

⁹⁷ ხელნ. ინსტ. ფ. Qd 9281.

⁹⁸ ს. კაკაბაძე, დას. საქართ. საეკლ. საბ., II, გვ. 77.

⁹⁹ იქვე, გვ. 77.

ა. მ ო დ ი

მოდო, როგორც საწყაო, განიხილა გ. ჯაფარიძემ და მივიდა დასკვნამდე, რომ მოდი, როგორც საწყაო, წყაროების მონაცემებით, არსებობდა საქართველოში XI—XIII სს, ხოლო უფრო შოგვიანებით ეს სახელი დაუმკვიდრდა დას. საქართველოში მიწის სარგებლობისათვის დაწესებულ გადასახადს¹⁰⁰.

ო. ს ო ს ე ლ ი ა ს აზრით, მიწის სამოდოდ გაცემა გვიანფეოდალურ დასაველეთ საქართველოში საადგრლმამულო დამოკიდებულების თავისებურ ფორმას წარმოადგენდა¹⁰¹: საადგილმამულო დამოკიდებულების ეს ფორმა ჩვეულებრივი მოვლენა ჩანს XVI ს-დან¹⁰².

გელათის დეკანოზის იაკობის ხახულის ღმრთისმშობლისადმი გაცემული შეწირულების წიგნი გვიჩვენებს, რომ მიწის „სამოდოდ“ გაცემა და მოდი, როგორც მიწის სარგებლობისათვის დაწესებული გადასახადი, დას. საქართველოში არსებობდა არა მარტო გვიან-შუა საუკუნეებში, არამედ XIII ს-შიც: „მაღლაკელთა და ფარსმანაყანაველთა გლეხთაგან გამოვალს საძი ურემი ლუინო უპარტახტოთ, და ტყისაგან მოდი რაიკლა მოვალს“¹⁰³.

მიწის სამოდოდ გაცემა იჯარის ერთ-ერთი სახეა¹⁰⁴. რაფ. ერისთავი მიწათსარგებლობის ამ ფორმის შესახებ აღნიშნავს: „მებატონეთა მამულს და ტყეებს — სახასო ჰქვიან, ესე იგო ბატონისაა, სახაზინო, და არავის შეუძლია ამ მიწებით უსასყიდლოდ ისარგებლოს. ასეთ მამულებით სარგებლობისათვის მიწის პატრონის სასარ-

¹⁰⁰ გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ნარკვევები ქართულ მეტროლ. ისტორიიდან, გვ. 107

¹⁰¹ ო. ს ო ს ე ლ ი ა, მასალები აგრარული ურთიერთობის ისტორიისათვის გვიანფეოდალურ დას. საქართველოში, მსკი, ნაკვ. 31, 1954, გვ. 159.

¹⁰² ო. ს ო ს ე ლ ი ა, ნარკვ. ფეოდალ. საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, გვ. 173.

¹⁰³ ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 173.

¹⁰⁴ სამოდო მიწათსარგებლობას იჯარად მიიჩნევს შ. დუმბაძე. იხ. მისი დასაველეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, 1957, გვ. 78, 90.

ო. სოსელია უარყოფს ამ თვალსაზრისს, თუმცა, ჩვენი აზრით, მისი საბუთიანობა არ არის დაპაჟერებელი. იხ. ფეოდალური ხანის დას. საქართველოს ისტორიიდან, გვ. 112

გებლოდ გადასახადს იხდიან, რომელსაც მოდი ჰქვია. მოდს იხდის ყველა, ვინც კი სხვის მიწასა ხნავს და სთესავს: — ლეჩხუმში მოსავლის მეხუთედს, ხოლო სამეგრელოში — მეათედს¹⁰⁵.

მოდის, როგორც გადასახადის შესატყვისად, დას. საქართველოში ხანდახან იხმარება ღალა. ხოლო მიწათსარგებლობის ამ ფორმას უწოდებენ აგრეთვე „ჭამას“. „მიწის ჭამა“ და „სამოდედ გაცემა“ ერთი მეორის იდენტური ცნებებია და უპირისპირდება „დასახლებას“.

მაგ., ბაგრატ მეფის შეწირულობის წიგნში გელათის მონასტრისადმი ვკითხულობთ: „შემოგწირეთ ფარცხანაყანევს... პარტახი ეწითი... ორი პარტახი; სხუა და ვინა ჰამდეს, ან მინდორის, ან ტყისა ღალას გამოიღებდეს. თუ კაცი დაესახლოს, მართალი ბეგარა ჰქმნას“¹⁰⁶.

ასეთივე მნიშვნელობითაა ნახმარი ეს ტერმინი მაქავარიანებისა და ღაბუაშვილების გაბჭობის წიგნში: „ღაბუაშვილმა... უპასუხა: როსაფ მაქავარიანს მოყვრობით ვაქამეთ, რამდენსამე ხანს ქონდა, ხმარობდა, მოდს ვიღებდით... და მართალია ჩვენი სამკვიდრო ადგილი ისევ დაგატოვებით და გვაქვს“¹⁰⁷.

მოდის გადახდა შემდეგნაირად ხდებოდა: მოსავლის აღებას ესწრებოდა მიწის პატრონის მოხელე, რომელსაც მიჰქონდა აღებული მოსავლიდან მიწის პატრონის წილი. დანარჩენი კი მეიჯარადრეს რჩებოდა¹⁰⁸.

სოლომონ II-ის ერთი საბუთიდან ჩანს, რომ მოდს კრეფდა სპეციალური მოხელე, რომელსაც შემოდე ეწოდებოდა¹⁰⁹.

ბ. ზ ა ნ ა შ ე ნ ე

იჯარით გაიციელოდა არა მარტო ტყე და საყანე ადგილები, არამედ საბალ-ვენახე ადგილებიც. იჯარის ამ ფორმას მიწის „სა-

¹⁰⁵ რაფ. ერისთავი, ბატონყმობა სამეგრელოში, გვ. 110.

¹⁰⁶ ქრონიკები, II, გვ. 339.

¹⁰⁷ ო. სოსელია, მასალები აგრარული ურთიერთობის ისტორიიდან..., № 6,

გვ. 165.

¹⁰⁸ იქვე, № 3, გვ. 162.

¹⁰⁹ სცო, ფ. 1448, ს. 4438.

ნ ა შ ე ნ ე დ“ გ ა ც ე მ ა ე წ ო დ ე ბ ო დ ა. მაგ., სოლომონ II-ის მიერ იოსელიან იოანესადმი გაცემულ წყალობის წიგნში კვითხულობთ: „გვევედრე და მამული გვთხოვე ცილორს. მამული გვთხოვე ბარამიძის კარზედ ქვანიასეული მამული თავისი სანაშენოთ ადგილით და კიდევ ქვანიასეული ადგილი სანაშენოდ და საყანეთ¹¹⁰.

ამრიგად, აქ ორნაირ ადგილზეა საუბარი: მიწაზე, რომელიც გაიცემა საყანედ, ანუ სამოდოდ, და მიწაზე, რომელიც გაიცემა სანაშენეთ. სანაშენედ გაცემულ მიწაზე ბალ-ვენახის გაშენების შემდეგ გლეხი და მიწის პატრონი მოსავალს შუაზე იყოფდნენ¹¹¹.

შესაძლებელია, რომ, მოსავლის იმ ნაწილს, რომელსაც მონაშენე მიწის პატრონს უხდიდა, აგრეთვე მოდი ეწოდებოდა. ამას გვაფიქრებინებს ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის დავთრის ერთი ადგილი, სადაც კვითხულობთ:

„მართებს მამუასეულს ძის პარტახტსა ღწნო კოკა თორმეტი და საკლავი თორმეტის თეთრისა და მოდის ღწნო კოკა თორმეტი“¹¹².

გ. ხ ა ზ ა

სხვისი საძოვრებით სარგებლობის შემთხვევაში გლეხი ჩხლდა ხაზას. ეს გადასახდი არ იხსენიება დას. საქართველოს საბუთებში, მაგრამ XIX ს. სამეგრელოში მისი არსებობის შესახებ ცნობას იძლევა რაფ. ერისთავი¹¹³.

9. შრომითი რანგა

გარდა ნატურალური და ფულადი გადასახდებისა, რომელშიც გამოხატულებას პოულობდა გლეხის საადგილმამულო დამოკიდებულება ბატონისადმი, გლეხს ევალებოდა სხვადასხვა სახის სამ-

¹¹⁰ სცია, ფ. 1448, ს. 10182.

¹¹¹ ო. ს ო ს ე ლ ი ა, დას. საქართვ. გლეხობის ეკონომ. მდგომარეობა..., გვ. 174—175. Е. К. Накашидзе, Очеркь винограводства и виноделия в Гуріи и Мингреліи, 1896, გვ 40—41; იხ. აგრეთვე ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ Qd 3579, ფ Sd 2429, ფ Hd 2583.

¹¹² ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ 326.

¹¹³ რაფ. ერისთავი, დასახ ნაშრომი, გვ 110.

სახური ბატონის მიმართ. ეს სამსახური, ანუ შრომითი რენტა, ასახავდა ყმა გლეხის პირად დამოკიდებულებას ფეოდალისადმი. გლეხთა შრომითი რენტის ძირითადი სახეები, როგორცაა შინაყმის გამოყვანა (მოხელობა და სხვა რიგის სამსახური), მოლაშქრობა, სეფობა-მეოჩეობა, ნადობა, მოინალობა-მოსასახლეობა, ჩვენ განვიხილეთ ზემოთ გლეხთა კლასის ცალკეულ წოდებებზე თუ კატეგორიებზე საუბრისას და აქ საგანგებოდ აღარ შევჩერდებით: ჩამოვთვლით მხოლოდ გლეხთა შრომით ვალდებულებებს, რომლებიც განხილვის გარეშე დაგვრჩა და რომელთა სახელწოდება ერთგვარ განმარტებას საჭიროებს:

„პირუტყვის შენახვა“¹¹⁴, „კამბეჩის შენახვა“¹¹⁵, „ზამთარში ცხენისა და კაცის მესადგომობა“¹¹⁶ და სხვ. — ზოგი გლეხი ვალდებული იყო ზამთარში შეენახა ბატონის პირუტყვი და ამ პირუტყვის მომვლელი. უმრავლეს შემთხვევაში პირუტყვის სახეობა წინასწარ იყო აღნიშნული.

„ნავტობა“, „მენავტობე“¹¹⁷ — ო. სოსელია საგანგებოდ განიხილავს ამ ვალდებულებას და ასკვნის, რომ მენავტე უნდა ყოფილიყო მეთევზის დამხმარე პირი (მეგრული სიტყვიდან „ნოთე“), რომელიც ანთებული სიმინდის ღეროებით ანათებდა მდინარეს, თუმცა დასაშვებად თელის აგრეთვე თვალსაზრისს მენავტისა და მენავის იგივეობის შესახებ¹¹⁸. ჩვენი აზრით, უფრო მართებული უნდა იყოს მეორე თვალსაზრისი: მენავტე ეწოდებოდა პირს, რომელიც დაყენებული იყო „სანაოზე“, რათა ნავით გადაეყვანა ხალხი. ამაში ის ამ უკანასკნელთაგან იღებდა გასამრჯელოს, რომელსაც შემდეგ ბატონს აბარებდა, დაახლოებით, როგორც მებაჟე. მსგავსადვე განმარტავს ნავტეს საბაც თავის ლექსიკონში: მენავე — ესენი არიან ყოველნი ნავთა მუშაკნი: ხოლო ნავსე ეწოდების ნავის მაშენებელსა, ... ნ ა ვ ტ უ რ ი კ ა ტ ა რ ლ ი ს მ ნ ე ს ა დ ა ნ ა ვ ტ ე — მ ო მ ც რ ო ნ ა ვ ი ს მ ე ნ ა ვ ე ს ა. ნავტე — მენავეთ გამრიგებელი, მენავეთ გამრიგე, მენავე¹¹⁹.

¹¹⁴ ქართ. სამ. ძეგლ., III, გვ. 298.

¹¹⁵ იქვე, გვ. 419.

¹¹⁶ ქეთ. ისტ. მუზ. № 312.

¹¹⁷ ქართ. სამ. ძეგლ. III, გვ. 420, 434.

¹¹⁸ ო. სოსელია, საგლეხო ვალდებულებანი... გვ. 78.-79; მისივე, ფეოდალ. ხანის დას. საქართვე. ისტორიიდან, გვ. 125.

¹¹⁹ ს უ ლ ხ ა ნ ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი ქართული, I, 1966, გვ. 461, 558.

ჩვენი აზრით, არავითარი საბუთი არა გვაქვს ეპეი შევიტანოთ საბასეულ განმარტებაში. მით უმეტეს, რომ ეს ტერმინი მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ამგვარად, ძნელი წარმოსადგენია, რომ საბას შეშლოდა მისი მნიშვნელობა. რაც შეეხება მეგრული „ნო-თეს“ და ქართული „ნავტეს“ იგივეობას, ეს ვარაუდი არა თუ შინაარსობრივად, ფონეტიკურადაც ძნელი წარმოსადგენია.

მენაეის სახელოს არსებობის შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა საეკლესიო ყმების ვაშმაძეების მიერ ჩიჯავაძე ნიკოლოზისადმი მიცემული პირობის წიგნი, სადაც ვკითხულობთ: „გვედრეთ სანაოზედ მენაეედ დადგომას და გვისმინეთ ვედრება და წიგნი გვთხოვეთ და ასე... წერილს გაძლევთ, რომ, რომელიც მოსავალი მოვიდეს თქვენი მოსართმევი თეთრი არ დაგაკლოთ“¹²⁰.

„ულაყი“ — ეს ბეგარა გვხვდება მეფე ბაგრატის მიერ სოფ. თხილზე გაცემულ საბუთში: „ჩუენი კარისა... გამოსაღება არა გეთხოვებოდეს არა ჯურუმე არა ყალანი, არა ულაყი“¹²¹. საბასეული განმარტებით ულაყი ეწოდება საკიდარ ცხენს, ჯორს, აქლემს, ვირს, აზავერს და მისთანანს¹²². „ულაყი“, როგორც ვალდებულება არსებობდა აღმოს. საქართველოშიც და გულისხმობდა გლეხის მიერ ტვირთის გადასაზიდად მეტვირთე ცხენის ან სხვ. გამოყვანას. ამასვე უნდა გულისხმობდეს ქუთაისის დავთარში მოხსენიებული ვალდებულება „მეულაყობა“, რაც თვით დავთრის მიხედვით, „ყოვლის დღის ულაყით სამსახურის“ იდენტურად გვევლინება¹²³.

„ქვრივი და ობოლი“ — ბატონს ჰქონდა განსაკუთრებული უფლება სამუდამოდ გამოეყვანა გლეხის ოჯახიდან ქვრივი და ობოლი, რის შედეგადაც ეს უკანასკნელნი შესაძლებელია მოკალაბებოდნენ ქვეულისკენ. საბუთებში ხშირადაა აღნიშნული შემთხვევა, როცა გლეხებს სხვა ვალდებულებებთან ერთად ათავისუფლებდნენ ამ ვალდებულებისაგან: „არა გეთხოვოს ქვრივი და ობოლი“. გლეხის ოჯახში ქვრივისა და ობოლზე ბატონის ასეთი განსაკუთრებული უფლების შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა ალექსანდრე V-ის ერთი სიგელი გაცემული „ერთობით სოფელში“

¹²⁰ ქუთ. ისტ. მუზ. № 420.

¹²¹ ს. კ.-ბაძე, დას. საქართველ. საეკლ. საბ., I, გვ. 7.

¹²² ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, IV, გვ. 160.

¹²³ ქართ. სამ. ძეგლ. III, გვ. 328—330.

მოსახლე კაცზე“: „არც ქვრივი და არც ობოლი არ გაგეცემოდეს თქვენ სასხვისშვილოთ, არცავენ ქმარი შერთოს ძალით...“¹²⁴.

„სათემო საქმე“, „სასოფლო“, „სათემო სათხოვარი“¹²⁵ ეს იყო სახელმწიფო ვალდებულება, რომელიც ევალებოდა სოფელში, თემში მოსახლე გლეხებს მეფე-მთავართა მიმართ ქ. ჩხატარაიშვილი ამ ვალდებულების იგივეობრივად მიიჩნევს „ხეობის სამსახურს“¹²⁶ და აღნიშნავს, რომ შესაძლებელია ამ სახელწოდების ქვეშ ერთიანდებოდნენ სხვადასხვა სახის შემთხვევითი თუ დაკანონებული სამუშაოები მეფე-მთავართა მიმართ, როგორც იყო ციხის, ქალაქის, ხიდების, გზების მშენებლობა, სხვადასხვა სახის სეზონური სამუშაოები, რომლებიც დიდა რაოდენობით მუშახელს მოითხოვდნენ და სხვ.¹²⁷.

¹²⁴ ს. კაკაბაძე, დას. საქართვ. საეკლ. საბ. I, გვ. 147.

¹²⁵ იქვე, გვ. 38; დას. საქართვ. საეკლ. საბ. II, გვ. 10.

¹²⁶ Дм. Бакрадзе, Археологическое путешествие..., გვ. 292, 314, 342.

¹²⁷ ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 91—92.

სარჩევი

შესავალი	3
თ ა ე ი I	5
მსახურთა წოდება	5
1. ისტორიოგრაფია	5
2. მსახურის კლასობრივი კუთვნილება XVI—XVIII სს.	19
3. მსახურის კლასობრივი კუთვნილების საკითხი XIII—XV სს.	30
4. მსახურის გენეზისი და მისი განვითარების პირველი პერიოდი	40
5. მსახური, როგორც გლეხთა ზედა წოდება, მისი წოდებრივი ნიშნები და ფუნქციები	66
თ ა ე ი II	87
გლეხთა წოდება	87
I ფეოდალის მიწაზე მსხდომ გლეხთა კატეგორიები	89
1. მოსასახლე გლეხები	89
2. მოჭალაბე გლეხები	102
3. მოინალე გლეხები	109
II. სოფელში მცხოვრებ გლეხთა კატეგორიები	118
1. მკვიდრი, ანუ მოსახლე გლეხები	119
ა. აზატი გლეხები	119
ბ. მებეგრე გლეხები	147
2. „ვარეთ მოსული“ გლეხები	152
თ ა ე ი III	158
საგლეხო ბეგარა დასავლეთ საქართველოში	158
1. თავი ბეგარა	158
2. პურის ქამა	163
3. ძღვენი	166
4. სამოხელეოს რიგის გამოსაღებები	170
5. საგანგებო გამოსაღებები	172
6. საქვეყნო ანუ სახელმწიფო გადასახადები	176
7. სამწყსო საეკლესიო გადასახადები	178
8. საიჭარო გადასახადები	179
9. შრომითი რენტა	181